

მარიამ ჩხერიშვილი

---

# საქართველო III-V საუკუნეები

ხოსროვანთა  
სამაცო საპლიტ  
ისტორია

ნიგნს ვუძლვნი ძვირფასი მამის,  
პროფესორ სანდრო ჩხარტიშვილის,  
ნათელ ხსოვნას

მას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა

**MARIAM CHKHARTISHVILI**

**GEORGIA IN 3<sup>RD</sup> – 5<sup>TH</sup> CENTURIES**

**History of the Royal Family of Chosroids**

**Nekeri Publishing  
Tbilisi  
2018**

მარიამ ჩხერიშვილი

## საქართველო III – V საუკუნეებში

ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია

ნეკერი  
თბილისი  
2018

ხოსროვანები წარმოადგენდნენ ქართულ სამეფო დინასტიას III-V საუკუნეებში. ამ დინასტიის როლი საქართველოს ისტორიაში და ქართული იდენტობის დადგინებაში სრულიად განსაკუთრებულია: დინასტიის ფუძემდებელს, მეფე მირიანს, უკავშირდება ქრისტიანობის ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება IV საუკუნის ოცდაათიან (ზოგი თვალსაზრისით, ოციან) წლებში; ამ ფაქტით ბიძგმიცემული კულტურული ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესის მესავეურნიც ხოსროვანები და მათი მემკვიდრეები იყვნენ.

წიგნი მიზნად ისახავს ხოსროვანების ოჯახის ისტორიის აღწერას. ნაშრომში ახლებურადაა გააზრებული ადრე დადგენილად მიჩნეული არაერთი ფაქტი.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის დარგის სპეციალ-ისტებისათვის.

The Chrosrids were Georgian royal dynasty in 3<sup>rd</sup>-5<sup>th</sup> cc. The role of this dynasty in shaping of Georgian identity was decisive. The founder of the dynasty king Mirian initiated the adoption of Christianity as official religion of Georgian state in 330s (according to other view in 320s). The Chosroids promoted the process of deep cultural transformation connected with christianization as well.

The research aims to represent the revised history of the Chosroid family.

The book is intended for academics in field of Georgian history.

#### რეცენზენტები:

პროფესორი გიული ალასანია

პროფესორი გონელი არახამია

#### Reviewers:

Professor Giuli Alasania

Professor Goneli Arakhamia

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

Layout and cover design: Giorgi Bagrationi

© მარიამ ჩხარჭიშვილი, 2018

© Mariam Chkhartishvili, 2018

გამომცემლობა „ნეკერი“, 2018

Publishing House “Nekeri”, 2018

ISBN 978-9941-457-96-8

## შინაარსი

შესავალი .....	7
თავი I. გამოკვლევის ძირითად წყაროთა შესახებ .....	15
თავი II. დინასტიის დამფუძნებელი .....	28
თავი III. მეორე და მესამე თაობის ხოსროვანები .....	91
თავი IV. ქართლის უკანასკნელი ხოსროვანი მეფე .....	186
თავი V. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორიის მოკლე რეპრეზენტაცია .....	229
ბოლოსიტყვა .....	257
დამატება I .....	259
დამატება II .....	269
ხოსროვანთა სამეფო ოჯახი III — V საუკუნეებში (სქემა) ..	280
ქართლის მმართველები III — V საუკუნეებში (სქემა) .....	281
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) .....	282
ავტორის შესახებ (ინგლისურ ენაზე) .....	303

## CONTENTS

<b>Introduction</b> .....	7
<b>Chapter I.</b> On Main Sources of the Research .....	15
<b>Chapter II.</b> Founder of the Dynasty .....	28
<b>Chpatre III.</b> The Chosroids of Second and Third Generations .....	91
<b>Chapter IV.</b> The Last Chosroid King .....	186
<b>Chapter V.</b> History of Royal House of Chosroids in General Outlines .....	229
<b>Epilogue</b> .....	257
<b>Appendix I</b> .....	259
<b>Appendix II</b> .....	269
<b>Royal family of Chosroids in 3<sup>rd</sup> – 5<sup>th</sup> centuries</b> (Scheme) .....	280
<b>Georgian rulers in 3<sup>rd</sup> – 5<sup>th</sup> centuries</b> (Scheme) .....	281
<b>Summary</b> .....	282
<b>About author</b> .....	303

## შესავალი

წინა-მოდერნის ეპოქის რეპრეზენტაციებში სამეფო ოჯახ-ებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ წყაროებში ისინი კარგად ჩანან; ამ დროს ხომ ისტორიის წერის საქმეს ექსკლუზიურად სწორედ ხელი-სუფლების სათავეში მყოფი პირები აკონტროლებდნენ. ამი-ტომაც ძველ მემატიანებს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საგანი, ვიდრე მეფეთა ცხოვრების აღნერაა, ვერც კი წარმოედგინათ.

ისტორიოგრაფიულ პრაქტიკას ეს სულისკვეთება ისტორი-ის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების პრო-ცესის დასრულების შემდეგაც ერთხანს გაჰყვა: ემპრიცისტუ-ლი იგივე სთეითისტური პარადიგმის მიმდევრების გატაცება პოლიტიკური ისტორიით ხშირად კონკრეტდებოდა როგორც მმართველი დინასტიების ისტორია.

სამეფო ოჯახები ძველ დროში განსაზღვრავდნენ არა მარ-ტო ეთნიკური კოლექტივების პოლიტიკური განვითარების ვექტორებს, არამედ მათ კულტურულ პროფილსაც.

ზემოთ გამოთქმული აზრის დადასტურება კარგადაა შესა-ძლებელი ქართული გამოცდილებითაც, კერძოდ, ბაგრატიონთა საგვარეულოს მაგალითით. ბაგრატიონებმა ქართველი ხალხის ისტორიას მიანიჭეს განუმეორებელი ელფერი. საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მათმა უცვლელად ყოფნამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახ-დინა ქართული იდენტობის დადგინებაზე,

ბაგრატიონთა ღვაწლი დეტალურადაა ასახული სამეცნიე-რო ლიტერატურაში და ქართველთა კოლექტიურ მახსოვრობა-შიც ამ დინასტიის მეფეებს მეტად საპატიო ადგილი აქვთ მი-კუთვნებული.

მაგრამ ბაგრატიონების წინამორბედი ქართული დინასტი-ის, კერძოდ, ხოსროვანების, წვლილი ქართული იდენტობის ფორმირებასა და კულტურის უნიკალური მახასიათებლების გამოკვეთაში ნაკლები როდი იყო.

მიუხედავად ამისა, ხოსროვანთა სამეფო ოჯახი (ვგულისხმობ მთლიანობაში დინასტიას) იშვიათად (თუ საერთოდაც) ყოფილა ქართველი ისტორიკოსებისა და ფართო მკითხველის ინტერესის საგანი.<sup>1</sup> ცალკეული ხოსროვანი მეფების ზეობის ისტორიულ რეპრეზენტაციებს, როგორც წესი, აკლიათ სათანადო სიღრმე და საგვარეულო კონტექსტი. ეს კი ნამდვილად დასანანი ხარვეზია, რადგან ამ დინასტიის როლი საქართველოს ისტორიაში და ქართული იდენტობის დადგინებაში სრულიად განსაკუთრებულია: დინასტიის ფუძემდებელს, მეფე მირიანს, როგორც ცნობილია, უკავშირდება ქრისტიანობის ქართული სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება IV საუკუნის ოცდაათიან (ზოგი თვალსაზრისით, ოციან) წლებში; ამ ფაქტით ბიძგმიცემული კულტურული ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესის მესვეურნიც ხოსროვანები და მათი მემკვიდრეები იყვნენ.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მე დავიწყე ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიით დაინტერესება და ამ დინასტიის ცალკეულ წარმომადგენლების შესახებ პირველი ნაშრომებიც გამოვაქვეყნე.<sup>2</sup> ოთხმოცდაათიანი წლებიდან ახალ პრობლემატიკაზე (ვგულისხმობ, იდენტობრივ კვლევებს) გადასვლის მიზეზით ამ მიმართულებით ჩემი ძიებანი შედარებით ნაკლებინტენსიური გახდა, თუმც სრულად არასდროს შეწყვეტილა. ნათქვამის დასტურად 2009 წელს გამოქვეყნებული ორი წიგნიც გამოდგება.<sup>3</sup>

1 თუმც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ქველ ქართველებს ჰქონდათ ხოსროვანების, როგორც ერთიანი გუნდის, შესახებ ჩამოყალიბებული აზრი: „არამედ სიტყვა იყო ივერიისა შინა მეფეთა ამათოვს, რამთუ იცნობის . . . ხოსროვანი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებელობითა“. იხ. ვახუშტი. აღწერა სამეფო-სა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941, გვ. 20.

2 მ. ჩხარტიშვილი. „ფრიად სარწმუნო ბაკური“. მნათობი. 1986. №5, გვ. 161-166; მ. ჩხარტიშვილი. ისტორიული პორტრეტები, თბილისი, 1992, გვ. 32-39. მ. ჩხარტიშვილი. ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნებითი შესწავლის პრობლემები. „ცხრილებად წმიდასა ნინოსი“, თბილისი, მეცნიერება, 1987.

3 მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის გაძექაში, თბილისი, უნივერსიალი, 2009; მ. ჩხარტიშვილი. სახეები საქართველოს ნარსულიდან, თბილისი, უნივერსიალი, 2009.

ბოლო რამდენიმე წელია ხოსროვანთა ისტორიაზე მუშაობა ახალი ძალით განვაახლე, რაც აისახა კიდეც ჩემს რამდენიმე საკონფერენციო მოხსენებაში, აგრეთვე, ბროშურასა და საუკრნალო სტატიებში.<sup>4</sup>

ამგვარი სამეცნიერო აქტივობის შედეგად საკმაო მასალა დამიგროვდა. სწორედ ამიტომ დავისახე მიზნად აღნიშნული მიმართულებით ძიებებათა შედეგებისათვის თავი მომეყარა და ნაკვლევი ერთიან სურათად წარმომედგინა. წინამდებარე მონოგრაფია ამ მიზნის განხორციელების ცდაა. ის ეძღვნება ხოსროვანების ოჯახის ისტორიას.

დაბადებით ანუ წარმომავლობით ხოსროვანების მეფობა შეწყდა უკვე მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში: უკანასკნელი ხოსროვანი მეფე ქართლის ტახტზე იყო მირიანის შვილიშვილი არჩილ რევის ძე. თავად არჩილი უშვილო გახლდათ, მან ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს, კერძოდ, ხიდარელების, წარმომადგენლის ვარაზ-ბაკურის ძის მირდატის შვილად აყვანის გზით გააგრძელა ქართლის ტახტზე ხოსროვანთა დინასტიური ხაზი. მირდატი, რომელიც მეფობდა ხოსროვანთა სახელით, იყო საქართველოს დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მამა. ამგვარად, ვახტანგ გორგასალი დაბადებით ხოსროვანი არ ყოფილა, ის მამამისის (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, პაპამისის ანუ ვარაზ-ბაკურის) მიერ სამეფო ოჯახთან გაფორმებული სოციალური კონტრაქტის გზით გახდა ხოსროვანი.

ხოსროვანების მიერ ხიდარელი მირდატის შვილების ფაქტს მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი. შვილობილთა ანუ ხოსროვანების სახელით ხელისუფლებაში მოსულ ხიდარელთა ზეობა გაგრძელდა VI საუკუნის მეორე ნახევრამ-

4 მ. ჩხარტიშვილი. „მოქცევამ ქართლისა“ პეტრე იძერის შესახებ, თბილისი, ნეკერი, 2013. მ. ჩხარტიშვილი. ვახტანგ გორგასლის საგვარეულო კუთხით მიღების საკითხი ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის ფონზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, 2016, ტ. X, გვ. 111-137; მ. ჩხარტიშვილი. ქართლი მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში: მეფე არჩილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, 2017, ტ. XII, გვ. 75-110.

დე, ვიდრე საგარეო ძალის ჩარევის შედეგად მეფობა არ შეწყდა ქართლში. მეფობის შეწყვეტის მითითებული თარიღი გამომდინარეობს წყაროს პირდაპირი ჩვენებიდან.

„მოქცევად ქართლისად“ შატბერდული რედაქცია ვითარებას ასე წარმოგვიდგენს:

და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ და კათალიკოსი იყო მაკარი. და მისა ზევე ვარსექნ პიტიახში იყო და შუშანიკი ინამა ცურტავს. და მისა შემდგომად კათალიკოსი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრე. და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობად ქართლისად.<sup>5</sup>

წმინდა შუშანიკის ამ კონტექსტში მოხსენიება ანაქრონიზმია. ცნობა წმინდა შუშანიკის შესახებ ისტორიულ ქრონიკაში გადამწერის ჩანართია და იგი ავტორისეული ჩანაფიქრს არ ასახავს. იგი არასწორად არის ქრონიკის ტექსტში ლოკალიზებული: აღნიშნული ცნობა V საუკუნის ფაქტების კონტექსტში ნაცვლად, VI საუკუნის ფაქტების კონტექსტშია ჩართული.<sup>6</sup> რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, ის გვიზუსტებს თარიღს თუ როდის ზეობდა ზემოთ აღნიშნული ბაკურ მეფე:

და მოკუდა კათალიკოსი მაკარი, და მანვე მეფემან დასუა სჯონ კათალიკოსად. და მოკუდა ბაკურ, და დარჩინეს შვილი მისნი წურილი, რომელი ვერ იპყრობდეს მეფობასა. მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსა რანი და მოვაკან, რომელსა ერქუა ქასრე ამბავერზი. და მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილით-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდევს ერისთავნი და თვსთვად ხარკა მისცემდეს ქასრე ამბავერზსა.<sup>7</sup>

5 ძეელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება, I (შემდეგ: ძეგლები, I), გვ. 94.

6 ამ ცდომილების გაჩენის მიზნის შესახებ ის. მ. ჩხარტვილი. „მოქცევად ქართლისად“ ერთი ანაქრონიზმის შესახებ („შუშანიკი ინამა ცურტავს“), მნათობი, 1991, 1, გვ. 145-149.

7 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, 1955, ტ. I (შემდეგ: ქართლის ცხოვრება, I), გვ. 217.

აქ მოხსენიებული სპარსეთის მეფეების იდენტიფიცირება სირთულეს არ წარმოადგენს. ესენია შაჰი ჰორმიზდ IV (579–590) და მისი ძე შაჰი ხოსრო II ფარვიზი (591–528). აშკარაა, რომ სიტყვა ეხება ჰორმიზდ IV-ის ზეობის ხანას, პერიოდს ხოსრო II-ის გამეფებადე. თუმც, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ამ პირდაპირი ქრონილოგიური ცნობის უგულებელყოფის არაერთ ფაქტს ვაწყდებით.<sup>8</sup>

ცენტრალური საერო მმართველობა მალევე აღდგა, მაგრამ უკვე არა მეფობის, არამედ ერისმთავრობის სახით. „მოქცევად ქართლისად“ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ ერისმთავრები. სუმბატ დავითის ძის მიხედვით ისინი ბაგრატიონები იყვნენ:

და ესენი შედნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილისატიმით, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი და მოინივნეს ეკლეცის წინაშე რაქაელ დედოფლისაა. და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს. და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატონნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. . . ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობად შვილთა გორგასლისათა, მათ ჟამითგან ეპყრა უფლებად ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე. არამედ დაესრულა უფლებად ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან.<sup>9</sup>

8 შესაბამისი ეპოქის რეპრეზენტაციისა და საკითხთან დაკავშირებული დისკურსის კრიტიკული ანალიზისათვის იხ. მ. ჩხარტვიშვილი. „მარტვილობაა და მოთმინებაა წმიდისა ევსტათო მცხეთელისაა“. „ცხორებად და მოქალაქეობაა წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაა“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1994; მ. ჩხარტვიშვილი. „ნებ. ევსტათო მცხეთელის მარტვილობა“ და VI-VII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის. პოლემიკური ნარკვევი, თბილისი, ინტელექტი, 2005; მ. ჩხარტვიშვილი. პასუხის პასუხის აკადემიკოს დავით მუსხელეშვილის: XXI საუკუნის საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების VI-VII საუკუნეების საქართველოს ისტორიის თაობაზე დებატების ფონზე. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბილისი, უნივერსალი, 2008, გვ. 192-202.

9 სუმბატ დავითის-ძე. ცხორებად და უწყებად ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბილისი, მეცნიერება, 1990, გვ. 40.

ჯუანშერ ჯუანშერიანის მიხედვით ერისმთავრებიც ხოს-როვანთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ,<sup>10</sup> ამავე ხაზს მისდევს ე. წ. „მატიანე ქართლისა“ (ზოგი მეცნიერის აზრით, და ამ აზრს მეც ვიზიარებ, ეს ტექსტი დამოუკიდებელი თხზულება კი არაა, არამედ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ნაწილია), რომლის ცნობით ხოსროვანთა ზეობა მხოლოდ არაბთა მიერ ნანამები მეფის წმინდა არჩილის ძეებზე – იოანესა და ჯუანშერზე – დასრულდა:

და ვითარ დაჰყო ჯუანშერ წელინადი შვდი იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად უფლებად სარკინოზთავ განდიდნა და მიერითვან მიეცა ყოველი ესე ქუეყანად უამითი უამად რბევასა და ოქრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართავ ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ლირს იყოს მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან.<sup>11</sup>

წყაროების ორაზროვნება თავისებურ ასახვას პოულობს არსებულ სამეცნიერო რეპრეზენტაციებში. ასე მაგალითად, კ. თუმანოვის აზრით, ძველ იპერიაში ზეობდა სამი დინასტია: ფარნაბაზიდების (ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. I საუკუნემდე), არშაკიდების (სომხური შტო) (ახ. წ. I საუკუნიდან III საუკუნემდე) და ხოსროიდების (III-VI საუკუნეებში), რომლებიც თავს წარმოადგენდნენ როგორც სასანიდები.<sup>12</sup>

ამ ქრონოლოგიით ჩანს, რომ აღნიშნული მკვლევრის შეხედულებით, ხოსროვანების ზეობა არ გაგრძელებულა VI საუკუ-

<sup>10</sup> ჯუანშერ ჯუანშერიანის მიხედვით ქართლის პირველი ერისმთავარი გუარამი იყო ვახტანგ გორგასლის შთამომავალი ანუ ხოსროვანი, ოლონდაც ქალის ხაზით. ამ-ავე ავტორის ცნობით, მისი ძე იყო სტეფანოზ I და, ცხადია, იგივე ხაზს აგრძელებდა. რაც შეეხება სტეფანიზის მომდევნო ერისმთავარს ანუ ადარნერსეს, ჯუანშერის ცნობით, ის ასევე ხოსროვი იყო, ოლონდაც არა ქალის ხაზით: ის იყო ქართლიში მეფობის გაუქმებამდე უკანასკნელი მეფის ანუ ბაკურის – ძე. იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218, 222, 225.

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 250.

<sup>12</sup> C. Toumanoff. Medieval Georgian Historical Literature (VII-XV Centuries). *Traditio*, Vol. 1. 1943. გვ. 139-182, published by Fordham University. <http://www.jstor.org/stable/27830031>, გვ. 144, გვ. 10.

ნეში ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ და, შესაბამისად, ქართლის ერისმთავრები ხოსროვანები არ იყვნენ. ამგვარად, კ. თუმანოვი, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით მიუთითებს ქართული დინასტიების შესახებ; მეორე მხრივ, ისე გამოდის, რომ ის უგულებელყოფს იმავე წყაროს ერთ-ერთი თხზულების ცნობას ქართლში მეფობის გაუქმების შემდგო- მაც ხოსროვანების ზეობის შესახებ. აღნიშნულ ჩამონათვალ- ში, რომელიც იბერიის მეფეებს ეხება, საქართველოს ძველი ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტი არ ფიქსირდება, კერძოდ, აიეტიანთა დინასტია. როგორც ირკვევა, ამ დინასტიის ხსოვნა არსებობდა ძველ ქართლში.<sup>13</sup>

რაც შემეხება პირადად მე, როგორც ითქვა, ჩემი აზ- რით, უკანასკნელი ნამდვილად ხოსროვანი მეფე არჩილი იყო. V საუკუნის მეორე ნახევრში და VI საუკუნეში ხოსროვანთა სახელით მოღვაწე ქართლის მეფეები არ მიმაჩნია ნამდვილ ანუ წარმოშობით ხოსროვანებად. არც მეფობის გაუქმების შემდეგდროინდელი ქართლის მმართველების ანუ ერისმთა- ვართა ხოსროვანობის შესახებ ცნობას ვთვლი სარწმუნოდ. მი- უხედავად ამისა, ე. წ. „მატიანე ქართლისას“ დავესესხე ტერ- მინ „ხოსროვანს“, რაც ჩემ მიერ (და, ცხადია, წყაროს მიერაც) გაგებულია როგორც კრებითი სიტყვა ქართლის იმ მეფეების აღსანიშნავად, რომელთა წარმომავლობა ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს ანუ მირიანს უკავშირდება. „ქართლის ცხ- ოვრების“ მიხედვით კი მირიანი ირანელი შაპის ანუ „ხოსროს“ შვილი იყო. შუა საუკუნეების ეპოქის ქართველებისათვის „ხოსრო“ წარმოადგენდა ზოგად ტერმინს ირანის მეფის აღსან- იშნავად. შესაბამისად, ხოსროვანთა დინასტია ეს ის ქართული სამეფო დინასტიაა, რომელიც ასოცირდებოდა ირანის სამეფო სახლთან, კერძოდ, სასანიანთა დინასტიასთან.

ზემოთ წარმოდგენილი სურათი, რომელიც ჩემი შეხედ-

13 მ. ჩხარტიშვილი. ახალი დისკურსი მეფე აზოსა და არიან-ქართლის შესახებ. გო- რის სახელმწიფო სამავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენ- ტრის შრომათა კრებული, 2016, №13, თბილის, „ჯეოპრინტი“, გვ. 304-325; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუა საუკუნეებში: ქა- რთლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების შედარებით ანალიზი, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2015-2016, ტ. XVII-XVIII, გვ. 262-269.

ულებებს ამსახველია, არსებითად განსხვავდება იმ ცოდნისა-  
გან, რაც თანამედროვე ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით სპე-  
ციალისტ თუ არასპეციალისტ მკითხველს შეიძლება ჰქონდეს  
აღნიშნული ეპოქის ქართლის მმართველთა შესახებ. ქვემოთ  
შესაბამისი დასაბუთებით ვრცლად იქნება წარმოდგენილი ყვე-  
ლა ეს და ბევრი სხვა, სამეცნიერო წრეებში გავრცელებულის-  
აგან განსხვავებული, ჩემი შეხედულება.

წინამდებარე წარმომის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნდება  
პირველად; ნაწილი კი წლების განმავლობაში იძეჭდებოდა  
სტატიების თუ მონოგრაფიათა ცალკეული თავების სახით.  
წინამდებარე წიგნში ეს მასალა ზოგჯერ უცვლელად არის  
წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ნაწილობრივ სახეცვლილია ერ-  
თიან დისკურსში ჩართვის მიზნით თუ საკითხის ახლებურად  
გააზრების მიზეზით.

## თავი I.

### გამოკვლევის ძირითად ცყაროთა შესახებ

ხოსროვანთა ოჯახის ისტორიის რეპრეზენტაციის დაწყებამდე საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ შევეხო გამოკვლევის უმთავრეს წყაროებს. ესენია „მოქცევად ქართლისად“ და „ქართლის ცხოვრება“. მათი რაობის მართებულად გააზრება აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი პოქტის ადეკვატურად წარმოსადგენად.

ამ ძეგლებისადმი მიძღვნილი წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების რიცხვი ძალიან დიდია. სპეციალისტთა შეხედულებები მათი შედგენილობის, დათარიღების, ავტორების შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. არ არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი. ძალიან ხშირად „ქართლის ცხოვრების“ დახასიათებისათვის მკვლევრები მიმართავენ მეცნიერული ქართველოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ივანე ჯავახიშვილის – ნაშრომებს. ტექსტის არსებულ გამოცემათა უმეტესობა ივანე ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით არის გამართული. თუმც მკვლევართა უმრავლესობა, ცხადია, აცნობიერებს, რომ არაერთი შემთხვევისათვის ეს სქემა მოძველებულია და არ ასახავს ტექსტის ნამდვილ ისტორიას. იმ ვითარებაში, როცა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიის შესახებ არ არსებობს სხვა (თუნდაც მეცნიერთა ნაწილის მიერ გაზიარებული) შეხედულება, მკვლევრებს მაინც უწევთ ჯავახიშვილისეული სქემის კატეგორიებით სარგებლობა, რათა საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთოდ შესაძლებელი გახდეს.

„მოქცევად ქართლისად“ შესახებაც თვალსაზრისები უაღრესად მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანიც. აქ კიდევ უფრო ძნელია გაბატონებული თვალსაზრისის გამოკვეთა.

ვიღებ მხედველობაში ამგვარად სპეციფიკურ ვითარებას

აღნიშნულ წყაროთა კვლევის საკითხში და ქვემოთ წარმოვადგენ ჩემს საკუთარ შეხედულებებს ამ ძეგლებზე განსხვავებული თვალსაზრისების საგანგებო კრიტიკის გარეშე. ჩემი შეხედულებების დასაბუთებას ზოგჯერ აქვე წარმოვადგენ, ზოგჯერ კი ვუთითებ ჩემივე გამოკვლევებს, რომლებშიც მოცემულია შესაბამისი არგუმენტები.

დავიწყებ „მოქცევად ქართლისათ“.

„მოქცევად ქართლისამ“ ჩვენამდე მოაღწია ოთხი ხელნაწერის სახით. მათი გათვალისწინებით ვახასიათებ თხზულების წარმოსახვით პროტოგრაფს.<sup>1</sup>

„მოქცევად ქართლისამ“ აქვს თავისებური კომპოზიცია. ის შედგება ისტორიული ქრონიკისა და „ნემინდა ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქციისაგან. ერთი მათგანი, უფრო მოკლე, ჩართულია ქრონიკაში ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილას ანუ იქ, სადაც მეოთხე საუკუნის ქართლის ისტორიაზეა საუბარი; ხოლო მეორე, რომელიც ბევრად უფრო ვრცელია პირველთან შედარებით და რომელსაც წმინდა ნინოსა და მისი უახლოესი თანამოღვანეების მოგონებათა კრებულის ფორმა აქვს, ერთვის ქრონიკას.

1 „მოქცევად ქართლისამ“ ხელნაწერების და რედაქციების შესახებ დაინტერესებულ მეოთხველს ინფორმაციის ამოკრება შეუძლია არაერთი პუბლიკაციიდან, მათ შორის, იხ. ქართლის მოქცევა. ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ე. გოუნაშვილისა. გმოკვლევა, მმოხილვა და კომენტარები ვ. გოლაძისა, თბილისი, უნივერსალი, 2009, გვ. 3-35; ზ. ალექსიძე. „მოქცევად ქართლისამ“ „მატიანის“ ახლო რედაქცია, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შურნალი, 2004, №3, გვ. 3-16; მოქცევად ქართლისა. ახლადადმინიჭილი რედაქციიბი. გამოსცა ზ. ალექსიძე, თბილისი, 2007. „მოქცევად ქართლისამ“ შესახებ არსებული სამეცნიერო დისკუსიის შესახებ იხ. ქ. მანია. „მოქცევად ქართლისამ“ შესახლის ისტორიიდან, წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა, თბილისი, 2009, გვ. 17-39, საკითხის კვლევის ისტორიის შესახებ მეოთხველს გარკვეულ წარმოდგენის შექმნა შეუძლია ს. სალუშვილის ისტორიოგრაფიულ-ბიბლორეგაფიული ძიებების საშუალებით. ს. სალუშვილი, ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული საისტორიო ძეგბათა საკითხები, ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელმისამართის ქართული უნივერსიტეტი, 2016, გვ. 12-16. <https://sangu.ge/images/2016/ssaluaashvili.pdf>. *The Wellspring of Georgian Historiography. The Early Medieval Historical Chronicle 'The Conversion of Kart'li' and 'The Life of St. Nino'*. Translated with Introduction, Commentary and Indices by C. B. Lerner, London, Bennet and Bloom, 2004; S. H. Rapp Jr., P. C. Grego. *The Conversion of Kart'li: The Shatberdi variant*, Kek. Inst, S-1141, Le Muséon, 2006, 119, 1-2, გვ. 169-225; ი. გიპერტი. წმინდა ნინოს ლეგენდა. განსხვავებულ წყაროთა კვალი, ენათმეცნიერების საკითხები, 2006, I-II გვ. 104-122.

ვრცელი რედაქცია არის თხზულების არქეტიპული ვარიანტი, რომელიც წარმოიშვა ქართლის მოქცევიდან უახლოეს პერიოდში, IV საუკუნის შუა ხანებში. მისი შემდგენელია მირიან მეფის ძის რევის მეუღლე სალომე უჟარმელი. ამჟამად ეს თხზულება ხელმისაწვდომია მხოლოდ როგორც „მოქცევად ქართლისაას“ ნაწილი.

რაც შეეხება ქრონიკას: ის წარმოადგენს ქართლის გაბმულ ისტორიას ჩვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. IX საუკუნემდე. უმეტესწილად მის ინფორმაციას აქვს მოკლე შენიშვნების ფორმა: კერძოდ, აქ საუბარია საერო და საეკლესიო იერარქების ზეობის, კერპების აღმართვის თუ ეკლესიათა მშენებლობების შესახებ, თუმც არის რამდენიმე განსხვავებული ტიპის ფაქტის აღნიშვნის შემთხვევებიც, მაგალითად, დაფიქსირებულია სარწყავი არხის გაყვანა, ეპრაელთა ქართლში მოსვლა, წმინდა შუშანიკის მარტვილობა, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი და სხვ. უმეტესწილად, როგორც ითქვა, ეს ყველაფერი ძალიან მოკლეა, თუმც ზოგჯერ ინფორმაცია საკმაოდ ვრცელია, მაგალითად, თუნდაც ინფორმაცია ქართლის გაქრისტიანების შესახებ, რომელიც იმდენად თვალშისაცემად გამოიყოფა ტექსტის დანარჩენი ნაწილისაგან თავისი მოცულობით, რომ მასზე, როგორც „წმინდა ნინოს ცხოვრების“ დამოუკიდებელ რედაქციაზე საუბარი გახდა შესაძლებელი; ვრცელია თხრობაც ერისმთავარ სტეფანოზ გუარამის ძეზეც, კონკრეტულად, აქ შედარებით დეტალურად არის წარმოდგენილი ჰერაკლე კეისრის ლაშქრობები ქართლში.

მიუხედავად ამისა, ზოგადი შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ „მოქცევად ქართლისაას“ ორივე ეს ნაწილი ანუ ქრონიკა და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქცია, წარმოადგენენ ვრცელი დედნების შემოკლებულ ვარიანტებს. მეტიც, კვლევა აჩვენებს, რომ „მოქცევად ქართლისაას“ სამივე შემადგენელი ნაწილი სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის და მათ ერთ ნაწარმოებში თავი მოუყარა ანონიმმა ავტორმა (რედაქტორ-შემდგენელმა) იმ მიზნით, რომ ქართული ჩვენ-ჯგუფის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი ანუ მოქცევა ქრისტიანობაზე

ეჩვენებინა როგორც სხვა ფაქტების კონტექსტში (ამას უზრუნველყოფდა ქრონიკაში ჩართული „ნმინდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქცია), ასევე დეტალურადაც (ეს ხერხდებოდა „ნმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის მეშვეობით). ამგვარად, „მოქცევად ქართლისაას“ ანონიმი შემდგენელი ქართველთა მოქცევის ფაქტს წარმოადგენს როგორც ახლო კადრით, ისე პანორამულად.

დრო, როცა ეს ანონიმი ცხოვრობდა, არის V საუკუნის მეორე ნახევარი. „მოქცევად ქართლისაას“ შედგენა, როგორც ჩანს, ინიცირებული იყო ვახტანგ გორგასლის მიერ, რომლის ფუნდამენტურ რეფორმას საეკლესიო სფეროში უნდა გაეღვივებინა ინტერესი და წარმოეშვა საჭიროება შექმნილიყო ქართლის ეკლესიის ისტორიის აღმნერი თხზულება. ამ ლოგიკური არგუმენტის გარდა არსებობს კონკრეტული მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ძეგლი წარმოიშვა სწორედ მითითებულ ეპოქაში.

შემდგომში, დროთა განმავლობაში „მოქცევად ქართლი-საას“ უნდა განეცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. სულ მცირე ორი შემდეგდროინდელი რედაქტირების კვალი კარგად ჩანს ისტორიული ქრონიკის მაგალითზე: ტექსტი აშკარად გაგრძელებულია რედაქტორთა ცხოვრების ეპოქამდე; პირველ ჯერზე ესაა VII საუკუნის შუა ხანები, მეორე ჯერზე – IX საუკუნე.

ძეგლის პირველი რედაქტირება, უფრო ღრმა ჩანს: V საუკუნიდან VII საუკუნის შუა ხანებამდე დამატებული ტექსტი ინარჩუნებს ქრონიკისათვის დამახასიათებელ სტილს და ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ იდენტიფიცირებულ რამდენიმე თემის (საერო და სასულიერი იერარქთა ზეობა) შესახებ მოკლე შენიშვნების სახით. დაწყებული VII საუკუნის შუა ხანებიდან IX საუკუნემდე მონაკვეთში ეს სტილი ვეღარ ნარჩუნდება. ტექსტში ცალკ-ცალკეა წარმოადგენილი საერო და სასულიერო იერარქთა სიები. ამგვარი წარმოადგენის გამო გაუგებარი რჩება რომელი საერო ხელისუფალი და სასულიერო იერარქი ზეობდა ერთდროულად. თითქმის არავითარი

დამატებითი ინფორმაცია იერარქთა დასახელების გარდა, აქ არ არის.<sup>2</sup>

„მოქცევად ქართლისაა“ შემდგენელი აშკარად „ატომარული“ ფაქტების ფიქსაციას ისახავდა მიზნად. როგორც წესი, იგი ერიდება საკუთარი პოზიციის გამოხატვას, საერთოდ ტექსტში საკუთარი „მყოფობას“ თითქმის არ გვაგრძნობინებს. ეს, ცხადია, გარკვეული ისტორიოგრაფიული ხერხი და პრინციპია, რაც გულისხმობს ისტორიული ფაქტების თავისებურ კონცეპტუალიზებას და ისტორიულ რეპრეზენტაციაში დამკვირვებლის ანუ ისტორიკოსის როლის სპეციფიკურ გაგებას. ამ პრინციპის საფუძველზე დაწერილი თხზულება შეიძლება ნაკლებად წარმოადგენდეს ისტორიის წერის მეთოდების შესახებ ინფორმაციას, ამიტომ ისტორიოგრაფიული რეფლექსიისათვის ასეთი თხზულებები ჩვეულებრივ ცოტა მასალას იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ წყაროთმცოდნებითი თვალსაზრისით იგივე თვისება სწორედაც ძალიან ხელშემწყობია. მართალია, „მოქცევად ქართლისაა“ ბევრ ფაქტს არ აღნუსხავს და ხშირად უკიდურესი ლაკონიურობის მიზეზით ინფორმაციის ნაწილი საერთოდაც გამოტოვებულია, მაგრამ საკმაოდ ზუსტია არსებული მონაცემები. ამ გარემოების გამო „მოქცევად ქართლისაას“ შეუძლია გზამკვლევის ფუნქცია შეასრულოს მაშინ, როცა ჭირს მრავალფეროვან ფაქტებს შორის ორიენტირება და წინასწარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. საქართველოს ისტორიის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდების კვლევისას კი გზამკვლევის საჭიროება ხშირად წამოიჭრება რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, საკონტროლოდ ქართული წყაროები ბევრი არ გაგვაჩნია; მეორეც, არსებული უცხოური წყაროები, ავთენტურობის შემთხვევაშიც, ფრაგმენტულია და არ

2 „მოქცევად ქართლისაა“ როგორც ისტორიოგრაფიული ძეგლის და როგორც წყაროს დახსასიათებისათვის იხ. ჩემი სხვადასხვა ნაშრომი, მათ შორის, მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევად ქართლისაა“). მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1985, №3, გვ. 124-130. მ. ჩხარტიშვილი. ქართული პატიოგრაფიის წყაროთმცოდნებითი შესწავლის პრობლემები („ცხორებაა ნმიდისა ნინოსი“, თბილისი, მეცნიერება, 1987; Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е. С. Такайшвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартишвили, გვ. 11-19.

იძლევა მთლიანი კონტექსტის რეპრეზენტირების საშუალებას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სწორედ ძალიან გამოსადეგია „მოქცევად ქართლისაა“.

„ქართლის ცხოვრება“ სხვა ისტორიოგრაფიული პრინციპს ეფუძნება და მისი ქრონოლოგიური დაფარვის საზღვრებიც სხვაა. ქვემოთ, როცა ვსაუბრობ „ქართლის ცხოვრებაზე“, მხედველობაში მაქვს მისი დასასწყისი ნაწილი ანუ ის, რომელიც ამჯერად ჩემთვის საინტერესო ეპოქას შეეხება.

როგორც „მოქცევად ქართლისაა“, „ქართლის ცხოვრებაც“ ადგილობრივი წყაროა და ქართლის გაბმულ ისტორიას გვთავაზობს.

მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრება“ უფრო ხშირად შეიცავს ცდომილებებს, ვიდრე „მოქცევად ქართლისაა“, თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ კვლევისას „ქართლის ცხოვრების“ გამოყენება მიზანშეუწონელია. ცდომილებათა მიზეზი არის არა ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორი (მხედველობაში მყავს ლეონტი მროველი, რომელიც XI საუკუნის მოღვაწე) ეფუძნება არასწორ მონაცემებს ან ცუდად ინფორმირებულ წყაროებს. ის უბრალოდ კი არ იმ-ეორებს წყაროთა ინფორმაციას, არამედ თავად ცდილობს რეპრეზენტირებას ანუ აკეთებს იმას, რასაც თანამედროვე ისტორიკოსები. ამიტომ, ზოგჯერ სწორი ამოსავალი მონაცემების მიუხედავად, „ქართლის ცხოვრების“ მიერ წარმოდგენილი სურათი განსხვავდებულია, მაგრამ ცდომილების მიზეზია, ვიმეორებ, არაადეკვატური რეპრეზენტაცია და არა მონაცემები, რომელსაც ეფუძნება ლეონტი მროველი.

„ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული დახსასიათება ძალიან ფართო საკითხია, და შესაბამისი დისკურსის სრულად წარმოდგენას აქ ვერ დავისახავ მიზნად. მე მხოლოდ შევეცდები ზოგ იმ ფაქტზე გავამახვილო ყურადღება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქვე-მოთ წარმოდგენილი კვლევისათვის.

„ქართლის ცხოვრება“, როგორც ითქვა, არის ისტორიოგრაფიულ თხზულებათა კრებული. სხვადასხვა ხელნაწერ-

ში შემადგენელი თხზულებების სია სხვადასხვაგვარია, თუმც არის ისეთი თხზულებებიც, რომლებიც ყველა ხელნაწერში გვხდება. ზოგი მკვლევრის აზრით, ამ კრებულის პროტორედაქცია უნდა შექმნილიყო დავით აღმაშენებლის ეპოქაში მისივე ინიციატივით.<sup>3</sup> სომხურ ენაზე „ქართლის ცხოვრების“ თარგმანის დავითის მემკვიდრე დემეტრემდე მოყვანაც ამასვე მიუთითებს. როგორც კრებულის შექმნა, ისე თარგმანი ნაწილობრივ მეტაისტორიგრაფიული მოტივაციებით განპირობებული იყო. ისინი ემსახურებოდა პან-კავკასიური ამბიციების მქონე ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებს.<sup>4</sup>

ახლა მე მინდა რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო ზოგიერთ ძეგლთან დაკავშირებით, მაგრამ კვლავ ხაზს ვუსვამ შემდეგ გარემოებას: მე ჩემს თვალსაზრისებს წარმოვადგენ საწინააღმდეგო შეხედულებათა კრიტიკიზმის გარეშე. ეს კრიტიკა ძალიან ვრცელი შეიძლება გამოვიდეს და დაგვაცილოს დასახულ მიზანს. ამასთან არც საჭირო არ მგონია. საქმე ისაა, რომ უმეტესობა წინამორბედი თვალსაზრისებისა ფაქტობრივად, ვარაუდებია და მათი რაიმე უპირატესობა ჩემს თვალსაზრისთან (გნებავთ, ვარაუდთან) მიმართებით არაფრით დასტურდება.

3 P. K. Кикнадзе. *Очерки по источниковедению истории Грузии: Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба»*, 1980.

4 „ქართლის ცხოვრების“ სომხურად თარგმანას ქართულ-სომხურ ინტენსიურ ურთიერთობებს უკავშირებს ამ თარგმანის ინგლისურად მთარგმნელი რ. თომსონიც, მაგრამ თავად ძეგლს მიზნებს სომხური ისტორიოგრაფიის გარეული ტრადიციის და მოთხოვნილების გამოხატულებად (იხ. *Rewriting Caucasian History. The medieval Armenian adaptation of Georgian chronicles. The original Georgian texts and Armenian adaptation. Translated with introduction and commentary by Robert W. Thomson, Clarendon Press, Oxford, 1996*, p. li), რაც, ცხადის, საზოგადოდ არ არის გამორიცხული, მაგრამ მგონია, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის წარმოშობის მიზეზი მაინც უფრო მეტაისტორიულია ანუ ის პოლიტიკურ საჭიროებების პასუხად არის გაჩენილი. თარგმანი ისახვდა იმავე მზებს, რასაც ქართული კულტურის ექსპანსია ამ პერიოდში სომხურ ერთობაში: ქართველთა მიერ მართული პან-კავკასიური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა, სახელმწიფოს, რომელშიც იგულისხმებოდა, რომ იქნებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობა ეთნიურად სომები ქვემეტოდომებისა, მოითხოვდა მათთვის საქართველოს ისტორიის გაცნობას და ეს ქართული სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულება უნდა ყოვილყო. „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ეპოქაში ანუ XI საუკუნეში სომები ქვემეტოდომთა მიმართ ქართული სახელმწიფოს თავისებური პოლიტიკის შესახებ იხ. M. Chkhartishvili. *On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*. Tbilisi, Universal, 2009, გვ. 107-125.

„ქართლის ცხოვრება“, როგორც ითქვა, იხსნება მეთერთ-მეტე საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის სამი თხზულებით. ესენია: „ქართველ მეფეთა ცხოვრება“, „წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ანუ ესაა „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული რედაქცია) და „წმინდა არჩილის წამება.“ ლეონტი მროველის შემოქმედების ამ ფაქტების შესახებ ჩვენ ვიტყობთ გადამწერის შენიშვნიდან, რომელიც, სავარაუდოდ, ავთენტური ტექსტიდან მომდინარეობს. ეს შენიშვნა „წმინდა არჩილის წამების“ ტექსტის წინ არის გაკეთებული. აი, რას გვამცნობს ის:

ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა. <sup>5</sup>

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ რომ ლეონტიმდე არსებობდა, ამის შესახებ ჩვენ ვიცით „მოქცევად ქართლისადც“ საშუალებით, რომელშიც, როგორც უკვე ითქვა, ამ თხზულების ორი განსხვავებული წარმომავლობის რედაქციაა წარმოდგენილი. ლეონტი მროველს სწორედ ეს ორი რედაქცია შეურწყავს ერთმანეთისათვის, ზოგი მონაცემი სხვა წყაროებიდანაც დაუმატებია და ამ გზით მიუღია „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ფაქტობრივად ახალი რედაქცია.<sup>6</sup> ამგვარად, ლეონტი ამ შემთხვევაში არის

5 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ, თბილისი, სახელმამა, 1955, ტ. I, გვ. 244. თეომურაზი-სეულში ამას დამტკიცებულია აქვთ: „და ახლა ის ე დეკანოზების აღწერა“. ი. იქვე, შენიშვნაში. ეს მინანერი შემორჩენილია რამდენიმე ხელნაწერში. აზრი ფორმულირებულია რამდენადმე განსხვავებულად. ანასულიში, მაგალითად, არის შემდეგნაად: „ესე არჩილის წამება, ნინოს ქართლის მოქცევა, ლეონტი მრუველმან აღწერა“, მარიამისულში: „არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“. არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმანი. დედასა ასე ეწერა“. კლიმაშვილისულში: „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან დაწერა“. მაჩიბლისულში: არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმანი. დედასა ასეთნ ეწერა“. ხელნაწერებში დაცული ტექსტებისათვის იხ. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, მერიდანი/არტანუჯი, 2008, გვ. 244, შენ.

6 „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ცილის თხზულებების და, კონკრეტულად, ლეონტი-სეული ვერსიის შესახებ იხ. მ. ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოტელიშვირი რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, №4, გვ. 97-106; მ. ჩხარტიშვილი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები (ურთიერთმიმართების საკითხისათვის) საქართვე-

რედაქციის ავტორი ანუ უკვე არსებული თხზულების რედაქტორი. მას სრულიად ახალი რამ არ შეუქმნია. მიუხედავად ცვლილებისა, გამოყენებული წყაროების კომპოზიციური ჩინჩისი მას დანარჩუნებული აქვს. სიტყვა „აღნერა“, რომელიც ამ შემთხვევაში არის გამოყენებული ლეონტისეული აქტივობის გამოსახატავად, ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, გამოყენებოდა არა მარტო სრულიად ახალი თხზულების შექმნის ფაქტის აღსანიშნავად, არამედ ხელახალი გადამუშავების ფაქტის აღსანიშნავადაც.

ახლა რაც შეეხება „წმინდა არჩილის წამებას“. მის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მეორე შენიშვნა გაკეთებული ამ თხზულების ბოლოს. ფაქტობრივად ეს შენიშვნა წინა შენიშვნის გაგრძელებაა და ორივე აშკარად ავთენტური ტექსტიდან მოდის. პირველში ლეონტი მიუთითებს რა ნაშრომები ეკუთვნის მას. მეორეში ის განმარტავს თუ რომელზე როგორი მეთოდით მუშაობდა. ეს შენიშვნები განხილულ უნდა იქნეს ერთიანობაში.<sup>7</sup>

მეტი თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ ტექსტის. აი, რას ვკითხულობთ აქ:

წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღნერილი, რომელი უამთა შლილობითა ჯერისაებდ ვერვის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისა-ამდე აღინერებოდა უამითი-უამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან

---

ლოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, №1, გვ. 96-106; მ. ჩხარტიშვილი. მეტაფრასი, „წმ. წიგნის ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისაული“ რედაქციის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, №4, გვ. 114-121.

7 ამ შენიშვნების ინტერპრეტაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხება. საკითხის ისტორიოგრაფიისათვის იხ. გ. არახამია. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატი-ანე, თბილისი, 2002, გვ. 3-74. იხ. აგრეთვე ე. ხოშტარია-ბრისე, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, მეცნიერება, 1996. რაც შეხება ჩემს დამოკიდებულებას, მე მას გამოვხატავდი სხვადასხვა ნაშრომში, სხვადასხვა საკითხე მსჯელობისას. იხ. მაგალითად, მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალურ კონსლობიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედალი. ივერია და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი, 2011, გვ. 117. ჩემს ამ თვალსაზრისს გარკვეულად დაემთხვა მ. სანაძის შეხედულება, რომელიც მან წარმადგინა საერთაშორისო კონფერენციაზე „ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი კვლევები“ (2017 წლის 18-21 ოქტომბერი).

ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისნულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისმნან, მირი-ანის ძისამან. „მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან უამმან უწყე-ბად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განპრძნობილსა“.<sup>8</sup>

როგორც ვხედავთ, ეს შენიშვნა მიუთითებს „წმინდა არჩილის წამების“ უფრო ადრინდელი ვერსიის არსებობაზე. ის რაც გვაქვს წარმოდგენილი, არის ლეონტის ქმნილება მიღებული თავდაპირველი ტექსტის (რომელიც სათანადო ხარისხის არ ყოფილა) გადამუშავებით. ამგვარად, ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება უფრო რედაქტორულ, ვიდრე საავტორო მუშაობას. თუმც შუა საუკუნეობრივი აზროვნება ამას ისე მკაფიოდ არც მიჯნავდა.<sup>9</sup> ფაქტი ერთია: როგორც „წმინდა ნინოს ცხოვრება“, ისე „წმინდა არჩილის წამება“ არსებობდა ლეონტიმდე, მაგრამ მან ორივე მათგანი სერიოზულად გადამუშავა.

ეს მეორე შენიშვნა გვამცნობს ლეონტი მროველის მესამე და უმთავრესი თხზულების ანუ „ქართველ მეფეთა ცხოვრებაზე“ განეული მუშაობის ხასიათზე. ჩვენ აქედან ვიტყობთ, რომ ქართველთა წარმოშობის ეპოქიდან ვახტანგ გორგასლის ეპოქამდე ქართლის ისტორია აღინერებოდა „უამითი უამად“ ანუ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერ. აქედან მოყოლებული ვიდრე არჩილის წამებამდე ანუ მერვე საუკუნის პირველ ოცნლეულამდე<sup>10</sup> აღუნერია ჯუანშერ ჯუანშერიანს.

8 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 248. ეს ტექსტიც დანარჩენებულია სხვადასხვა ხელნაწერში (სანაცულში, მარიამისულში, მაჩბლისულში, კლიმაშელისულში მცირეოდენი ცვლილებებით. აგრეთვე ის. შენიშვნა გამოცემაში რ. მეტრეველის რედაქციით, გვ. 250).

9 ამ საკითხთან დაკავშირებით ის. მ. ჩხარტიშვილი, წყაროებზე მითითების წესი ლეონტ მროველის თხზულებებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, №2, გვ. 83-91. М. Чхартишвили. Приемы ссылки на источники в древнегрузинской исторической литературе (по материалам начальной части «Картлис цховреба»). Источниковедческие разыскания – 1985. Тбилиси, Мецниереба, 1988, გვ. 148-156.

10 ვახუშტი ბაგრატიონი მეფე არჩილის ზეობას ათავსებს 668-718 წლებს ძორის პერიოდში. მე მგრინა, რომ ეს სწორი დათარიღებაა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი არჩილის მეფობას განსაზღვრავს VIII საუკუნის მეორე ნა-

ანუ ლეონტი ამ მონაკვეთში ეფუძნებოდა მხოლოდ ამ თხზულებას. წინა პერიოდისათვის მისი შემოქმედებითი ღვანტლი, სავარაუდოდ, მეტი იყო, რადგან ამ შემთხვევაში ის აერთიანებდა სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს, ამ მონაკვეთისათვის მისი ჩარევა არ უნდა იყოს ისეთი აქტიური, როგორც იმ შემთხვევაში, როცა ეფუძნებოდა სხვადასხვა ავტორის ნაშრომებს ან თუნდაც ერთი და იგივე ნანარმოების ორ რედაქციას, რადგან ის იყენებდა ერთადერთ თხზულებას. ჯუანშერ ჯუანშერიანის შესახებ ცნობები აქვთ მოცემული: ის ყოფილა მირიან მეფის სანათესაოდან, თავად წამებული არჩილ მეფის ერთი ერი-სთავთაგანი.

ამ მინაწერის ინფორმაციულობა ამით არ ამოინურება. აქ ფაქტობრივად მოყვანილია ამონარიდი ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომიდან, სავარაუდოდ, მისი ნაშრომის შემაჯამებელი ფრაზა, სადაც ის ქართველთა მომდევნო თაობას წერის გაგრძელებას უანდერძებს. ეს ადგილი ჩემ მიერ არის ამგვარად გააზრებული და, ამიტომაცაა, ჩასმული ბრჭყალებში ზემოთ მოყვანილ ამონარიდში. ჩვეულებრივ ჩემ მიერ ჯუანშერიდან ამონარიდად მიჩნეული ეს ტექსტი მკვლევართა მიერ არ აღიქმება ციტატად და, შესაბამისად, არც ბრჭყალებშია ჩასმული გამომცემლების მიერ.

რატომ უნდა მოეყვანა ლეონტი მროველს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულების დამამთავრებელი ფრაზა? ჩემი პასუხი შემდეგია: იმისათვის, რათა გარკვევით ეჩვენებინა სად მთავრდებოდა მისი ტექსტი, დამოკიდებული ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომზე და ამის შემდგომ თავად მის მიერ თხრობის გაგრძელება გაემართლებინა, როგორც პასუხი ჯუანშერის ანდერძე. ეს ახალი ტექსტი კი არის ის, რასაც ი. ჯავახიშვილი და მისი გავლენით ბევრი თანამედროვე მკვლევარი, უწოდებს „მატიანე ქართლისას“. ანუ ეს არის „ქართველ მეფეთა ცხ-

ევრით. მაგრამ აღნიშნული აზრი მცდარი მგონია, ის აღმოცენებულია არსებულ წყაროთა არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე. უფრო ვრცლად ჩემი თვალსაზრისის შესახებ იხ. მ. ჩხარტიშვილი. „მარტვილობა და მოთმინებაა წმიდისა ეგსტათი მცხეთელისაა“. „ცხორებაა და მოქალაქობაა წმიდისა სერაპიონ ზარზელისაა“ (წყაროთმცოდნებითი გამოკლევა), თბილისი, 1994, გვ.

ოვრების“ ის მონაკვეთი, რომელის მიმართ ლეონტის ღვან-ლი, ისე უნდა შეფასდეს, როგორც ავტორისა. ეს ტექსტი უკვე პირველადია და ეფუძნება ბევრ ფაქტს, რომლის მომსწრე პი-რადად ლეონტი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება თავად ჯუანშერ ჯუანშერიანის ნაშრომის ამგვარად დამთავრებას ანუ ანდერძით მომავალი თაო-ბისადმი წერის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ეს ბუნე-ბრივია, მეტიც, ეს შეიძლება განვიხილოთ, ერთგვარ ისტო-რიოგრაფიულ კლიმედაც კი. ანალოგიურად ამთავრებდა თავის თხზულებას ბევრი ძველი ავტორი, მაგალითად, ამიანე მარცელინე.<sup>11</sup>

მართლაც, ამ ანდერძის ციტირების შემდეგ „ქართლის ცხ-ოვრების“ დასაწყისი ნაწილის თხრობის სტილი იცვლება, რაც მიუთითებს, რომ ამ მონაკვეთისათვის გამოყენებული წყაროე-ბი განსხვავებულია.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ, თუმც ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება ახლა ლეონტის თხზულების ორგანულ ნაწილად გადაქცეულა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჯუანშერის თხზულება, რადგან აშკარაა, რომ ლეონტის მიერ დამუშავებული წყაროებს შორის ჯუანშერის თხზულებას ყველაზე ნაკლებად შეეხო გადასხ-ვაფერება. წინა მონაკვეთისათვის, როგორც ითქვა, ლეონტი მროველი აერთებდა რამდენიმე ნაწარმოებს, ან ახალი მასალ-ით ავსებდა. ამ შემთხვევაში კი ის ეფუძნებოდა ერთადერთ, პრინციპში უკვე სათანადოდ გადამუშავებულ, კომპოზიციური მთლიანობის მქონე წყაროს და ამიტომ ვფიქრობ, რომ ლეონ-ტი მროველის ჩარევა ამ წყაროს ანუ ჯუანშერ ჯუანშერიანის ტექსტში, ნაკლები უნდა ყოფილიყო. ცხადია, ლეონტისეულ შენამატებს ამ მონაკვეთში სავსებით ვერ გამოვრიცხავთ, მა-გრამ მაინც მგონია, რომ ისინი იმდენად უმნიშვნელო უნდა იყოს, რომ ჩვენ შეგვიძლია „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ იმ

11 “Let better men in the flower of their age, and of eminent accomplishments, relate the subsequent events”. *The Roman history of Ammianus Marcellinus during the emperors Constantinus, Julian, Jovianus, Vaentinian, and Valens*. Translated by C. D. Yonge, B. A. with a general index, London and New-York, 1894, 623.

მონაკვეთზე, რომელიც მოიცავს ეპოქას ვახტანგ გორგას-ლიდან არჩილის ჩათვლით პერიოდში, ვისაუბროთ როგორც ჯუანშერისეულ ტექსტზე.

ეს მოკლედ ამ წყაროების ჩემეული ხედვის თაობაზე. ამ ძეგლების შესახებ გზადაგზა, ცხადია, მე კიდევ ვისაუბრებ.

## თავი II. დინასტიის დამფუძნებელი

### 1.

ხოსროვანთა დინასტიის დაფუძნებასათან დაკავშირებით „მოქცევად ქართლისად“ არაფერს გვაუწყებს. აյ მირიანის წარმომავლობაზე მხოლოდ ერთი ფრაზაა: „ლევ, მამად მირეანისი“,<sup>1</sup> მაშინ, როცა „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს ვრცელ ისტორიას.

განვიხილოთ ეს ისტორია.

ოცდამესამე მეფის ასფაგურის შესახებ თხრობას ლეონტი მროველი იწყებს წინა პერიოდის ისტორიის შეჯამებით:

და შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ. ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. ხოლო ალექსანდრეს მეფობითგან ესე ყოველი მეფენი მეფობდეს ქართლს და იყვნეს კერპომსახურ. და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა. და ამის-ზევე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშირვან სასანიანი“.<sup>2</sup>

ცოტა ქვემოთ მეორდება: „ხოლო დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი“.<sup>3</sup>

ასფაგურს მხოლოდ ასული დარჩა. ასე აღმოჩნდა ქართლი უმეფოდ სპარსეთის მხრიდან კარს მომდგარი აგრესის პირობებში. ლეონტი მროველი აღნერს ერისთავთა თათბირს,

1 ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ო. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება, I (შემდეგ: ძეგლები, I), გვ. 83.

2 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, 1955, ტ. I (შემდეგ: ქართლის ცხოვრება, I), გვ. 59.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 59.

რომელიც შემდგარა მეფის შემდგომ მეორე პირის მაეუან<sup>4</sup> სპასპეტის რეზიდენციაში. თათბირის მიზანს წარმოადგენდა განსაცდელიდან გამოსავლის ძიება:

არა ვაუფლოთ გულთა ჩუენთა მწუხარება, რათა არა მიგუელის გონიერება, გარნა ვიძიოთ ღონე ჭირთა და განსაცდელთა ჩუენთათვს.<sup>5</sup>

მაეუან სპასპეტი გამოსულა ასეთი სიტყვით: რომ დარჩე-ნილიყო ჩვენი მეფების ნათესავი, გავწირავდითო თავს და შევებრძოლებითო სპარსეთს მიუხედავად იმისა, რომ „აღუ-ლია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქუეყანი-სა“.<sup>6</sup>

სპასპეტი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სპარსეთს უკვე დაპყრობილი ჰყავდა მათი მოკავშირე სომხეთი იმ ვი-თარებაში, როცა ქართველები იყვნენ უმეფოდ ანუ „ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმნეუმსონი“.

ამიტომ სპასპეტმა წამოაყენა კომპრომისის გეგმა. ასფა-გურის ასულის აბეშურას ქმრად ძე უნდა ეთხოვათ სპარსთა

4 ლ. პატარიძის აზრით, მაეუან არის არა საკუთარი სახელი, როგორც აქამ-დე ითვლებოდა, არამედ დამახინჯება სპარსული სიტყვისა, რომელიც ნიშნავს „მთავარს“ ანუ მთავარ სპასპეტს. მკელევარი ვარსულობს: „სავსებით შესაძლებე-ლია, რომ „მირიანის ცხოვრების“ წყარიში ან მის თავდაპირველ ვერსიაში სწორედ ეს სოციალური ტერმინი ყოფილიყო ნახმარი და გვიანდელმა მემატიანებ თუ რედაქტორმა საკუთარ სახელად აღიქა და მაეუან ფორმით გადმოსცა. სპარსულ ტაბულატურას ძალიან ხმისად ასტიკური და ბიზანტიური ხანის ისტორიული სიტყვის საკუთარ სახელებს ისე აღიქვამდნენ“. იხ. ლ. ბატარიძე. მირიანი და მისა მეფობა. იდეოლოგიური სპექტი. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, 2008, გვ. 64-65. ეს თვალსაზრისი ლოგიკური ჩანს, თუ გავთვა-ლისნინებთ არა მარტო სპარსულ წყაროში მკელევრის მიერ დაფიქსირებული შე-საბამისი სიტყვისა და მაეუანის ასეარა ფონეტიკურ სიახლოვეს, არამედ იმასაც, რომ ამ დროს ქართლი სპარსული კულტურული ნრის შემადგენელი ნანილია, ანუ იგი არა მარტო სპარსული პოლიტიკური სივრცეშ შემავალი ქვეყანაა, არამედ კულტურულადაც სპარსულ გავლენას განიცდის. ირანული კულტურული და პო-ლიტიკურ ორბიტაში ქართული სამყაროს ყოფნის შესახებ არაერთხელ შეიძინებულ სპეციალურ ლიტერატურაში. მაგალითისათვის იხ. თუნდაც S. Rapp. *Caucasia's place in the Eurasian world: The testimony of ცხოვრება ქართველთა მეფეთა. მე-4 საერთაშორისო ქართველობოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბილისი, თსუ, 2005, გვ. 49-55.

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 62.

6 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 63.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 63.

მეფისათვის და იგი გაემეფებინათ იმ პირობით, რომ ქართველებს მამათა რჯული (ანუ იდენტობა) შეუნარჩუნდებოდათ. თუ სპარსელები ამ პირობას დაარღვევდნენ, აი, მაშინ უნდა გაეწიათ სასიკვდილო წინააღმდეგობა სპარსელებისათვის:

ან ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მივავოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ვევედრნეთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი ... და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩუენი. ნუ უკუე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუენი, და ყოს ესე ყოველი ჩუენ ზედა. და უკეთუ სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგდებდეს, და ჩუენ ზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩუენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათვს ვიდრე მონახვასა ესევითარისასა. დავსხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოგსწყდეთ ყოველნი“.<sup>8</sup>

ანუ ეს იყო კომპრომისის გეგმა: პოლიტიკური დამორჩილება იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერის – რელიგიის – შენარჩუნების პირობით.

ლეონტი მროველის მიხედვით სპარსთა მეფეს მთელი სერიოზულობით განუხილავს ეს წინადადება, ყველაფერი აუწონ-დაუწონია, არა მარტო სარდლოს შთამომავლობითი ღირსებანი, არამედ ხაზართა და ოსთა სიახლოვის პრობლემურობაც მიუღია მხედველობაში. ჭკუაში დასჯდომია მემკვიდრის მცხეთაში დასმა, რომელიც ყველაზე გამაგრებულ ქალაქად ჩაუთვლია კავკასიაში და ჩრდილოეთისკენ შეტევის განხორციელებისათვის მოხერხებულ პლაცდარმადაც. ამიტომ თავად ჩამოსულა მცხეთას და თან ჩამოუყვანია მხევლისაგან ნაშობი შვიდი წლის საკუთარი ძე, „რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან და ქართულად მირიან“.<sup>9</sup>

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 63.

9 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 64.

საინტერესოა, აღინიშნოს იმ სახელმწიფოს საზღვრები, რომლის სათავეში აღმოჩნდა სპარსელი უფლისწული: „და მე-ფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“.<sup>10</sup>

როგორც ვხედავთ, ეს სახელმწიფო განფენილი ყოფილა როგორც ლიხსაქეთ (ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს), ისე ლიხსიქით (ეგრს).

როცა თხუთმეტი წლის გახდა მირიანი, გარდაიცვალა მისი ფარნავაზიანი ცოლი, მაგრამ, მემატიანის მითითებით, აღარ იყო დარჩენილი ფარნავაზიანთა საგვარეულოდან აღარავინ და ქართველებმა „შეიტკეს ამის მიზეზისათვეს მეფობა მირიანისა“.<sup>11</sup>

ამის სანაცვლოდ მირიანმა „ჰმატა კეთილსა ქართველთა-სა“. აღნიშნულია პირადული, თუმც სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით ყურადღების მისაქცევი, ფაქტიც: მირიანი დაქორწინდა მეორედ. ქართლის ირანული წარმომავლობის მეფემ ცოლი საბერძნეთიდან მოიყვანა.

როცა ორმოცი წლის გახდა, გარდაიცვალა მისი მამა – სპარსთა მეფე და გამეფედა მირიანის უმცროსი ძმა ბარტამი. მირიანს, როგორც ასაკით უფროსს, ირანის ტახტზე პრეტეზია განუცხადებია, წასულა კიდეც ირანში ლაშქრით, რომ მამისეული ტახტი დაეკავებინა. სპარსეთის სამმართველო წრეებს („მოხუცეპულთა და მარზპანთა სპარსეთისათა“) გადაუწყვეტიათ მეფობა დარჩენოდა ბარტამს, როგორც ირანის შაჰის კანონიერ ძეს, ხოლო მირიანს „საკომპესაციოდ“ მიეღო ირანული სამფლობელოების ნაწილი:

ხოლო მათ გაბჭეს და მისცეს მეფობა სპარსეთისა ბარტამს, ხოლო მირიანს გულის-სადებად მისცეს ბარტამისაგან ჯაზირეთი, და შაჰის ნახევარი, და ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს.<sup>12</sup>

10 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 66.

12 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 67.

ამგვარად, ამ მოთხოვის მიხედვით, მირიანი არის არა მარტო ქართლის მეფე, არამედ ვრცელი სამფლობელოების გამგებელი, ფაქტობრივად, სპარსეთის მეფის ნაცვალი ამ მხარეებში. ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო ირანის იმპერიაში პრინცების მმართველობა სხვადასხვა რეგიონებში. თუ გავიზიარებთ ცნობას იმის თაობაზე, რომ მირიანი ირანელი უფლისწულია, მისი საგამგებლოს ფართო საზღვრები სრულიად ბუნებრივი ჩანს და ცნობაც ეჭვს არ იწვევს: ეს ხომ არაა ქართლის პატარა სამეფოს მიერ მოპოვებული ტერიტორიები. ეს ირანის მსოფლიო იმპერიის ტერიტორიებია, რომელსაც განაგებს ქართლის მეფე როგორც ამ მხარეებში სპარსეთის მეფის ნაცვალი.

ასე რომ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ინფორმაცია მირიანის შესახებ რაიმე ლოგიკური გაუმართაობის და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი არ არის.

ახლა ვნახოთ, როგორია ამ ინფორმაციის თავსებადობა ირანის ისტორიის ფაქტებთან, რომლებიც გაცილებით უკეთ არის დოკუმენტირებული, ვიდრე ამ პერიოდის ქართული სახელმწიფოს ისტორია და, ამგვარად, ქართული წყაროს ინფორმაციის შემოწმებაში ირანის ისტორიის ფაქტებს შეუძლიათ დახმარების განევა.

ლეონტი მროველი მირიანის მამად ასახელებს არა პირველ სასანიან მეფეს, რომელიც მას ასფაგურის თანამედროვედ მიაჩნია, არამედ სხვას, კერძოდ, ქასრე არდაშირს. ქასრე/ხოსრო ქართულ წყაროებში საზოგადოდ ირანის მეფის აღმნიშვნელი ტერმინია. არდაშირ I იყო სასანიანი შაჰი, იგი ზეობდა 224-241 წლებში. არ არის სავალდებულო, რომ მივიჩნიოთ, თითქოს ლეონტი მაინცდამაინც ამ პირველ არდაშირს გულისხმობს მირიანის მამად, როგორც ამას აკეთებდა, მაგალითად, ლ. ჯანაშია.<sup>13</sup> ქართველი მემატიანე უბრალოდ ასახელებს შაჰს და სულაც არ ამტკიცებს, რომ იგი მაინცდამაინც არდაშირ I იყო. ქრონოლოგიის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ ლეონტის ქასრე არდაშირის იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს არა

13 მისი თვალსაზრისის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.

არდაშირ I, არამედ არდაშირ II ანუ ჰორმიზდ-არდაშირთან, რომელიც ზეობდა 272-273 წლებში. თუ სწორედ ამ ჰერიოდს მივიჩნევთ ქართლში ირანის შაპის ვიზიტის დროდ, შეგვიძლია გამოვთვალოთ მირიანის დაბადების თარიღი: ლეონტის მითითებით, მამამ მირიანი 7 წლისა ჩამოიყვანა. ამგვარად, მირიანი დაბადებულა 265 ან 266 წელს ( $272 - 7 = 265$  ან  $273 - 7 = 266$ ). შესაბამისად, ქართლის მოქცევის დროისათვის ანუ 326 წელს მირიანი ყოფილა 60 ან 61 წლის ( $326 - 265 = 61$  ან  $326 - 266 = 60$ ).<sup>14</sup> მაგრამ თუ ლეონტის მიერ ნახსენებ ქასრე არდაშირს მივიჩნევთ არდაშირ I, მაშინ მირიანი 100 წელს მიტანებული გამოდის ქართლის მოქცევის დროისათვის. მონადირეს, საკმაოდ სხარტად მოძრავს, ანუ ისეთს, როგორიც მირიანი წარმოდგენილია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ დაფიქსირებულ თვითმხილველთა მოგონებებში, 60-61 წლის მამაკაცი კიდევ შეეფერება, მაგრამ 100 წელს მიტანებული, უკვე, არა. ამგვარად, ლეონტი მროველის სპარსთა მეფე ქასრე არდაშირში არდაშირ II უნდა ამოვიცნოთ და არა არდაშირ I. ანუ შაპის იდენტიფიკაცია ხერხდება ისე, რომ ინფორმაციის ლოგიკურობა ეჭვქვეშ არ დგება.

პრობლემას თითქოს უფრო მეორე ცნობა ქმნის: როცა მირიანი ორმოცი წლის იყო, მაშინ გარდაიცვალაო მამამისი. თუ ისევ ამოვალთ იმ პოსტულატიდან, რომ მირიანის მამა იყო ჰორმიზდ არდაშირი (ანუ ჰორმიზდ I) და აქედან გამომდინარე მირიანი  $265/266$  წელს არის დაბადებული, მაშინ გამოვივა, რომ მირიანის მამა გარდაცვლილა  $305$  ან  $306$  წელს ( $265 + 40 = 305$  ან  $266 + 40 = 306$ ). მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დროს ირანის ტახტზეა არა მირიანის მამად ნაგულისხმევი შაპი ანუ ჰორმიზდ I (ჰორმიზდ-არდაშირი), რომელიც, როგორც ითქვა, ზეობდა სულ ერთ წელიწადს, არამედ ჰორმიზდ II, რომელიც

14 როგორც ცნობილია, ქართველთა მოქცევის თარიღის შესახებ არსებობს მრავალი თვალსაზრისი. ამის მიზეზი არის წყაროთა განსხვავებული ჩვენებანი. 326 წელი დღეს გაზიარებულია მკვლევართა ნაწილის და საქართველოს სამოციქულო ეკლესის მიერაც. მე პირადად უფრო იმ აზრისებ ვიხრები, რომ ქართველთა გაქრისტიანება ოცდაათიან წლებში მოხდა. კერძოდ, 330 წელი მირიან მეფის რჩმუნების, 331 წელი კი მისი მონათვლის თარიღია. ამიტომ, შესაძლოა, რომ ქართლის მოქცევის დროისათვის მირიანი იყო 66 წლის ( $331-265=66$ ).

ზეობდა 303-309 ნლებში. როგორც ვხედავთ, შეუსაბამობაა. თუმც, ამგვარი შებრკოლების ლოდი მირიანის ირანელობის თაობაზე ცნობის უარყოფისაკენ მაინც ვერ გვიძიგებს. საქმე ისაა, ირანის მეფების დათარიღება სხვადასხვა მკვლევართან გარკვეული სხვაობას გვიჩვენებს რამდენიმე ნლის ფარგლებში და, შესაძლოა, ქრონოლოგია აქ სულაც არ იყოს დამაბრკოლებელი გარემოება. ამ შემთხვევაში მემატიანეს ცდომილების მიზეზზეც შეგვიძლია მივუთითოთ. მან ერთმანეთში აღრია ჰორმიზდ I და ჰორმიზდ II და ამ უკანასკნელის გარდაცვალება მირიანის მამის ანუ ჰორმიზდ I გარდაცვალებად ჩათვალა. ჰქონდა რა ინფორმაცია მირიანის პრეტენზიების გაცხადების შესახებ ირანის ტახტთან დაკავშირებით IV საუკუნის დასაწყისში, მემატიანემ მირიანის ამგვარი აქტივობა სწორედ მისი მამის გარდაცვალების გარემოებით პროვოცირებულ ქმედებად მიიჩნია. არ არის გამორიცხული, რომ ორმოცი წელიც არ იყოს მირიანის რეალური ასაკის მაჩვენებელი წელი. ორმოცი უფრო სისრულის მაჩვენებელი ზოგადი ცნება ჩანს, ვიდრე კონკრეტული რიცხვი. მაგალითად, იგივე მემატიანე ანუ ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ მცირენლოვან მირიანს მამამ დაუტოვა „ორმოცი ათასი მწედარი სპარსი რჩეული“.<sup>15</sup>

ამგვარად, ჩემი აზრით, წყაროს ინფორმაცია არ შეიცავს აშკარა გამონაგონის ნიშნებს და გარკვეული დაზუსტებებით იგი შესაძლებელია გახდეს მირიანის ბიოგრაფიის რეკონსტრუქციისათვის საფუძველი. ასეც იქცევა ზოგი მკვლევარი

15 ქართლის ცხოვრება I, გვ. 65. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია არაერთი ფაქტი, როცა რიცხვებს აქვთ არა რეალური მნიშვნელობა, არამედ სიმბოლური აზრი და მათი სიმბოლიზმი გარკვეული იდეოლოგიური ჩარჩოთა არის განპირობებული. გ. ალასანია, მაგალითად, განიხლდეს ამ მოვლენას ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მაგალითზე და აჩვენდეს მთელი რიგი რიცხვების სიმბოლური აზრით გამოყენების შემთხვევების (იხ. გ. ალასანია. რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. საისტორიო კრებული, თბილისი, 2007, გვ. 322-351; ნაშრომი პირველად 1984 წელს გამოქვეყნდა). მათ შორის, მართალია, არ არის ორმოცი, მაგრამ აღნიშნული გამოკვლევის ლოგიკა იგივე პოზიციით ორმოცის განხილვის საფუძველსაც გვაძლევს. საქმე ისაა, რომ სისტორიის მწერლობაში სიმბოლური დატვირთვით გამოყენებული რიცხვები ხშირად გასაგები ხდება ქრისტიანობის კონტექსტში. სწორედ ქრისტიანული თვალთახედით რიცხვი მრმოცი სისრულის, კარობის გამომხატველია: ორმოცი დღე მარტულობდა ქრისტე, ორმოც დღეს მარტულობდა ელია, ორმოცი დღე გაბრძყინდა მოსე ღვთის ხედვით, ორმოც დღეს რჩება გარდაცვლილის სული მინაზე და ა. შ.

და, მათ შორის, ზემოთ უკვე ხსენებული ს. რაპი, რომელიც ისტორიულ რეკონსტრუქციას მირიანთან დაკავშირებით ისე იწყებს, რომ მირიანის სპარსელობის შესახებ ცნობის ვერიფიცირების პრობლემას არც კი აღძრავს.

ქართველ მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება მირიანის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციისადმი კი სკეპტიკურია. მაგრამ მათ სკეპსისს განაპირობებს არა ზემოთ ჩემ მიერ დაფიქსირებული დამაბრკოლებელი (ერთი შეხედვით მაინც) მონაცემი, არამედ „მოქცევად ქართლისას“ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მირიანის მამა ლევია. ამიტომაც ბევრი მკვლევარი საერთოდ თავს არ იტვირთავს პრობლემით სპარსეთის ისტორიის ფაქტებთან შეაჯეროს მირიანზე ლეონტისეული მონათხრობი თავიდანვე დარწმუნებულია რა იმაში, რომ იგი ჭეშმარიტების მარცვალს არ შეიცავს. მკვლევრები ამ ინფორმაციას გამონაგონად მიიჩნევენ და უთითებენ მისი გაჩენის მიზეზსაც: ეს ისტორია მიაჩნიათ შეთხზულად მირიანის განსადიდებლად. ასეთი აზრი გამოთქვა გ. მელიქიშვილმა ჯერ კიდევ 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.<sup>16</sup>

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ.

ცხადია, მირიანზე ცნობების მიზანია აჩვენოს მირიანის სახელოვანი წინაპრები და, შესაბამისად, მთელი ეს მონათხრობი ქართლის მეფის განდიდების ამოცანას, მართლაც, ემსახურება, მაგრამ ეს სულაც არ წიშნავს თავისთავად იმას, რომ ინფორმაცია თავიდან ბოლომდე გამონაგონია.

გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი გაიზიარა არაერთმა მკვლევარმა ანუ მათი უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს სწორედ „მოქცევად ქართლისას“ ცნობას, რომლითაც მირიანი ლევის ძეა და სავსებით უარყოფს „ქართლის ცხოვრების“ ცნობების რეალურობას.

აი, რას ვკითხულობთ, მაგალითად, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ || ტომში, პარაგრაფში, რომლის ავტორი ლ. ჯანაშიაა:

16 გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხი-სათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, 1958, გვ. 162.

ერთი შეხედვითვე ცხადად ჩანს, რომ ამ მოთხრობაში ბევრი რამ არასწორია. პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს მირიანის წარმომავლობის ამბავი, რომელიც მეტად საეჭვოდ გამოიყურება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მირიანი დასახელებულია პირველი სასანიდი შაჰის, ე. ი. არდაშირის (224-241) შვილად, რაც სავსებით გამორიცხულია, „მეფეთა ამბავის“ მონაცემები (სახელები, მეფობის ხანგრძლივობა და ზოგი სხვაც) არ შეესაბამება III-V საუკუნის ირანის მეფებს. ამდენად, სწორი უნდა იყოს ის აზრი, რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ გამოწვეულია სურვილით, მოექებნოს მას განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპრები. გაუგებარია, ირანელმა უფლისწულმა როგორ, ან რატომ დაივინყა ყოველივე ირანული, შეითვისა ქართული, დაუკავშირდა რომაელებს ირანის საწინააღმდეგოდ, გახდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ქრისტიანობის შემომტანი და თავგამოდებული გამავრცელებელი . . . თუ სწორია ფავსტოსის ცნობა, რომ IV ს მეორე ნახევარში, ე. ი. მირიანის შემდეგ, ქართლში ისევ ფარნავაზიანები მეფობენ, მირიანის წარმომავლობა კიდევ უფრო საეჭვო ხდება. ამას უნდა დაემატოს ის მოსაზრებაც, რომ მირიანის გამეფება დაახლოებით იმ დროზე მოდის, როდესაც რომაელებმა დაიწყეს თავიანთი პოზიციების აღდგენა მახლობელ აღმოსავლეთში . . . დაბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებაა დაცული „მოქცევად ქართლისას“ მატიანეში, სადაც მირიანის მამად დასახელებულია ქართლის მეფე ლევი, რომელიც საერთოდ არ იხსენიება „მეფეთა ამბავში“. სამაგიეროდ, „მოქცევად ქართლისას“ მატიანის მსგავსად „მეფეთა ამბავის“ მიხედვითაც მირიანის ვაჟს სახელად რევი ჰქვია. გამოთქმულია შეხედულება, რომ „ლევი“, „რევის“ ვარიანტული, თუ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს, ხოლო თუ გავიხსენებთ წესს, რომლის თანახმადაც შვილიშვილი მამის სახელს ატარებდა, ის აზრი, რომ მირიანის შვილი ლევი იყო, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენს.<sup>17</sup>

<sup>17</sup> ლ. ჯანაშია. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნაკვევები, ტ. II; საქართველო IV-X საუკუნეებში (რედ. შ.

როგორცზემოთ უკვე აღვნიშნე, ქასრე არდაშირის არდა-შირ I-თან გაიგივებით ცნობას სერიოზული პრობლემა ექმნება ქრონოლოგის კუთხით: არდაშირ I-ის შვილი ვერ იქნებოდა ქართლის მოქცევის მომსწრე. მაგრამ, როგორც ითქვა, სრულიადაც არაა სავალდებულო ქასრე არდაშირი მაინცდა-მაინც არდაშირ I-თან იქნეს გაიგივებული. არდაშირ II-თან მისი გაიგივების შემთხვევაში კი აღნიშნული პრობლემა ქრება.

ლ. ჯანაშიას ამ ცნობისადმი ეჭვს აღუძრავს, როგორც მოყვანილი ციტატიდანაც კარგად ჩანს, მირიანის მიერ ქართული იდენტობის მიღებაც:

გაუგებარია, ირანელმა უფლისნულმა როგორ, ან რატომ დაივიწყა ყოველივე ირანული, შეითვისა ქართული, დაუკავშირდა რომაელებს ირანის სანინაალმეგოდ, გახდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ქრისტიანობის შემომტანი და თავგამოდებული გამავრცელებელი.

ქართული იდენტობა ამ დროს საკმოდ გამოკვეთილი იყო.<sup>18</sup> მირიანს ამ ერთობის წინამდლოლობა სურდა. ამ გამოკვეთილი იდენტობის მქონე ერთობის სახელმწიფოს მართვა კი შეუძლებელი იყო დომინანტურ ეთნიკურ კოლექტივში სრული ინტეგრირების გარეშე. აი, ამიტომ გაიხადა ქართული მშობლიურად მირიანმა, ამიტომ იყო ქართველთა კერძების ერთგული მსახური, ამიტომ ამკობდა ფარნავაზის საფლავს, რითაც თავს ქართლის ტახტზე მის წინამორბედთა საქმის გამერძელებლად სახავდა:

და ალიზარდა მსახურებსა მას შინა შვდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა

მესხია), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 60-62.

18 ქართლის მოქცევის ეპოქაში ქართველთა იდენტობივი პერცეფციების შესახებ ვრცელად ის. მ. ჩხარტიშვილი. ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუციაშორისის სემინარის მასალები, თბილისი, ინტელექტი, 2002, გვ. 32-47; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ერთობა რელიგიური მოქცევის ეპოქში, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX. თბილისი, უნივერსალი, 2008, გვ. 122-130; მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა: როგორ იწოდობოდა იგი. ეთნიკური რჩქულობის იდეოლოგია. კავკასიოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 376-385.

სპარსული და ისწავა ენა ქართული, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპ-თასა, და შეამც საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვს ქმნა, და კეთილად იპყრნა ქა-რთველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარნეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხ-ითს, რანს, ჰერთს, მოვაკანს და ეგრს.<sup>19</sup>

საინტერესოა მირიანის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქ-ვამს აღფრთოვანებულს იმ ფაქტით, რომ უფლის კვართი იერუსალიმიდან გადმოტანილ იქნა მცხეთაში. მირიანი ღმერთს მადლს სწირავს, და თავის ამ ქმედებას განმარტავს იმით, რომ მაშინ ქართლში მისი მამანი მეფობდნენ:

კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე გენება წსნად ჩუენი ეშ-მაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი წარმოეც ებრაელთა ამათ წმიდით ქალაქით იერუსალმ-მით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცუმა-სა შენსა ამას ქალაქსა მამანი ჩუენნი მეფობდეს.“<sup>20</sup>

ამგვარად, იგი თავს არა მარტო ფარნავაზის, არამედ ზოგადად ქართლის მეფეების მემკვიდრედ სახავს. ქართულ ერთობაში სპარსელი მირიანის ამგვარად სრული შერთვით, რომელიც ჯერ კიდევ პრექრისტიანულ ხანაში დაიწყო და დაგ-ვირგვინდა გაქრისტიანების შედეგად, შეიძლება იხსნებოდეს ფავსტოს ბუზანდის ცნობაც, რომელზეც ასევე მიუთითებს ლ. ჯანაშია, როგორც ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოე-ბაზე მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ ლეონტის ცნობის გასაზიარებლად: მირიანის შთამომავლები თავს, ჩანს, არა მარტო ხოსროვან მეფეთა, არამედ ფარნავაზიან მეფე-თა მემკვიდრეებადაც მიიჩნევდნენ. ეს უნდა ყოფილიყო ოფი-ციალური იდეოლოგია. ამის გამო შეიძლებოდა ეფიქრა სომებ

19 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

20 ძეგლები, I, გვ. 87.

ისტორიკოსს, რომ მირიანის შემდგომაც IV საუკუნის II ნახევარში ქართლის ტახტზე ფარნავაზიანები იყვნენ. შესაძლოა, სწორედ ამ იდეოლოგიის მიზეზითაა, რომ „მოქცევად ქართლი-საა“ დინასტიური ცვლილების ფაქტის საგანგებოდ ხაზგასმას არც ცდილობს.

შთაბეჭდილების სისრულისათვის გავაგრძელოთ საკითხზე არსებული ლიტერატურის ანალიზი. ავიღოთ „ქართული საპტოთა ენციკლოპედია“. აი, რას ვკითხულობთ აქ:

„მოქცევად ქართლისაას“ ცნობით, იგი ქართლის მეფე ლევის ძეა. „ქართლის ცხოვრება“ კი მას მიიჩნევს პირველი სასანიანი შაჰის შვილად, რომელიც ერისთავებმა მოიყვანეს უძოდ გარდაცვლილი მეფე ასფაგურის ასულის ქმრად. ეს ცნობა შეიძლება შეთხული იყოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიან III-ისათვის ღირსეული წინაპრების გამონახვის მიზნით.<sup>21</sup>

### შდრ. დ. მუსხელიშვილი:

ქართული წყაროების მიხედვით ამ დროს ქართლში მეფობს მირიანი, რომელიც თითქოს ირანის შაჰის შვილია. იგი ქართლის ტახტზე ჯდება ქართლისავე წარჩინებულთა მოთხოვნით, რამდენადაც უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის, ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი უმემკვიდრეოდ დარჩენილიყო. ეს არის ლეგენდა, შეთხული პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის განსადიდებლად. სინამდვილეში ეჭვი არ არის, მირიანი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელია, რასაც მოწმობს, ჯერ ერთი ის, რომ V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ნიმანდობლივი მითითებით ეს დინასტია IV ს-ის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ არსებობს ქართლში. და, მეორეც, „მოქცევად ქართლისაას“ მიხედვით მირიანი არდაშირ I-ის შვილი კი არ არის, არამედ ქართლის მეფის ლევის (იგივე რევის) ძეა. ეს ძველი ქართული წყარო თითქოს საგანგებოდ, სწორედ იმისათვის, რომ ყოველგვარი ეჭვი გაგვიფანტოს პირდაპირ გვამცნობს, რომ „ლევ, მამად

21 ა. ბოგერაძე. მირიან III. ქართული საპტოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბილისი ქსე, საბჭოთა საქართველო, 1984, გვ. 11.

მირიანის“ იყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავე ქართული წყაროების მიხედვით მირიანის უფროს ვაჟს რევი ეწოდება: ქართველ მეფეთა და დიდებულთა შორის, ჩვეულებრივი იყო შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა. ამგვარად, „მოქცევად ქართლისად“ მირიანს ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელად თვლის, რაც, ცხადია, სავსებით რეალური უნდა იყოს“.<sup>22</sup>

ამ მსჯელობებს ცალკე კომენტარს აღარ გავუკეთებ. ა. ბოგვერაძე და დ. მუსხელიშვილი ფაქტობრივად იმეორებენ წინამორბედთა თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხზე.

ვ. გოლიაძეც არსებითად ამ შეხედულებას იზიარებს: იგი, როგორც ყველა დასახელებული მკვლევარი, სინამდვილის ამსახველად არ მიიჩნევს ცნობას მირიანის სპარსელობის შესახებ, თვლის, რომ მირიანიც ფარნავაზიანია, ოღონდაც გვერდითი შტოს წარმომადგენელი: არმაზში მჯდომ მეფის მეორე პირთა (პიტიახშებად თუ სპასპეტებად წოდებულთა) შთამომავალი. ცნობა მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ მისი აზრითაც შეთხზულია, ოღონდაც გამოძახილია რეალური ფაქტის, კერძოდ, იმის, რომ რან-ქართლის სამარზპანოში კარგა ხანს მმართველობდნენ მიპრანთა საგვარეულოს შთამომავლები, ლეონტიმ ამ საგვარეულოს დაუკავშირა მირიანი და ამიტომაც ამ სამარზპანოს შესატყვისად არის წარმოდგენილი მირიანის საგამგებლოც:

მირიანი ფარნავაზიანთა იმ სახლის უფლისნული უნდა ყოფილიყო, რომელნიც ქართლის სამეფოში მეფის შემდგომ მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ და პიტიახშ-სპასპეტებად იწოდებოდნენ. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის დიდი და სახელოვანი წინაპრის მოძებნით დაინტერესებულმა ლეონტიმ მირიანი დედით ირანელ მიპრანთა გვარის შთამომავალ სასანიან უფლისნულად მიიჩნია. სახელ მირიანს („მიპრანს“) მან ორიგინალურად დაუკავშირა ამიერკავკასიის ქვეყნებში მიპრან-სპანდიატთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ხანგრძლივი სამსახურის რეალურ ფაქტზე შექმნი-

22 დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003, გვ. 89.

ლი, მისი დროისათვის უკვე ქართველიზებული საისტორიო ტრადიცია (რომელსაც გარკვეული დოზით საფუძვლად ედო ამიერკავკასიასა და ქართლში მოსამსახურე მიპრანთა და სასანიანთა სახლის წევრებთან მირიანის წინაპარ ფარნავაზიანების ნათესაური კავშირი) მირიანის უფლება-მოვალეობანი რან-ქართლის მარჩპანთა სახელმდე განავრცო.<sup>23</sup>

ვ. გოილაძე გვთავაზობს ისტორიას, რომელიც ფაქტობრივად წყაროს ალტერნატიული თხრობაა, რაც გამართლებულად არ მიმაჩნია. მისი რეკონსტრუქცია მთლიანად ვარაუდების სფეროა. ამიტომ არ მესმის რატომ უნდა ჩავანაცვლოთ ლეონტი მროველის რეპრეზენტაცია თანამედროვე მკვლევრის ვარაუდებით, თუნდაც რომ წყაროს მონაცემი გარკვეულ კითხვებს აღძრავდეს.

ყველა ზემოთ დასახელებული სპეციალისტი და, მათ შორის, ვ. გოილაძეც, მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტს, რომ „მოქცევად ქართლისახში“ ლევი მეფედ არაა ნახსენები. ზოგი მკვლევარი, როგორც ვნახეთ, წყაროს ჩვენებაში უმატებს კიდეც „მეფის“ ტიტულს ლევისათვის. ცხადია, ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულება წყაროსადმი ცდომილების საფუძვლად იქცევა მისი ინტერპრეტაციისას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული თვალსაზრისი ფართოდ გავრცელებულია სამეცნიერო წრეებში. ამასთან ერთად, არსებობს გამოკვლევებიც, რომელთა მიხედვით ნდობის ლირსია „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ქართველთა მეფის სპარსული წარმომავლობის შესახებ. აღნიშნული პოზიციის დამცველთა შორის მესახება მ. სანაძე და ლ. პატარიძე. თუმცა მათ შორის არგუმენტაციის თვალსაზრისით არსებითი განსხვავებაა.

მ. სანაძე ფაქტობრივად იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, ოლონდაც მიიჩნევს, რომ ის რაც აქ მირიანზე არის ნათქვამი, შეეხება მის მამას რევს, რომელიც არის სწორედ

<sup>23</sup> ვ. გოილაძე. ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში (მირიანის შესახებ ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობის განმარტებისათვის), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), № 4, 1982, გვ. 115-122.

ირანის შაჰ ჰუსეინ მიზანის დებორის ძე, შესაძლოა წყაროებით ცნობილი ჰუსეინიზა არდაშირის ძე, რომლის მეტსახელსაც წარმოადგენს რევი იგივე რევნიზი ანუ მართალი. ეს სახელწოდება შაჰის ძეს, მ. სანაძის აზრით, შეიძლებოდა მიეღო მანიქეველური მოძღვრების შეწყნარებისა და ქვეშევრდომების მიმართ გამოჩენილი ლმობიერება-სამართლიანობისათვის. აქედან, მ. სანაძე თვლის, რომ, 260-იანი წლების ბოლოს ქართლში მართლაც მკვიდრდება სასანიანთა შტო.

მეტი სიცავადისათვის მომყავს ერთი ნაწყვეტი საკითხზე მ. სანაძის ვრცელი მსჯელობიდან:

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არდაშირის ძედ მირიანია გამოყვანილი და არა რევი, თუმცა „მოქცევას“ გათვალისწინებით აშკარაა, რომ მირიანის მამა რევია. ეს უნებლიერ შეცდომა მომდინარეობს მემატიანის იმ მთავარი შეცდომიდან, როცა მან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ორი პარალელური ქრონიკის იდენტურობა ვერ შეამჩნია და სამი მეფე გააორმავა. მემატიანეს ჰქონდა ინფორმაცია სასანიანთა (ხოსროიანთა) ქართლში დამკვიდრებისა და მირიანის სასანიანობის შესახებ, მაგრამ, ვინაიდან დაკარგა უშუალო კავშირი მირიანსა და მის მამა რევს შორის, პირველ სასანიანად მირიანი წარმოიდგინა. ასე შეერწყა ერთმანეთს „რევის ცხოვრებისა“ და „მირიანის ცხოვრების“ ინფორმაცია.<sup>24</sup>

განსხვავებით ვ. გოლაძისაგან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მირიანის მიერ სასანური მემკვიდრეობის ნაწილის მიღების თაობაზე, მაგრამ მის რეალურობას უარყოფს, მ. სანაძე ამ ფაქტს ნდობით ეკიდება. მისი კომენტარი შემდეგია:

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ახალ უდერადლებას იქნება „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მირიანს სასანური ქონების გაყოფისას წილის სახით გადაეცა ჯაზირეთი (შუამდინარეთი), შამის ნახევარი (სირიის ნახევარი) და ადარბადაგანი. თავისთავად არათერია საოცარი

24 მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბილისი, საქართველოს მაცნე, 2001, გვ. 147.

იმაში, რომ რევ-პორტიზდაკისათვის და მისი მემკვიდრეები-სათვის მათი ირანის ტახტიდან ჩამოცილებისა და ქართლისა და მიმდებარე ქვეყნების საუფლისწულოდ გამოყოფასთან ერთად, გარკვეული კომპესაციის სახით გადაეცათ შუა-მდინარეთიდან სირიისა და ადარბადაგანიდან მომდინარე საერთო სასანური შემოსავლის ნაწილი. დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციის აქ წარმოდგენილი ახლებური გააზრების ფონზე სრულიად ახალი პერსპექტივა ისახება III ს-ის არა მარტო ქართლის, არამედ ეგრისისა და საერთოდ სამხრეთკავკასიის ისტორიის შესწავლა-დამუშავების თვალსაზრისისთ“.<sup>25</sup>

ეს უკანასკნელი შენიშვნა სავსებით მართებულია: ცნობა ქართლის მეფეების მიერ სასანური მემკვიდრეობის მიღების შესახებ ფართო პერსპექტივას შლის ვითარების სრულიად ახლებურად გააზრებისათვის. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ლეონტისეული ქასრე არდაშირი უნდა იყოს არდაშირ II და არა არდაშირ I, როგორც მანამდე ითვლებოდა. მ. სანაძემ, ჩემი აზრით, პირველმა (რამდენადაც საკითხის ისტორიოგრა-ფიაში ჩემი კომპეტენცია ამის თქმის საშუალებას მაძლევს) გააიგივა ქასრე არდაშირი ჰორმიზდ არდაშირთან ანუ არდა-შირ II-სთან და ამასთან, ქართლის სამეფო ტახტზე ირანული სამეფო დინასტიის ასვლის ფაქტი რეალურად მიიჩნია. ორივე ეს შეხედულება, როგორც უკვე ვთქვი, მართებული ჩანს. მა-გრამ მკვლევარმა თავი ვერ დააღწია იმ თვალსაზრისს, რომ მირიანის მამა მეფე ლევია და ამიტომ ქმნის ხელოვნურ კონ-ცენტრის თითქოსდა, რაც მირიანზეა თქმული „ქართლის ცხ-ოვრებაში“, ის მის მამას მეფე ლევ/რევს უნდა მივუსადაგ-ოთ. აქაც, წყაროს პარალელური ნარატივის შექმნის ფაქტს ვაწყდებით, რაც, უნდა გავიმეორო, არ მგონია მართებული. ბუნებრივია, ვცდილობდეთ არსებული მასალის რაციონალურ ინტერპრეტაციას, მაგრამ ძალიან არ უნდა დავცილდეთ წყ-აროს ჩვენებას.

25 მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრების“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიო-დი, გვ. 147.

ლ. პატარიძე ნდობით ეკიდება წყაროს მონაცემებს იმის თაობაზე, რომ ქართლის ტახტზე შეიძლებოდა ასულიყო სპარსეთის მეფეთა შთამომავალი. მას მიაჩნია, რომ სპარსეთის სამეფო სახლთან ნათესაობა სრულიად ლოგიკურია რეალური ვითარების გათვალისწინებით. მსგავსი ინფორმაცია კონკრეტული პოლიტიკური მიზნითაც შეიძლება ყოფილიყო გაუღერებული. ამგვარი იდეოლოგიისა და მტკიცებულებების აუცილებლობა კი ვერავითარ შემთხვევაში სასანური სპარსეთის ძლიერების ხანას ვერ გადასცილდება იმ უბრალო მიზეზით, რომ უფრო გვიან არავითარი საჭიროება საამისოდ არ იარსებებდა.

მკვლევარი თავს იკავებს უშუალოდ შეეხოს მირიანის წარმომავლობის პრობლემას, მაგრამ მიუთითებს, რომ მისი გამოკვლევის შედეგი მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს აღნიშნულ საკითხზე. განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება ლ. პატარიძის შემდეგი მსჯელობა:

საერთოდ, პეროზის როგორც რეალური ისტორიული ფიგურის არსებობა მირიანის დროინდელ ქართლში, ვფიქრობ, უსამართლოდ არის ჩრდილში მოქცეული. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია: ის მეცნიერები, რომლებიც უარყოფენ მირიანის სასანურ წარმომავლობას და მის ფარნავაზიანობას უჭერენ მხარს, ვერაფრით ახსნიან პეროზის ქართლში მოსვლას და მის ნათესაობას მირიანთან. ამ დროს, პეროზი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა ჩანს არა მხოლოდ განსახილველი პერიოდის ქართლის სამეფოში, ის სამეფო სახლის გვერდითი შტოს მამამთავარიც არის. პეროზიანები შემდგომაც ჩანან ქართლის ისტორიაში როგორც სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტო: ბაქარმა მირიანის ძემ „გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს“; ვარაზ ბაქარის ერთი ცოლი იყო „ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა“. ქართლის დაპყრობის შემდეგ „ერისთავმან სპარსთამან წარიყვანა ტყვედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე“. ამასთანავე ბოლნისის სიონის წარწერაზე მოხსენიებული პეროზი სწორედ მირიანის

„თვისი და მეფეთა ნათესავი“ პეროზი უნდა იყოს. წარწერის ტექსტის პირველი სტრიქონი (რ. პატარიძის აღდგენის მიხედვით) ასე იკითხება: „უფალო შეწევნითა წმიდისა სამებისათა უ[ფალთ]უ[ფ]ლისა პეროზ მეფე[თა თვისისა ნახპეტობასა...“ ბუნებრივია, რომ ბოლნისის წარწერის პეროზი სწორედ მირიანისა და მისი ძის ბაქარის თანამედროვე პეროზად მივიჩნიოთ. მაშასადამე, თუ პეროზი – რეალური ისტორიული ფიგურა სპარსეთის მეფეთა ნათესავია და ის ამავე დროს მირიანის ნათესავიც არის, მირიანის სპარსული წარმომავლობა კიდევ უფრო რეალური ხდება“.<sup>26</sup>

თუმც ლ. პატარიძეს კონცეფციასაც აქვს პრობლემა და ეს პრობლემა კვლავ ლევის შესახებ ინფორმაციაა. მკვლევარი ყურადღებას არ ამახვილებს „მოქცევაზ ქართლისას“ ამ ცნობაზე.

ერთი მხრივ, ძნელია, „მოქცევაზ ქართლისას“ ინფორმაციაში ეჭვის შეტანა, ჩვეულებრივ იმდენად ზუსტია ხოლმე ამგვარი „ატომარული“ ფაქტების დაფიქსირებისას ეს ძეგლი. მეორე მხრივ, ლეონტი მროველისეული ინფორმაციაც იმდენად დიდი ნიშანდობლიობით არის ალბეჭდილი (გარკვეულწილად ლ. პატარიძის და მ. სანაძის მიერ მოხმობილი ფაქტები ამის თვალსაჩინო საბუთია), რომ მისი იგნორირებაც შეუძლებელია. ამიტომ მართებული ჩანს არა ამ წყაროთაგან რომელიმე იგნორირება, არამედ მათი მონაცემების გააზრება ერთიანობაში.

როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მირიანი შვიდი წლისა ჩამოიყვანეს მცხეთაში. მას თან ხლებია დედაც, მხევალი ქალი, მაგრამ სპარსეთის მეფეს ის შვილთან არ დაუტოვებია. ლეონტი ასე ხსნის ამ ფაქტს: რამეთუ უყუარდა (შაჰს. – მ. ჩ.) დედა იგი მირიანისი ვითარცა თავი თვისი“.<sup>27</sup>

მაგრამ მცირენლოვანი მირიანი საერთოდ უმეთვალყურეოდ როდი დარჩა ქართლში. მამას დაუტოვებია „მამამძუძედ და განმგებელად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ“.<sup>28</sup>

26 ლ. პატარიძე. მირიანი და მისი მეფობა. იდეოლოგიური ასპექტი, გვ. 64.

27 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 64.

28 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6465.

მირიანის მამამძე მგონია ლევიც. შესაძლოა, ლევი იგ-ივე მირვანოზი იყოს: მირვანოზი ან საგვარელო სახელია ან, რაც უფრო სავარაუდოა, მეტსახელია, ეპითეტია: იგი მითრას მცველს, მფარველს<sup>29</sup> ანუ მიმდევარს ნიშნავს. სახელი მირი-ანიც, როგორც ცნობილია, მითრასეულს ნიშნავს. მირვანოზი, თავგამოდებული ცეცხლთაყვანისმცემელი ანუ მითრასტი ჩანს. იგი გარკვეული პროგრამას ახორციელებდა ამ რელიგიის დანერგვის კუთხით. ამის ირიბ დასტურად ლეონტი მროველის ის ცნობა მიმართა, რომლის მიხედვითაც მირვანოზმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო მშენებლობებს ქალაქ ნეკრესში:

ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლი-სათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესი-სა ქალაქისანი.<sup>30</sup>

ნეკრესი კი, როგორც ვიცით, ის ადგილია, სადაც პირველი მოგვთა იქნა დაარსებული ქართლში მეფე ფარნაჯომის მიერ. ძლიერ მითრასისტულ ტრადიციას აქ არქეოლოგიური წყაროებიც ადასტურებს, კერძოდ, მითრას ტაძრის აღმოჩენა ქალაქ ნეკრესში ამის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს.<sup>31</sup> თუ რა ძლიერი იყო აღნიშნული ტრადიცია, ამაზე მეტყველებს თუნდ ის ფაქტი, რომ VI საუკუნემდეც გიზგიზებდა აქ ცეცხლი და წმინდა აბიბოს ნეკრესელს მოუწია მისი დაშრეტა. აბიბოსი შეეწირა ამას. ასურელ მამათა შორის, როგორც ცნობილია, იგი ერთადერთი მარტვილია.<sup>32</sup>

29 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966, გვ. 483.

30 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

31 ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი. დავით აღმაშენებელი (რედ. რ. მეტრეველი). თბილისი, მეცნიერება, 1990, გვ. 115118.

32 „წმინდა აბიბოს ნეკრესელის ნამების“ არსენისულ რედაქციაში ვეითხულობთ: „ხოლო მიზეზი ნამებისა მისია ესრეთ იყო. რამეთუ უმსა მას, ოდეს სამუ-ფო ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა და ბილნა მას მსახურებასა აღასრულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მასწავლებელსა მათისა ეშმაგისა-გან. ამის გამო მრავალნი ადგლონი განპირდნეს მათისა მის სამსახურებელისა-თვის ქუეყანასა ამას ჩუენსა და მრავალთა, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაელულევანთა გონებითა, შეაცდუნებდეს. ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი, სამთავროსა კახეთისა ალიძრა საღმრთოთა შურითა

ჩანს, ქალაქ წევრესის მითრაისტულ კერად გადაქცევა არა მარტო ფარნაჯომის სახელს უკავშირდება, არამედ მირიანის მამამძუძე მირვანოზისაც, რომელიც ფარნაჯომის გამგრძელებ-ლად გვევლინება ამ სფეროში. ასე რომ, მირვანოზი სავსებით შესაძლებელია იყოს სწორედ რელიგიური შინაარსის მქონე ეპითეტი. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ზედწოდების გარდა ამ პიროვნებას ჰქონოდა სხვა ზედსახელიც ან საკუთარი სახელი, მაგალითად, ლევი.

მაგრამ ლევის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვა დაშვებაც: გარკვეული დროის შემდგომ რაიმე მიზეზით (მაგალითად, მირვანოზის გარდაცვალების გამო) სხვა მამამძუძის, კერძოდ, ლევის მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდა მირიანი.

ერთი რამ უეჭველია: როგორც სპარსელი მეფის ძეობის ფაქტს ვერ მოვაშორებთ მირიანის ბიოგრაფიას, ისე სახელ ლევს. ჯერ ერთი, ცნობა ლევის შესახებ სრულიად ცალსახაა, და მის უარსაყოფად არგუმენტები არ გაგვაჩნია. მეორეც, როგორც ერთი, ისე მეორე წყაროს მიხედვით მირიანის პირმშოს ერქვა რევი ანუ იგივე ლევი, რაც აჩვენებს, რომ ამ სახელს და, შესაბამისად, ამ სახელის მქონე პიროვნებას, სრულიად განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა მირიანი თავის ცხოვრებაში.

ყურადღებას იპყრობს ლევის შესახებ „მექცევაზ ქართლისას“ ინფორმაციის თავისებურებაც: ლევი მირიანის მამად კი არის დასახელებული, მაგრამ მეფედ არა. სწორედ ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ მამამძუძე. მას ბუნებრივია, მამას უწოდებდა შვილობილი. მითუმეტეს, მძაფრი უნდა ყოფილიყო მამამძუძების განცდა ისეთ შემთხვევაში, როგორიც მირიანისა იყო: ამ უკანასკნელს ნამდვილი მამა, იმის შემდეგ რაც ქართლში ჩამოიყენეს, ალბათ მეტად აღარც უნახავს.

ლევის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ჩემ მიერ შე-

გულ-მოდგინედ და მივიდა მახლობელად უცხოისა მის სამსახურებელისა მათისა, დაასსა წყალი და ხენგში იგი ცეცხლი მათი დაშრიტა“ (ძეგლები, I, გვ. 242). წმინდა აპიბოსის ღვანილისადმი მიძღვნილი თხზულების წყაროთმცოდნეობითი შესწავლი-სათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი. „წმინდა აპიბოს წევრებულის მარტვილობის“ ტექსტის ისტორიისათვის, არისტოტელეს სახ. ბერძულ-ქართული უნივერსიტეტის ძრო-მები, № 1 (2), 1994, გვ. 127-131.

მოთავაზებული ორივე ჰიპოთეზა თანაბრად არის შესაძლებელი. მთავარი ისაა, რომ არცერთი არსებითად არ ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ. ასე რომ, მე ვფიქრობ, „მოქცევაზ ქართლისას“ და „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციები მირიანის წარმომავლობის შესახებ თავსებადია: მირიანი, მართლაც, სპარსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი ჩანს, ხოლო ლევი არის მისი მამობილი ანუ მამამძუძე და მისი რეგენტი ქართლში.

## 2.

ხოსროვანთა ოჯახის პოლიტიკური თუ კულტურული ორიენტირების წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, ვრცლად უნდა შევჩერდეთ სწორედ დინასტიის დამფუძნებლის ანუ მირიანის ღვაწლზე. ამისათვის უნდა სათანადოდ გავიაზროთ მისი პიროვნება.

მირიანის აღზრდა და იდენტობრივი პერცეფციები შესატყვისი იყო იმ პოლიტიკური კომპრომისისა, რომლის საფუძველზე მისი ქართლში ჩამოყვანა შესაძლებლად ჩაითვალა:

და აღზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შედთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. <sup>33</sup>

როგორც ვხედავთ, ენა კი დაუვიწყებია მშობლიური, მაგრამ სარწმუნოება – არა. იგი მის შეთავსებას ცდილობდა ქართულ კერპთმსახურებასთან. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებულ გულმოძგინებას იჩენდა. არა მარტო კერპები, არამედ მოგვთაც შესანიშნავ მდგომარეობაში დახვდა წმინდა ნინოს. პირველი მძიმე შთაბეჭდილება მცხეთაში მისიონერმა ქალმა სწორედ ხალხმრავალი მოგვთას ნახვით მიიღო:

მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიალით მოგუთას, ჭიდსაზედა დავდეგით მუნ. და ვხედევდით ცეცხლის მსახურსა მას ერსა. და მოგუებასა და ცდომასა მათსა ზედა ვტიროდე წარ-

33 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

წყმედისა მათისათვეს, და უცხოვებასაცა ჩემსა ვეგლოვდი.<sup>34</sup>

მოგვთა ყოფილა ურბნისშიც, სადაც ნინო თავდაპირველად მივიდა. ეს არასატახტო ქვეყნის განაპირას მდებარე ქალაქიც ისევე მრავალი კონფესიის შეყრის ადგილად წარმოგვიდგება, როგორც იმდროინდელი მცხეთა:

და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა.

და ვიხილე ერი უცხო, უცხოთა ღმერთა მსახური, ცეცხლ-სა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს. შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოვედ ბაგინსა ჰურიათა-სა ენისათვეს ებრაელებრისა.<sup>35</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემლობის მირიანისეული რეფორმის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე, უსათუოდ უნდა შევეხოთ სწორედ ამ მხარეს ანუ მითრას კულტს იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობას და იგივე მზის მსახურებას, რომელსაც ასევე ერთგულებდა მირიანი. აქ მინდა დავაზუსტო: ქართული წყაროები ტოლობის ნიშანს სვამს ცეცხლთაყვანისმცემლობასა და მზის მსახურებას შორის ანუ მითრაიზმს შორის.

აღინიშნა, რომ მირიანი ნიშნავს მითრასეულს ანუ მითრას მიმდევარს. ანალოგიური სახელი ჰქონდა, როგორც ითქვა, მირიანის მამობილსა და რეგენტს მირვანოზსაც. ასე რომ, ქართველთა მოქცევის უშუალო ნინა პერიოდში ქართლის პოლიტიკურ ელიტაში მითრაისტობა საკმაოდ მიღებული უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ ეს სულაც არ გამორიცხავდა ამ ელიტისაგან არმაზის კულტის გაზიარებას, მიუხედავად იმისა, რომ არმაზი ორგულთა მიმართ საზოგადოდ ძალიან „შეურიგებელი“ ღვთაება ჩანს. არმაზი სასტიკად „უსწორდებოდა“ რენეგატებს. ამაზე ცხადად მეტყველებს წმინდა ნინოს მოგონება. ნინო აფიქსირებს არმაზის კულტის მიმდევართა შემდეგ თვალსაზრისს:

34 ძეგლები, I, გვ. 118.

35 ძეგლები, I, გვ. 117.

ვაღ, თუ და-სადა-ვაკლო რაა დიდებასა დიდისა ღმრთისა არ-  
მაზისა და შე-რასმე ვსცდე სიტყუასა ეპრაელთა თანა, გინა  
მოგუთა სმენასა ოდენ დახუდომილ ვიყო, მზის მსახურთა.  
და რომელნიმე იტყვან უცებნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათა-  
სა, და წუუკეუე პოვოს რამე ჩემ თანა ბინი და მცეს მახვლი  
იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა“. და შიშ-  
ით თაყუანის-სცემდეს ყოველნი.<sup>36</sup>

ცხადია, შეუძლებელია კერპის მახვილს მისგან მოშორე-  
ბით მყოფ შეცდომილთა მიწვდენა შეძლებოდა. მის მაგივრად  
სადამსჯელო ღონისძიებებს, რა თქმა უნდა, ახორციელებდ-  
ნენ ქვეყანაში ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პირე-  
ბი, სავარაუდოდ, თავად კულტის მსახურნი, რომლებიც აღას-  
რულებდნენ „განრისხებული“ ღვთაების ნებას.

მაგრამ, როგორც ირკვევა, არმაზი სულაც არ იყო ამგვარ-  
ადვე „პრეტენზიული“ ქართლის მმართველი ელიტის მიმართ.  
„ექსკლუზიური არმაზელობა“ სავალდებული ყოფილა მხოლოდ  
ერისათვის ანუ რიგითი მოსახლეობისათვის.

მითრა განსხვავებით არმაზისაგან, როგორც ცნობილია, სუ-  
ლაც არ იყო „ეჭვიანი“ ღვთაება. მის პარალელურად სხვა ღმერთ-  
თა თაყვანისცემა სავსებით მიღებული იყო. ამ თავისუფლებით,  
ჩანს, სარგებლობდა კიდეც ქართლის პოლიტიკური ელიტა და მისი  
წინამდოლო მეფე მირიანი, რომელსაც, როგორც ითქვა, ერთ-  
დროულად ჰქონდა „სასოება“ როგორც ცეცხლის, ასე კერძების.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში მითრაიზმის გავრცელების  
ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა „წმინდა ნინოს  
ცხოვრების“ პერსონაჟი სპარსი ხუარა. ის ერთხელ ჩნდება თხ-  
ზულებაში თავის უმძიმესი ავადმყოფობის მიზეზით. წმინდა  
ნინოს მიერ სასწაულებრივად განკურნებული და მოქცეული  
ნანა დედოფალი შესთხოვს ნინოს განკურნოს ხუარაც.

„მოქცევად ქართლისაას“ ცნობით ხუარა ნანა დედოფლის  
ახლო ნათესავი, კერძოდ კი, მისი დედის ძმა იყო.<sup>37</sup> ლეონტი  
მროველი კი მიუთითებს, რომ ხუარა იყო მირიანის ნათესა-

36 ძეგლები, I, გვ. 117.

37 ძეგლები, I, გვ. 131.

ვი.<sup>38</sup> ცნობა, ჩანს, რედაქტირებულია ლეონტის მიერ ტექსტის აზრობრივი გამართვის მიზნით: ნანა ბერძენი იყო, სპარსელი ნათესავის ყოლა ლოგიკურად უფრო მირიანისათვის იყო მოსალოდნელი. ამიტომაც მემატიანე აკეთებს კორექტივს. მაგრამ ორგინალისეულია, ჩანს, ის ცნობა, რომლის მიხედვით ნანა დედოფლის ნათესავი იყო ხუარა.

თ. ბიბილური ყურადღებას ამახვილებს ამ პერსონაჟის სახელზე და სავსებით სამართლიანად, თეოფორულად მიიჩნევს მას: ხუარა მზეს ნიშნავს.<sup>39</sup> „ხუარა სპარსულად ნიშნავს მზეს. ხუარან ხუარა – მზეთა მზეს“.<sup>40</sup> ამგვარად, სიტყვა შეეხბა მითრაისტის.

ეს, მართლაც, ძალიან საინტერესო ფაქტია იმის გასააზრებლად თუ რა მასშტაბები ჰქონია მითრაიზმის გავრცელებას ქართლის პოლიტიკურ ელიტაში. შესაძლოა, სპარსი აქ ეთნოტერმინი არც კი იყოს<sup>41</sup> და სპარსულ კონფესიას ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობას, მზისთაყვანისმცემლობას ნიშნავდეს. როგორც ცნობილია, ეთნიკურად ბერძენთა შორისაც საკმაოდ იყო გავრცელებული მითრაიზმი. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: სამეფო კარის უახლოეს გარემოცვაში იყვნენ მითრაისტები ანუ სპარსული რჯულის მიმდევრები.<sup>42</sup>

ქართლის სამეფო კარზე მითრას კულტის ფართო გავრცელების კონტექსტში ძალიან საინტერესოდ გამოიყურება წერი-

38 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 106.

39 თ. ბიბილური, აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში (საკითხის დასმის წესით). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები (რედ. თ. ბიბილური). თბილისი, თსუ, 2003, გვ. 12-18.

40 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, გვ. 511.

41 ტერმინ სპარსის მნიშვნელობის შესახებ იხ.: მ. ჩხარტიშვილი. მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ეკსტაზით მცხეთელისა. ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა სერაპონ ზარზმელისა (წყაროთმცონეობითი გამოკვლევა), თბილისი, მეცნიერება, 1994, გვ. 21-27.

42 მოგვნი და მზის მსახურნი, როგორც ითქვა, ქართულ წყაროებში გამოყენებულია სინონიმებად. ასე მაგალითად, არმაზის მიერ შემნინებული ქართველები ვრცელი „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორის მითითებით ასე მსჯელობდნენ: „ვდა, თუ და-სადა-ვაკლო რა დიდებასა დიდისა ღმრთისა არმაზისა და შერასმე ვსცდე სიტყუასა ებრაელთა თანა, გინა მოგუთა სმენასა ოდენ დაუუდომილ ვიყო, მზის მსახურთა“ (ძეგლები I, გვ. 119).

ლობითი წყაროთი და არქეოლოგიური მასალით შემაგრებული ერთი ჰიპოთეზა, რომელიც წამოაყენა აგრეთვე თ. ბიბილურმა: მკვლევარი მიუთითებს მასალას, რომლითაც სამეფო ბაღში აპოლონის ტაძრის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ, შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ აპოლონის კულტის არსებობა მირიანისდროინდელ ქართლში.<sup>43</sup>

როგორც ცნობილია, აპოლონი იყო სინათლისა და მზის ღმერთი. ამიტომაც, როგორც ითქვა, ელინისტურ ეპოქაში ბე-ვრგან მითრას ბერძნული ღმერთებიდან ჰელიოსი და აპოლონი ჩაენაცვლა. ანუ თ. ბიბილურის მიერ დამოწმებულ წყაროში დაფიქსირებული ინფორმაცია მეფის ბაღში აპოლონის ტაძრის არსებობის შესახებ უნდა გაგებულ იქნეს როგორც ცნობები მზის ტაძარზე. ცხადია, ეს ფაქტი სულ სხვაგვარად გვანახვებს ქართლის სამეფო ელიტაში მოქცევის წინა პერიოდში მზის მსახურების გავრცელების შესახებ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, მითრაიზმი მაინც ვერ მოიცავს ქართლის სამეფოს ფართო მასებს. ქართლის ხელისუფლება საზოგადოებაში ამ კულტის დანერგვას ხელს აშკარად არ უწყობდა. პირიქით, არმაზის კულტი სავალდებულო იყო, მზის მსახურების პროზელიტიზმი კი არ ხალისდებოდა, თუმც მოგვთა არც ისპობოდა, არმაზის მიმდევრებს თავადვე უნდა დაეცვათ თავი სხვადასხვა რელიგიური ჩვენ-ჯგუფისაგან. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ხარქს უხდის იმ კომპრომისულ შეთანხმებას, რომელიც დადებული აქვს სპარსეთთან და მითრაისტობს, მაგრამ ამის პარალელურად ცდილობს მოსახლეობაში განავითაროს ლოიალობა ექსკლუზიურად ადგილობრივი ღვთაებებისადმი.

საინტერესოა, რომ იუდაიზმსაც არ ეშლება ქართლის ხელისუფლებისაგან ხელი, ებრაელთა რაბინის სახლი აშკარად პრივილეგირებულია.<sup>44</sup> იუდაიზმისათვის ასეთი ხელშეწყობა, სპარსული რელიგიის დაბალანსების მცდელობად უნდა იქნეს განხილული ამ ვითარებაში.

43 თ. ბიბილური, აპოლონის ტაძარი დიდ მცხეთაში, გვ. 17.

44 ლ. პატარიძე, მოქალაქეობა ქართლის სამეფოში ქრისტიანიზაციის კონტექსტში. სემიოტიკა, III. თბილისი, 2008, გვ. 211-215.

როგორც ვხედავთ, ქართლის მმართველთა მხრიდან ძალიან რთულ რელიგიურ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე: ერთი მხრივ, არაადგილობრივი რელიგიური კულტები დაშვებულია, ისინი არათუ არ ისპობა, არამედ საგანგებოდ ხელშეწყობილ-ნიც კია. მეორე მხრივ, მათი გავრცელება მკაცრად რეგლამენტირებულია, ეს კულტები ელიტურია, მოსახლეობის ძირითადი მასა კი არის არმაზის „საყმო“.

ამ დახლართული პოლიტიკის მიზეზი კი შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ მზისმსახურება მირიანის მამული რჯული იყო, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ერთობას, რომელსაც ის წინამძღვრობდა, არ შეეძლო არსებობა ამ რელიგიის საფუძველზე. მითრაიზმი ანუ მზის მსახურება ანუ ცეცხლის თაყვანისმცემლობა ვერ გამოდგებოდა ქართული ერთობის თვითმყობადობის მარკერად. საქმე ისაა, რომ მითრაიზმი იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა და იგივე მზის თაყვანისმცემლობა უკვე სხვისი ნიშა და სხვისი იდენტობის მარკერი იყო. ეს სხვა ანუ სპარსეთი კი ქართლი-სათვის წარმოადგენდა მთავარ მოწინააღმდეგეს და მთავარ საფრთხეს. ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა, და, მათ შორის, მირიანიც, აშკარად აცნობიერებდა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევარი ქართლის არსებობა შეუძლებელი იყო. ცეცხლთაყვანისმცემელი ქართლი უმაღვე სპარსეთად იქცეოდა. სწორედ ეს იყო თავის დროზე მაუჯან სპასპეტის პოლიტიკის საფუძველიც, რომელიც კომპრომისს კონფესიის საკითხში გამორიცხავდა. მირიანის რელიგიური მოღვაწეობა არსებითად ეს იყო ერთობის მეთაურის ძალისხმევა იდენტობის მარკერთა გამოკვეთისათვეს.

იდენტობათა ისტორიაში ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როცა იდენტობის მარკერებს გამოკვეთს არა დაბადებით ჩვენ-ჯგუფის წევრი, არამედ სწორედ მკვიდრად ქცეული უცხო, რომელმაც უკეთ შეიგრძნო მიღებული იდენტობის ბუნება. ასეთი ჩანს ვითარება მირიანთან დაკავშირებითაც: ქართულ ერთობაში სრული ინტეგრირების შემდგომ<sup>45</sup> მირია-

45 მირიანის მიერ ქართული იდენტობის მიღების მრიველისეულ ცნობასთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარს აკეთებს ს. რაპი: "In short, what the author is really

ნი გადაიქცა ერთობის წიაღიდან მომდინარე იმპულსებისადმი ყველაზე მგრძნობიარე წევრად.

მირიანის პიროვნება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩნდება მისი რელიგიური პროექტების განხილვით. პირველი იყო ქართული წარმართული პანთეონის სისტემატიზება და „არმაზული რელიგიის“ ჩამოყალიბება. იდენტობის საფუძვლად მირიანს ესაჭიროებოდა გამართული და უნიკალური რელიგიური კონცეფცია. ამიტომ მან მიმართა ქართულ წარმართობას ანუ „ქართლის მპყრობელ ღმერთებს“ და შეეცადა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. კერპების სამსახურში მირიანს, ლეონტი მროველის აზრით, ქართლის ყველა მეფისათვის გადაუჭარბებია:

და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმინ კერპთანი და უმეტეს ყოველთა მეფეთა ქართლი-სათა ადასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვს ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“.<sup>46</sup>

ჩანს, რომ მირიანის პირველი ჰიეროტოპიული<sup>47</sup> პროექტი წარმართული იყო: ფარნავაზის საფლავის შემკობა, ცხადია, საკრალური ადგილის დაფუძნებად უნდა იქნეს გაგებული.

---

saying is that *Mihran* became *Mirian*; in all practical respects, this Iranian made himself into a Kar't'velian. And it was this new Kar't'velian that became one of the most renowned kings of Kar't'velian and then Georgian history by joining and sanctioning the Christian revolution". ix. : S. Rapp. *Caucasia's place in the Eurasian world*, გვ. 53. როგორც ვხედავთ, უცხოული ქართველობის მიერ საკუთხით მართებულად არს დაფიქსირებული ქართულ ჩენენ-ჯგუფში უცხოს ინტეგრირება და ეთნიკური ირანელის ფაქტობრივი ქართველობა.

46 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

47 ტერმინის განმარტებისათვის იხ. *Иеропотия. Создание сакральных пространств в Византии и Древней Руси*. Редактор-составитель А. М. Лидов, М. : Издрик, 2006, გვ. 548; აგრეთვე, მ. ჩხარტიშვილი., ქართული ერთობა რელიგიური მოქცევის ეპოქაში (პერიოდიშვილი, პროექტი „მცხეთა – ახალი იერუსალიმი“). საქართველოს შეუსაუნებელის სტატორის საკითხები, IX (რედ. მ. ჩხარტიშვილი), თბილის, უნივერსალი, 2008, გვ. 123; მ. ქადაგიძე. ჰიეროტოპია – საკრალური სიგრცეების შექმნა, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ტრადიციული სფერო და ინოვაციური მეცნიერული მიდგომა. საქართველოს შეუსაუნებელის ისტორიის საკითხები, IX (რედ. მ. ჩხარტიშვილი), თბილისი, უნივერსალი, 2008, გვ. 209-218.

დიდია ალბათობა იმისა, რომ კერპების ის სახე, რომელიც წმინდა ნინოს მოგონებამ შემოგვინახა, არა აზოსა და ფარნავაზის დროინდელია, არამედ დიდწილად სწორედ მირიანის მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენს, რადგან, ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული კერპთა და ბომონთა შემკობის პროცესი პირველ რიგში სწორედ „არმაზულ ტრიადას“ ანუ არმაზს, გაცისა და გაცას უნდა შეხებოდა. არმაზის ხელში მბრუნავი მახვილიც, რომელიც ასე აფრთხობდა ადამიანებს („ნუუკუე პოვოს რამე ბინი ჩემ თანა და მცეს მახვლი იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა“<sup>48</sup>), და რომელიც ქართული ტექნიკური აზრის გარკვეული დონის მაჩვენებელია, მირიანის ეპოქაში კონსტრუირებული მგონია.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ თუ რა ბუნება მიანიჭა არმაზს მისმა შემქნელმა ფარნავაზმა და, საერთოდაც, „არმაზული ტრიადა“ მისი შემოქმედება თუ არა. სამაგიეროდ, საკმაოდ სრული წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ თუ როგორ იაზრებდა ამ ტრიადას მირიანი. საინტერესოა, რომ არმაზთან, გაცი და გაცასთან ერთად, მირიანი იხსნიებს ზადენსაც, რომელიც სხვა მთაზე იყო აღმართული და რომელიც თავისი წარმოშობით ცეცხლთაყვანისმცემელ ფარნაჯომს უკავშირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მირიანი აღიზარდა კერპებისა და ცეცხლისმსახურების სასოებით, მის მიერ არმაზის თითქმის თანაბრად ზადენის კულტის გააზრება შეიძლება გარკვეულწილად ამ გაორების გამომხატველ ფაქტად მივიჩნიოთ. ასე რომ, თუმც მირიანმა ფარნავაზის საფლავი შეამკო და ამით ფაქტობრივად მისი პოლიტიკის გამგრძელებელად დასახა თავი, მის მიერ ინტერპრიტებული არმაზული რელიგია, ვფიქრობ, არსებითად ის აღარ იყო, რაც ფარნავაზის დროს.

მაგრამ ახლა დავუბრუნდეთ იმას, თუ როგორ ახასიათებს მირიანი ამ კერპებს:

რამეთუ ესერა ღმერთი, დიდთა ნაყოფთა მომცემელი, ქუეყანით ნაყოფთა გამზრდელი, ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომაძიებელი, და ძუელნი

48 ძეგლები I, გვ. 119.

ლმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა.<sup>49</sup>

მირიანს მიაჩნია, რომ კერპის განადგურების შემდეგაც ლვთაება არმაზი განაგრძობს არსებობას. მაგალითად, წმიდა ნინოს მეფე არწმუნებდა, რომ შემუსვრის მიუხედავად არმაზი არსებობს, რომ არმაზის ადგილი გადარჩა და ურყევია: „დაღა-ცათუ ჰერისა მის სიფიცხლითა შეიმუსრა, არამედ მისი ადგი-ლი შეუძრავ არს“.<sup>50</sup>

სიდონიაც ახასიათებს ამ კერპებს:

ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ, რომელი იყნო-სდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პირმშობასასა, არმაზ და ზადენ, და შესანირავად უჩნდეს მშობელთა მათ მსხუერპლად, ვითარცა უკუნისამდე არა იყო სიკუდილი და ესე იყო მოაქამდე. ხოლო იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეინირვოდა მათა ერთი სეფენული ცეცხლი-თა დაწუად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა.<sup>51</sup>

გადმოსცემს რა წინარექრისტიანული ქართლის ვითარე-ბას, სიდონია ამძაფრებს ვითარებას, ისე ხატავს საქმეს თით-ქოს სულ ბოლო დრომდე ხდებოდა ადამიანთა შენირვა.

მირიანის მიერ დადგენილი ჩანს არა მარტო არმაზის ბუ-ნება, არამედ მისი მსახურებაც. ამ მსახურებაზე უფრო კონ-კრეტული შთაბეჭდილების შექმნის მიზნით განვიხილოთ არმა-ზობის დღესასწაულის აღწერა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცხოველმყოფელი სურათია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“:

ხვალისა იყო წმად ოხრისად და საყვრისად, და გამოვიდა ერი ურიცხვი ვითარცა ყუავილოსანნი, ზარნი სამინელი გამო-ვიდოდეს. ხოლო მეფე არღასადა შეძრულ იყო. და ვითარცა უამ-სცა უამმან, სივლტოლად და მიდამომალვად იყო ყოვლისა კაცისად, და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რამეთუ გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დეუფალი. და ვითარცა

49 ძეგლები, I, გვ. 132.

50 ძეგლები I, გვ. 132.

51 ძეგლები I, გვ. 126.

განვლო ნანა დედოფალმან, მაშინ ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი. და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. და მაშინ გამოვიდა მირეან მეფე თუალშეუდგამითა ხილვითა. და ვკითხე ჰურიასა დედაკაცსა, თუ რა არს ესე? და მან მრქუა: ღმერთი ღმერთთად მათთავ უნესს მას, არმაზ, რომელ არა არს სხუად გარეშე კერპი“. ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნენ მთანი იგი დროშათა და ერითა, ვითარცა ყუავილითა. და ვხედევდი საკურველებათა და საშინელსა, რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, ვითარ-იგი იყო ზარის აღსაყდელი შიშით და ძრნოლით მეფეთად მათ და ყოვლისა ერისად.<sup>52</sup>

როგორც ვხედავთ, მირიანი საკულტო პერფომანსის დიდოსტატი იყო. როგორც უზენაესი ქურუმი, ჩანს, განასახიერებდა თავად არმაზს. ამას მაფიქრებინებს, ის რომ იგი ამ რიტუალის დროს შიშის მომგვრელი ყოფილა. ძრნოლის გამოწვევა კი, როგორც უკვე ითქვა, არმაზის უპირველესი მახასიათებელია. ნანა დედოფალი კი აშკარად უზენაესი ქალი ქურუმია.<sup>53</sup> ნანა, არ უნდა იყოს მისი საკუთარი სახელი. ეს არის საზოგადო სახელი და დედას ნიშნავს.<sup>54</sup> დედა კი არის დედოფლის წოდება: დედოფალი არის ქვეყნის დედა, მის შვილებს წარმოადგენენ

52 ძეგლები I, გვ. 118-119.

53 მეფე ქურუმი, დედოფალი ქურუმი ძალიან გავრცელებული მოვლენაა იყო ძევლ საზოგადოებებში. მაგალითად შეძლება მიუვითოთ ხეთების ისტორიული გამოცდლებაზე, რომლის კონტექსტში „მეტად საინტერესოა დედოფლის ხსიათი რელიგიურ თვალსაზრისოთაც, რაგადა ხშირ შემთხვევებში სწორები ის მეტაურობდა რელიგიურ ცერემონიებს ან მეფეებთან ერთად უძღვებოდა გარკვეულ რელიგიურ რიტუალებს“. იხ. ს. სანიკოძე, ქალური არქეტიპები წინა აზის კულტურული ბიბლიოური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი (რედ. ე. ავალიანი) № 45, 2006-2007, გვ. 58. „უძველესი წარმოდგენების მიხედვით, მეფე სოციუმის პირველი კაცი დღიდ ქალღმრთის ძე იყო, ხოლო დედოფალი-ქურუმი საკრალური ქორნინების შედეგად თვოთონ ხდებოდა ქალღმრთის ორეული და ლვთაებრივი შთამომავლობის მომავლინებელი. ამდენად ხეთური სოციუმის პირველი პირისა და მისი ოჯახის ყოველდღიური ცხოვრება მკაცრად იყო რეგლამენტირებული, მეფეს ეკაისრებოდა როგორც საერო, ასევე რელიგიური ფუნქციებიც“. ვრცლად იხ. ე. ავალიანი. ცივილიზაციების ფორმირება მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2001, გვ. 127-128.

54 აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.

მისი ქვეშევრდომები. დედოფლობის ცნება წარმოუდგენელია საკრალურობის გარეშე. ტიტული დედოფალი, ცხადია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზენაესი ქურუმი ქალის მიმართაც.

შესაბამისად საანალიზო ტექსტში ნანა უნდა განვიხილოთ არა საკუთარ სახელად, არამედ მეფის მეუღლის წოდებად. გამოთქმა ნანა დედოფალი ტავტოლოგია. ეს იგივეა, რომ ვთქვათ, დედოფალი დედოფალი. ეს ტავტოლოგია უნდა გაჩენილიყო იმ დროს, როცა ნანა საკუთარ სახელად იქნა აღქმული. თავდაპირველ ტექტში, ცხადია, იყო მხოლოდ ნანა, რადგან ეს სიტყვა დედოფლის დამატების გარეშეც აჩვენებს, რომ ლაპარაკია ქვეყნის პირველ ქალბატონზე.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მირიანის პირველი ჰიეროტოპიული ქმედება ფარნავაზის საფლავის შემკობა იყო. როგორც დავრწმუნდით, ამ პროექტს პქონდა მეტად შთამბეჭდავი პარფომანტული მხარეც, რომელიც ვრცელ არეალს და არსებითად დედაქალაქის მთელ მოსახლეობას მოიცავდა. გაქრისტიანების შემდგომ წარმართული დღესასწაულით მონიშნული სივრცის დესაკრალიზაცია ხდება ასევე ცხოველმყოფელი პერფომანტულობით. ვგულისხმობ, ჯვრის აღმართვის ეპიზოდს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში, რომელიც, აგრეთვე, დახვეწილი საკულტო ქმედების თვალსაჩინო ილუსტრაციაა და რომელიც ასევე წარმოდგენილია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“.

აი, ამგვარი იყო მირიანისეული არმაზული რელიგია. მირიანმა მის ჩამოყალიბებას აშკარად სერიოზული ყურადღება დაუთმო. არსებითად ეს ქმედებანი შეიძლება განვიხილოთ განახლებული რელიგიიდან მომდინარე იმპულსით ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის კონსოლიდაციის პროცესის გაინტენსიურების მცდელობადაც.

და უცებ ეს იმპულსი საერთოდ გაქრა, რადგან გაქრა წყარო, რომლისაგან იგი სათავეს იღებდა. „არმაზული ტრიადის“ შემუსვრა ნიშნავდა, რომ რელიგიურად დეტერმინირებულ ქართულ ერთობას ერთბაშად და მოულოდნელად გამოეცალა საყრდენი.

როგორ უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება არმაზის „საყმოს“ ანუ არმაზული რელიგიით მარკირებულ ეთნიკურ ერთობას თუ არმაზის კერპი აღარ არსებობდა?

ამ გამოწვევის პასუხად მირიანმა შეიმუშავა ახალი გეგმა, ოღონდაც ეს ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა. სწორედ ამ პროექტის შესახებ იქნება საუბარი ამ თავის მომდევნო მონაკვეთში.

### 3.

ამ „შუალედური“ პროექტის<sup>55</sup> რეკონსტრუქციისათვის განვიხილოთ მირიან მეფის სიტყვა, რომელიც „ნმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაშია დაცული. აღნიშნული სიტყვა მეფემ წარმოთქვა წმინდა ნინოსთან ერთ-ერთი საუბრის დროს. საქმე ეხება სპარსი ხუარას განკურნების ამბავს. თხზულების მიხედვით ამ ფაქტს კერპების შემუსვრიდან მეექვსე წელს ჰქონდა ადგილი. ამ დროისათვის წმინდა ნინო საკმაოდ სახელგანთქმული ჩანს მცხეთაში, მას ჰყავს მონაფეხები და სასწაულით ანუ წამლის გარეშე განკურნებული ადამიანები, მათ შორისაა თავად მირიანის მეუღლე ნანა. აღნიშნული სიტყვა დაფიქსირებულია წმინდა ნინოს მონაფის სიდონიას<sup>56</sup> მიერ. აი, ეს სიტყვაც:

მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი, და მეფეცა იხილვიდა მცირე-მცირედ საქმესა და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ღმერთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისასა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვებით მოხუედ და შეუცრდი, ხოლო მათ ზე-

55 „შუალედურს“ ვუწოდებ ამ გეგმას მირიანის მთელი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გათვალისწინებით: პარეგლი იყო „წარმართული“, ბოლო – „ქრისტიანული“ პროექტი. მირიანის მოღვაწეობის ამ ორი პერიოდის ერთანობის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს ლ. პატარიძე. იხ. ლ. პატარიძე. მირიანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ქართლის მოქცევა. საერთაშორისო სიმპოზიუმი ქრისტიანობა: წარსული, ანშეო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. რედ. მ. ჩხარტიშვილი და ლ. მირიანაშვილი. თბილისი, მემატიანე, 2000, გვ. 68-69.

56 სიდონია წმინდა ნინოს გამორჩეული მონაფე იყო. მის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. მესხეთი (საისტორიო კრებული), III. თბილისი-ახალციხე, თუ გამოცემლობა, 1999, გვ. 6-17.

და-აც მოწყალებაა, და მიგანიჭეს ძალი კურნებისაა, რათა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუეყანასა, და დიდებულ-მცა არიან უკუნისამდე! ხოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარა-დის, ვითარცა ერთი მაწვნებელთაგანი პატივცემულ ქუეყა-ნასა ამას, არამედ უცხოსა მას სიტყუასა ნუ იტყვ, ჰრომთა მათ შეცოლილთა შჯულსა, და ნუ გნებავნ ყოლადვე აქა თქმად, რამეთუ აპა ესერა ღმერთი, დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვერისა მომცემელნი, ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელნი, ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გა-მომეძიებელნი, და ძუელნი ღმერთი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა, და თავი შენი იგი იყავნ დასარწმუნოვებად კაცთა მიმართ. და ან, უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდი-დრო და გყო მკვდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა, და-ლაცათუ ჰერისა მის სიფიცხლითა შეიმუსრა, არამედ მისი ადგილი შეუძრავ არს. ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოლადვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუად მოა-დგინის და მან ამის ზედა ერთი ნუ რამე მოაწის, ვითარცა აქუს ჩუეულებაა სოფლის მპყრობელთა, და კმა გეყავნ ჩემ-გან ბრძანებად ესე.<sup>57</sup>

როგორც ვხედავთ, მეფე ნინოს, ფაქტობრივად, იდეო-ლოგიური ტრანსფორმაციის ახალ გეგმას უზიარებს. მირია-ნი ქრისტიან მისიონერ ქალს აცნობს ლეგენდას, რომლითაც იგი უნდა წარუდგეს ქართულ საზოგადოებას: ნინომ ქართლის მპყრობელ ღმერთთაგან წარმომავლობით უნდა ახსნას კურნე-ბის უნარი და თავად დაარწმუნოს ყველა ამაში. ამგვარი ქმე-დების მოსალოდნელი შედეგი ამ ღვთაებებისათვის დაკარგუ-ლი „პრესტიუსი“ აღდგენა უნდა ყოფილიყო, რაც არსებითად ძველი კულტის რეანიმაციას ნიშნავდა.<sup>58</sup> აღნიშნულის სანაც-ვლოდ მირიანი ნინოს იმას პირდება, რომ ხელს შეუწყობს მის

57 ძეგლები, I, გვ. 131-132.

58 გ. ყოფიანის შთაბეჭდილებაც ამ წყაროს აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავში-რებით ანალოგიურია: „ყველაფრიდან ჩანს, რომ მეფე (ჯერ კიდევ წარმართი) აპირებს რაღაც ფორმით მაინც აღადგინოს დამხობილ ღვთაებათა სისტემა“. იბ. გ. ყოფიანი. წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, გვ. 10.

ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ეკონომიკური მდგომარეობის მინიჭებით: ნინო ხომ უცხოა, მწირია, შესაბამისად, უპოვარია და მცხეთის საქალაქო თემში სოციალურად სრულიად უუფლებო. მეფე კი მას მკვიდრად (მოქალაქედ) გადააქცევს<sup>59</sup> მაგრამ ეს არაა ყველაფერი. მირიანი ნინოს სთავაზობს გახდეს მაწოვნებელი. აშკარაა, რომ მეფე რაღაც განსაკუთრებულ სოციალურ პოზიციას გულისხმობს. გასარკვევია კონკრეტულად რას შეეხება საქმე?

ი. აბულაძის მიერ მაწოვნებელი განმარტებულია როგორც ძიძა, „რომელიც აწოებს“<sup>60</sup> სულხან-საბა ორბელიანის განმარტება შემდეგია: „მაწოვარი (მაწოვარი) – ძუძუს უამსა დედას მაწოვნებელი (მაწოვარი) და ჩჩილსა მაწოვარი ეწოდება მაწოვნებელი – მაწოვარის დედა“.<sup>61</sup>

ამგვარად, მაწოვნებელი ნიშნავს პიროვნებას, რომელიც ჩვილს კვებავს რძით. ასეთი შეიძლება იყოს დედობილი ანუ ძიძა და ნამდვილი დედა. ცხადია, როცა საქმე ქალწულ ნინოს შეეხება, ეს სიტყვა პირდაპირი აზრით არ შეიძლება გაგებულ იქნეს, არამედ როგორც სოციალური პოზიციის აღმნიშვნელი ტერმინი, ისევე როგორც ზემოთ ციტირებულ ტექსტში სიტყვა შვილები, რომელიც მეფის ქვეშვრდომების აღმნიშვნელი ჩანს.

მირიანმა ნინოს არსებითად სოციალური დედობის საპატიო სტატუსი შესთავაზა. ამ სტატუსის მქონე შეიძლება ყოფილიყო ქვეყნის მმართველის (მეფის, ერისთავის და ა. შ.) მეუღლე ანუ ქალბატონი, რომელსაც ჰყავს სოციალური შვილები ანუ ქვეშვრდომები<sup>62</sup> და კულტის მსახური უზენაესი ქურუმი ქალი, რომელთან მიმართებაშიც შესაბამისი რელიგიური ერ-

59 ლ. პატარიძე, მოქალაქეობა ქართლის სამეფოში ქრისტიანიზაციის კონტექსტში, სემინტიკა, № 3, 2008, გვ. 211-215.

60 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, მეცნიერება, 1973, გვ. 223.

61 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I (ავტორისეული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებები და ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ), თბილისი, მერანი, 1991, გვ. 451.

62 შდრ.: იაკობ ხუცესის ნათქვამი წმ. შუმანიკისადმი: „ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“ (ძეგლები, I, გვ. 14).

თობის წევრები, აგრეთვე არიან შვილები (ანუ ჩვილები). კონტექსტიდან გამომდინარე ცხადია, რომ მანვნებლობა უნდა გავიგოთ, როგორც წარმართული კულტის მსახური ქალის პრივილეგირებული საზოგადოებრივი პოზიცია. მანვნებელი არსებითად მირიანის მეორე პროექტის გასაღები სიტყვაა. იგი ცხადყოფს, თუ როგორ წარმოედგინა მირიანს ქრისტიანი მისიონერი ქალის ადგილი არმაზული რელიგიის კონტექსტში: მანვნებელი ნინო მირიანის შვილების ანუ ქვეშევრდომების ანუ ქართლის დედაა.

რა უცნაური შეთავაზებაა, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდა ამას?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ერთ, ყველასათვის კარგად ცნობილ, გარემოებაზე: ადამიანისათვის დედა ფუნდამენტური ღირებულებაა, ამიტომ დედის ცნების აღმნიშვნელი მრავალი სიტყვა შეიძლება მოეპოვებოდეს ენას, იმის მიხედვით, თუ დედობის რომელი ატრიბუტის აქცენტირებაა აუცილებელი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. მანვნებელობაში აქცენტირებულია რძის მეშვეობით შვილის დანაყრების, მანიერად ყოფნის ფაქტი. ამგვარად, ეს სიტყვა მყარ ასოციაციას აღძრავს რძესთან. ხოლო რძე, როგორც ცნობილია, არის დედა ქალღვთაების უმთავრესი ატრიბუტი, შესაბამისად მანვნებლობა არის მისი უმთავრესი იპოსტასი.<sup>63</sup>

ძალიან საინტერესო პარალელის გავლება ამ შემ-

63 „დიდი დედაქალღმერთის, უძველესი მდედრის არქეტიპის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა შთამომავლობის აღმზრდელისა და მფარველის როლი. მართალია, მდედრი სიკუცლის მიმნიჭებული, მაგრამ არაა კულტურული განისაზღვრების მისი, რაც დიდი დედაქალღმერთის რიგით მესამე მნიშვნელოვანი ასპექტია. „ძიონბის“ – „გამოკვების“ იდეას უკავშირდება ქალის ფიგურა, რომელიც მეკრძალს ანოვებს შვილს. აღნიშნული თემა ძველია და უკავშირდება წეოლითისა და ენეოლითის ანატოლიურ და მესოპოტამიურ დედაქალღმერთებს“ (ე. ავალიანი, ძველი ცივილიზაციების ფორმირება მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში, გვ. 3839). აღნიშნული ფაქტი, სხვათაშორის, გვახვდორებსუუცველეს რწმენა-წარმოდგენბში მდედრული საწყისის უმთავრესი გამოვლინების – დედამინას – მნიშვნელობას: დედა ნიშნავს სათავეს, მინა – არის ატრიბუტი და ნიშნავს მანიერობის მომნიჭებულს. ანუ დედამინა ესაა მანიერობის წყარო ანუ დედა, რომელიც გვანიჭებს მანიერობას ანუ გვკვებავს.

თხვევაში ქალღვთაება ნინჭურსანგასთან, რომელსაც შუმერთა პანთეონში ეჭირა ზოგადად დედაღვთაების ადგილი. მკითხველის ყურადღებას შევაჩირებ სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ძეგლზე, რომლის მეშვეობით ამ ქალღვთაების – ღმერთების დიდი დედის – კულტთან დაკავშირებულ ძალიან საინტერესო დეტალს ვიგებთ. სიტყვა შეეხება სპილენძის ფრიზს, რომელიც აღმოჩენილ იქნა თელ-ალუბაიდის ტაძარში. იგი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით. აქ გამოსახულია სცენა, თუ როგორ იღებენ რძეს აღნიშნული ქალღვთაების ტაძრიდან: ადამიანების გრძელი რიგი დგას, ხელში ყველას უჭირავს მომცრო ზომის ჭურჭელი. აშკარაა, რომ საქმე ეხება სარიტუალო რძის აღებას: ამ რძის დაგემოვნება ზიარებას ნიშნავს ანუ ერთი დედის შვილობას. ესაა ერთი და იმავე რელიგიური ერთობის წევრთა საერთო დედის (ქალღმერთის) რძით მარკირების რიტუალი. ნინჭურსანგა არის ამ კოლექტივის დედა ანუ მაწოვნებელი. ანალოგიურ სტატუსს უქადდა მირიანი ნინოს.

აღნიშნულის ფონზე მისიონერი ქალის სახელის გააზრებას მნიშვნელოვან დაკვირვებამდე მივყევართ: ერთის მხრივ, სახელი ნინო, რომელსაც ქართველთა განმანათლებლისათვის აფიქსირებენ ქართული წყაროები (და მათგან მომავალი სომხურიც) და, მეორე მხრივ, ძველ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დედა ღვთაების სახელწოდება ერთი და იგივეა: ნინ/ნან<sup>64</sup> სეგმენტს ვხდებით არაერთი შუმერული ქალღმერთის სახელში: ნინთური, ნინანა, ნინლილი, ნინთუ, ნინჭურსანგა, ინანა. ყველა შემთხვევაში ნინ/ნან ნიშნავს ქალბატონს, დედას. როგორც ითქვა, აღნიშნული ქალღვთაება უცხო არ იყო ქართული წარმართული პანთეონისათვისაც: შვიდიდან ორი კერპი სწორედ მის სახელზე ყოფილა აღმართული: ესენი იყვნენ აინინა და დანინა „მოქცევად ქართლისად“ მიხედვით და აინინა და დანანა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

ქართული ენის არაერთ რეგიონალურ ინვარიანტში დედის,

64 როგორც კარგად ცნობილი ქართული სიმღერის – იავნანას – მისამღერი ნანინა გვაიქირებინებს, ნანა და ნინა ერთი სიტყვის ნანილებს უნდა წარმოადგენდეს. ცალკე მათი გამოყენებისას, ცხადია, იგულისხმება მთელიანუ ნანაც და ნინაც ერთიდამიავე სიტყვას – ნანნინას – ანუ დიდი დედა ქალღვთაების სახელს უნდა გადმოსცემდნენ.

დიდი დედის ანუ დიდედის აღმნიშვნელი სიტყვა უკავშირდება ნებ ფუქსა, რომელიც სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს ვოკა-ლიზებული: ხან როგორც ნინ, ხან როგორც ნან, ხან როგორც ნენ და ა. შ. გურული ქართულით ნენა-ი//ნენე-დ და აჭარული ქართულით ნენე-დ ნიშნავს „ბებიას, დედას“, მეგრული ქართულით ნანა „დედაა“, ხოლო ნანდიდი – „დიდედა“; სვანურში ძირად გამოიყოფა ნან/ლან (დისიმილაციით) ნანაგ – „სადედე, დედულეთი“<sup>65</sup> ამავე ფუქსა უკავშირდება ქალის, შვილის აღმნიშვნელი სიტყვებიც. მაგალითად, მეგრულად ნანა! ნიშნავს „შვილო!“ სვანურ ქართულად ნანურ აღნიშნავს ჩინებული თავადის ქალიშვილს. ნინკ ძველქართულად ნიშნავს ბავშვს<sup>66</sup> ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ მირიანის ცოლსაც იგივე სახელი ნანა ანუ დედა ჰქვია. როგორც უკვე ითქვა, საანალიზო თხზულებაში ნანა უნდა განვიხილოთ მეფის მეუღლის წოდებად. თავდაპირველ ტექტში, ჩანს, იყო მხოლოდ ნანა, რომელიც სიტყვა დედოფლის დამატების გარეშეც აჩვენებს, რომ ლაპარაკია ქვეყნის პირველ ქალბატონზე. დედოფლობის ცნება წარმოუდგენელია საკრალურობის გარეშე. ტიტული დედოფალი, ბუნებრივია, გამოყენებულ იქნეს უზენაესი ქურუმი ქალის მიმართაც.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ჩანს ხეთური მონაცემების გათვალისწინებაც: ხეთების დედოფალი, როგორც ცნობილია, ატარებდა ტიტულს „თავანანა“. ამ ტერმინით აღინიშნებოდა საერთოდ ტახტის მემკვიდრის დედა.<sup>67</sup> ძალიან საგულისხმოდ მეჩვენება, რომ შესაძლებელია ამ ტერმინის გააზრება ზემოთ მოყვანილი მასალის ფონზე: სიტყვის პირველი ნაწილი თავი, როგორც ცნობილია, ქართულად ნი-

65 მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კოლოკავთა შედარებითი ლექსიკონი. დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, თბილისი, უნივერსალი, 2000/2003, გვ. 164.

66 ჰ. ფერერი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გვ. 357-358; რ. მირჯვიბი-მალენი. კოლხური ენა, გვ. 348; კ. დონდუა. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 323.

67 გ. გორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია). თბილისი, მეცნიერება, 1988, გვ. 55.

შნავს პირველს, მთავარს.<sup>68</sup> თავა ნანა, ამგვარად, ნიშნავს პირველ (თავ) ქალბატონს. ასე რომ, თავანანას ზუსტი შესატყვისია დედოფალი, ანუ დედა უფალი ე. ი. პირველი, უფროსი (უმთავრესის აზრით) ქალბატონი.<sup>69</sup>

ზედმეტი არ უნდა იყოს იმის დაფიქსირებაც, რომ ქართული ენის არაერთ რეგიონალურ ინვარიანტში ენის აღმნიშვნელადაც იგივე ფუძეა გამოყენებული. მაგალითად, მეგრულ ქართულად ენა არის „ნინა“<sup>70</sup>, ხოლო სვანურ ქართულად – „ნინი“<sup>71</sup>. ზემოთქმულის ფონზე ეს ფაქტი იოლად გასაგებია: პირველი სიტყვა, რომელსაც ადამიანი ამბობს, არის დედა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ენა და დედა ერთი და იგივე ფუძის მქონე სიტყვით აღინიშვნა, ბუნებრივია, რომ ენა ემთხვევა დედას, რადგან ენის ამოდგმა იწყება „დედის“ თქმით. ასე რომ, მითითებული თანხვედრაც დამატებით გვიდასტურებს რაოდენ ძველია ქართულში ნნ ფუძის მქონე სიტყვის გამოყენება დედის აღსანიშნავად.

მსჯელობის შემდგომი გაშლისათვის საინტერესო სურათს

- 68 თავი – რჩეული, საუკეთესო, უმჯობესი, საუმჯობესო, ჩინებული, თავი – ბელადი; თავი – მოთავვე; თავი კაცი – თავგაცი, პატივსაცემი, თავი ქალი – პირველი, პატივსაცემი. იხ. ა. ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (მესამე გამოცემა), თბილისი, განათლება, 1978, გვ. 188, 189. ამგვარად, თავი ქალი და თავანანა ქართული ენის კონტექსტში სინონიმებან. სპეციალურ ლიტერატურაში გამორჩეულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, თავი უნდა მიმდინრეობდეს სპარსული სიტყვებიდან „ძალა“, „შეძლება“, „უნარი“ (ფ. ანთაძე. სიტყვა „თავ“-ის სპარსული ნარმომავლობისათვის ერთ ქართულ ფრაზეოლოგიზმში, აკადემიკოს ა. შანიძის დაბადებიდან 120 წლისთვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, თსუ გამოწერმლობა, 2007, გვ. 2527). ანუ ეს არის ინდოევროპული ძირი, რომელიც უკავშირდება „ძალის“ ცნებას. ამ გაგებითაც თავანანა ძალაუფლების მქონე ქალბატონია ანუ იგივე დედა უფალი.
- 69 სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: „ტერმინი ‘თავანანა’ დაზუსტებული ჯერ კიდევ არ არის და მასთან დაკავშირებით მრავალი შეხედულება გამოითქვა. მაგალითად, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ დედოფლის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ნარმოიშვა ლუვიური ძირიდან – ‘თაფარი’, რაც ნიშნავს მბრძანებლობას, მართვას, თუმცა სხვანი მას ხათურ ენას უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ ‘თავანანა’ ხათურად ნიშნავდა მდედრობითი სქესის მმართველს. იყო მოსაზრება იმის თობაზეც, რომ ეს ტიტული კი არა, მხოლოდ საკუთრი სახელია, რაც უარყოფილ იქნა, მაგრამ ტერმინის ახსნის ყოველი მცდელობა ცხადცყოფს მის უჭირველ კაშირს მმართველობასთან“. იხ. ს. სანიკიძე, ქალური არქეტიპები, ნინა აზის კულტურებში, გვ. 58.
- 70 რ. ამირეჯაბი-მალენი, კოლხური ენა, გვ. 348.
- 71 კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 240.

გვაძლევს ჩრდილოკავკასიური მასალა: უდურ ენაში ნანა ნი-შნავს დედას, რუთულურ ენაში ნინ ნიშნავს დედას, ხოლო ღუმუქურ ენაში – ნინუ.<sup>72</sup> ვაინახებში დედას ენოდება ნანა, წოვა-თუშებში კი – ნან.<sup>73</sup> თუშეთში დედამთილს ენოდება ნან ანუ დედა.<sup>74</sup> ეს მოვლენა ანუ დედის (და საზოგადოდ ქალის, უფრო ზუსტად, ქალბატონის) დაკავშირება ნან/ნინ ფუქსეთან ვრცელ არეალზე გავრცელებული ქალღმერთის უნივერსალური კულტის არსებობის შედეგი უნდა იყოს და ვერ აიხსნება ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინის მხოლოდ ჩვეულებრივი ენობრივი ნასესხობით.<sup>75</sup>

ამგვარად, მისიონერი ქალის სახეში მირიანი გამოკვეთს წარმართული ქალღვთაების შტრიხს. მისი ეს იდეა პროვოცი-რებული ჩანს იმდროინდელი რეალობით: მისიონერ ქალს, რო-მელსაც თავისი კურნებებით შვება მოჰქონდა ადამიანებისა-თვის, ბუნებრივია, რომ მფარველად ანუ დედად აღიქვამდნენ და, შესაბამისად, ნინოს ანუ დედას უნივერსალური ბუნებრივი ნასესხობით.<sup>76</sup>

მოწაფეები, რომ მას დედას ეძახდნენ ეს კარგად ჩანს სი-

72 ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნა-თესაობა. თხზულებაზე თორმეტ ტომად, ტ. X. თბილისი, მეცნიერება, 1992, გვ. 687, 688.

73 ა. И. Шавхелишвили, Из истории горцев Восточной Грузии. Тбилиси, Мецниереба, 1983, с. 18, 96.

74 ა. შავხელშვილი, თუშეთი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიი-დან). თბილისი, მეცნიერება, 1987, გვ. 40. ანლოგური ფაქტები არაერთი მკვლე-ვრის მიერ იყო დაფუქსირებული ჩევნამდეც. იხ. მეგალითად, გ. გოზალშვილი, მითრიდატე პორტონა, თბილისი, თსუ გამომცემობა, 1981, გვ. 184-185.

75 მ. წერეთლის მითითებით, ცხადია ის, რომ მთელი მცირე აზიის სარწმუნოებრივ წარმოდგენათა კომპლექსში უეჭველად არსებობს რაღაც ერთობა, რომ ამ სარწ-მუნოებრივ წარმოდგენებს საფუძვლად უდევს უძველესი და უპარველყოფილესი სარწმუნოება. იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თხზულებაზე თორ-მეტ ტომად, ტ. I. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1979, გვ. 143. შდრ. კ. ეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავრის ისტორიის უძველესი საკითხები. ეტიუ-დები ძველი ქართულ ლიტერატურის ისტორიდან, ტ. . IV, თბილისი, 1957, გვ. 288-289.

76 ძველ სამყაროში, რომელიც, როგორც ჩანს, რელიგიური თვალსაზრისით საკმაოდ პომოგენური იყო, ნებ ძრი, შესაძლოა, უკავშირდება დედის ცნებას არა მარტო მშობლის, არამედ საწყისის, ყოველივეს სათვაის აზრითაც. სხორცე ამასთან და-კავშირებით მეზენება საგულისმოდ, რომ ეგვიპტურ წარმოდგენებით შემომქ-მედი ღვთაება რა-ატუმის წარმოშობი პირველყოფილ ქაოსის სახელწოდება იყო ზური. იხ. მ. ხვედელიძე, არსებობდა თუ არა ეგვაპტეში მითი ფარაონის შესახებ? ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, 2008, გვ. 17.

დონიას მოგონებიდან: „მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი და მეფეცა“.<sup>77</sup> ყოველთვის დედად მოიხსენიებს მისიონერ ქალს ასევე მისი მოწაფე მირიან მეფე.<sup>78</sup> „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველეს რედაქციაში (როგორც ითქვა, ასეთია „მოქცევად ქართლისას“ მეორე ნაწილში დაცული ძეგლი) ნინოს დედად ნარმოსახვის ფაქტს ყურადღება მიაქცია რ. სირაძე.<sup>79</sup> მანვე შენიშნა, რომ ნინოს სახე შეიცავს არა მარტო ქრისტიანულ, არამედ ნარმართული ქალლვთაების ბუნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომ ეს უკანასკნელი პლასტი იმდენად ძლიერია, რომ მისი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ეს ქალლვთაება ანუ დედა უფალი.<sup>80</sup> სავსებით ვიზიარებ გამოთქმულ თვალსაზრისს. ამის შესახებ შევნიშნავდი მრავალი წლის წინ, როცა ეს დაკვირვება დავიმოწმე, როგორც „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციის ავთენტურობის მტკიცებულებისათვის ერთ-ერთი არგუმენტი. ახლა მინდა განვავრცო იგი და შევავსო ვითარების შემეცნებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტით: როგორც ირკვევა, მისიონერ ქალს მიეწერებოდა არა მარტო ნარმართული ქალლვთაების ატრიბუტები, არამედ მას ზუსტად იგივე სიტყვითაც მოხსენიებდნენ, რითაც ძველი სამყაროს მნიშვნელოვან არეალში და, მათ შორის, საქართველოშიც ფართოდ თაყვანცემულ დედა ღვთაებას. „ნინო“ უნდა იყოს ამ სიტყვის წოდებითი ფორმა: „დედაო“.

ქართლის საზოგადოების მიერ ქრისტიანი მისიონერი ქალის პერცეფცია, გარდატეხილი ნარმართული ქალლვთაების პრიზმაში, გასაგებია: არმაზული რელიგია ნარმართული ავტორიტარულ რელიგიას. ამგვარი რელიგიური სისტემისათვის დამახასიათებელია შიში, მორწმუნებს ეშინიათ ღვთაების და ეს განაპირობებს მისდამი მათ მორჩილებას. მაგრამ

77 ძეგლები, I, გვ. 131.

78 ძეგლები, I, გვ. 136, 158, 160, 163.

79 რ. სირაძე, წმიდა ნინო და დედა-უფალი (ქართული ნარმართული პანთეონის რეკონსტრუქციისათვის). ქართული აგიოგრაფია. თბილისი, ნაკადული, 1987, გვ. 80128 შდრ.: Л. М. Меликset-Беков. К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии, Тифлис, 1914, გვ. 16-27.

80 რ. სირაძე. წმიდა ნინო და დედა-უფალი, გვ. 82.

ეს არის რელიგიური გამოცდილების მხოლოდ ერთი მხარე. ადამიანის ფსიქიკის უნივერსალიას წარმოადგენს მოთხოვნილება არა მარტო მამასავით მკაცრ ღმერთზე, არამედ ქალ მფარველზე, რომელიც მათ, როგორც ჩვილებს, ისე შეიფარებს. ეს ადამიანის მუდმივი და მძაფრი ემოციით შეფერილი სურვილია. ქართული წარმართობის სისტემატიზებისას მირიანმა მეომარი მამაკაცი ღვთაების ავტორიტარული კულტი გააძლიერა. თუმც ქალღვთაების კერპები აინინა და დანინაც დანარჩუნდნენ. მეტიც: როგორც წყაროები გვიჩვენებს, ისინი არსებობას განაგრძობდნენ „არმაზული ტრიადის“ შემუსვრის შემდეგაც. ასე რომ, ქალღვთაების კულტი არმაზის საყმოში<sup>81</sup> მოქცევის უშუალო წინა პერიოდში კვლავ ცოცხლობდა. მისიონერი ქალის სახე სწორედ ამ ადრე არსებულ სქემაში „ჩაჯ-და“. წინოს შესახებ ინფორმაციის კოლექტიურ მეხსიერებაში მოხვედრისას ანუ კოგნიტური ადაპტაციის პროცესში ახალი ხატის შექმნა (აკომოდაცია) კი არ გახდა საჭირო, არამედ იგი მოთავსდა უკვე არსებულ ხატში ანუ მოხდა ახალი ინფორმაციის ასიმილაცია<sup>82</sup> უკვე არსებული ხატის მეშვეობით. შემდგომში სწორედ ამან გააადვილა ქართული საზოგადოების ღრმა მენტალური ტრანსფორმაცია ანუ წარმატებული მოქცევა ქრისტიანობაზე.

საერთოდ, ქრისტიანულ ერთობებში მიმართვის ნათესაური ფორმები (მამა, დედა, და, ძმა, შვილი) მიღებულია, მიუხედავად იმისა, ეს რელიგიური ჩვენ-ჯგუფები სისხლით იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ჩვენ-ჯგუფებისაგან პრინციპულად განსხვავდება.<sup>83</sup> ნათესაური იდენტობის საფუძველზე შეკრულ ერთობებს ახასიათებთ დიდი მედეგობა. რელიგიური ჩვენ-ჯგუფები ახდენენ ამგვარი ერთობების თავისებურ მი-

<sup>81</sup> „არმაზის საყმო“ – ამ ტერმინს ქართული ეთნოგრაფიული დისკურსში არსებული ტრადიციის ახალოგიით, ჩემი აზრით, სავსებით მართებულად, იყენებს ი. სურგულაძე. ის. მისა აზრაზის წარმომავლობისა და არმაზული მითოსის საკითხისათვის, ენა და კულტურა, №3, 2002, გვ. 139.

<sup>82</sup> ტერმინთა განმარტებისათვის იხ.: ი. მინდაძე. ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მეხსიერების ხატები, თბილისი, საარი, 2005.

<sup>83</sup> W. A. Meeks. *The first urban Christians. The social world of the Apostle Paul*. New Haven–London: Yale University Press, 1983.

მიკრიას, ოჯახური კავშირების განცდას და ზემოთ ნახსენები მიმართვების ფორმები სწორედ ამ მოვლენის ამსახველია. ეს ისაა, რაც რელიგიურ ერთობებს დამატებით გამძლეობას ანიჭებს. მაგრამ ეს სხვათა შორის.

ამჯერად ჩემთვის არსებითი ისაა, რომ ქრისტიანებისათვის და წარმართებისათვის თანაბრად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მიმართვის ფორმა დედაო ანუ ნინო. ამიტომ მოხდა, ვიმეორებ, რომ მისიონერმა ქალმა ქართველთა პერცეფციებში წარმართი ქალღვთაების – დედა/მაწოვნებელის ადგილი დაიკავა. დედა-მფარველზე ინფორმაციის განსათავსებლად საჭირო „ფაილი“ სახელწოდებით ნინო (ანუ დედა) უკვე არსებობდა ქართული ერთობის ისტორიულ მახსოვრობაში.<sup>84</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთიქრობ, რომ არ არის მართებული, როცა მ. სურგულაძე სწორედ მეხსიერების ხატების მოხმობით ცდილობს უარყოს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ავთენტურობა.<sup>85</sup> ქრისტიანი განმანათლებლის ნინოდ ანუ წარმართული ქალღვთაების ანალოგიურად დედად გააზრება მოსალოდნელია სწორედ წარმართობიდან ქრისტიანობაზე გარდამავალ ეპოქაში.

ამგვარად, ვითარება ასე წარმოდგება: როცა მოულოდნელად განადგურდა არმაზის კერპი, გამოუვალი დილემის წინაშე დადგა მირიანი, სწორედ ამ დროს მის თვალსაწიერში გამოჩნდა.

84 ნ. ბერძნიშვილს არსებითად შენიშნული ჰელიგოური ტრანსფორმაციისას კოგნიტურ ადაპტაციის ეს თავისებურება, ამას მაფიქრებინებს მისა მსჯელობა ლეიტონტი მრივების მიერ ქართველი კაცის კულტურული სახის მოხაზვათან დაკავშირებით: „მოხდა დიდი ისტორიული ტეხილი: ქართული წარმართობა ქრისტიანობით შეიცვლა და კულტურული ცნების ქართველის შინაარბში ქრისტიანობის მომენტმა ის ადგილი დაიკავა, რაც აქამდე ქართულ წარმართობას ეჭირა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობამ რაღაც განსაკუთრებული მომენტი შეიტანა „ქართველის“ კულტურულ ცნებაში. ქართველი სრულად გამოკვეთილი კულტურულ ცნება იყო და ამ მხრივ ახალი სარწმუნოება „ქართველის“ კულტურულ ჩამოყალიბებაში ახალ მომენტს ვერ შეიტანდა. ქრისტიანობაშ მხოლოდ ის ქნა, რომ წარმართობის ადგილი დაიჭირა“ (ნ. ბერძნიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 382-383). ეს მსჯელობა მართებულია მახსოვრობითი ადაპტაციის გააზრების თვალსაზრისით, თუმც არაზუსტი „ქართველობის“ კონცეპტის ჩამოყალიბებაში ქრისტიანობის როლის განსაზღვრისას.

85 მ. სურგულაძე, სოციალური მეხსიერების ფაქტები „ნინოს ცხოვრებაში“. წმიდა ნინო (სამეცნიერო კრებული), I (რ. სიარძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით), თბილისი, არტანუჯი, 2008, გვ. 321-329.

და მისიონერი ქალი, რომელმაც თავისი კურნების ნიჭით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ამიტომ მირიანმა გადაწყვიტა მისი ფიგურა ახალი რელიგიური რეფორმისათვის გამოეყენებინა. მაგრამ ეს რეფორმა ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა, არამედ არმაზის კულტის რეანიმაცია. ამიტომ შესაბამისი გეგმა შესთავაზა წმინდა ნინოს, რომელშიც მისიონერ ქალს ქართლის დედის ანუ მანოვნებელის ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

როგორც წყაროდან ირკვევა, ნინომ მირიანის ეს შეთავაზება არ მიიღო და საპასუხოდ ქართლის მეფეს ქვეყნის ქრისტიანიზაციის პერსპექტივა გადაუშალა.

#### 4.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის მიხედვით მისიონერ ქალს ანუ ნინოს მირიანის მიერ საკმაოდ კატეგორიულად („კმა-გეყავნ ჩემგან ბრძანებად ესე“) შეთავაზებული ლეგენდის საპასუხოდ წარმოუთქვამს ვრცელი სიტყვა ქვეყნის შემოქმედი და ყოველი დაბადებულის დამბადებელი ღმერთის შესახებ, რომელიც დაუმთავრება ასე:

ხოლო ან მეფე, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა; მე ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღმრთისა, და ხალენისა მის ელიასი ყოფა ვიეთმე აქა თქუეს, და მრავალნი სასწაულნი არიან აქა, რომელნი თვთ ღმერთმან გაუწყენეს. ხოლო მე ესე მთავარი განვკურნო ძალითა ქრისტეს ჩემისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა იგი დედოფალი ნანა განკურნა ღმერთმან სენისა მისგან ფიცხლისა და რაღ-იგი ვაუწყე მას, ჰყოფს მას იგი, რათა სულიცა თვისი განაბრნყინვოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა“.<sup>86</sup>

მართალია, ეს პირდაპირი უარი არ არის, მაგრამ სხვა თემაზე სიტყვის გადატანა ცხადყოფს, რომ მისიონერმა ქალმა ფაქტობრივად უარყო მეფის შეთავაზება და მანოვნებელის საპატიო სტატუსი. ამგვარი ქცევა ქრისტიანი მოღვაწისაგან სავსებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ მოულოდნელი ისაა,

86 ქეგლები, I, გვ. 133-134.

რომ მეფის მხრიდან ამ უარს არ მოჰყოლია მკაცრი რეაქცია. ლოგიკური კი ჩანდა, რომ მირიანს უფრო მეტი კატეგორიულობით გაემეორებინა თავისი პროექტი. მაგრამ რახან მან ეს არ გააკეთა, უნდა ვიფიქროთ, მისიონერი ქალის სიტყვაშ მას დაათმობინა არმაზული რელიგიის რეანიმაციის გეგმა და ქრისტიანობის სასარგებლოდ მიაღებინა გადაწყვეტილება. ეს რომ მართლაც ასეა, ამას, ვფიქრობ, ადასტურებს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მომდევნო თავიც, რომელიც მოგვითხრობს მირიანის მოქცევის შესახებ. მართალია, ამ თავში მეფის მოქცევა ერთგვარად იმპულსურ, სასწაულით გამოწვეულ ფაქტად არის წარმოჩენილი, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მირიანი ამ სასწაულს შინაგანად სავსებით მომზადებული შეხვდა. მას პრინციპში გადაწყვეტილი ჰქონდა გაქრისტიანება.

რა დამარტმუნებელი ინფორმაციის შემცველი იყო წმინდა ნინოს ზემოთ ხსენებული სიტყვა?

ცხადია, ეს არ არის ნანა დედოფლის განკურნების ამბავი, რომელიც მირიანმა კარგად იცოდა და მაინც ზემოხსენებული შეთავაზება გააკეთა. სრულიად აშკარაა, რომ ქრისტიანობის სასარგებლოდ მეფის გადაწყვეტილების მიზეზი იყო ცნობა უფლის კვართისა და ელიას ხალენის შესახებ.

მაგრამ ეს რელიგიები რა მიმზიდველობას შესძენდნენ ქრისტიანობას კერპთაყვანისმცემელი და ცეცხლთაყვანისმცემელი მონარქისათვის?

მირიანის მამათა სარწმუნოება იყო ცეცხლთაყვანისმცემლობა, „სპარსთა რჯული“ და, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო იმპერიის რელიგია, მირიანი მის სასარგებლოდ არ თმობდა ქართლის კერპებს, რომლებიც ქართული ერთობისთვის ქმნიდნენ იდენტობრივ ნიშას. ქრისტიანობას არსებითად იგივე პრობლემა უნდა ჰქონდა, რაც „სპარსთა რჯულს“, იგი ქართული არ იყო, მეტიც, მირიანის ზეობის ბოლოსათვის იგი მკაფიოდ სხვისი ანუ „რომთა რჯული“ გამხდარიყო. ქართლის სატახტო ქალაქში დაფლული უფლის კვართი და ელიას ხალენი კი ქრისტიანობის ადგილობრივ ნიადაგში ჩაზრდის პერსპექტივას სა-

ხავდა. უნივერსალურ ქრისტიანობას ამ ყველაზე პრესტიული ქრისტიანული რელიგიების კონკრეტულ ქვეყანაში დაფლულობა სძენდნენ ადგილობრივ განზომილებას. ნინოს სიტყვამ მირიანს დაანახვა სწორედ აღნიშნული ფაქტი: ტრანსეთნიკური რელიგიაც შეიძლებოდა გამხდარი ქართულია იდენტობის მარკერი.

ცხადია, მირიანი ამ საკითხებს რაციონალურად, ეთნიკური დადგინების პროცესის თანამედროვე თეორიების თვალსაწიერიდან არ განიხილავდა, მაგრამ იგი, როგორც სრულიად განსაკუთრებული პოლიტიკური მოღვაწე, ცხოვლად გრძნობდა ქართული ერთობის ფუნდამენტურ საჭიროებებს და მოქმედებდა შესაბამისად.

გაქრისტიანების შედეგად დაიწყო წარმართულ იდენტობაზე დაფუძნებული ქართული ერთობის გააზრება, როგორც წმინდა ზიარებისა ქრისტეში ანუ ერთობის საკრალიზაცია. ეს გარდასახვა განხორციელდა იდეოლოგიით, რომლის ავტორი (ცხადია, გარკვეულ თანამოაზრეთა გუნდთან ერთად), როგორც ჩანს, თავად მეფე მირიანი იყო. ეს იყო ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია.

როგორც ქართული ეთნიკური ერთობის გადარჩენისათვის, ისე ქართული ნაციის დღევანდელი სახის უმთავრესი შტრიხებისათვის გადამწყევტი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური რჩეულობის იმ იდეოლოგიას, რომელიც წარმოიშვა ქართლის მოქცევის ფაქტის პარალელურად, როგორც ეთნიკური კოლექტივის პასუხი იმ გამოწვევაზე, რომელიც მოჰქონდა კოსმოპოლიტური ქრისტიანობის დანერგვას.

ამავე ეპოქაში კვლავ სამეფო ოჯახის და კონკრეტულად მირიანის ინიციატივით უნდა შექმნილიყო უძველესი ქრისტიანული ჰიეროტოპიული პროექტი ქართლში. გამოკვლევის ეს მონაკვეთი წარმოადგენს ქართული სინამდვილისათვის უძველესი ქრისტიანული ჰიეროტოპიული პროექტის რეკონსტრუქციის შედეგებს. აღნიშნულ პროექტს პირობითად შეიძლება ეწოდოს „მცხეთა – ახალი იერუსალიმი“, რამდენადაც მის საფუძველზე ხდებოდა მცხეთის საქალაქო ტერიტორიის და მისი შემოგარე-

ნის გააზრება „ახალი იერუსალიმის“ სივრცულ-ლანდშაფტურ ხატად. კერძოდ, აღდგება შემდეგი სურათი: მცხეთა და მისი მიმდებარე რაიონები სულიერი და ფიზიკური მარკერებით გაყოფილი იყო ორ ნაწილად: სამეფო ბალი გაიაზრებოდა ზეციური (ზედროული) „ახალი იერუსალიმის“ ხატად, მაშინ როცა ქალაქის დანარჩენი ნაწილი და მისი შემოგარენი ქმნიდა მიწიერი (ისტორიული) „ახალი იერუსალიმის“ სახეს. სამეფო ბალი ახდენდა მომავლის პროექციას, ბალის გარეთ კი გამუდმებით „უხმობდნენ“ წარსულს. ამასთან წარსულიცა და მომავალიც თავს იყრიდა აწმყოში. დროის ამგვარი გაგება, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ქრისტიანობისათვის საზოგადოდ, და, კერძოდ, შუა საუკუნეებში:

თანამედროვეობა მორწმუნის თვალში არაჩვეულებრივად ტევადი იყო, არსებითად იგი მოიცავდა მთელ ისტორიას და მთელ მომავალსაც. დროის სხვადასხვა პლასტი ერთმანეთს ეფინებოდა და შენივთდებოდა სპეციფიკურ დროით კონტინუუმში; ადამიანს შეეძლო ყოფილიყო ქრისტეს დაბადების, მისი ჯვარცმის, აგრეთვე სამყაროს დასასრულის მოწმე.<sup>87</sup>

პროექტი შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველი ცენტრირებული იყო ცხოველმყოფელ სვეტზე და უფლის კვართით მონიშნულ სამეფო ბალში ახდენდა ახალი იერუსალიმის (ზეციური იერუსალიმის აზრით) პროექციას. როგორც საფიქრებელია, მის დიზაინშიგადამწყვეტი როლი ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს ეკუთვნის.

პროექტის მეორე ნაწილის ცენტრში მოქცეული იყო მცხეთის ჯვარპატიოსანი, იგი გულისხმობდა ახალი ანუ ქრისტიანული იერუსალიმის საკალური ტოპოგრაფიის მცხეთაში გადმოტანის გზით სივრცულ-ლანდშაფტური ხატის შექმნას. ეს ხატი ანუ წმინდა პროტოტიპის მიხედვით ორგანიზებული გარემო საჭირო იყო სარიტუალო პერფორმანტულობისათვის. არსებითად, ეს იყო „ახალი იერუსალიმის“ არა მარტო სივრ-

87 А. Я. Гуревич. Культура и общество средневековой Европы глазами современников (Exempla XIII века). Москва, Искусство, 1989, гл. 141 (თარგმანი ჩემია, მ. ჩ.).

ცული, არამედ სივრცულ-პერფომანტული ხატი.<sup>88</sup> პროექტის ამ ნაწილის რეალიზაცია ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ მისი მოხაზვა, ძირითადი შტრიხების გამოკვეთა უდავოდ უკავშირდება რელიგიური მოქცევის ეპოქას და პირველი ქრისტიანი მეფის ძის რევის სახელს.

განსახილველი პროექტის ორივე ნაწილი თითქმის თანად-როულად ჩანს წარმოშობილი, თუმც თავიდან აქტუალიზებული იყო პირველი, რომელიც მაღლევე ჩანაცვლდა პროექტის მეორე ნაწილით. ამგვარად, პროექტის პირველი ნაწილი „დაიხურა“ მაგრამ არა იმ აზრით, რომ გაქრა, არამედ იმ გაგებით, რომ შენახულ („დამარხულ“) იქნა გარკვეულ დრომდე ისევე, როგორც უფლის კვართი, რომელიც პროექტის ამ ნაწილის ბირთვი იდეაა.

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ შეუასუნებელი მცხეთა გაიაზრებოდა ახალ იერუსალიმად, გამოთქმულ იქნა საკმაოდ ადრე. კ. კეკელიძემ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მიუთითა მცხეთაში იერუსალიმის ტოპონიმიკის გადმოტანის მაჩვენებელ ფაქტებზე.<sup>89</sup> მკვლევარი მათ განიხილავდა როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამტკიცებელ საბუთს ქართული ეკლესის იერუსალიმური წარმოშობის შესახებ თვალსაზრისის არგუმენტთა შორის. ამგვარად, კ. კეკელიძეს ქართულ მიწაზე ახალი იერუსალიმის ხატის შექმნა წარმოუდგებოდა რაღაც განსაკუთრებულ, უნიკალურ ქართულ ფენომენად, რაც, არ არის სწორი. მცხეთის, როგორც იერუსალიმის ხატის, გააზრება სხვა არაფერია თუ არა მთელს საქრისტიანოში გავრცელებული პრაქტიკის ერთი-ერთი გამოვლინება, სხვადასხვა ადგილზე შეექმნათ წმინდა ქალაქის სივრცულ-ლანდ-შაფტური ხატი.

88 „ხატი“, როგორც ცნობილია, ნიშნავს პროტოტიპის მსგავსს. ხატი შეიძლება იყოს ფერნერული. ეს არის ხატის ფიზიკური არსებობის ჩვენთვის ყველაზე უფრო ნაცნობი ფორმა. როგორც ზემოთ ითქვა, ხატი შეიძლება იყოს სივრცულ-ლანდშაფტური, თუ მსგავსება ანუ ხატება მიიღწევეთა სივრცული ფორმებით: სხვადასხვა საგნების, არქიტექტურის, ლანდშაფტის მეშვეობით. რიტუალური ქმედება, რომლის მიზანი, როგორც წესი, პროტოტიპული წმინდა ქმედების გამოორებაა, არსებითად არის პერფორმატული ხატი ანუ ხატი, რომელიც მიღებულია გარკვეული წარმოდგრენის (ესა პერფორმანსის ერთ-ერთი მნიშვნელობა) საფუძველზე.

89 კ. კეკელიძე. К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви. ეტო უდები ძეელი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 362.

კ. კეკელიძის დაკვირვება ბევრი მკვლევრის მიერ იქნა გაზიარებული. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხდებით მის დამოწმების, პერიფრაზირების, ციტირების შემთხვევებს. მაგრამ ტოპონიმების ჩამონათვალი აღარ შევსებულა. სამაგიეროდ გაჩნდა ახალი უზუსტობანი თავად ფაქტის გააზრებაში. მკვლევართა ერთმა ნაწილმა მცხეთაში იერუსალიმის ტოპონიმების გადმოტანის ფაქტი საქართველოს იუდეველი მოსახლეობის აქტივობას დაუკავშირა.<sup>90</sup> მაგრამ, კ. კეკელიძის მიერ შენიშნული ტოპონიმები, არის არა საზოგადოდ იერუსალიმური, არამედ ესაა ქრისტიანული ანუ ახალი იერუსალიმის ტოპონიმიკა. შესაბამისად, არაა მართებული ამ ტოპონიმიკის გაჩენა დაუკავშიროთ ქართლის არაქრისტიანი მოსახლეობის ინტერესებსა და მის სოციალურ აქტივობას. ეს ქმედება ქრისტიანული იდეოლოგიით ნასაზრდოები რელიგიური მოქცევის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

მოგვიანებით იმის საჩვენებლად, რომ მცხეთა გაიაზრებოდა როგორც „ახალი იერუსალიმი“, ტოპოგრაფიული მონაცემების გარდა, დაინყეს მითითება „ნმინდა ნინოს ცხოვრებაზე“. ყურადღებას ამახვილებდნენ ცხოველმყოფელი სვეტის სახეზე. სვეტი აღძრავდა ასოციაციებს მისტიკური ახალი იერუსალიმის უმნიშვნელოვანეს მარკერთან – მის შუაგულში აღმართულ სიცოცხლის ხესთან. გამოთქმულ იყო არაერთი, თხზულების სიმბოლიკის გასახსნელად ძალიან მნიშვნელოვანი, დაკვირვე-

90 “Such an exclusive peculiarity of this cemetery can be accounted for by the fact that the city of Mtsketa was revered as “another Jerusalem” not only by Christians, but also by the Jewish population of Georgia, because represented here were analogies of all the holy places of Palestine and its neighboring areas – Zion, Golgotha, Tabor, Bethania, Bethlehem, Gethsemane, Antioch an so on”. ix. : T. Mgaloblishvili, Y. Gagoshidze. The Jewish Diaspora and Early Christianity in Georgia. Ancient Christianity in the Caucasus. *Iberica Caucasicia*. Vol. 1 (Ed. T. Mgaloblishvili), Curzon: Caucasus World, 1998, გვ. 53. შდრ. ზ. კიკნაძე: „დავძენთ ჩვენი მხრივ, რომ მცხეთა უფრო ადრე ქართველ ებრაელთა („ჰურიათა ქართველთა“) მეორე იერუსალიმი გახდა, სადაც პირველად დამკავდრდნენ ისინი და საიდნაც გაიცანენ შემდეგ საქართველოს ფარგლებში. მცხეთა შეიქმნა მთია მიკროდისაპორის. . საწყის ადგილი. უნდა ვყვარაუდოთ, რომ, რაკე პირველი ქრისტიანები მცხეთაში ებრაელთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, ისინიც შეიტანდნენ თავიანთ წვლილს ქართლის სატახტო ქალაქში პალესტინური სახელმძღვანელების დანერგვასა და საყოველთაოდ დამკავდრებაში“. იხ.: ზ. კიკნაძე. საკალაური ტოპონიმია. ონომასტიკა I (სკად. შ. ძიძეგურის საერთო რედაქციით), თბილისი, თსუ, 1987, გვ. 96-97.

ბა, მაგრამ აღნიშნულ შრომებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევაში აქვთ საერთო ნაკლი: ყურადღება არაა გამახვილებული ახალი იერუსალიმის კონცეპტის სხვადასხვა შინაარსზე, რის გამოც ძნელი ხდება ავტორთა თვალსაზრისის გაგება მცხეთაში შექმნილი იერუსალიმის რეპლიკის პროტოტიპთან დაკავშირებით: კონკრეტულად რის ხატად გაიაზრებოდა მცხეთა – ზეციური ახალი იერუსალიმისა, თუ მიწიერი ქალაქისა. მკვლევართა (გ. ნარსიძე, რ. სირაძე, ლ. პატარიძე) უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა განემტკიცებინათ აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტიანული მცხეთა – ეს იყო იერუსალიმის ხატი, ხოლო კონკრეტული ჰიეროტოპიული პროექტის რეკონსტრუქციის ამოცანა, როგორც წესი, არ ისმოდა. არადა, შეა საუკუნეების ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, სწორედ ამგვარი რეკონსტრუქცია არის მნიშვნელოვანი.

ვიდრე სამეფო ბალის, როგორც ზეციური იერუსალიმის ხატის წარმოასაჩენი მასალის წარმოდგენაზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ განვმარტო ჰიეროტოპიული მიდგომის არსი და თავად „ახალი იერუსალიმის“ კონცეპტი.

„ჰიეროტოპია“ – ამ ტერმინით აღინიშნება საკრალური სივრცის შესაქმნელად მიმართული აქტივობის ფაქტები და მეცნიერების სფერო, რომელიც ამგვარ შემოქმედებას სწავლობს.<sup>91</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკრალური სივრცეები კარგა ხანია მეცნიერთა საგანგებო ინტერესის საგანგია და არაერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება თუ დასკვნა უკვე დაგროვილია ამ პრობლემის შესახებ, ჰიეროტოპია იძლევა თვისებრივად ახალ იმპულსს ამ მიმართულებით კვლევების წარმართვისათვის. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სივრცის საკრალიზაციის პროცესში აზრობრივად მკაფიოდ იმიჯნება ერთმანეთისაგან ღვთაებრივი ჩანაფიქრი – ადგილის მონიშვნა ღვთაებრივი ინტერვენციის შედეგად ანუ ჰიეროფანიის აქტი და თავად ადამიანური მოქმედება – ჰიეროფანიის ადგილის მოწყობა

91 А. М. Лидов. Иеротопия. Создание сакральных пространств как вид творчества и предмет исторического исследования. Иеротопия. Исследование сакральных пространств. Материалы Международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2004, გვ. 15.

გარკვეული კონცეფციის საფუძველზე ანუ ჰიეროტოპია, რითაც საკრალური სივრცის შექმნის პროცესი დაკვირვებადი და მეცნიერული ანალიზისათვის მოხერხებული ხდება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღების გამახვილება „სივრცული ხატის“ და „სივრცულ-ლანდშაფტური ხატის“ ცნებებზე.<sup>92</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი რეპროდუქციის რამდენიმე ტიპია დადასტურებული: ხან ხდებოდა წმინდა გარემოსათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმების გადმოღება, ხან მეორდებოდა ტოპონიმიკა, ხანაც სივრცის დიზაინი, ხან კი – რაოდენობრივი მახასიათებლები (მაგალითად, ზომები) ან თვლადი ელემენტების (მაგალითად, სვეტების) რიცხვი. რეპროდუქციისათვის დამახასიათებელი იყო პირობითობის სხვადასხვა ხარისხი: ორიგინალთან მაქსიმალური მსგავსება ან პროტოტიპის უკიდურესად თავისუფალი გადმოცემა.<sup>93</sup>

„სივრცულ ხატებს აქვთ როგორც ხილული, ასევე უხილავი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც არსებობენ იმათ ცნობიერებაში, ვინც ეს ხატები შექმნა და ვინაც ეს ხატები უნდა აღიქვას“.<sup>94</sup> სწორედ ეს „უხილავი ნაწილები“ წარმოადგენენ ინტერესის საგანს მენტალობათა ისტორიისათვის, ისევე როგორც თავად ჰიეროტოპიული პროექტები, რომლებიც მთლიანად განეკუთვნება მენტალური ისტორიის სფეროს.

92 А. М. Лидов. *Пространственные иконы. Чудотворное действие с Одигитрией Константинопольской*. Иеротопия. Исследование сакральных пространств. Материалы международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2004, გვ. 115.

93 M. Bacci. Relics and Holy Icons as historical memento: The idea of the Apostolicity in Constantinople and Rome. 11<sup>th</sup> – 13<sup>th</sup> centuries. Реликвии в искусстве и культуре восточнохристианского мира. Тезисы докладов и материалы международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2000, с. 32.; А. Л. Баталов. *Моделирование сакрального пространства в позднесредневековой Руси: Аспекты архитектурной программы*. Иеротопия. Исследование сакральных пространств, реликвии в искусстве и культуре восточнохристианского мира. Тезисы докладов и материалы международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2000, გვ. 156; Л. А. Беляев. *Гроб Господен и реликвии св. Земли. Христианские реликвии в Московском Кремле* (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2000, გვ. 95.

94 А. М. Лидов. *Москва не столько Третий Рим, сколько Второй Иерусалим*. Интервью для интернетной публикации «Время Новостей», 29 июня – № 112, 2006 (თარგმანი ჩემია, მ. ჩ.).

ახლა რაც შეეხება „ახალი იერუსალიმის“ კონცეპტს. მისი შინაარსის გასაგებად, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, მოვიშველიოთ ნმინდა ნერილი, სადაც ეს ტერმინი მიემართება ქალაქს (გამოცხადება 21:14). მაგრამ კონტექსტიდან აშკარაა, რომ სიტყვა შეეხება არა რეალურად არსებულ დასახლებულ პუნქტს, არამედ ადამიანური ყოფიერების ახალ, ჯერარგანც-დილ დონეს: უფლის რჩეულთა უშუალოდ ღმერთის გვერდით მარადის ყოფნას. ქრისტიანული გაგებით სწორედ ამგვარი მდგომარეობის მიღწევა შეადგენს ადამიანის არსებობის საზრისს. ასე რომ, აპოკალიფსური „ახალი იერუსალიმი“ არსებითად ქრისტიანობის ბირთვი-იდეაა.

მაგრამ ქრისტიანული ტრადიციისათვის დამახასიათებელია „ახალი იერუსალიმის“ ცნების არააპოკალიფსური ინტერპრეტაციაც. ამ შემთხვევაში იგი გამოიყენება „მეორე იერუსალიმის“ აზრით და მიემართება მინაზე რეალურად არსებულ გეოგრაფიულ პუნქტს. ამ შინაარსით ტერმინი პირველად გამოყენებულ იქნა უკვე IV საუკუნეში. ასე უწოდა კონსტანტინე დიდმა ტაძრებს, რომლებიც ააგო ქრისტეს ვნების ადგილას. ტაძრთა კომპლექსი განლაგებული იყო ძველი იერუსალიმის მოპირდაპირე მხარეს, რომელიც მაშინ ატარებდა Aelia Capitolina სახელწოდებას და შეიცავდა ორ ტაძარს – აღდგომის ეკლესიას („ანასტასის“) ანუ ტაძარს ქრისტეს დაცარიელებულ საფლავზე და პატიოსანი ჯვრის პოვნის ადგილას აღმართულ ბაზილიკას.<sup>95</sup> ქრისტიანობისათვის, ისევე როგორც ყველა რელიგიისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია წმინდა ადგილების დაფუძნება, სივრცის ორგანიზება გარკვეული იდეოლოგიური მოთხოვნილებების შესატყვისად. რიგ შემთხვევაში ასეთად იქცევა ის წერტილი, სადაც უშუალოდ დადასტურდა პროფანულ სამყაროში ღვთაებრივი ინტერვენციის აქტი, რიგ შემთხვევაში კი ამისათვის საკმარისია უკვე არსებული წმინდა ადგილის ახალ ადგილზე რეპროდუქცია, მისი ასლის, უფრო

95 С. Л. Яворская. Значение креста в иеротопическом замысле Нового Иерусалима. От Константина Великого до царя Алексея Михайловича. *Новые Иерусалимы. Перенесение сакральных пространств в христианской культуре*. Материалы международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов), Москва, 2006, гл. 153.

ზუსტად, ხატის შექმნა. სრულიად ბუნებრივია, რომ ყველაზე ხშირად ხდებოდა სწორედ იერუსალიმის ხატის შექმნა. ახალ ადგილას ისტორიული იერუსალიმის ხატი ანუ „ახალი იერუსალიმი“ ქმნიდა ორიგინალის შესატყვის (თუ არა ტოლფას) სიწმინდეს.

სამეფო ბალის, როგორც ზეციური იერუსალიმის ხატის, რეპრეზენტირება კი ასეა შესაძლებელი:

### მთავარი ფრაზა.

დაბა ბუდში წმინდა ნინომ ყურადღება გაამახვილა იმ კო-მენტარზე, რომელიც მისმა მოწაფე სიდონიამ გააკეთა მის ერთ ჩვენებასთან დაკავშირებით:

ჩუენებაზ შენი არს ესე, რამეთუადგილი ესე სამოთხისაზ შენ მიერ იქმნეს სამოთხც სადიდებელად ღმრთისა, რომლისაც არს დიდებაზ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.<sup>96</sup>

ამგვარად ესაა პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ სამეფო ბალი – სამოთხე მომავალში ზეციური სამოთხის ადგილი გახდება.

ისევე როგორც მრავალ ენაში, ქართულშიც, როგორც უკვე ითქვა, სამოთხე ნიშნავს ბალსაც და მისტიკურ ზეციურ სამყოფელსაც. ამგვარად, ტექსტში საუბარია, რომ სამოთხე ანუ ჩვეულებრივი ბალი წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად გა-დაიქცევა სამოთხედ ანუ ზეციურ სავანედ. სიტყვათა თამაში ფრაზას აძლევს დიდ გამომსახველობას. შთაბეჭდილება კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ სიდონია წმინდა ნინოს უბრალო მოწაფე კი არაა, არამედ სრულიად განსაკუთრებული პიროვნებაა, წარმომადგენელია ქართველი ებრაელების იმ ოჯახისა, რომლის წევრი ქალებიც დაჯილდოებულნი იყვნენ წინასწარმეტყველების უნარით. ასე რომ, სიდონიას მიერ წარმოთქმული ზემოთ ციტირებულ სიტყვებს მკითხველი, რომელმაც ეს იცის, ცხადია, აღიქვამს წინასწარმეტყველებად. ამგვარად, ციტირებული წინადადება ფაქტობრივად არის პროექტის გასაღები ფრაზა.

## ლიმინარული სივრცის ხატი.

როგორც ცნობილია, საკრალური სივრცის შემოსაზღვრით სათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამყოფი ხაზის ფიქსაცია მასსა და პროფანულ სივრცეს შორის. აქ ძირითად ატრიბუტს კარი წარმოადგენს. კარს სხვადასხვა კულტურაში აქვს დიდი სიმბოლური დატვირთვა.<sup>97</sup> მისი დიზაინის მეშვეობით გადმოიცემოდა მიღმა მყოფი სივრცის არსი. „„ლიმინალობა“ („სასაზღვროობა“) – ეს არის შესასვლელი სივრცეების მთავარი მახასიათებელი. ისინი მდებარეობენ ორი ზონის – საკრალურისა და პროფანულის – საზღვარზე. სხვა სიტყვებით, ისინი თავად წარმოადგენენ საზღვარს. სწორედ ამიტომ, სახვითი საშუალებებით ლიმინარულობის მონიშვნა იქცევა იკონოგრაფიული პროგრამების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად, რომლებიც ახორციელებენ ლიმინალობის იდეას. ამ გამოსახულებათა ნაწილი უშუალოდ მიუთითებს სივრცის თემაზე“.<sup>98</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ სამეფო ბალს მცხეთაში ჰქონდა შესაბამისად გაფორმებული შესასვლელი, რადგანაც ის გაიაზრებოდა ზეციურ იერუსალიმად ანუ სრულიად არაორდინარულ ზესაკრალიზებულ სივრცედ. სამწევაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა ეს ზღვრული გარემო მატერიალურად, მაგრამ გვაქვს პირველხარისხოვანი ცნობები წარმოსახვითი პორტალის დიზაინის აღსადგენად. ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია წმინდა ნინოს მისვლა მეფის ბალში ასე იწყება:

და მი-რაღ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა იყო სახლაკი მცირე სამოთხის მცველისაა, და შე-რაღ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიტკბო მე

97 6. აბაკელია. ზღურბლისა და კარის სიმბოლიკისათვის ქართულ ტრადიციაში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXV (კრებული მიძღვნილი პროფ. ვ. ბარდაველიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი). თბილისი, 2003.

98 Г. Геров. *Иконография лиминального. Символика вертикали в сакральном пространстве церковного входа. Иеротопия. Исследование сакральных пространств. Материалы международного симпозиума* (Редактор-составитель А. М. Лидов). Москва, Радуница, 2004, გვ. 110.

ვითარცა მეცნიერმან და მეგობარმან. დამბანა ფერწენი ჩემნი და მცხო ზეთი და დამიგო ტრაპეზი და ღვნოვ და მაიძულა მე ჭამად და სუმად.<sup>99</sup>

საოცარი კადრია დაფიქსირებული. მთხოველი აშკარად ესწრაფვის შექმნას შთაბეჭდილება, რომ ანასტოსი განდობილი პიროვნებაა, რომ იყო თითქოს საუკუნეები ელოდა, რათა აღესრულებინა მთავარი თავისი დანიშნულება: შეეცნო უცხოში მხსნელი და შესაბამისად მიეღო იგი. სამოთხის მცველის მეუღლის განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს მთხოველი იმ ჯილდოთიც, რომელსაც იღებს სამოთხის მცველის ოჯახი ღმერთისაგან: ანასტოსი იყო უშვილო. წმინდა ნინომ ძილში იხილა ნათლით მოსილი კაცი, რომლის მითითების თანახმად, ბალის გარკვეული ადგილიდან აღებული მიწა შეაჭამა ანასტოსასა და მის ქმარს, რის შემდეგაც მათ ეყოლათ მრავალი შვილი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ქალის სახელიც – „ანასტოს“, რაც ბერძნულად „ალმდგარს“ ნიშნავს. ეს მნიშვნელობა შეესატყვისება ბალის ზეციურ სამოთხედ ანუ ახალ იერუსალიმად გააზრებას. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების თანახმად, ხომ „ახალი იერუსალიმი“ არის ალმდგართა სამყოფელი ანუ აღდგომის მისტერიით მარკირებული რეალობა. აშკარაა, რომ არსებითად ჩვენ საქმე გვაქვს ბალის პორტალის მენტალური ხატის სიტყვიერ ხორცებსმასთან: განდობილი ქალის სახე „წარწერით“ – „ალმდგარი“. თავის მხრივ, აღნიშნული სახე წარმოადგენს დეტალს წარმოსახვითი ხატისა „წმინდა ნინო სამოთხის კართან“.

ყოველ ჯერზე მორწმუნის ბალთან მიახლოებისას უნდა მომხდარიყო აღნიშნული მენტალური ხატის ანუ სივრცულ-ლანდშაფტური კომპლექსის „მცხეთა – ახალი იერუსალიმი“ „უხილავი შემადგენელი ნაწილის“ წარმოსახვითი რეპროდუქცია. ამ ხატს პროფანული სამყაროდან საკრალური სამყაროსაკენ მიმავალი ინდივიდი უნდა გადაეყვანა სრულიად სპეციფიკურ გარდამავალ მდგომარეობაში, რომელსაც თანამედროვე ანთროპოლოგიური მეცნიერება ახასიათებს, რო-

99 ქეგლები I, გვ. 122.

გორც ლიმინარულ ფაზას.<sup>100</sup> ამგვარი დიზაინი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ორ, სხვადასხვა ღირებულების მქონე, სივრცეს შორის ხაზის დაფიქსირება და რომელიც თავიდანვე საცნაურს ხდიდა კარსმილმიერი რეალობის რაობას, აგრძნობინებდა მორწმუნება, რომ ზღვრის გადალახვა ეს არაა უბრალოდ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, არამედ შესვლაა ზეციური იერუსალიმის საკრალურ სივრცეში.

მორწმუნე მყოფი სამოთხის კარზე – ეს არის სტერეოტიპული კადრი მთელ ქრისტიანულ ხატნერაში. მისი მიზანი სწორედ ლიმინალობის სახის შექმნაა. უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ამ სახემ, როგორც ვნახეთ, ძალიან ორიგინალური გადაწყვეტა ჰპოვა.

### **საკრალიზებული სივრცის ხატი.**

ნმინდა იოვანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში განსაზღვრულია ახალი იერუსალიმის (ზეციური იერუსალიმის აზრით) უმთავრესი ნიშნები. მათი რიცხვი ათეულზე მეტია. მაგრამ შეიძლება მაინც გამოიყოს რამდენიმე უმთავრესი, რომელიც ყოფიერების დღევანდელი დონისაგან განასხვავებს მდგომარეობას განკითხვის დღის შემდგომ. უპირველეს ყოვლისა, ესაა ადგილი, სადაც ფიქსირდება ღმერთის პერმანენტული ყოფნა. მეორეც, ამ ქალაქის მკვიდრნი არიან მართალი, ე. ი. ისინი ვინც საბოლოოდ აღდგნენ მკვდრეთით. ანუ ზეციური იერუსალიმი არის მკვდრეთით აღდგომის ნიშნით აღბეჭდილი რეალობა. კაცობრიობის მიმდინარე განვითარება არის ეკლესის მოღვაწეობის პერიოდი. ამ დროს მთავარია ჯვარცმის მისტერია, ჯვარცმულის მიერ გაღებული მსხვერპლის ხსოვნა. ამ პერიოდში ძე ღმერთის სიმბოლო არის ჯვარი. მაგრამ ზეციურ იერუსალიმში ძე ღმერთი აღარ გვევლინება ჯვარცმულის სახით. იგი დიდებით ზის მამის გვერდით ანუ ჯვარცმულის სახება გადაფარულია ტრიუმფატორის სახით.

**როგორც ვთქვი, ბევრი სხვა ნიშნითაც შეიძლება აპოკა-**

100 ი. რატიანი. ლიმინალობა – ანთროპოლოგისა და თანამედროვე ლიტერატურის თეორიის პრობლემა. / საერთაშორისო სიმპოზიუმი “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები”, თბილისი, 2007, გვ. 152.

ლიფსური „ახალი იერუსალიმის“ დახასიათება, მაგრამ მე ამ-ჯერად მათ ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, რადგან ისიც რაც დასახელდა, ვფიქრობ, საკმარისია ისტორიის დასასრულს<sup>101</sup> ადამიანური ყოფიერების ახალ დონეზე თვისებრივი გარდასახვის მასშტაბის მოსააზრებლად. მაგრამ როგორ ხდებოდა მცხეთელი მეფის ბალში ამგვარი მარკერების ხატის შექმნა?

მეფის სამოთხეში აგებულ პირველ ქრისტიანულ ეკლესიას ერქვა „წმიდად წმიდათად“. როგორც მართებულად არის მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, ეს არის ადგილი, სადაც იგულისხმება ღმერთის ყოფნა. მირიანი ამ ეკლესიას უწოდებდა კიდეც ღმერთის სახლს. როცა ნადირობისას მზე დაუბნელდა და მერე სასწაულებრივად გაუნათდა ლოცვის შედეგად, მან ალთემა დადო, რომ აღმართავდა ჯვარს და ღმერთს აუშენებდა სახლს. პირველი ეკლესია მცხეთაში ანუ სამეფო ბალში აშენებული ქუემო ეკლესიად არ იყო ჩვეულებრივი ეკლესია. იგი არ ყოფილა განკუთვნილი საზოგადოებრივი გამოყენებისათვის. მირიანი პირდაპირ მიუთითებს, რომ მან ერის სიმრავლისათვის (ე. ი. ლიტურგიის პრაქტიკული საჭიროებათვის) ააგო სხვა ეკლესია. ასეთი იყო ზემო ეკლესია მაყვლოვანში. რაც შეეხება ქუემო ეკლესიას, მასში მხოლოდ კვირაობით შედიონენ მღვდლები და, საფიქრებელია, თავად მირიანიც, მაგრამ არასოდეს ხალხი. იგი აშკარად მოიაზრებოდა ღმერთთან შეხვედრის ადგილად და ამიტომაც მასში შესვლის ნება მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეს ჰქონდა.

მირიანი მიუთითებს, რომ მან ზემო ეკლესია ააგო ხალხისათვის და თავის თავისათვის. აქ იყულისხმება საფლავის შემზადება ზემო ეკლესიაში. მირიანი საჭიროდ თვლის აღნიშნოს, თუ რატომ არ იკრძალება ქუემო ეკლესიაში, სადაც ყველა ნიშნით მას, ქართლში ქრისტიანობის დამფუძნებელ მეფეს,

101 წმინდა წერილის მიხედვით, ისტორიული პროცესი, რომელიც არის დროით მარკინებული რეალობა, მკაცრად არის შემოსაზღვრული დასასრულია. ეს არის დროებითი მონაკვეთი უდროო დროში („უჟამო ჟამში“). ადამიანი და ეგას სამოთხიდან გამოდევნა შეიძლება კაცობრიული ისტორიის დასასწაული ანუ ისტორიული დროის „ჩართვის“ მომენტად მიყიჩინოთ, საშინელი სამსჯავრო კი არის ისტორიის ფინალი. ამის შემდგომ დრო კვლავ აღარ იარსებებს ანუ უდრო დრო – მარადისობა დაისადგურებს.

ეკუთვნოდა დაკრძალვა. ამის მიზეზად მირიანი თავის ცოდვილობას მიუთითებს. როგორც ცოდვილს მას სურდა, რომ უფლის თვალს მორიდებოდა.<sup>102</sup> უფლის თვალი ქუმო ეკლესიაში აშკარად აქ მის ყოფნას მიანიშნებდა. განსაკუთრებით შიშის მომგვრელი უნდა ყოფლიყო მიწა, რომელიც ინახავდა კვართს და, სავარაუდოდ, ზეციდან მზერა სწორედ მისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. მირიანს იქ წმინდა ნინოს დაკრძალვა ჰქონია განზრახული. როგორც ცნობილია, განმანათლებელი მთის ექსპედიციის დროს მოუღოდნელად გარდაიცვლა კახეთის ერთ პატარა დაბაში. მაგრამ ორასმა კაცმაც კი ვერ დაძრა მისი მცირე ცხედარი აქედან. ეს ფაქტი ისეა „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ მოწოდებული, რომ უნდა ვიფიქროთ, ამ სასწაულით უფალს სურდა განედიდებინა მანამდე არაფრით ცნობილი დაბა ბუდი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩანს, იმაზეც მიგვენიშნება, რომ არცერთი მოკვდავისათვის (თავად განმანათლებლისათვისაც კი) არ იყო „კომფორტული“ უფლის მხედველობის არეში მუდმივად ყოფნა. ზემო ეკლესია ანუ ადგილი, სადაც მირიანი თავის მეუღლითურთ დაიკრძალა, შორს არ მდებარეობდა ქვემო ეკლესისაგან, მაგრამ ეს იყო ადგილი ზღუდის გარეთ. ზღუდის მიღმა სივრცეში კი, ჩანს, ითვლებოდა, რომ შესაძლებელი იყო უფლის უშუალო მზერას მორიდებოდნენ.

ამგვარად აშკარაა, რომ „უფლის თვალი“ ანუ უფლის ყოფნა ზღუდის შიგნით მოქცეული სივრცის მარკერი იყო. ამ ნიშნით კი მცხეთელი მეფის ბალი (სამოთხე) ზეციურ სამოთხეს ეთანადებოდა.

მე უკვე ვისაუბრე პირველი ეკლესის მშენებლობასთან დაკავშირებული სასწაულის თაობაზე, კერძოდ, სვეტიცხოველის შესახებ. დღეს სწორედ ასე ჰქვია ამ ტაძარს, რომელიც XI საუკუნეში აიგო მეფე მირიანის მიერ აგებული ეკლესის ადგილას, რომლის

102 ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ მკვლევარი, რომელიც სპეციალურად სწავლობს ნეკროპოლებს საქართველოში, საკმაოდ უჩვეულოდ მიიჩნევს მირიანს სვეტიცხოველში ანუ „ქუმო ეკლესიაში“ არდაკრძალვის ფაქტს და მიუთითებს, რომ ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს იხ. 6. მაჩხანელი. საქართველოს კათედრალების განსასვენებლები. I: სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის განსასვენებლები. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XVI. თბილისი თსუ გამოცემლობა, 2003, გვ. 43.

აღდგენა მოხდა V საუკუნეში მეცე ვახტანგ გორგასლის დროს. ეკლესიის მშენებლობის ეპიზოდს დიდი ინტერესით განიხილავენ მკვლევარნი, განსაკუთრებით – სვეტის აღმართვას. ზოგიერთი მას აკავშირებს იმ ბიბლიურ ეპიზოდთან, რომელშიც ღმერთი ეპრაელებს ევლინებათ ხან ცეცხლის, ხანაც ღრუბლის სვეტის სახით, ზოგს ეს სვეტი ასოციაციას აღუძრავს აპოკალიფსურ ხესთან, ზოგი მასში ქრისტიანულ ყაიდაზე მოდიფიცირებულ ხის წარმართული კულტის ანარეკლს ხედავს. იმასაც აქცევენ ყურადღებას, რომ ამაღლების შემდგომ ეს სვეტი სასწაულთმოქმედი ანუ მაცოცხლებელი ხდება. მაგრამ ყველას მხედველობიდან გამორჩა, ჩემი აზრით, მთავარი: სვეტი ცხოველი ცეცხლის სვეტი კი არ არის, არამედ ხის სვეტია, ძელია, რომელიც ამაღლების შემდგომ იწოდება არა მარტო ცხოველმყოფელად, არამედ ცხოველადაც ანუ ცოცხლად. ე. ი. ეს ძელი, რომელიც ხუროების მიერ იყო დამუშავებული, ამაღლების მერე გაცოცხლად. დამუშავებული ხის განედლება უფლის ერთი მთავარი სასწაულთაგანია. ასე განედლდა კვერთხი აარონის ხელში უფლის ნებით დიდი ჭეშმარიტების გასაცხადებლად (რიცხვთა 17:48).

ამგვარად, სვეტი ცხოველი ანუ ცოცხალი სვეტი (ეკლესიას ცოცხალი ხე აქვს სვეტად) არა მარტო და არა იმდენად აპოკალიფსურ ხის სახეს წარმოადგენს, არამედ აღდგომის მისტერიის სახეა.<sup>103</sup> ამ სახით მირიან მეფის სამოთხის მარკირება ხდება მკვდრეთით აღდგომის მისტერიით. ეს კი ზეციური იერუსალიმის მარკერია.

ასე რომ, მოლოდინი, რომელიც ჩნდება სამოთხის კართან მიახლებისას მასთან დაკავშირებული მენტალური სახის მიზეზით, სავსებით მართლდება სივრცის შიდა დიზაინით.

103 რ. სირაძე მიუთითებს, რომ სვეტი არის აღდგომის შინაარსის შემცველი სიმბოლო. მაგალითად, როცა იგი საუძრიას სვეტის ამაღლების ეპიზოდზე, შენიშნავს: „ეს სურათი ეხმიანება სხვადასხვა წარმოდგენას. ბუნებრივა, რომ აյ აღდგომისა და ამაღლების მისტერიათა განსახოვნებაა“ (რ. სირაძე. „წმ. წინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგორაგრაფიისა. თბილის, 1997, გვ. 128). როგორც ვხდავთ, ჩემი და რ. სირაძის თვალსაზრისის ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, თუმც აქარაა, რომ ისინი არ ემთხვევა. ჩვენ სხვადასხვა ასპექტს ვანიჭებთ ამ მონათხრობში ძირითად მნიშვნელობას: აღდგომის მისტერიასთან ალნიშნულ ეპიზოდის კავშირის შეგრძნებას რ. სირაძეს უქმინის სვეტის ამაღლება ანგელოზის მიერ. ჩემი აზრით კი, აქ მთავარია დამუშავებული ანუ მკვდარი ხის გაცოცხლების სიმბოლიკა.

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ მითითებულია, რომ სპე-  
ციალურად შერჩეული ხისაგან (რომელიც სასწაულთმოქმედი  
იყო: მისი თესლი დაჭრილ ირმებს კურნავდა) გააკეთეს სამი  
ჯვარი. ერთხანს ეს ჯვრები დაასვენეს ქვემო ეკლესიაში.<sup>104</sup> მა-  
გრამ უცნაური ისაა, რომ არცერთი მათგანი აქ არ დატოვეს,  
არამედ ქვეყნის სხვადასხვა ადგილას აღმართეს. ამ გარემოე-  
ბას, ჩანს, ყურადღება მიაქცია XII საუკუნის მწერალმა ნ. გუ-  
ლაბერიძემ, რომელსაც ეკუთვნის თხზულება საუფლო კვარ-  
თისა, სვეტიცხოვლის ტაძრისა და თავად სვეტი ცხოველისადმი  
მიძღვნილი. ეს ფაქტს იმდენად უჩვეულოდ და დაუჯერებლად  
მიუჩნევია ნ. გულაბერიძეს, რომ გაუგებრობად ჩაუთვლია და  
მიუთითებს, რომ ოთხი ჯვარი შექმნეს. შემდეგ აღნიშნავს,  
თუ სად აღმართეს სამი, როგორც ეს წყაროში აქვს, მაგრამ  
მეოთხის თაობაზე დუმს.<sup>105</sup> ჩანს, იმედოვნებს, რომ მკითხველი  
ითქიქრებს, რომ მეოთხე ჯვარი სწორედ ქვემო ეკლესიაში და-  
ტოვეს, მაგრამ თავად არაფერს ამბობს, რადგან ეს ცნობა წყ-  
აროში არ არის და ამ უაღრესი მნიშვნელობის ფაქტს ხომ ვერ  
ჩაამატებს. ნ. გულაბერიძის კორექტივი ჯვრების რაოდენობის  
შესახებ მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სა-  
მოთხეში თავდაპირველად ჯვარი არ აღიმართა. ეს გარემოება  
საშუალებას გვაძლევს აქ ზეციური იერუსალიმის კიდევ ერთი  
მარკერის რეპროდუქცია დავინახოთ: ჯვრის არარსებობა, რო-  
გორც ითქვა, დამახასიათებელია ყოფიერების სწორედ იმ დო-  
ნისათვის, რომელზედაც ადამიანს საშუალება აქვს უმზიროს  
კრავს, დიდებით მჯდომს მამის გვერდით და არ იცხოვროს  
მოგონებებით ჯვარცმულზე. სწორედ ბალის ზეციურ იერუ-  
სალიმად გააზრების ფაქტით შეიძლება აიხსნას ქვემო ეკლესი-  
აში თავდაპირველად ჯვრის არარსებობის ფაქტი.

ის, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ თავიდან საუბარი  
ჯვრის შესახებ არ არის, ამას სამეცნიერო ლიტერატურაში

104 ქეგლები, I, გვ. 148.

105 ნ. გულაბერიძე, საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათო-  
ლიკე ეკლესიისა. საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა ღუანლთა და გნებათა  
საქართულოს წმიდათა (შეკრებილი ქრონოგიურად და გამოცემული მ. სა-  
ბინინის მიერ). პეტერბურგი, 1882, გვ. 99.

უკვე მიექცა ყურადღება, თუმცა ახსნა სათანადოდ გამოკვეთილი არ ყოფილა და გაუგებარი რჩებოდა, რა უნდა მიგვეჩნია აღნიშნულის მიზეზად.<sup>106</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ განსახილველი ძეგლის დასაწყისში სვეტის შესახებ ეპიზოდების კონცენტრაცია უკავშირდება სწორედ იმ ჰიეროტოპიულ პროექტს, რომელიც მეფის ბალს გაიაზრებდა ზეციურ იერუსალიმად. უკვე ამ დროიდან წარმოჩნდება ქართული ქრისტიანობის სახე – უფლის კვართზე აღმოცენებული ცხოველმყოფელი სვეტი.

ჰიეროტოპიულ პროექტის „მცხეთა, როგორც ახალი იერუსალიმი“ ზემოთ განხილულ ნაწილს საინტერესო ბედი ჰქონდა: სულ ცოტა ხანში იგი „დახურულ“ იქნა, მაგრამ არა იმ აზრით, რომ შეწყვიტა არსებობა, არამედ ის შენახულ იქნა გარკვეული დროით. ამას გვაფიქრებინებს მირიანის ძის რევის საქციელი. როგორც ითქვა, მამამისი, რომელსაც ყველა ნიშნით თავის სამეფო ბალში აგებულ ეკლესიაში დაკრძალვა ეკუთვნოდა, არ დაიკრძალა აქ სრულიად გარკვეული მოსაზრების საფუძველზე: მას ეშინოდა აქ პერმანენტულად მყოფი უფლის მზერის. მაგრამ მისი ძე რევი დაიკრძალა ცოლითურთ. რევის ეს ნაბიჯი აშკარად პოლემიკა იყო იმ აზრთან, რომლის მიხედვითაც სვეტის მიდამო იყო სინმინდის ყველაზე დიდი კონცენტრაციის ადგილი. ეს კი ნიშნავს, რომ კვართის ზუსტი ადგილმდებარეობის საკითხი ღიად რჩებოდა. მაგრამ რატომ გააკეთა ეს რევმა?

როგორც ტექსტიდან ჩანს, უკვე პირველი წუთებიდანვე სამეფო ბალში მორწმუნეთა დიდი მოძალება გამოიწვია სვეტმა. იმდენად ძლიერი ყოფილა ტალღა, რომ ხის საბურველით დაუფარავს სვეტი მირიანს. მორწმუნები ამ საბურველს ეხებოდნენ, რადგან მისგანაც მოდიოდა განკურნება.<sup>107</sup> 6. გულაბერიძე მიუთითებს, რომ მორწმუნენი მრავლად მოდიოდნენ, და მახვილით ნაწილებს აცლიდნენ სვეტი ცხოველის ხის საბურველს, მათვის წასაღებად, ვისაც უძლურების მიზეზით სვეტთან მი-

106 გ. ბოლქვაძე, ქართლის მოქცევის ორი სიმბოლო – სვეტი და ჯვარი. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2002, გვ. 18.

107 ძეგლები, I, გვ. 143.

ახლება არ შეეძლო.<sup>108</sup> არ ვიცით საიდან აქვს ნ. გულაბერიძეს ეს ცნობა, მაგრამ იგი ნიშანდობლივია და სარწმუნო ჩანს.

მირიანის სიცოცხლეში, როგორც ითქვა, ქუემო ეკლესიაში რიგითი მორწმუნები ვერ შედიოდნენ. მირიანის გარდაცვალების შემდგომ სამეფო ბალში მომსვლელ მორწმუნეთა ტალღა გაძლიერებულა. ამიტომ რევს ხის საბურველი აღარ უკმარებია და ქვითკირით დაუფარავს სვეტი. ძნელია, დაბეჯითებით ითქვას, რა უნდა ყოფილიყო მორწმუნეთა მოდინების განტენსიურების მიზეზი. ვფიქრობ, ამაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ესქატოლოგიურ იდეებს, რომლებიც, როგორც ირკვევა, ცირკულირებდა იმდროინდელ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ქართული წელთაღრიცხვით 6 000 წელი ანუ სამყაროს დასასრული მოდიოდა 396 წელს.<sup>109</sup> სამყაროს დასასრულის უამს, ბუნებრივია, ქართლის სამეფოს ყველა მცხოვრებს ზეციური იერუსალიმის ჩამოსვლის ადგილას ანუ სამეფო ბალში მოესურვებინა ყოფნა. ესქატოლოგიური მოლოდინი მძაფრად განცდადი უნდა ყოფილიყო, რადგან ასე ახლო მომავალში ივარაუდებოდა კაცობრიული ისტორიის ფინალი. ეს შეიძლება მომხდარიყო უკვე რევის მემკვიდრეების სიცოცხლეში. ამიტომ მოსალოდნელი იყო სამეფო აპარტამენტების სიახლოეს სოციალურად საშიში პროცესები განვითარებულიყო, პროცესები, რომელთა შეჩერება რაიმე ზღუდით, თუნდაც ქვითკირის საბურველით, შეუძლებელი იქნებოდა. რევის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც ამ პროცესისათვის დასაპირისპირებლად გადადგმული ნაბიჯი. ალბათ, როცა ცხადი გახდა, რომ არანაირ ფიზიკურ ბარიერს არ შეეძლო ხალხის ნაკადის შეჩერება, რევმა გადაწყვიტა თავად ამგვარი ბარიერის საჭიროება მოეხსნა. ქვემო ეკლესიაში გათხრილი რევის საფლავი ფაქტობრივ იყო განაცხადი იმის შესახებ, რომ უფლის თვალი არ იყო მიპყრობილი მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ ადგილს.

ლეონტი მროველის მიხედვით ქართლის მესამე ქრისტიანმა მეფე მირდატმა დანარჩენი სვეტიცხოვლისგან ჯვარი

108 ნ. გულაბერიძე, საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, გვ. 105.

109 გ. ნარსიძე. “ქებაი”ს ისტორიული პარალელები. მნათობი, № 4, 1986, გვ. 142-153.

გააკეთა, რომელიც ხის სვეტის ზომის ქვის სვეტს დაადგა. ვინაიდან საკრალიზებული სივრცის მირიანისეული გააზრება სოციალურად საშიში მუხტის შემცველი აღმოჩნდა, ჩანს, ამიტომ გააქტიურეს პროექტის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვით ხდებოდა მცხეთის მიწიერი იერუსალიმის ხატად მოაზრება საკრალური ტოპოგრაფიის გადმოღების გზით.

მისწრაფება „ახალი იერუსალიმების“ დაფუძნებისა თანამედროვე სოციალური ცხოვრების თვალსაწიერიდან საკმაოდ უცნაურად გამოიყურება, თუმცა ამ ფენომენის არსში ჩაღრმავება, მისი საზოგადოებრივი ფუნქციის გამოკვეთა, გვიჩვენებს, რომ ამგვარი აქტივობა არსებითად არის სოციალური უნივერსალის გამოვლინება და იგი უკავშირდება უზენაესი ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს. მეფობის საკრალიზაციის თემა ცენტრალური იყო შეუსაუკუნეების პოლიტიკური თეოლოგიისათვის. ამ ინსტიტუტის ღვთაებრივი წარმომავლობა და საკრალურობა სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად საბუთდებოდა. ქრისტიანულ საზოგადოებებში მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა „ახალი იერუსალიმის“ კონცეპტი, რომელიც იდეოლოგიურად ასაბუთებდა სამყაროს საკრალური ცენტრის გადანაცვლებას ამა თუ იმ ადგილას. სწორედ ეს იყო არსებითი მმართველობის კანონიერების საჩვენებლად: მხოლოდ საკრალური ცენტრიდან (იერუსალიმი კი ქრისტიანულ მსოფლგაგებაში უპირობოდ იყო მიჩნეული სამყაროს საკრალურ ცენტრად) შეიძლებოდა განხორციელებულიყო მართვა.<sup>110</sup> პიროვნება, რომელიც განაგებდა „ახალ იერუსალიმს“, მოიაზრებოდა როგორც „ახალი დავითი“ და „ახალი კონსტანტინე“ და, ამგვარად, მისი ხელისუფლება ლეგიტიმური იყო.

ხელისუფლების ლეგიტიმაციის მექანიზმები ძალზე არსებითი მახასიათებელია ყოველი საზოგადოებისათვის, რამდენადც საზოგადოება ნიშნავს წესრიგს, ხელისუფლება კი ამ წესრიგის მიღწევის საშუალებაა. ამიტომ შეიძლება ითქვას,

110 P. Gurani. The Byzantine ‘New Jerusalem’. At the crossing of sacred space and political theology. Новые Иерусалимы. Перенесение сакральных пространств в христианской культуре. Материалы Международного симпозиума (Редактор-составитель А. М. Лидов), Москва, 2006, გვ. 17-23.

რომ ხელისუფლების ლეგიტიმაციის ტიპი არსებითად განსაზღვრავს საზოგადოებას.

ჯგუფის მედეგობის ერთ-ერთი წინაპირობა იყო სწორედ ლოიალობა მეფისადმი. ამიტომ რელიგიური ტრანსფორმაციის ეპოქაში ამ საკითხის მოწესრიგებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად, ქართლის პირველი ხოსროვანი მეფე ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანი იყო. ის ნამდვილ იდეოლოგიურ გზაჯვარედინს წარმოადგენდა. მის გულში მისი მამული სარწმუნოების ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის, ქართული კერპების სიყვარულმა გაიარა, ვიდრე თავდადებული ქრისტიანი გახდებოდა. მისი გადაწყვეტილება მიეღო ახალი რელიგია, თანამედროვეთათვის სპონტანურ ნაბიჯად ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში იყო ღრმა გააზრების შედეგი.

მირიანს უკავშირდება ახალი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნებოდა ქრისტიანულ მსოფლხედვას. ასეთი ინტელექტუალური ძალისხმევა ყოველთვის, ყველა ხალხისათვის აუცილებელია რელიგიური მოქცევისას, მაგრამ მირიანის პროექტები გამორჩეული იყო თავისი დახვეწილობით: მან წმინდა წერილის შემოქმედებით ათვისების და ქრისტიანობის ნატურალიზაციის სრულიად უნიკალურ პროცესს დაუდო სათავე. ეს იყო მოძრაობა უაღრესად უნივერსალური და ამავე ღროს გამოკვეთილად ქართული კულტურის შესაქმნელად.

ამგვარი სულისკვეთება შეინარჩუნეს მისმა შთამომავლებმა. საერთოდ ხოსროვანებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ რწმენისადმი, ბევრად უფრო ასკეტური, ვიდრე, მაგალითად, ბაგრატიონებს. ეს მხოლოდ პიროვნული მახასიათებელი არ იყო. თავად ეპოქა ანუ გვიანი ანტიკურობა ქრისტიანობის გამძაფრებულ აღქმას განაპირობებდა. ქართლის პირველი ხოსროვანი მეფე ღრმად მოაზროვნე ადამიანი გახლდათ. როგორც ვნახავთ, მისი ამგვარი ხედვა ღრმად გამსჭვალავს მისი შთამომავლების მეფობას.

### თავი III.

## მეორე და მესამე თაობის ხოსროვანები

#### 1.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მირიანს სამი შვილი ჰყავდა: რევი, ბაქარი და ქალიშვილი. ამ უკანასკნელის სახელი უცნობია, თუმც ცნობილია მისი მეუღლის სახელი – ფეროზი.

და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე; მისცა ძესა მისა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას. ხოლო ფეროზის, სიძესა მირიანისა, აქუნდა ქუეყანა, რომელი ზემო თავსა ვაქსენეთ მიცემულად მირიანისგან, და იყო იგი მუნერისთავად.<sup>1</sup>

ახლა თავად ამ ფეროზის შესახებ, რომელიც სპარსეთის სამეფო სახლთან ხოსროვანთა კავშირს კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს:

მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართა და მოიყვანა სპარსეთით თვისი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თვისი და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავაძე. მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ.<sup>2</sup>

მესამე შვილთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

მაშინ კეისარსა კონსტანტინეს რომელ ჰყავა მძევალი, ძე

1 ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი, 1955, ტ. I (შემდეგ: ქართლის ცხოვრება, I), გვ. 70-71.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 68-69.

მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოაგზავნა იგი მეფემან კონსტანტინე ნიჭითა დიდითა.<sup>3</sup>

მირიანის შემდეგ მემატიანე ბაქარის გამეფებას აღნიშნავს. რევის მეფობას კი მიუთითებს მირიანის სიცოცხლეშივე;

მოვიდა ბაქარ, ძე მირიანისი და მოციქული კონსტანტინე მეფისა მცხეთას. ალივსნეს სიხარულითა მირიან მეფე და ნანა დედოფალი, და მადლობდეს ღმერთსა, ნიჭთა სრულთა მომცემელსა. მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა. და მოქცევითგან მირიან მეფისით მეოცდახუთესა წელს მოჟუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადა მიეცა მეფობა სიცოცხლეშივე მისას. და დაფლეს აკლდამასავე, რომელი თკო მასვე რევს აღეშენა. და მასვე წელიწადსა დასწეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა.<sup>4</sup>

„ქართლის ცხოვრებაში“ რევი იხსენიება წმინდა ნინოს მიერ ნანა დედოფლის სასწაულებრივ განკურნების ეპიზოდშიც. ეს ეპიზოდი არის რუფინუსთანაც,<sup>5</sup> მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ტყვე ქალთან მისვლისას დედოფალს ახლდა მისი ძე. აღნიშნული ეპიზოდი შეიძლება ითქვას, რომ არ არის „მოქცევად ქართლისაში“.<sup>6</sup> შესაბამისად, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს რევის პიროვნების დახასიათებისათვის ეს საინტერესო დეტალი:

მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: „შემიმზა-

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 129.

5 გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, I, გვ. 203.

6 „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციაში (შატბერდულ ვარიანტში) არის მხოლოდ მინაშნება დედოფლის სასწაულებრივი განკურნების შესახებ „და მე-ექუსესა წელსა არწმუნა ცოლსა მეფისასა ნანას სენსა შინა მისას“, ძეგლები, I, გვ. 84. ვრცელ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ კი წერის: „დედოფლისა ნანას ზედა აჩუნა ღმერთმან პირველად ძალი მისი მიერ მაყულობანსა მას შინა, განკურნა ლოცვითა მისითა სენისა მისაგან მძიმისა, რომლისა წელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნება მისი“. ძეგლები, I, გვ. 313.

დეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ მისსა.“ მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მათ, და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მის თანა.<sup>7</sup>

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით რევი აქტიურობდა პატიოსანი ჯვრის შექმნის და აღმართვის საქმეშიც:

და წარვიდეს რევ, ძე მეფისა, და ეპისკოპოსი, და სიმრავლე ერისა, და მოჰკუეთეს ხე იგი და წარმოილეს რტოთურთ თვისთ.<sup>8</sup>

რევს განსაკუთრებული სათხოვარიც ჰქონია პატიოსანი ჯვრის მიმართ:

მას უამსა რევის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმა-წული მცირე. და იყო სნეულ, და მოწევნულ იყო სიკუდილად. რამეთუ იგი ოდენ მხოლო ესუა მათ, მოილო და დადვა იგი წინშე ჯუარისა და ცრემლით იტყოდა: „უკეთუ მომიბოძო ყრმა ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“. და მუნქუესვე განიკურნა ყრმა იგი და განკურნებული და განცოცხლებული წარიყვანა. მერმე მოვიდა აღნათქეამისა აღმასრულებელად და ყო მადლისა მიცემა დიდითა სიხარულითა. და გულსმოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხე-თისა რევ, ძემან მეფისამან.<sup>9</sup>

ასეთია „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების ერთი ნაწილი მირიანის შვილების შესახებ.

„მოქცევად ქართლისა“ რიგ საკითხებში იგივეობრივ ინფორმაციას გვაწვდის, თუმც განსხვავებებიც საკმაოდაა. სწორედ მათზე მინდა შევჩერდე ახლა ამ პირთა რეალური პორტრეტების აღსადგენად.

მირიანის ასულის შესახებ „მოქცევად ქართლისაში“ ინფორმაცია საერთოდ არ არის. ეს გასააგებია: აღნიშნული ძეგლი, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არა, მხოლოდ იმ პირებს ეხება, რომელთაც ტახტი ეკავათ.

მირიანის ძედ „მოქცევად ქართლისა“ ასახელებს მხოლოდ

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 104.

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 119.

9 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 123.

რევს. როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რევის მეუღლე იყო სალომე, რომელიც სომეხთა მეფის თრდატის ასული ყოფილა.<sup>10</sup>

„მოქცევად ქართლისაას“ მიხედვით რევი არ გამეფებულა. მირიანის შემდგომ, გამეფდა რევისა და სალომეს ძე ბაკური. ეს, ცხადია, იგივე „ბაქარია“. სწორედ ამ ფორმით გვხდება სახელი „ბაკური“ „ქართლის ცხოვრებაში.“

ამგვარად, ამ ორ წყაროში მეორე თაობის ხოსროვანებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სხვაობაა. „მოქცევად ქართლისაას“ მიხედვით ბაკურ/ბაქარი იყო მირიანის შვილიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით – შვილი.

რომელი ცნობაა სწორი? ამ საკითხის გარკვევა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ალ-ნიშნულ კითხვაზე პასუხი დიდად განაპირობებს ხოსროვანთა სახლის ისტორიის ადეკვატურ რეპრეზენტაციას.

მკვლევართა დიდი ნაწილი რაიმე დასაბუთების გარეშე იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციას. ალბათ, მათ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს წყაროს დეტალური თხრობა რევიანებისა და ბაქარიანების, როგორც მირიანის ორი ვაჟის შთამომავლების, ურთიერთმიმართების შესახებ. მე კი მგონია, რომ სწორია „მოქცევად ქართლისაა“ და ეს დაპირისპირება ლეონტი მროველის მცდარი რეპრეზენტაციის შედეგია. ქვემოთ განვმარტავ თუ რატომ მგონია ასე.

უპირველესად უნდა ვიმსჯელოთ რევის გამეფება/არგამეფების საკითხზე. როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით რევს მეფობა მამის სიცოცხლეშივე ჰქონდა მიცემული. თუმც ზემოთ მოყვანილი ამონარიდები კარგად აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო. რევი არსად (არც „მოქცევად ქართლისააში“, არც „ქართლის ცხოვრებაში“) არ იწოდება მეფედ. ის ყოველთვის ხაზგასმით „მეფის ძედ“ არის მოხსენიებული. მაგრამ მაშინ ისმის კითხვა: რატომ არ გამეფდა რევი მამის შემდეგ? „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ამის მიზეზად ის გამოდის, რომ რევი გარდაიცვალა მამაზე ადრე.

მაგრამ „მოქცევად ქართლისაა“ ამ ფაქტს სხვაგვარად

10 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 70.

წარმოადგენს. აქ ჯერ მირიან მეფის გარდაცვალებაა დაფიქ-  
სირებული და მერე რევის მიერ მცხეთის ჯვრისათვის „კუ-  
ბაძ“ მშენებლობა; თუმც ფაქტებს შორის წლების ინტერვალის  
ამსახველი მონაცემები ხელნაწერების მიხედვით სხვადასხ-  
ვაა. შატბერდული რედაქცია, მაგალითად, საკითხს ასე წარ-  
მოგვიდგენს:

და წარვიდა მირეან მეფი და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს  
ზემოსა ეკლესიასა ქვითა. და განიშორეს მეოთხესა წელ-  
სა. და მოკუდა მირეან მეფი და დაეფლა საშუალსა სუეტსა  
სამხრითსა ჩრდილოეთ კერძო... და დაჯდა მეფედ ბაჟურ ძე  
რევისა... ...და ოც და მესამესა წელსა აღმართებითგან პა-  
ტიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბაზ რევ და შეიქმნა საფლავი  
ქუემოსა ეკლესიასა და დაემარხა ცოლითურთ. და შემდგო-  
მად მის მეათესა წელსა ამან ბაჟურ დაიწყო წილკნისა ეკლე-  
სიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა. და მოკუდა  
და დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა. <sup>11</sup>

არსებითად იგივე ვითარებაა „მოქცევაზ ქართლისად“ ჭე-  
ლიშურ რედაქციაშიც მოვლენათა თანამიმდევრობასთან და  
დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით, თუმც წლები ერთგ-  
ვარად განსხვავებულია:

და წარვიდა მეფე მირიან და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს  
ეკლესიასა ზემოსა. და განასრულეს მეოცესა წელსა. და  
მეოცდაერთესა წელსა მოკუდა მირიან მეფე, დაემარხა სა-  
შუალსა ეკლესიასა და სუეტსა კერძოსა მას სამხრითისასა,  
ხოლო ჩრდილოეთ კერძოსა მას სუეტსა შინა არს ნაწილი  
სუეტისა მის ნათლისა ცხოველისასა... მეორედ დაჯდა მეფედ  
ბაჟურ ძე რევისი... და მესამესა წელსა აღმართებითგან პა-  
ტიოსნისა ჯუარისა შექმნა კუბოვ რევ, მოკუდა და დაემარხა  
ცოლითურთ ქუემოსა ეკლესიასა. და შემდგომად მისსა ამან  
ბაჟურ მეფემან, ძემან რევისმან, დაიწყო წილკნის ეკლესია  
და განასრულა ოცდამეართმეტესა წელსა, მოკუდა და დაეფ-

11 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. გამოსაცემად მოამზა-  
და ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით,  
თბილისი, მეცნიერება, I (შემდეგ: ქეგლები, I), გვ. 91.

ლა ქუემოსავე ეკლესიასა.<sup>12</sup>

აქაც ისე ჩანს, რომ თითქოს ზემო ეკლესიას აგებდნენ ორი ათეული წელი. და თითქოს რევმა პატიოსანი ჯვრის საფარველის შექმნა მესამე წელს დაიწყო. ასეთივეა სინური რედაქციის მონაცემიც.<sup>13</sup>

თუმც ამ შემთხვევაშიც მაინცდამაინც ის არ ჩანს, რომ რევი გარდაიცვალა მირიანზე ადრე. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა თუ მირიანის შემდეგ რატომ გამეფდა მისი შვილიშვილი და არა შვილი, თავად შვილიშვილის გამეფების ფაქტი ამ რედაქციებითაც უეჭველია. მეტიც, ჭელიშურში და სინურში<sup>14</sup> ბაკურს ნამძღვარებული აქვს, სიტყვა „მეორედ“, რაც იმის ხაზგასმაა, რომ ბაკური მირიანის მერე იყო მეფე ანუ ის იყო ტახტზე ასული მეორე ხოსროვანი.

რომ მირიანის გარდაცვალება ნამდვილად წინ უსწრებდა რევისას, ეს კარგად ჩანს დაკრძალვის ადგილითაც: მირიანი და ნანა დედოფალი, როგორც ითქვა, „ზემოსა ეკლესიასა“ დაკრძალეს, რევი და სალომე და მათი ვაჟი ბაკური – „ქუემოსა ეკლესიასა“. მირიანი რომ დაიკრძალა ზემო ეკლესიაში, ეს ისტორიული ქრონიკიდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდითაც თვალსაჩინოა, და ვრცელ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ დაცულ მირიანის „წიგნითაც“, რომელშიც მირიანი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, იმასაც გვიხსნის თუ რატომ არ დაიკრძალა ქვემო ეკლესიაში. როგორც ირკვევა, სასწაულებრივ სვეტან ახლოს მან ვერ გაბედა განსვენება:<sup>15</sup>

12 ქეგლები, I, გვ. 91.

13 „მოქცევა ქართლისათ-ის“ ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები, გვ. 16. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ. საქართველოს საპატიოარქო, 2007.

14 „მოქცევა ქართლისათ-ის“ ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები, გვ. 16.

15 თუმც, მირიანის ნეშტი მაინც სასწაულმოქმედი სვეტის, უფრო სწორად მისი ნაწილის, სიახლოეს აღმოჩნდა ბოლოს. საქმე ისაა, რომ V საუკუნის დასაწყისში სვეტიცხოვლის ეკლესია (ანუ მამინდელი სახელით ქვემო ეკლესია) ჩამოქცა და სასწაულომებელი სვეტი ზემო ეკლესიაში ანუ მერმინდელ სამთავროში გადაიტანეს. აქვე გადაიტანა მთავარეპისკოპოსმა თავისი რეზიდენციაც. აქედან უნდა იყოს მისი გვიანდელი სახელწოდებაც – „სამთავრო“ ანუ მთავარეპისკოპოსთა რეზიდენცია.

და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწა სამარედ ჩემდა, რათამცა დავხსენ წორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა.<sup>16</sup>

ქვემო ეკლესიაში დაკრძალვა აშკარად დაიწყო რევით. ეს მისი გადაწყვეტილება ჩანს,<sup>17</sup> მან თავად გაიკეთა აქ საფლავი. რევის გარდაცვალების დროს მამამისი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ცხადია, მასაც ზემოთ მითითებული მოტივაციით არ დაკრძალავდა ქვემო ეკლესიაში ანუ სასწაულმოქმედ სვეტთან ახლოს. ამიტომ ამ ფაქტებიდან გამომდინარე ერთი რამ უეჭველია: რევი მირიანზე აღრე არ გარდაცვლილა და მისი არგამეფება ამ მიზეზით არ იხსნება. მაგრამ არც ის ჩანს, რომ რევი შვილს ძალადობრივად ჩამოეშორებინოს ხელისუფლებისაგან. რევმა ბაკურის ზეობის დროს გაიმზადა საფლავი ქვემო ეკლესიაში და „კუბაა“ აუგო პატიოსან ჯვარს. ამიტომ ისლა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ტახტზე რევმა უარი საკუთარი სურვილით თქვა. ამის მიზეზი ასკეტიზმში გადაზრდილი მისი მორწმუნეობა უნდა ყოფილიყო.

გვიანანტიკური<sup>18</sup> პერიოდის საქრისტიანოსათვის უჩვეულო როდი იყო ასკეტური მსოფლალქმის მქონე რელიგიური პიროვნებანი, მათ შორის, უფლისწულები, რომლებიც საკუთარი ნებით უარს ამბობდნენ სამეფო ტახტზე და სულის საცხონებელი საქმეთა კეთებას უძღვნიდნენ ცხოვრებას. „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორისათვის ანუ

16 ძეგლები, I, გვ. 160.

17 ამ გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ იხ. ზემოთ. აგრეთვე, მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნო რელიგიური მოქცველის ეპოქაში, გვ. 162-164.

18 ცნება „გვაანი ანტიკურობა“, როგორც ცნობილია, სამცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა პიტერ ბრაუნის. თავის მონოგრაფიაში *The World of Late Antiquity* (1971) მან შემოგვთავაზა II-VIII საუკუნეებს შორის პერიოდის თვისებრივად ახალი ინტერპრეტაცია. ეს პერიოდი ტრადიციულად გაიკვოდა, როგორც დაცემის ხანა კლასიკური ანტიკურობის „ოქროს ხანის“ შემდგომ. ამ იდეას ვითარებდა, კერძოდ, ედვარდ გიბონი თავის ნიგნით *The History of the Decline and Fall of the Roman Empire*. პიტერ ბრაუნი კი ამტკაცებს, რომ გვაანი ანტიკურობა იყო ინოვაციების ეპოქა. ქრისტიანობის თავისებური აღქმა ამ ეპოქაში აუტორს განსაკუთრებით ნათლად აქვს ნაწევნები სტატიაში *The Rise and Function of Holy Man in Late Antiquity. The Journal of Roman Studies*, 1971, vol. 61, გვ. 80-101. ამ ეპოქაში ქრისტიანობის აღმის თავისებურება კარგად არის ნაწევნები კ. ჰორნის ნაშრომშიც პეტრე იბერის შესახებ, რომელსაც ქვემოთ სათანადო ადგილებში დავითონმებებს.

XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველისათვის კი, ყოველ შემთხვევაში მისი მკითხველისათვის, ამგვარი რამ გაუგებარი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ ამ ეპოქის სულისკვეთებას ასეთი რამ უკვე ნაკლებად შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე ლეონტი მროველი თავისებურად განმარტავს მის წყაროს ასუ ამ შემთხვევაში „მოქცევად ქართლისას“ მონაცემს მირიანის მემკვიდრის შესახებ: ბაკურს//ბაქარსაც ის მირიანის ძედ სახავს, მირიანის შემდგომ რევის მიერ ტახტის დაუკავებლობას კი იმით ხსნის, რომ რევს მეფობა მიეცა მამის სიცოცხლეშივე. მკვლევართა უმეტესობა, როგორც ითქვა, სწორედ „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას იზიარებს და მიიჩნევს, რომ ბაქარ/ბაკურიც მირიანის ძე იყო, რაც, აშკარად მცდარია. მართალია, საკონტროლოდ ჩვენ არ მოგვეპოვება მესამე წყაროს მონაცემი, მაგრამ უმნიშვნელო როდია ლოგიკური არგუმენტი: მამის მერე შვილის მიერ ტახტის დაკავება ბუნებრივია, მაშინ როცა არაბუნებრივია შვილიშვილის მიერ ტახტის დაკავება, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ შვილი მამის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალია და საზოგადოებრივი აქტიურობითაც გამოირჩევა. მონაცემის გადაკეთება ბუნებრივის შესატყვისად მოსალოდნელია, მაშინ როცა უჩვეულოს, არაბუნებრივის შესატყვისად – პრაქტიკულად გამორიცხული. ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ შემთხვევაში მე „მოქცევად ქართლისას“ მონაცემს ვიზიარებ: მირიანის მემკვიდრე ქართლის ტახტზე იყო არა მისი შვილი (რაც, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, საზოგადოდ უფრო მოსალოდნელი იყო), არამედ მისი შვილიშვილი ბაკურ რევის ძე. ჩემ მიერ აღნიშვნული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ სურათი, რომელსაც ამ წიგნში წარმოვადგენ, არ ემთხვევა იმას, რაც სხვადასხვა ავტორთან გვხდება.<sup>19</sup>

19 ახლახან სამეცნიერო კონფერენციაზე ამ ვითარების სრულიად სხვაგვარი გაგება წარმოადგნა გ. ბოლქვაძემ იხ. მისი ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემბი (ამიან მარცელინებსა და ქართული წყაროების მიხედვით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წყაროთმცდნებითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“. 2017 წლის 18-21 ოქტომბერი, თბილისი. პროგრამა და მოხსენებათა თეზისბი. რედაქტორები მარიამ ჩხარტიშვილი და გონელი არაშამია., თბილისი, 2017, გვ. 18. მკვლევარი იზიარებს „ქართლის ცხოვრების“

ქვემოთ გამოირკვევა, რომ რევი იყო პეტრე იბერის პაპის მამა. პეტრემ კი, როგორც ცნობილია, საკუთარი ნებით თქვა უარი სამეფო ტახტზე. ეს ბიოგრაფიული ფაქტი და უკიდურესი ასკეტიზმი ამ ორ ხოსროვანს ერთმანეთს ამსგავსებს და გვაგრძნობინებს იმ განწყობილებას, რომელიც არსებობდა ქართლის ახლადმოქცეულ სამეფო ოჯახში.

ზემოთ მე უკვე მივუთითე იმ ცნობების შესახებ, რომელსაც რევზე წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“. ამ ცნობათა უმეტესობა ამ ძეგლის ავტორს აღებული აქვს „მოქცევად ქართლისადაგან“, ოლონდაც ხშირად წარმოადგენს მათ საკუთარი ინტერპრეტაციით.

ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის რეპრეზენტაციისას რევზე საგანგებო ყურადღების შეჩერება აუცილებლად მივიჩნიე, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითქვა, ის მეფე არ ყოფილა. რევს აშკარად ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ხოსროვანთა ოჯახში. როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით რევი ქართლის მოქცევის ფაქტობრივად ყველა უმნიშვნელოვანეს ეპიზოდში აქტიურად ჩანს ჩართული.

ასეთივე ვითარება გვაქვს „მოქცევად ქართლისადშიც.“ რევი აქ თავდაპირველად „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქტირაში გვხდება. აქ ის ნახსენებია საჯვარე ხის შერჩევასთან დაკავშირებით:

ითხოვეს ხე ებისკოპოსმან და ნინო, რაითა შექმნან ჯუარი, და ძიება ყვეს ხუროთა და პოვეს ხე ერთი და უთხრეს მეფე-სა და ეპისკოპოსსა. ხოლო მეფემან წარგზავნა ძე თვისი რევ.<sup>20</sup>

აღნიშნული ხის მოკვეთა რევის ბრძანებით მომხდარა.

---

მონაცემს არა მარტო იმის შესახებ რომ რევი და ბაქარი ორივე მირიანის ძეებია, არამედ რევიანთა და ბაქარიანთა დაპირისპირების მთელ ისტორიას. ამგვარი პოზიცია ბევრ სხვა მკვლევარსაც აქვს (მაგალითად, ვ. გოილაძეს) ოლონდაც მოხსენებაში გ. ბოლქვაძე შეეცადა აეხსნა „მოქცევად ქართლისადში“, მისი აზრით, არასწორი ინფორმაციის გაჩენი მიზეზებიც. ამ შემთხვევაში მისთვის აპრიორია, რომ ბაქარი მირიანის ძეა. სწორედ ამ ამოსავალი მონაცემიდან გამომდინარე ის უდგება ყველა სხვა მონაცემის კორექტულობის საკითხს.

20 ძეგლები, I, გვ. 86.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში, რომელიც, როგორც ითქვა, ასევე „მოქცევად ქართლისადას“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, დაცულია „ანდერძი მირეან მეფისად ძისა თვისისა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაძის“.<sup>21</sup> მირიანი შვილს ანდერძად უბარებს დაწყებული საქმის – ქრისტიანობის გავრცელების – ბოლომდე მიყვანას. სხვათა შორის, ამ ანდერძიდანაც კარგად ჩანს, რომ რევი მირიანზე აღრე არ გარდაცვლილა, ანდერძიც მისდამია მიძღვნილი, მაგრამ ის მაინც არ გამეფდა.

რევის მეუღლე იყო სალომე. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში ამ წყვილს ერთად ვხედავთ განმანათლებლის გარდაცვალების ეპიზოდში:

და დასწეულდა (ნინო, მ. ჩ.) და წარმოემართა მცხეთად, და ვითარცა მონია კხოეთას დაბასა, რომელსა ჰრეკან ბოდინი, ველარა ეძლო სვლად. და მოხოლო-ვიდეს უჯარმით ქალაქით რევ, ძვე მეფისად, და სალომე ცოლი მისი და ასული მისი და ზედა-აღგეს მოურნედ.<sup>22</sup>

მირიანის უშუალო მემკვიდრე, როგორც უკვე ითქვა, იყო მისი ვაჟიშვილის რევის ძის ძე ბაკური. ბაკურ რევის ძის მოღვაწეობის ერთადერთ ფაქტს აფიქსირებს „მოქცევად ქართლისად“. ესაა წილკნის ეკლესიის მშენებლობა. „ქართლის ცხოვრებაში“ ამ მეფეს შეესაბამება „ბაქარი“, რომელიც, აქ შეცდომით მირიანის შვილად არის წარმოჩენილი. ეს ცდომილება, ესეც ითქვა, უკავშირდება ლეონტი მროველის მიერ კონკრეტული ფაქტის არასწორ გააზრებას და არა მის წყაროებს, ამიტომ, მიუხედავად ამ ცდომილებისა, ლეონტის მიერ დაფიქსირებული ბევრი სხვა ფაქტი სინამდვილის სწორი ასახვა მგონია. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ბაკურ რევის ძის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მწირი ინფორმაცია, ვფიქრობ, რომ შეიძლება შევავსოთ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით ბაქარზე. კერძოდ, ამ ძეგლში ხაზგასმულია ბაქარ/ბაკურ რევის ძის დამსახურება უმეტესობა კავკასიელთა მოქცევის საქმეში („ამან

21 ძეგლები, I, გვ. 162.

22 ძეგლები, I, გვ., 89.

მოქადაცივნა უმრავლესი კავკასიანი<sup>23)</sup> და, აგრეთვე, მისი განსაკუთრებული მორწმუნეობაც:

ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღველნი და დიაკონი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად. მან აღაშენა ეკლესია წილკნისა.<sup>24)</sup>

## 2.

„მოქადაცივა ქართლისას“ ვრცელ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ჩართულ პატიოსანი ჯვრის აღმართებისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნულია, რომ რევს ერთადერთი (სხეული) ძე ჰყავდა და იგივე სწორედ „მოქადაცივა ქართლისაზე“ დაყრდნობით გამეორებულია „ქართლის ცხოვრებაშიც“.

„მოქადაცივა ქართლისას“ ისტორიული ქრონიკა კი გარკვევით გვამცნობს, რომ რევს ბაკურის გარდა ჰყავდა სხვა ვაჟიშვილიც.<sup>25)</sup> ესაა თრდატი. აქ ის წარმოდგენილია ბაკურ რევის ძის ძმად ანუ ისიც რევის ძეა. თრდატი ბაკურ რევის ძის შემდგომ ასულა ტახტიზე. ანუ ბაკურის მერე მის ძეს კი არ ვხედავთ ტახტიზე, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ მის ძმას. ამგვარად, ტახტის დაკავებასთან დაკავშირებით ვითარება ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელისაგან განსხვავებულია.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როგორც ითქვა, რევის მეუღლე იყო სალომე, რომელიც სომეხთა მეფის თრდატის ასული ყოფილა. ანუ რევის მეორე ძეს მისი სიმამრის ანუ სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფის სახელი რქმევია. ასე რომ, „მოქადაცივა ქართლისას“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ირიბად ამონმებს ერთმანეთს.

მეფე თრდატი „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაშიც არის მოხსენიებული. მას მირიანის დროს გაქრისტია-

23 ქართლის ცხოვრება I, გვ. 130.

24 ქართლის ცხოვრება I, გვ. 131.

25 ცნობა რევის ერთი შეიძლის შესახებ არ ეწინააღმდეგება ცნობას მისი მრავალი შვილის შესახებ თუ დავუშვებთ, რომ ეს იყო მისი პირველი შვილი.

ნების შიშით თუშეთში გადაკარგული ყვარელები უკან დაუ-ბრუნებია და მოქმედევია:

და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელი უკანასენელ იპოვნეს; თო-დატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა. და ნინო შთავიდა ქხოეთა...<sup>26</sup>

თრდატის ძე ბაკურიც დასახელებულია „მოქმედევად ქართლისაში“, ოღონდაც ყურადღების მისაქმედი კვლავ ისაა, რომ ის უშუალოდ მამის მერე კი არ მეფობს, არამედ ვარაზ-ბაკურის მერე. აქ არ ჩანს თუ ვინაა ეს ვარაზ-ბაკური, რომელიც მამა-შვილს შორის პერიოდში იყავებს ტახტს. აი, ეს საკმაოდ უცნაური ინფორმაციის (არა მარტო უკვე აღნიშნული ფაქტების თვალსაზრისით) შემცველი მონაკვეთი „მოქმედევად ქართლისას“ ისტორიული ქრონიკიდან:

და დაჯდა მეფედ ძმად მისი თრდატ და მთავარ ებისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოსისა დიაკონი იობ. და მე-ფემან რუსთვისა რუ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადვა და მის ზევე ნეკრესს კახეთისასა ეკლესია აღიშენა განსრულებით. და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპანი შემოვიდეს სივნიეთა და იგი წიდარდ უკუჯდა. და მთავარეპისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სივნიეთი და გუასპურა-განი. და მისა ზე აღაშენეს აზნაურთა წმიდად იგი ეკლესიად მცხეთას და დაამოთაულეს დიდსა მას ეკლესიისა სოფლებ-ითა და ქარდაგებითა ქართლს შინა. და მისა შემდგომად მე-ფობდა ბაკურ, ძც თრდატისი. და მთავარ ებისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიად ბოლნისს და იმიერ გან-ვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვეს. და შემ-დგომად მეფობდა ფარსმან, დის წული თრდატისი და მთა-

26 ქეგლები, I, 89.

ვარებისკოპოსი იყო სუმეონ. და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბალდადს და მუნ მოკუდა.<sup>27</sup>

ქართლის კათალიკოსის იობი სომებთა კათალიკოსის ყოფილ დიაკვნად არის აქ წარმოჩენილი. ასევეა ეს სინურ „მოქცევად ქართლისამშიც.“<sup>28</sup> ჭელიშურ რედაქციაში კი ცნობა შეცვლილია და ნერსე ქართლის კათალიკოსად სახელდება. ანუ უბრალოდ მოხსენიებულია ქართლის კათალიკოსი ნერსე. სომებთა კათალიკოსის ხსენება კი აღარ არის. „მოქცევად ქართლისამ“ ისტორიული ქრონიკის დანარჩენ მონაკვეთებთან სტილის მსგავსების თვალსაზრისით ჭელიშურის რედაქციის ვარიანტი უფრო ბუნებრივი ჩანს, მაგრამ თუ ისევ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ ნაკლებ ბუნებრივი უნდა იყოს პროტოგრაფის მონაცემი, მაშინ კვლავ შატბერდულ რედაქციას (და, ამ შემთხვევაში, სინურ რედაქციასაც) უნდა მივანიჭოთ უპირატესობა.

აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: IV საუკუნის 50-იან-70-იან წლებში სომხეთში ზეობს კათალიკოსი, სახელად ნერსე. ესაა ცნობილი მოღვაწე წმინდა ნერსე ანუ ნერსე დიდი. აშკარად, სწორედ ეს ნერსე ჰყავს მხედველობაში „მოქცევად ქართლისამ“ ავტორს. ამგვარად, „მოქცევად ქართლისამ“ შესაბამისი ადგილის ქრონოლოგიური კოორდინატი ყოფილა IV საუკუნის მეორე ნახევარი, 50-70-იანი წლები.

აქედან დამატებით სიცხადეს იძენს ის ფაქტი, რომ ამიანე მარცელინეს მიერ 361 წლისათვის დასახელებული იბერიის მეფე მერიბანესი, მიუხედავად სახელის გარკვეულად მსგავსებისა, არ შეიძლება გავაიგივოთ ხოსროვანთა დინასტიის დამფუძნებელ ქართლის მეფე მირიანთან, როგორც ამას ფიქრობს მკვლევართა უმეტესობა.<sup>29</sup>

27 ქეგლები, I გვ. 91-92.

28 „მოქცევად ქართლისამის“ ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები, გვ. 16.

29 აი, როგორ მსჯელობას ვხდებით მირიანის ზეობის დროსთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიის შესახებ ერთ-ერთ გამოცემაში: „მირიანის მეფობის თარიღების ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება. ერთი რამ კი ეპროტული და სომხური წყაროების

თუმც ამიანე მარცელინეს ეს ცნობა (ვგულისხმობ მისი ნაშრომის 21-ე წიგნს) კარგად არის სპეციალისტებისათვის ცნობილი და ის არაერთხელ ყოფილა კიდევ დამოწმებული, შთაბეჭდილების სისრულისათვის მოვიყვან აქვე:

ვინაიდან ეშინოდათ, რომ კარგი ამინდის დადგომისთანავე უფრო ძლიერ თავდასხმას [მოაწყობდა] სპარსეთის მეფე, რომელიც გაჭირვებით იქნა უკან დახევინებული ზამთრის დროის სიძნელეების გამო, ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებით ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასათვის მოეწოდებინათ და შთაეგონებინათ, ჩვენთვის თანაევრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მოქრთამულ იქნენ არმაკი და მერიბანი (დედანშია მერიბანეს, მ. ჩ.), არმენიისა და იპერიის მეფეები.<sup>30</sup>

როგორც ზემოთ მივუთითებდი, ქართლის მოქცევის დროისათვის ანუ IV საუკუნის ოციანი/ოცდაათიანი წლების შუა ხანებისათვის მირიანი სამოც წელს მიტანებული უნდა

ბიდან ცხადია, რომ მირიანი სომეხთა მეფის თრდატ III-ის (298-330 წწ.) და რომის იმპერატორ კონსტანტინეს (306-337 წწ.) თანამედროვა და ამავე დროს კიდევ ცოცხლია 361 წელს<sup>31</sup>. იხ. საქართველოს ისტორია, საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე. ავტორები: დ. მუსელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრველი, მ. სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხებური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, ტომი 2. <https://tsulearn.files.wordpress.com/2014/12/saq-ist-2.pdf>. 361 წლის დამოწმება მიუთითებს, რომ აქ აშეკარად მხედველობაშია მიღებული ამინე მარცელინეს ცნობა და მირიანი მერიბანესთან არის გაიგივებული. სიტყვასიტყვით იგივე აზრი გამოირჩეულია სხვა ნაშრომში, რომელსაც აგრძელებს აქეს განზოგადების ამბიცია. იხ. მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსელიშვილი, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2015, გვ. 10. შდრ. „ამიანეს ცნობაში მოხსენიებული მერიბანი, უძრავილია, ქართული წყაროების მირიან მეფეა... ჩანს, მას საკმაოდ სანგრძლივად უმეფია“. იხ. ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 1979, გვ. 20. ამაზე შევნივეტ დამოწმებას, რადგან ნაშრომთა ჩამონათვლი, რომელშიც მირიანი მერიბანესთან არის გაიგივებული, საკმაოდ ვრცელი გამოვა. თუმც აშკარად, მკლეართა ნაწილი გრძნობს სირთულეს, რომელიც ამ გაიგივებას თან ახლავს: მესამე საუკუნის სამოციან წლებში დაბადებული მირიანი მეოთხე საუკუნის სამოციან წლებამდე აქტიური პოლიტიკური მოღვაწე გამოდგას.

30 გეორგიგა, I, გვ. 101. იხ. წიგნი XXI, 6, 7, 8. შდრ. ინგლისური თარგმანი: The Roman History of Ammianus Marcellinus during the Reigns of the Emperors Constantinus, Julian, Iovianus, and Valens, pp. 253.

ყოფილიყო. კიდევ ოცდათხუთმეტი წელი რომ ეცოცხლა, გამორიცხული, ცხადია, არაა, მაგრამ ნაკლებ სავარაუდო მგონია. ამასთან „მოქცევად ქართლისას“ შატბერდული რე-დაქციის მიხედვით, როგორც ვნახეთ, ის გარდაიცვალა ქარ-თლის მოქცევიდან რამდენიმე წელიწადში. სხვა რედაქციები და „ქართლის ცხოვრება“, მართალია, მოქცევის შემდეგ მისი ცხოვრების ბევრად უფრო მეტ წელს უჩვენებენ, მაგრამ სამ ათეულ წელზე მეტს მაინც არცერთი მათგანი. ანუ მიუხე-დავად იმისა, რომ სახელი „მერიბანესი“, გარკვეულად ჰგავს „მირიანს“, ტრადიციული იდენტიფიკაცია არასწორი ჩანს თუ თრდატ რევის ძის იმ ქრონოლოგიას მივიღებთ მხედველობა-ში, რომელსაც აფიქსირებს „მოქცევად ქართლისას“ ისტორი-ული ქრონიკა.

მაგრამ მაშინ ქართულ წყაროებში წარმოდგენილი მეფე-თა სიების რომელი მეფე იყო ამიანე მარცელინეს მერიბანე-სი?

ვ· გოილაძე მიიჩნევს, რომ მარცელინეს „მერიბანესი“ იგ-ივე „ქართლის ცხოვრების“ მირდატ ბაკურის ძეა.<sup>31</sup> ალნიშნუ-ლი მეფე მხოლოდ ამ წყაროში მოიხსენიება ქართლის მესამე ქრისტიან მეფედ.<sup>32</sup>

მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ მირდატი აშკარად იგივე „მოქცევად ქართლისას“ მესამე მეფე თრდატ რევის ძეა: „მირ-დატი“ ანუ „მიპრა+თრდატი“, „მითრა+თრდატი“ (მითრიდატი) ხომ იგივე თრდატია, ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ-სებობდეს ეჭვი.

როგორც ალინიშნა, „მოქცევად ქართლისას“ მიხედვით, თრდატი ბაკურ რევის ძის ძმაა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედ-ვით კი მირდატი ბაქარის (/ბაკურის) ძეა. აქ საქმე აშკარად კვლავ ლეონტი მროველის რეპრეზენტაციის ცდომილებასთან გვაქვს: ბაკურ რევის ძის შემდგომად მისი ძმის გამეფების ფაქ-ტი, ისტორიკოსს არასწორად მოეჩვენა, რადგან „უჩვეულოა;“ ამიტომაც ცნობა ჩასწორებულია და „ძმის“ მაგიერ „ძე“ არის

31 იხ. ვ. გოილაძე. ფარნაგაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბილი-სი, მეცნიერება, 1990, გვ. 84.

32 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 131.

დაწერილი. სახელები კი ანუ „მირდატი“ და „თრდატი“, როგორც ვთქვი, ფაქტობრივ, იდენტურია და ამ კუთხით პრობლემა არ არის.

მაგრამ თუ „თრდატი“ იგივე „მირდატია“ (და ეს, ვფიქრობ, უეჭველია) ჩვენი დილემა მერიბანესის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტას ექვემდებარება: სახელ „მირდატის“ ასოცირება უკვე შესაძლებელია სახელ „მერიბანესთან“. ანუ „მოქცევად ქართლისაას“ თრდატ მეფე (მირდატ მეფე „ქართლის ცხოვრების მიხედვით), არის იგივე მერიბანესი ანუ ქართლის ის მეფე, რომელიც ამიანე მარცელინეს მიხედვით სომეხთა მეფე არშაკთან ერთად რომაელებმა უხვად დასასაჩუქრეს 361 წელს.<sup>33</sup> ამ იდენტიფიკაციას მხარს უჭერს არა მარტო სახელთა მსგავსება, არამედ ქრონოლოგიაც: V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სომეხი კათალიკოსის ნერსე დიდის თანამედროვე ქართლის მეფე თრდატი, ცხადია, სწორედ ის მეფეა, რომელიც 361 წელს (ანუ IV საუკუნის მეორე ნახევარში) რომაელების მიერ იქნა დასასაჩუქრებული ერთგულების სანაცვლოდ. ამგვარად, თრდატ რევის ძის ზეობის თარიღთან დაკავშირებით ამიანე მარცელინეს და „მოქცევად ქართლისაას“ მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. როგორც უკვე ვთქვი, „მოქცევად ქართლისაას“ თრდატ რევის ძეს სომეხთა კათალიკოსის ნერსე დიდის თანამედროვედ მიიჩნევს. ნერსე დიდი კი, IV საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

ზემოთ მითითებული იდენტიფიკაციის საფუძველზე შეგვიძლია მოვიშველიოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიც მირდატ/თრდატის მოღვაწეობის აღსანერად. მაგალითად, აქ მითითებულია, რომ ეს მირდატ/თრდატი „მეფობდა დიდსა საწმუნოებასა ზედა“, რომ მან „აღაშენა ეკლესიაი თუხარისს“, აქ მღვდლები დასვა კლარჯებისათვის, და „მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა“.<sup>34</sup>

33 როგორც ითქვა, მერიბანესა და მირდატს ვ. გოლაძეც აიგივებს, თუმც განსხვავება მისსა და ჩემს თვალსაზრისს შორის ისაა, რომ მას მირდატი და თრდატი განსხვავებული პირები ჰგონა.

34 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 131.

კლარჯეთი, ჩანს, პოლიტიკურად პრობლემური მხარე იყო, ამიტომაც მირდატი/თრდატს/მერიბანესს თავისი პოზიციების გამაგრება აქ უცდია. ის ყოფილა ინიციატორი სვეტიცხოვლიდან ნაწილების გამოღების და მთელ ქვეყანაში გავრცელებისაც. ამ ფაქტის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო, რომ ეს მირდატი იგივე თრდატია.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, „მოქცევად ქართლისად“ ასევე უაღლესად საინტერესო ფაქტებს აფიქსირებს თრდატის მოღვაწეობასთან დაკავშირებით: მას ნეკრესი აუგია და სარწყავი არხი გაუყვანია.<sup>35</sup> თრდატი/მირდატი/მერიბანესს დაუბრუნებია თავის საცხოვრებელ ადგილას მირიანის დროს გაქრისტიანების შიშით გადაკარგული მთიელების ნაწილი და ისინი გაუქრისტიანებია.<sup>36</sup>

ამგვარად, რამდენიმე წყაროს მონაცემების შეჯერებით ქართლის მესამე ქრისტიანი მეფის, მირიანის შუათანა შვილიშვილის მოღვაწეობის შთამბეჭდავი სურათი გადაგვეშალა თვალწინ.

მაგრამ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოვიძიოთ თრდატის შესახებ წყაროებში, ამით არ ამოიწურება. ჩვენ საშუალება გვაქვს უფრო დავაზუსტოთ მისი ზეობის ქრონოლოგია და ამავე დროს შევივსოთ ინფორმაცია მისი ოჯახის შესახებ. ამაში ზემოთ უკვე დასახელებული წყაროების ანალიზი გვეხმარება:

ირანის შაჰის კრიტიკის კონტექსტში ამიანე მარცელინე ახსენებს სავრომაკს, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა თურმე ქართლს. აი, ეს ტექსტიც:

ამის შემდეგ, რათა ღალატით არაფერი დარჩენოდა შეუბლალავი, სავრომაკი გააძვა, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას და იმ ხალხის გამგებლობა ვინმე ასპაგურს გადასცა. თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი

35 ქეგლები, I, გვ. 91.

36 ქეგლები, I, გვ. 89.

გადაწყვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.<sup>37</sup>

ეს არის 368 წელი.

გარეშე ძალით მხარდაჭერილი მმართველობის აუცილებლობა უნდა გაჩენილიყო მეფის გარდაცვალებითა და, აქედან გამომდინარე, სამეფო ოჯახში მემკვიდრის მოძიებასთან დაკავშირებული კრიზისის მიზეზით. ამგვარი ვითარება შეიძლება ბუნებრივადაც დამდგარიყო, თუმც გამორიცხული არაა, რომ გარეშე ძალებს ის ხელოვნურადაც გამოეწვიათ.

აღნიშნული ცნობა თრდატი/მირდატი/მერიბანესის გარდაცვალების თარიღის მიახლოებით განსაზღვრაში გვეხმარება. 361 წლისათვის, როგორც ვნახეთ, ეს მეფე ცოცხალი იყო და საჩუქრებს იღებდა რომაელთაგან. 367/368 წლისათვის, როცა ქართლის მმართველად სავრომაკი სახელდება, ცხადია, რომ თრდატი/მირდატი/მერიბანესი უკვე ცოცხალი აღარა. ანუ თრდატ რევის ძე გარდაცვლილა 361-368 წლებს შორის მონაკვეთში.

ამგვარად, თრდატ რევის ძის ზეობა მყარად შეგვიძლია დავათარილოთ, ერთის მხრივ, თავად „მოქცევად ქართლისას“ მონაცემით, მეორეს მხრივ, მისი იდენტიფიკაციით ამიანე მარცელინეს მერიბანესთან. თრდატის ზეობა მოდის IV საუკუნის მეორე ნახევარზე. ეს დასკვნა საფუძველს გვაძლევს კიდევ მეტი დარწმუნებით გავიმეოროთ ხოსროვანთა სახლის ისტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სხვა დასკვნები, კერძოდ, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მირიანი და მისი შვილიშვილი ბაკურ რევის ძე IV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვანენი არიან და მირიანის ზეობის გადმოტანა IV საუკუნის მეორე ნახევარში არაა სწორი. ამაზე ყურადღებას ასე საგანგებოდ იმიტომ ვამახვილებ, რომ სწორედ მირიანის ზეობის დათარიღებაში დაშვებული ცდომილება (მის უშუალო მემკვიდრედ მისი შვილის მიჩნევის გარდა) მომდევნო მეფეების ქრონოლოგიის დადგენასა თუ იდენტიფიცირებაში იწვევს შეცდომათა დიდ ნაწილს.

<sup>37</sup> გეორგიკა, I, გვ. 125. იხ. ამიანე მარცელინე, წიგნი XXVII, 4, მდრ. The Roman History of Ammianus Marcellinus during the Reigns of the Emperors Constantinus, Julian, Iovianus, and Valens, გვ. 463.

### 3.

ზემოთ წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით ჩნდება რამდენიმე კითხვა: რა პრინციპით შეარჩიეს რომაელებმა სავ-რომაკი ქართლის მმართველად; იგივე კითხვა უნდა დაისვას ასფაგურთან დაკავშირებითაც: რით იყო ირანელთა არჩევანი განპირობებული, როცა ის შეარჩიეს? და კიდევ: რატომ უშუალოდ თრდატ რევის ძის შემდგომ არ ავიდა ტახტზე მისი ძე ბაკური, რომელიც, „მოქცევად ქართლისას“ მიხედვით, ხელისუფლებაში მოსული ჩანს მხოლოდ მეფედ „დამდგარი“ ვარაზ-ბაკურის შემდგომ? და კიდევ: ქართული წყაროების რომელ მეფეებთან უნდა გავაიგივოთ ასფაგური და სავრო-მაკი?

პირველ რიგში ვისაუბრებ სავრომაკზე. მკვლევართა დღიდი ნაწილი თვლის, რომ სახელი „სავრომაკი“ იგივე „საურმაგია“, რაც, ვფიქრობ, აშკარაა. ეს გაიგივება კი აღმიძრავს ასოციაციას ვახტანგ გორგასლის მამამძუძე საურმაგ სპას-პეტან:

მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლთა აღიზარდიან.<sup>38</sup>

საქმე ისაა, რომ საგვარეულოებში, როგორც ცნობილია, სახელები მეორდებოდა. ამიტომ ამიანე მარცელინეს მიერ მოხსენიებული სავრომაკი ანუ იგივე საურმაგი, მგონია, რომ იყო ქართლის სპასპეტთა სახლის წარმომადგენელი, სავარაუდოდ, ზემოთ ხსენებული ვახტანგ გორგასლის მამამძუძის პაპა.

სპასპეტი კი მეფის შემდგომ მეორე პირი გახლდათ ძველ ქართლში<sup>39</sup> და ამგვარი პირის მმართველობა მეფის არყოლის

38 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 155-156.

39 აი, როგორ არის დახასიათებული „ქართლის ცხოვრებაში“ ფარნავაზის მიერ განწესებული ანუ პირველი სპასპეტის უფლება-მოვალეობანი: მერვე ერისთავი

შემთხვევაში სრულიად ლოგიკური ჩანს. რომაელები სათანადო უფლების არმქონე პირს არ (და ვერ) გადასცემდნენ ქვეყნის მართვის სადაცებებს. ასე რომ, ამიანე მარცელინეს სავრომაკი იგივე ქართლის სპასპეტი საურმაგია. ეს ფაქტი ეთანხმება საზოგადოდ რომაულ პოლიტიკას, რაც ქვეყნის მეორე პირთა მეფისადმი დაპირისპირებაში გამოიხატებოდა.

საინტერესოა, რომ რომაელებს, როგორც ეს კარგად ჩანს ამიანე მარცელინეს მოყვანილი ცნობით, სავრომაკ/საურმაგი არ გაუმჯობებიათ. არც „მოქცევაა ქართლისაა“, არც „ქართლის ცხოვრება“ ამ სავრომაკ/საურმაგს არ ასახელებენ, სრულიად გასაგებია რატომაც: ის ხომ მეფე არ იყო. ასე რომ ცდებიან ის მკვლევრები (და მათი რიცხვი კი საკმაოა), რომელიც მართებულად მიიჩნევენ ქართლის მეფეთა რიგში აღადგინონ მეფე სავრომაკ/საურმაგი. ეს პიროვნება გარკვეულ პერიოდში მართავდა ქართლს, მაგრამ ის გვირგვინოსანი არ ყოფილა. როგორც უკვე ვთქვი, აღნიშნული კარგად ჩანს ამიანე მარცელინეს ცნობიდან და სრულ თანხმობაშია იმ ფაქტთანაც, რომ ქართული წყაროები მეფე სავრომაკ/საურმაგს არ იცნობენ.

როგორც ამიანე მარცელინეს თხზულებიდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდანაც ირკვევა, ეს სავრომაკ/საურმაგი ირანელებმა ქართლიდან გააძევეს და მის მაგიერ ასფაგური დასვეს. ასფაგურს მკვლევართა ერთი ნაწილი აიგივებს ქართული წყაროების „ვარაზ-ბაკურთან“, რაც ასევე სავსებით მართებული მგონია.<sup>40</sup>

ამიანე მარცელინე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას

---

ფარნავაზს დაუსვამს სპასპეტად: „ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანგარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომამდე ნინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა.“ იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24-25.

- 40 თუმც ნანილს ორქოფული პოზიცია უკავია, ნაწილი კი კატეგორიულად უარყოფს, როგორც ამას, მაგალითად, აკეთებს მ. სანაძე (იხ. მისი ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკოზების ქრონოლოგია, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2016, გვ. 270). მოუხედავად ამისა, მე მხარს ვუჭრ ამ გაიგივებას არა მარტო იმიტომ, რომ სახელებს შორის ფონეტიკური მსგავსებაა, არამედ იმიტომაც რომ ქრონოლოგიის თვალსაზრისით აქ მეტი მეფის მოაზრება არამართებული ჩანს.

ირანელებმა გვირგვინიც დაადგეს. ანუ ასფაგურ/ვარაზ-ბაკუ-რი, განსხვავებით სავრომაკ/საურმაგისაგან, მეფე იყო.

როგორც ვხედავთ, ირანელებს ფაქტობრივად ქართლში მეფობა აღუდგენიათ და ეს, ცხადია, მათ გააკეთეს იმისათვის, რომ რომაელების უგვირგვინო მმართველისათვის ანუ სავრო-მაკ/საურმაგისათვის ქართლის ტახტზე ძლიერი კონკურენტი დაეპირისპირებინათ.

გვირგვინოსანი ასფაგურ/ვარაზ-ბაკური სრულიად ბუნებრივია, რომ დაფიქსირებულია ქართულ წყაროებში, რომ-ლებიც, როგორც ითქვა, უზენაეს ხელისუფალთ – მეფებს, ერისმთავრებს, მთავარეპისკოპოსებსა და კათალიკოსებს – ასახელებენ და მხოლოდ გამონაკლისია სხვაგვარი ფაქტები. ამგვარად, აშკარა ხდება, რომ „მოქცევაა ქართლისახს“ ის ნაწილი, სადაც ვარაზ-ბაკური პირველად არის მოხსენიებული, 367/368 წლის ამბებს შეეხება. აქ პრობლემას არ ქმნის, რომ აქვე (ანუ მის უწინარესად) მისი კონკურენტი სავრომაკ/საურმაგიც მოხსენიებული არაა. როგორც ითქვა, ის მეფე არ იყო და მეფეთა სიაში ამიტომაც ვერ მოხვდებოდა.

მაინც რატომ მოიძიეს ირანელებმა ასფაგურ/ვარაზ-ბაკუ-რი? ვინ იყო ის?

ისევე როგორც სავრომაკ/საურმაგი, შეუძლებელია, რომ ასფაგურ/ვარაზ-ბაკურიც ყოფილიყო შემთხვევითი პირი. თუმც ის აშკარად არ ყოფილა სამეფო გვარის წარმომადგენელი. ამას მაციქერებინებს მის მიმართ ამიანე მარცელინეს მიერ გამოყენებული ეპითეტი: „ვინმე“. ანუ შეუძლებელია ასფაგურ/ვარაზ-ბაკური ხოსროვანთა შთამომავალი ყოფილიყო. ასე რომ, ძალიან უცნაური ვითარებაა: ასფაგურ/ვარაზ-ბაკური არ იყო სამეფო საგვარეულოს შთამომავალი, მაგრამ ის მაინც გაამეფეს და მეტიც: წარმატებით დაუპირისპირეს ქვეყანაში მეფის შემდგომ მეორე პირს ანუ სპასპეტს.

ირანელები, სავარაუდოდ, ცნობდნენ ხოსროვან მეფეთა ლეგიტიმურობას ქართლის ტახტზე. ეს მათი პოლიტიკური მიზნებისათვის საკმაოდ ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარაზ-ბაკურ/ასფაგური, თუმც

ხოსროვანი არ გახლდათ, მაინც სამეფო ოჯახთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ რა სახის იყო ეს კავშირი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ამ ეპოქას არეულად წარმოადგენს, ცალკეულ სწორ ცნობებს უხვად გვაწვდის, იმიტომ რომ ავტორი, როგორც უკვე ვთქვი, სწორ წყაროებს ეფუძნება, უბრალოდ მისი ცდომილებანი მის მიერ ამ ფაქტების არასწორი გააზრების და ამის გამო არაადეკვატური რეპრეზენტაციის შედეგია.

აი, კონკრეტულად რას გვამცნობს ეს წყარო: ვარაზ-ბაკური იყო თრდატის სიძე – ქალიშვილის ქმარი.<sup>41</sup> ამ ფაქტის გათვალისწინებით კი ყველაფერი თავის ადგილზე დგება: მართალია, ასფაგურ/ვარაზ-ბაკური თავად არ იყო ხოსროვანი, მაგრამ როგორც ხოსროვანთა სიძე, განიხილებოდა მათი ოჯახის წევრად. ამგვარად, გასაგები ხდება ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის კავშირი ხოსროვანთა საგვარეულოსთან და მისი ლეგიტიმურობის ხარისხიც. ჩემი აზრით, მისი კანდიდატურის შერჩევა და მისთვის გვირგვინის დადგმა ორანული პოლიტიკის უაღრესად ეფექტური ნაბიჯი იყო რომაელების ფავორიტის სავრომაკ/საურმაგთან დასაპირისპირებლად.

ალბათ მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა, რომ „მოქცევაზ ქართლისადს“ შატბერდულ რედაქციაში უცნაური ფორმულირებაც არის გამოყენებული ვარაზ-ბაკურის გამეფებასთან დაკავშირებით: „დადგა მეფედ“, რაც, ვფიქრობ, გამოხატავს ქრონისტის პოზიციას: ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის ზეობას ის აშკარად დროებითად მიიჩნევს, ეს იმიტომ, რომ ჩანს, ეს ასე განიხილებოდა თავად სამეფო დინასტიის მიერ: ვარაზ-ბაკური/ასფაგური ტახტი იკავებდა მანამ, სანამ ტახტს ნამდვილი მემკვიდრე ანუ ბაკურ თრდატის ძე დაიკავებდა. ჩემი თვალსაზრისი ზმნა „დადგასთან“ დაკავშირებით საკმაოდ ადრე გამოვთქვი და მან ზოგი მკვლევრის კრიტიკაც გამოიწვია იმ ფაქტის მოშველიებით, რომ „მოქცევაზ ქართლისადს“

41 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 132.

სინური რედაქცია, მსგავსად ჭელიშურისა, გვიჩვენებს ჩვეულებრივ ფორმას: „დაჯდა მეფედ“.<sup>42</sup> აქაც იმ არგუმენტს მოვიშველიებს, რომელიც ზემოთ ორჯერ უკვე გამოვიყენე: „დადგა მეფედ“ უჩვეულო გამოთქმაა, „დაჯდა მეფედ“ ჩვეულებრივი. გადამწერის მიერ გადაკეთება უნდა წარმოვიდგინოთ „ჩვეულებრივის“ მიმართულებით. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დედნისეულ „დადგას“ ინახავს შატბერდული „მოქცევას ქართლისაა“, მიუხედავად იმისა, რომ ორ რედაქციაში ანუ ჭელიშურსა და სინურში, არის „დაჯდა“, სწორედ შატბერდულის ჩვენებას უნდა მიერიქოს უპირატესობა.

ვარაზ-ბაკურისა და ასფაგურისა გაიგივება საინტერესოა იმითაც, რომ ქართული წყაროების და, კონკრეტულად, პეტრეს იძერის ქართულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით ვარაზ-ბაკური პეტრე იძერის მამაა. პეტრეს ასურულენოვან<sup>43</sup> „ცხოვრე-

42 მაგალითად, ბ. ხურცილავა ასე მსჯელობს: „ჩხარტიშვილის აზრით, რადგან შატბერდულ რედაქციას ვარაზ-ბაკურის მეფედ „დადგომაზეა“ საუბარი ნაცვლად მოსალოდნერი „დაჯდომისა“, ეს თითქოს მის მიერ სამეფო ტახტის დაკავების დროინით ხსიათზე უნდა მომითხოდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქრისტიანის უძველესი, ე. წ. სინური რედაქცია (შემ 48) აღმოჩნდა, სადაც ვარაზ-ბაკურის მეფედ „დაჯდომაზეა“ საუბარი, ცხადია, მეცნიერის ზემოხსენებულ ვარაუდსაც სიმყარე მოაკლდა. იხ. ბ. ხურცილავა. ადრექტისტიანული ხანის ქართლის სამეფოს ისტორიის ერთი ეპიზოდის შესახებ [https://www.academia.edu/8143319/Besisik\\_Khurtsilava.\\_About\\_Khram\\_Khuar-Burz-Adur\\_](https://www.academia.edu/8143319/Besisik_Khurtsilava._About_Khram_Khuar-Burz-Adur_). მართალია, რომ სინური „მოქცევაზე აა ქართლისას“ ჩვენება განსხვავდება შატბერდულისაგან (ამ უკანასკნელისგან განსხვავდება და ჭელიშურს ემთხვევა), მაგრამ მე მაინც შატბერდულს ვანიჭებ უპირატესობას, თუმც, როგორც ვხედავთ, ის „უმცირესობაშია“. ხელნაწერის მონაცემის „უმრავლესობაში“ ყოფნა სულაც არ ნიშნავს მის სისწორეს, ანუ პროტოგრაფიან დამითხვევას. შესაძლოა, რომ ყველა შემორჩენილი ხელნაწერი ისეთი დედნიდან მომდინარეობდეს, რომლის მონაცემები არ ემთხვევა პროტოგრაფის მონაცემს. სინური ხელნაწერი და ჭელიშური ერთი დედნიდან მომდინარე ჩანს. ჭელიშურისათვის შატბერდულისაგან განსხვავებული დედნის ასებობა ნაჩვენებია ჩემს ნაშრომში „მოქცევაზ ქართლისას“ პროტოჭელიშური რედაქციის შესახებ. იხ. მ. ჩხარტიშვილი, „ნმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოჭელიშური რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო, მაცნე ისტორიის. . . სერია. თბილისი 1978. №4, გვ. 97-106. სინური სწორედ ამ განსხვავებული დედნის ასებობა ნაჩვენებია ჩემს ნაშრომში „მოქცევაზ ქართლისას“ პროტოჭელიშური რედაქციის შესახებ. იხ. მ. ჩხარტიშვილი, „ნმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოჭელიშური რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო, მაცნე ისტორიის. . . სერია. თბილისი 1978.

43 ასე ვუწოდებ მე პეტრე იძერის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის თხზულებებს იმიტომ, რომ მათი პროტოგრაფების ენა (ერთ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ „დაჯდა“ უფრო ბუნებრივია, „დადგა“ – შედარებით არაბუნებრივი). გადასწორება კი მოსალოდნელია, რომ ბუნებრივის მიმართულებით მოხდებოდა და არა პირიქით.

ბაში“, მართალია, მის მამას ეწოდება ბოზმარიოსი (როგორც ფიქრობენ, ეს იგივეა, რაც „ბუზმიპრი“), მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება ეჭვის საფუძველი იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ ვარაზ-ბაკური იყო პეტრეს მამა. სახელების თვალსაზრისით ეს ორი ტექსტი აჩვენებს სხვაობას პეტრეს ერისკაცობის სახელთან დაკავშირებითაც: ქართულენოვანში იგი მურვანოსია, ასურულენოვანში – ნაბარნუგიოსი, მაგრამ ამ მიზეზით, ცხადია, არავინ უარყოფს იმას, რომ პეტრეს მურვანოსი ერქვა.<sup>44</sup>

ის ფაქტი, რომ ვარაზ-ბაკური პეტრეს მამაა, გვახვედრებს ვინ იყო პეტრეს პაპა დედის ხაზით: ესაა ქართლის მესამე ქრისტიანი მეფე თოდატ (//მირდატ//მერიბანესი) რევის ძე. მაგრამ პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრება“ რატომლა მიუ-

დაც ამ ძეგლებმა ჩვენამდე მოაღწია: პეტრეს „ცხოვრების“ ქართულად შემონახული ტექსტის დედანი, როგორც მისი ერთ-ერთი ანდერმდინანერი გვაუწყებს, იყო ასურული, ხოლო ასურულად მოლწული ტექსტის დედანი, მკვლევართა ნაწილის აზრით, იყო ბერძნული. ორივე ვერსიის აზრისბეჭდითან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა აზრი. წლების მანძილზე ქართულ და უცხოურ ენგბზე გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი. მაგალითისათვის იხ. ი. ლოლაშვილი. არეოპაგიტიკის პრიზღვემები (თბილისი, 1972), გვ. 76-176; გ. კოპლატაძე. წმინდა ჰეგიტრი იძერი. სამი საუნჯა, 1 (2011), გვ. 162-166; გ. მახარაძე. არეოპაგიტიკა. ფილოსოფიური მსოფლებელების, ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები, გავლენა, თბილისი, 2011, გვ. 25-52. C. B. Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian* (Oxford University Press, 2006), გვ. 10-49; John Rufus: *The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix (Society of Biblical literature, Atlanta, 2008), გვ. LVIII-LXIII). ამ დასკუსიაში ჩართვა ამჯერად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომა, რომ მე ვკრიდები ალნიშნული ვერსიების ავტორების ან ორიგინლის ენის მიხედვით მოხსენიებას და მათზე მითითებას ვაკეთობ ასე: „ასურულენოვანი ვერსია“, „ქართულენოვანი ვერსია“ და არა „ქართული ვერსია“ ან „ასურული ვერსია“, როგორც ეს მიღებულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში.

44 სახელების საკითხი მეტად აქტუალურია ამ ეპოქის წყაროთა მართებული გააზრებისათვეს. როგორც ითქვა, პეტრე იძერის სახელი ერთსაცობაში ქართულენოვანი წყაროს მიხედვით არის მურვანოსი, ასურულენოვანის მიხედვით კი – ნაბარნუგიოსი. პეტრეს მამას ვარაზ-ბაკური და მეორეში – ბიზმარიოსი/ბუზმიპრი ჩვენ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რატომ არის განსხვავებული სახელები ამ წყაროებში გამოყენებული ერთი და იმავე პირისათვის: შესაძლოა, ასურულენოვანი „ცხოვრების“ ავტორს, რომელიც მოსმენით წერდა პეტრე ნათესავებზე, უბრალოდ აერთ სახელები. საქმე ის არის, რომ ორივე ამ სახელს აქვს მჟღერი თანხმოვანი – ზ, რომელიც უაღრესად დამახსოვრებადია და, ამ ფაქტმა, შესაძლოა, ასეთი აღრევა გამოიწვიოს.

თითებს, რომ პეტრეს პაპა დედის ხაზით იყო „დიდი ბაკური“?<sup>45</sup> როგორ შევათანხმოთ ეს ცნობები?

ვიდრე კონკრეტულად ამ კითხვაზე გავცემდე პასუხს, მინდა შენიშვნა გავაკეთო პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრება“<sup>46</sup> წყაროთმცოდნეობით ღირებულების თავისებურებასთან დაკავშირებით. ის ავთენტურია, რადგან პაგიოგრაფი ინფორმაციას უშუალოდ თვითმხილველისაგან ანუ პეტრესაგან იღებდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი უცხოელია და ამის გამო საქართველოს ვითარების ნაკლებად მცოდნე. ზოგჯერ ის პეტრეს ნათქვამს იგებს არაადეკვატურად და ამის შესაბამისი ინტერპრეტაციით გვაწოდებს მას ან კიდევ მისი რეპრეზენტაციის სტილის გარკვეულად მოულოდნელობის გამო, თანამედროვე მკვლევარს თავად აქვს გაების პრობლემა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო მირიანი.<sup>47</sup> განა შესაძლებელია პეტრეს მირიანის შესახებ არაფერი სცოდნოდა? ცხადია, არა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პეტრეს სახელი ბერად აღკვეთამდე ანუ მურვანოსი, ხომ იგივე მირიანია.<sup>48</sup> მაშინ რატომდა უნდა ეთქვა მოწაფისათვის, რომ ბაკურია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე? ცხადია, ის ამას არ იტყოდა, მაგრამ ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ არც პაგიოგრაფი გადასხვაფერებდა შეგნებულად მის ნათქვამს ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

ვითარების გარკვევაში გვეხმარება „მოქცევად ქართლი-საა“: მირიანის მომდევნო მეფე ქართლის ტახტზე, როგორც ითქვა, იყო მისი შვილიშვილი ბაკურ რევის ძე. და ეს ბაკური,

45 იქვე, გვ. 248.

46 სწორედ ამ წყაროს მონაცემის საფუძველზე სპეციალისტებს შორის იყო დავა იმის შესახებ თუ ვინ უნდა მიგვეჩნია ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ: მირიანი თუ ბაკური. პოლემიების შესახებ იხ. შ. ნუცებიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, შრომები, VIII, თბილის, 1983, გვ. 135, 581-582.

47 აღნიშნული სახელების იგივეობა ძნელი ამოსაცნობი არაა და ამ მიხვედრამდე, ცხადია, დამოუკიდებლად მივედო. მაგრამ დავიმოწმებ მკვლევრებს, რომელთაც ეს ფაქტი ჩემამდე დააფიქსირეს წერილობით. იხ. ბ. სურცილავა. პეტრე იბერის საერო სახელისათვის. მისივე წიგნში „ქართული დამწერლობისა და აღრიცხვის-ტიანული საქართველოს ისტორიისათვის (სტატიის კრებული)“, თბილის, 2006, გვ. 57-65; John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus. Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix Jr. გვ. XXIV, გეგ. 21.

მართლაც, პირველი იყო არა იმ აზრით, რომ ის გახლდათ ქართლის მეფეებს შორის პირველი ვინც გაქრისტიანდა, არამედ იმ აზრით, რომ ის იყო ქართველ მეფეებს შორის პირველი, რომელმაც ქრისტიანმა დაიკავა სამეფო ტახტი.

ამგვარად, ან ჰაგიოგრაფმა ვერ გაიგო ადეკვატურად პეტრეს ნათქვამი ან მან ზუსტად გაიგო, მაგრამ თანამედროვე მკვლევრებმა მიანიჭეს მის ნათქვამს სხვაგვარი მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, აღნიშნული ფაქტი ვერც ამ ჰაგიოგრაფიული წყაროს ავთენტურობას დააყენებს ეჭვეჭვეშ, და ვერც მირიანის, როგორც ქართლში ქრისტიანობის დამამკვიდრებლის, დამსახურებას დაამცრობს: ქრისტიანობა მირიანმა დაამკვიდრა, მაგრამ ტახტზე ქრისტიანობით ასული პირველი მეფე ბაკური იყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „დიდი ბაკური“ „მოქცევაა ქართლისას“ მეფე ბაკურ რევის ძეა და გასაგებია ისიც თუ რატომ უნიდა მას ჰაგიოგრაფმა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე.

მაგრამ რატომ დასახა მან ის პეტრეს პაპად დედის ხაზით? ჩემ მიერ ზემოთ ნარმოდგენილი სურათით ბაკური პეტრეს პაპის ძმა გამოდის. პაპის ძმა ხომ იგივე პაპაა:

მთიულეთში პაპის ძმას ეწოდება პაპა... შესაძლოა აქ საქმე გვაქვს ოდესალაც არსებულ იმ რეალურ მდგომარეობის ასახვასთან ტერმინოლოგიაში, როდესაც პაპის ძმა ნამდვილად პაპად ითვლებოდა.<sup>48</sup>

ანუ პეტრეს ჰაგიოგრაფთან საუბარში შეიძლებოდა, მართლაც, ეთქვა, რომ „დიდი ბაკური“ მისი პაპაა. ჰაგიოგრაფი ამ კუთხით შეცდომაში შეიძლებოდა შეეყვანა პეტრეს დედის სახელსაც: მას ბაკურდუხტია ერქვა,<sup>49</sup> რაც ნიშნავს „ბაკურის ასულს“. აქ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: თრდატრევის ძის ორივე შვილს, ქალსაც და ვაჟსაც, მის ძმასთან ანუ

48 ი. გოგინაშვილი. აგნატური ნათესაობის ზოგიერთი თავისებურება მთიულეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბილისი, 1985, გვ. 161.

49 გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, მეცნიერება, 1965, II, გვ. 248.

ბაკურ რევის ძესთან დაკავშირებული სახელები ერქვათ: ბაკურდუხტია და ბაკური. აღნიშნული ფაქტი ძმებს შორის განსაკუთრებულ დამოკიდებულბაზე მეტყველებს.

ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ „მოქცევაზ ქართლისაა“ და პეტრე იბერიის ასურულენოვანი „ცხოვრება“ ერთმანეთთან თანხმობაშია, მეტიც, ამონმებს ერთმანეთს: „დიდი ბაკური“/ბაკურ რევის ძე იყო პეტრეს პაპა (პაპის ძმა) დედის ხაზით; ის გახლდათ ქართლის მეფე, რომელმაც პირველმა ქართლის მეფებს შორის ქრისტიანმა მიიღო ხელისუფლება.

ზემოთ, როცა მე ვსაუბრობდი ბაკურ რევის ძეზე, მისი მიმართება „დიდ ბაკურთან“ ცხადი არ იყო მკითხველისათვის. ამიტომ მისი პორტრეტის დახატვისას მხოლოდ „მოქცევაზ ქართლისაას“ და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით შემოვიფარგლე. ახლა რაც იგივეობა მკითხველისთვის თვალსაჩინო გახდა, მე მოვიყვან ცნობებს ბაკურ რევის ძის შესახებ პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრებიდანაც“.

„დიდი ბაკურზე“ ანუ ბაკურ რევის ძეზე ინფორმაცია აღნიშნულ წყაროში საკმაოდ ვრცელია.

თავდაპირველად ბაკურისა და მისი მეუღლის ღვთისმოსაობის თაობაზე. წყაროდან ქვემოთ წარმოდგენილი ამონარიდით კარგად ჩანს ის ასკეტური სულისკვეთება, რომელზე-დაც ზემოთ, რევთან დაკავშირებით, ვისაუბრე და რომლითაც, აშკარად იყვნენ გამსჭვალულნი ხოსროვანთა ოჯახის წევრები:

დიდი ბაკურიოსი, რომელიც იბერთა მეფებიდან პირველი ქრისტიანი (მეფე) იყო, და მისი მეუღლე დუხტია ღვთისმოშიშობის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთ სათნოებამდე და ისეთ ქცევამდე ქრისტეს მიერ უფლისა, რომ ისინი, თუმცა მეფეური მოდგმისანი იყვნენ, თავიანთი მეფობის განმავლობაში მონაზონის ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და ისე ცხოვრობდნენ. რამეთუ თანახმად მშვენიერი შეთანხმებისა, რომელიც მათ ერთმანეთში დადგვეს, მათ შორს ეჭირათ თავი ხორციელი კავშირისაგან: მათ საკმარისად მიიჩნიეს ის ბავშვები, რომლებიც მინიჭებული ჰყავდათ. თავის მხრით მორწმუნე ბაკურიოსი, რომელიც მარხვას, ლოცვასა და

მოწყალების გაცემას ზედმიწევნით მისდევდა, კვირა-ში სამჯერ საკუთარი ხელით გვიდა ქალაქის ეკლესიას. ის არაჩვეულებრივი ჭარბი სიყვარულით იყო სავსე ღარიბთად-მი და თავისი ღირსების დამცირებად არ თვლიდა, თავის სასახლეში ნაირნაირი საჭმელები დაემზადებინა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით მიქეონდა ღამით თვითონ მის მიერ აგებულ ღარიბთა თავშესაფარში; და ვინც იქ იყო მოთავსე-ბული მეფე საკუთარი ხელით აჭმევდა. ხოლო ცხონებულმა დუხტიამ, ისეთივე გამრჯელობით დაჯილდოებულმა მის-მა მეუღლემ, მეფური სამეცაულები უგულებელყო და ჩაიც-ვა ბალნის სამოსელი, ძაძა, გაჰყიდა თავისი ტახტრევანი. . აგრეთვე ყოველგვარი ოქროს ნივთები და მარგალიტები და ღარიბებს დაურიგა იქიდან აღებული თანხა. და როდესაც შაპათობით ის დიდად მარხულობდა და ბევრს ლოცულობდა, ხშირად მიუღია მას ისეთი წყალობა ჩვენი უფლისაგან, რომ საქმარისი იყო მხოლოდ თავისი ხელი დაედო, რომ განეკურ-ნა (ვინმე ავადმყოფი).<sup>50</sup>

ეს რაც შეეხება „დიდი ბაკურის“ ანუ ბაკურ რევის ძის ასკეტურ ღვთისმოსაობას. არანაკლებ შთამბეჭდავია ინფორ-მაცია ირანის შაჰთან მისი ურთიერთობის შესახებ. ამ ეპიზოდ-ში „დიდი ბაკური“/ბაკურ რევის ძე ჩანს, საკმაოდ გამბედავ, ამავე დროს, ანგარიშგასაწევ პოლიტიკურსად.

მისი მეუღლის, დიდი ბაკურიოსის შესახებ მინდა გიამბოთ შემდეგი შემთხვევა. თავის დანარჩენ სათხოებათა გვერ-დით, აღმსარებლობის გვირგვინი დაიწნა მან ერთხელ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, თავისი სურვილის მიხედვით, წამებულის გვირგვინიც. როდესაც ის ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო კავშირი ჰქონ-და მასთან შეერული და ერთი მისი სარდალთაგანიც იყო, და დაინახა რომ, როგორც კი მზე ამოვიდა, თვით მეფეც და ყველა მისი სარდალი, მეთაურები, სატრაპები და წარჩინებულებიც ერთბაშად ჩამოხტენენ ცხენიდან და მზეს მიმართეს ლოცვით. ის (ბაკურიოსი) თავის ცხენზე მდჯომარედ დარჩა და როდე-

50 გეორგიკა, II, გვ. 250.

საც სხვა სატრაპებმა ეს მეფეს მოახსენეს და თვით ბაკურისიც წარსდგა მის წინაშე, შეეკითხა მას – მართალია თუა არა, რაც თქვესო. დანიელისა და მისი ჭაბუკი მეგობრის ამ ჭეშმარიტმა მიმბაძველმა მთელი ჯარის წინაშე გულახდილად წამოიძახა: მე ვარ ქრისტიანი და მე არ შემფერის უარვყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივმართო მის გაჩენილს, რომელიც იმისათვის არის შექმნილი, რომ მე და ყველა ადამიანს გვემსახუროს და გვინათოს, – და ასე, რომ მეფე, თუმცა განცვიფრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, მიუბრუნდა თავი-სიანებს და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება. რა უნდა ვუყყოთ მას. ეს არის ბაკურიოსის ვაჟკაცობათა ერთი ნაწილი.<sup>51</sup>

ჰაგიოგრაფი, როგორც ქრისტიანი ავტორი, შესაძლოა, ქართლის ამ მეფის გარკვეულად იდეალიზებულ სახეს გვთავაზობდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ძირითადში ის ზუსტად ასახავს ქართლის სამეფო კარზე არსებულ ასკეტურ ატმოსფეროს.

პორტრეტის სისრულისათვის აქ გავიმეორებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ მონაცემს, რომელიც გვიჩვენებს ქართლის ამ მეფის საგარეო პოლიტიკის თავისებურებას: „მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა დაწერა წელით-წერილი.“<sup>52</sup> ამგვარად, ქართლის ეს მეფე თანამშრომლობდა არა მარტო რომთან, სადაც ის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ერთხანს საპატიო მძევალი იყო,<sup>53</sup> არამედ ირანთანაც.

#### 4.

მაგრამ დავუბრუნდეთ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს. პირველ რიგში თხრობა მინდა გავაგრძელო ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის სავრომაკ/საურმაგთან ურთიერთობის განხილვით, რომელიც მოცემული აქვს ამიანე მარცელინეს. ისევ XXVII წიგნში ამიანე

51 გეორგიკა, II, გვ. 250-251.

52 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 131.

53 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

მარცელინე საუბრობს ქართლიდან გაძევებული სავრომაკ/ საურმაგის რევანშის შესახებ:

.. და სავრომაკი (როგორც წინათ ვთქვით) იბერიის სამეფოდან გამოძევებული ტერენციუსითურთ გაიგზავნა უკანვე. მდინარე კიროსს რომ მოუახლოვდა, ასფაგური შეევეძრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო: იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ. ეს რომ იმპერატორმა გაიგო, რათა გონიერი განსჯით გაერიგებინა ამის გამო კიდევ მოსალოდნელი უთანხმოებანი, დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი დადებულიყო და სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე [მხარე] რგებოდა, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსეთის მომიჯნავე.<sup>54</sup>

როგორც დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 373 (ან 372) წელს,<sup>55</sup> რაც მართებული მგონია. ქართლის გაყოფა, რომელიც მიზანშეწონილად ეჩვენა იმპერატორს, ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის „პროექტი“ ყოფილა, შეთავაზებული მის მიერ არა მარტო საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად, არამედ ქართულ პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის სისხლისლვრის თავიდან ასაცილებლადაც.

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ამიანე მარცელინეს მიერ დაფიქსირებული ქართლის დანაწილება ძველად არსებული დანაწილების გათვალისწინებით მოხდა, მაგალითად, ვ. გოილაძის აზრით, სავრომაკ/საურმაგმა

ბიზანტიელთა ხელშეწყობით ორმეფობის დროინდელი, არმაზში მჯდომი მეფის შემდგომ მეორე პირების – ქართლის სპასპეტ-პიტიახშების კუთვნილი ტერიტორიები მიიღო.<sup>56</sup>

54 გეორგიე, I, გვ. 130. იხ. ამიანე მარცელინე, წიგნი XXVII, 16, 17. შდრ. ინგლისური თარგმანი შდრ. *The Roman History of Ammianus Marcellinus during the Reigns of the Emperors Constantinus, Julian, Iovianus, and Valens*, გვ. 466.

55 დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, მემატიანე, 2003, გვ. 59.

56 ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონილოგია, გვ. 86.

ვფიქრობ, ეს გასათვალისწინებელი აზრია,<sup>57</sup> თუმც აშკარაა, რომ სპასპეტი/პიტიახშების სამფლობელო ახალი დაყოფის დროს ისტორიულ დაყოფასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილა. ეს ფაქტი თავისებურად ჩანს ასახული „ქართლის ცხოვრებაში“. ქართველ მემატიანეს დაყოფა, სავარაუდოდ, ესმის, როგორც ვარაზ-ბაკურ/ასფაგურისაგან „კლარჯთა განდგომა“:

და ამისა შემდგომად განდგნეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაბეყრეს ბერძენთა თუხარი-სი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანამდე და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი.<sup>58</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯერზე ასფაგურ/ვარაზ-ბაკურ-მა შეძლო (მართალია, დანაწევრებული) ქვეყნის მეფედ დარჩე-ნილიყო, საბოლოოდ მაინც იძულებული შეიქმნა ხელისუფლება დაეტოვებინა. ეს ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდანაც კარგად ჩანს. გავიმეორებ ამ ამონარიდის ერთ მონაკვეთს:

და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზპანი შემოვიდეს სივნიეთა და იგი წიდარდ უკუჯდა. და მთავარეპისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარესა შედგა და სივნიეთი და გუასპურაგანი.

ამ მონაკვეთის ინტერპრეტაციაზე და ქრონოლოგიაზე უნდა ვისაუბრო ახლა.

57 ვარაზ/ბაკურ/ასფაგურის მიერ ნათესაობის ხაზგასმაც გასაგები ხდება ამ კონ-ტექსტში: არმაზელი და მცხეოლი მეფეების ნათესაობა და თანამშრომლობა აღნიშნულია „ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკურ ქართლში ორმეფობის დამყარე-ბის კონტექსტში, გვ. 43, 50. ა. ბოგვერძეს ყურადღება აქვს მიქცეული ერთ საინტერესო ფაქტზე: რომაელ ისტორიკოსს საურმაგ/საგრომაკის და ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის ნათესაობის აღსანიშნავად გამოყენებული აქვს სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ნათესავებს დედის მხრიდან. ა. ბოგვერძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 23. ანუ ისტორიკოსი კარგად იყო ინფორმირებული ვითარების შესახებ.

58 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136-137.

უპირველეს ყოვლისა, გავარკვიოთ, რას ნიშნავს გამოთქმა „წიდარდ უკუჯდა“. აშკარად უკან დახევის აზრია ჩადებული ამ ფრაზაში. ვ. გოლაძის შეხედულებით, ეს ნიშნავს „მთებ-ში გახიზვნას“,<sup>59</sup> რაც არასწორი მგონია. „ხიდარი“ ხომ ციხის სახელწოდება იყო. ხიდარი – ეს საკმაოდ გავრცელებული ტო-პონიმია საქართველოში. ვახუშტის განმარტებით

არაგვის პირს არს ოხერ-ხიდა, რომელსა ენოდა პირველ ხი-დარი, სადაც აღაშენა ვარაზ-ბაქარ ციხე და უკუჯდა ხევსა ვახეთისასა და არაგვის პირს.<sup>60</sup>

VIII საუკუნეში ის უკვე ნაციხარი იყო, მაგრამ ჩემთვის ამ-ჯერად ისაა საინტერესო, რომ ხიდარის ციხეზეა ცნობა:

... და იწყო შენებად ქართლმან, ხოლო განრყუნილ იყო საყ-ოფელად მცხეთა. გარდმოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსაჟიდარისასა.<sup>61</sup>

ვარაზ-ბაკურს სამეფო ტახტის მიტოვების მერე ციხე-სიმაგრე ხიდარისათვის შეუფარებია თავი. ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს, როგორც ქართული ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმომადგენელს, ცხადია, ციხე ექნებოდა<sup>62</sup> და აქ სწორედ იმაზეა საუბარი, რომ მან თავის მამულს და თავის ციხეს შეაფარა თავი.

ვარაზ-ბაკური ყოფილა, ძველ ქართულ საისტორიო მწერ-ლობაში დადასტურებული ტერმინი რომ გამოვიყენო, „ციხ-ოვანი“ აზნაური.<sup>63</sup> ამ საგვარეულოს ციხის სახელწოდების

59 ვ. გოლაძე. ფარნაგაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონილოგია, გვ. 85.

60 „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. გ. გამყრელიძე, დ. მინ-დორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე, თბილისი, 2013.

61 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

62 „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ხიდარის ციხე მან თავად ააშენა (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136). რაც, ცხადია, სულაც არ არის გამორიცხული. მაგრამ მაინც უფრო მგონია, რომ ციხე ხელისუფლებაში მოსვლამდე ექნებოდა, მეუედ ყოფნის დროს მან ის განსაკუთრებით განამტკიცა, ეტყობა, სწორედ „შავი დღისთვის.“

63 „დაჯდა შემდგომად მისა მეფედ დე მისი ბაგრატ ცხრისა წლისა. ხოლო აზნაურინი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე, და ბანელი ეპისკოპოსი იოგანე, და ამათ თანა უმრავლესნი აზნაური ტაოესანი, რომელი-მე ციხოვანი და რო-მელი-მე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, ძმასა ბასილი

მიხედვით, ვფიქრობ, მართებულია ვუწოდოთ ხიდარელების საგვარეულო ან ხიდარელების სახლი.

მართალია, გვიანდელი, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცნობა შემოგვრჩა ხიდარელების საგვარეულოს შესახებ სინას მთის მონასტრის ერთ ქართულ ხელნაწერში (Sin-50). საუბარია ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრების (ცოლის, ორი ძისა და სამი ასულის) ნეშტების ხიდარიდან ზედაზნის ეკლესიაში გადასვენების შესახებ: „ერთი იგი ლუსკუმავ ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისავ არს. და ორნი ქენი მისნი – ვარაზ, ვარაზ-ჰარან და სამნი ასულნი და დედაშ მათი სიმენავრი გუ(ა) სპურაგნელი მთავართა შვილი.“

გადასვენების ინიციატორები ყოფილან რუვისთაველთა და მეწკევნელთა საგვარეულოს წარმომადგენლები არაბთა დიდი შემოსევის დროს. ზ. ალექსიძის აზრით, ამ შემოსევაში 853 წლის ბუდა თურქის ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს.<sup>64</sup> აშკარაა, რომ ნეშტები მტრის ხელყოფას განარიდეს და უსაფრთხო ალაგას გადაასვენეს. ცხადია, ეს ნეშტები ამ საგვარეულოთა წარმომადგენლებისათვის ძვირფასი იყო, როგორც დასამახსოვრებელი წარსული. ჩანს, თავიანთი სახლის ისტორიის დასაწყისს სწორედ ვარაზ-ბაკურს და მის ოჯახს უკავშირებდნენ. ნეშტების გადასვენების ფაქტის სხვაგვარად ახსნა შეუძლებელია.

ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად საფუძვლიანი იყო რუვისთაველთა და მეწკევნელთა რწმენა. ეს რწმენა მნიშვნელოვანია, თუნდაც ის იყოს ლეგენდა, რადგან გვიჩვენებს, რომ ხიდარელების სახლის დიდება მრავალი საუკუნის გასვლის შემდგომაც არ განელებულა.

მე ვფიქრობ, აღნიშნულ ხელნაწერში მოხსენიებული „მეფე ვარაზ-ბაკურ ხიდარელი“ იგივე მეფე ვარაზ-ბაკურ/ასფაგურია, რომელმაც ხიდარის ციხე ააშენა და მერე სპარსელებისაგნ შევიწროებული იქ გაიხიზნა. ამ გაიგივებას ხელს ვერ შეუშლის

---

ბერძენია მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო“. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

64 ზ. ალექსიძე, ახალი ცნობა „რუვისთაველთა სახლის“ შესახებ. ლიტერატურული საქართველო, 1991, №14.

ის ინფორმაცია, რომელიც ამ ცნობაში ვარაზ-ბაკურის ოჯახის შესახებ არის მოცემული. როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვარაზ-ბაკური თრდატ რევის ძის სიძე იყო; პეტრე იბერის ქართულენოვანი ვერსიის მიხედვით კი ისიც ვიცით, რომ პეტრეს მამას ქართლის პრინცესასაგან ერთა-დერთი ვაჟიშვილი – მურვანოსი ანუ მომავალი პეტრე იბერი – ჰყავდა. მაგრამ ეს ფაქტები აღნიშნული იდენტიფიკაციის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება. საქმე ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჩვენ ვიცით ვარაზ-ბაკურის ორი ცოლის შესახებ. ასე რომ, დასახელებულ ხელნაწერში მისი მეორე ოჯახის ნეშტებზე უნდა იყოს საუბარი. აღნიშნული ფაქტები, ცხადია, ვარაზ-ბაკურის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებია. ეს სხვა ოჯახი ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს ეტყობა, ჰყავდა მრავალი წლის განმავლობაში უშვილი ბაკურდუხტიას პარალელურად. სწორედ მისგან უნდა ჰყოლოდა მას მრავალი შვილი და, მათ შორის, სავარაუდოდ, ამიანე მარცელინეს მიერ მოხსენიებული ულტრაც.

ორცოლიანობა იმდროინდელ ქართლში საკმაოდ უჩვეულო მოვლენა ყოფილა და ამიტომაც მას საგანგებოდ აღნიშნავს მე-მატიანე. ძნელია იმის თქმა თუ რამდენად შეიძლება ვენდოთ, მაგრამ „ქართლის ცხოვრებას“ შემოუნახავს ცნობა ვარაზ-ბაკურის ამ სხვა ცოლის შესახებაც. ეს ქალი ყოფილა მირიანის ასულის (მისი სახელი, როგორც ითქვა, არ ვიცით) ძის ასული.<sup>65</sup> მისი პაპა, როგორც ითქვა, იყო სპარსთა მეფის ნათესავი ფეროზი (მირიანის დის ქმარი). სპარსთა მეფის ნათესავის ძე რომ გუასპურაგანის მთავარი გამხდარიყო, ცხადია, გამორიცხული არაა. შესაბამისად, არც მისი ასულის (სიმენავრის?) გუასპურაგნელობაა გამორიცხული. ასეა თუ ისე, სხვა ცოლის მეშვეობით ვარაზ-ბაკურ/ასფაგური მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთის მხრივ, ირანის სამეფო ოჯახს და, მეორეს მხრივ, ქართველ ხოსროვანებს. მისი სხვა ცოლი დინასტიის დამფუძნებელის ანუ მირიანის შვილთაშვილი იყო, ისევე როგორც ბაკურდუხტია. ბაკურდუხტიას უპირატესობა მასთან შედარე-

65 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 132.

ბით იმაში მდგომარეობდა, რომ ის წარმოადგენდა მამაკაცის ხაზს (მირიანის ვაჟიშვილის შვილიშვილი იყო), მაშინ, როცა ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის სხვა ცოლი (სიმენავრი?) ქართველ ხოსროვანებთან დაკავშირებული ჩანს დედის ხაზით: მირიანის ასულის შვილიშვილი გახლდათ. ეს თავისთავად უაღრესად საგულისხმო ფაქტებია, რადგან გვაგრძნობინებს პოლიტიკური ვითარების თავისებურებას (ხიდარელი ვარაზ-ბაკურის სწრაფვას ორმაგად განამტკიცოს კავშირი ხოსროვანებთან). მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ხიდარელების საგვარეულო, რომელიც ხოსროვანების პოლიტიკურ პარტ-ნიორს წარმოადგენდა ყოფილა თავისთავად ძალიან ძლიერი ფეოდალური სახლი.

მართალია, ვარაზ-ბაკურ/ასფაგურზე ერთგვარად სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პიროვნების მნიშვნელობას ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორიის რეპრეზენტაციისათვის, ვფიქრობ, ეს ზედმეტი არ უნდა იყოს.

ამიტომ მოდით ვნახოთ, ის ინფორმაცია, რომელიც ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის შესახებ დაუცავს „ქართლის ცხოვრებას“:

ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურნმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულვილსა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნებასა შინა იყვნეს აზნაური და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა. არა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ.<sup>66</sup>

გაუგებარია, რატომ აღწერს ასე ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს „ქართლის ცხოვრებას“.

პეტრე იბერის ქართულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით ანუ თხზულების, რომელიც XIV საუკუნეში ჩანს ნათარგმნი ასურული დედნიდან, განსხვავებით „ქართლის ცხოვრებისა-გან“, ის უაღრესად ღვთისმოსავ პიროვნებად არის წარმოდგენილი. დასახელებული ჰაგიოგრაფიული წყაროს მიხედ-

66 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 135-136.

ვით, ვარაზ-ბაკური იყო მირიანის შემდეგ ქართლის მეოთხე მეფე ანუ ამ შემთხვევაში სათვალავი „მოქცევად ქართლისაას“ მიხედვით არის და რევი აშკარად მეფედ არაა მიჩნეული. მითითებულია, რომ ეს მეფე იყო ბიზანტიის კეისრის თეოდოსი მცირეს თანამედროვე. თეოდოსი მცირე, როგორც ცნობილია, ზეობდა 401–450 წლებში. აი, როგორაა აქ ვარაზ-ბაკური წარმოდგენილი:

ესე უკუე მეფე ვარაზ-ბაკურ იყო მართლმადიდებელი და დიდად ღვთის მსახური მამის-მამეულად და მხურვალე სარწმუნოებასა ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.<sup>67</sup>

ამ წყაროს მიხედვით ვარაზ-ბაკური უფლის რჩეულიც კი გამოდის იმით, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და სიბერე-ში მიანიჭა „მვილი წული“ ანუ ვაჟიშვილი:

იყო მეფე იგი ქართველთად მართლმორწმუნე ღმრთისად და არა ესუა მას შვილი წული. ამისთვიცა ევედრებინ ღმერთსა მარადის მხურვალედ, რათა მიანიჭოს მას შვილი.<sup>68</sup>

სიბერეში შვილის ყოლა, ქრისტიანული გაგებით, ადამიანზე უფლის მადლის გადმოსვლის მომასწავებელია და ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სასწაულიც და, შესაბამისად, ბევრი რელიგიური ტექსტის საერთო ადგილიც.<sup>69</sup>

ვარაზ-ბაკურის ეს გვიანი ვაჟიშვილი, როგორც ითქვა, იყო მურვანოსი, იგივე პალესტინაში მოღვაწე ქართველი ასკეტი პეტრე იპერი.

აღნიშნული ჰაგიოგრაფიული წყაროს მიხედვით, ვარაზ-ბაკური პრობიზანტიურად განწყობილი მმართველი ყოფილა: ბიზანტიილები შეშფოთებულან, რომ ქართველებს ირანელების მხარე არ დაეჭირათ. ამაზე ვარაზ-ბაკურს მიუგია: „ნუ იყოთინ, თუმცა განუდეგ სახლსა ბერძენთასა და წარმართთამცა მივიქეც“.<sup>70</sup> და სწორედ ამგვარი დამოკიდებულების საჩვენებ-

67 ქეგლები, II, გვ. 215.

68 ქეგლები, II, გვ. 216-217.

69 მართალი ელისაბედი და ზაქარია ამ აზრის გამომხატველია ერთ-ერთი მაგალითია.

70 ქეგლები, II, გვ. 218.

ლად გაუგზავნია მურვანოსი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მძევლად.

ძალიან საინტერესო პოლიტიკოსად იხატება ვარაზ-ბაკური თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იგივე ასფაგურია. ამიანე მარცელინეს მიხედვით, ასფაგურს ხომ თავის ძე ულტრა ირანელებთან ჰყავდა მძევლად. ახლა ირკვევა, რომ მისი სხვა ძე ბიზანტიელების მძევალი ყოფილა.

## 6.

ვარაზ-ბაკურ/ასფაგურზე თხრობის გასაგრძელებლად და-ვუბრუნდეთ „მოქცევად ქართლისაას“ ისტორიული ქრონიკის ტექსტის განხილვას და, კერძოდ, მის იმ მონაკვეთს, სადაც ქართლისა და სამხრეთ კავკასიის სხვა მხარეების დახარკვის შესახებ არის საუბარი სპარსთა მეფის პიტიახშის მეთაურობით ლაშქრობის შემდეგ.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ტექსტის ეს ბოლო მონაკვეთიც IV საუკუნის 60-იანი წლების ამბებს ასახავს, ზოგი ამ მონაკვეთის ქრონოლოგიურ კოორდინატად IV საუკუნის 70-იან წლებს თვლის. ჩემი აზრით, მართალია ბ. ხურცილავა, როცა ამ მონაკვეთს IV საუკუნის 80-იანი წლების ამსახველ ტექსტად მიიჩნევს. თუ როგორ მიდის მკვლევარი ამ დასკვნამდე, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი.

მანამდე კი მინდა ვარაზ-ბაკურ-ასფაგურთან და სავრო-მაკ/საურმაგთან დაკავშირებით ამიანე მარცელინესა და „მოქცევად ქართლისაას“ მონაცემები შევაჯამო: რომისა და ირანის მიერ IV საუკუნის 60-იან წლებში ქართლის დანაწილებამდე ქართლში რომაელების მიერ მხარდაჭერილი ქართლის სპასპეტი მმართველობდა. სამოციანი წლების დასაწყისისათვის ამგვარი მმართველის საჭიროება უნდა გამოეწვია თრდატ მეფის გარდაცვალებას და იმას, რომ ამ დროს ბაკურ თრდატის ძეს რატომდაც ტახტის დაკავება არ შეეძლო. მერე რომაელების მიერ დასმული სპასპეტი ირანელთა მხარდაჭერით ხოსროვანთა სიძემ ანუ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა ჩაანაცვლა. V საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სავრომაკ/საურმაგის რევანშის

შემდგომ კი ქართლი დანაწილდა რომსა და ირანს შორის და ქვეყნის ტერიტორიაზე ორივეს მმართველობა დამყარდა.

მაგრამ IV საუკუნის 80-იანი წლების მიწურული აღინიშნა სამხრეთ კავკასიაში ირანელთა გამანადგურებელი შემოსევით. შესაძლოა, ეს ყოფილიყო პასუხი 80-იანი წლების პირველ ნახევარში აქ რომაელთა გააქტიურებაზე.<sup>71</sup> ამ დროს იყო რომ ირანელებმა ქართლს და ზოგ სხვა ქვეყანასაც ხარკი დაადეს და ირანული გავლენის სფეროში მოქცეული ნაწილის მეფეს ანუ ვარაზ-ბაკურს/ასფაგურს ტახტის დატოვებამ მოუნია და ქართლში, სავარაუდოდ, ირანის უშუალო მმართველობა დამყარდა.

როგორც უკვე ვთქვი, ბოლო დრომდე ფიქრობდნენ, რომ ამბების აღმწერისადმი მიძლვნილი „მოქცევად ქართლისაც“ ისტორიული ქრონიკის შესაბამისი მონაკვეთი, ისევე როგორც წინა, უნდა დათარიღდეს IV საუკუნის 60-იანი წლების მიწურულით ან 70-იანი წლების დასაწყისით. განსხვავებული თარიღი, კერძოდ, 80-იანი წლების მიწურული, შემოგვთავაზა ბ. ხურცილავამ. მკვლევარი ყურადღებას აქცევს „მოქცევად ქართლისაცში“ დაცულ ფრაზას „ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში“. მიუთითებს, რომ ჩვეულებრივ ეს ესმოდათ როგორც სპარსთა მეფის პიტიახშის სახელი. სინამდვილეში, მისი აზრით, აქ პიტიახშის სახელი კი არაა მოცემული, არამედ თავად სპარსთა მეფის ანუ შაჰ ბარამ IV-ის სახელია, რომელიც სწორედ 80-იანი წლების მიწურულს ადის ტახტზე და აწყობს დიდ სადამსჯელო ლაშქრობას კავკასიაში. ამ მეფეს ქრამიც ეწოდებოდა. ასე იხსენიება ის, მაგალითად, სომხურ წყაროებში. ქრამი ანუ ბარამ IV ტახტს იკავებს 388 წელს. სწორედ მის სახელს კითხულობს მოყვანილ ფრაზაში ბ. ხურცილავა.<sup>72</sup>

ბ. ხურცილავას მსჯელობა სპარსთა მეფის სახელის ამოკითხვასთან დაკავშირებით საკსეპით მართებული მგონია. და ამიტომ, ვფიქრობ, რომ ვარაზ-ბაკურის მიერ ხელისუფლების

71 ამ გააქტიურების შესახებ მიუთითებს დ. მუსხელიშვილი. იხ. მისი საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 66-68.

72 ბ. ხურცილავა. ადრექრისტიანული ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ერთი ფრაგმენტის შესახებ, გრინის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 10, გვ. 164.

დატოვების და ხიდარში გახიზვნის დრო არის IV საუკუნის 80-იანი წლების მიწურული, ზუსტად კი ბარამ IV ზეობის დასაწყისი ანუ 388 წელი.

ვერ დავეთანხმები, ოღონდაც დასახელებულ მკვლევარს იმაში, რომ აღნიშნულ ფრაზაში პიტიახშის სახელი არ იკითხება. ჩემი აზრით, აქ პიტიახშის სახელიცაა მოცემული და ეს არის „ბორზად“ (ან „ბარზადურ“) ანუ იგივე „ბარზაბოდი“.

აღნიშნული პიტიახში ქართულ წყაროებისათვის კარგად ცნობილი პიროვნებაა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის საკმაოდ საინტერესოც თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იყო ვახტანგ გორგასლის პაპა დედის ხაზით. აი, როგორ მოიხსენიებს მას „მოქცევაზ ქართლისად“ შატბერდული რედაქცია:

და მერმე მეფობდა მირდატ, და მთავარ ებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარ ებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს.<sup>73</sup>

აი, როგორ არის ეს პიროვნება „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი:

მას ჟამსა შინა იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ... ხოლო ბარზაბოდს, ერისთავსა რანისასა, ესუა ასული ქმნულეთილი, რომელსა ერქუა საგდუხტ... მაშინ არჩილ მეფემან აღუსრულა ნება მისი. წარგზავნა მოციქული ბარზაბოდისა და ითხოვა ასული მისი ცოლად ძისა თვისისა.<sup>74</sup>

ბარზაბოდის შესახებ კიდევ მეტი შეიძლება ითქვას. აქ უბრალოდ იმის ხაზგასმა მინდა, რომ „მოქცევაზ ქართლისად“ ტექსტში სპარსთა ლაშქრობასთან დაკავშირებულ ეპიზოდში პიტიახშის სახელიც იკითხება და ეს პიტიახში („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მას ეწოდება „ერისთავი“) ამ ჰერიოდის ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს.

ბარზაბოდის შესახებ ამონარიდები მოყვანილი იყო ვახტანგ გორგასლის მშობლებთან დაკავშირებული ცნობების

73 ქეგლები, I, გვ 92.

74 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 141, 142. იხ., აგრეთვე, გვერდები 144, 145.

კონტექსტში. იმ ეპიზოდში კი, რომელიც ქართლში ზემოთ აღნიშნულ ლაშქრობას ეხება, „ქართლის ცხოვრებაში“ პიტიახშის სახელი არ არის დაფიქსირებული. მაგრამ ეს რომ ბარზაბოდი იყო, ამას, როგორც ვთქვი, „მოქცევად ქართლისას“ საშუალებით ვიტყობთ.

ამგვარად, ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს ტახტის დატოვება აიძულა ირანის შაჰის ქრამის ანუ ბარამ IV-ის მიერ IV საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ინიცირებულმა შემოსევამ, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში შაჰის პიტიახში, სახელად ბარზაბოდი, ხელმძღვანელობდა.

როგორც ვხედავთ, „მოქცევად ქართლისას“ ეს მონაკვეთი პილიტიკური ისტორიის კუთხით საინტერესო რეპრეზიტაციის სამუალებას იძლევა. ჩემი აზრით, იგივე ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამტევია კულტურული ისტორიის თვალსაზრისითაც. მხედველობაში მაქვს იმ ძნელბედობის ეპოქაში მცხეთაში ეკლესიის მშენებლობის ფაქტი. ეკლესიის სახელი მითითებული არაა. ეს უნდა ყოფილიყო გამორჩეული, ყველასათვის კარგად ცნობილი ეკლესია, რახან უბრალოდ „დიდ ეკლესიად“ არის წოდებული ანუ სახელის გარეშე. იყო ეს ეკლესია სრულიად ახალი ნაგებობა თუ აქ იგულისხმება ძველის ხელახლა აშენება? ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება არსებული ეკლესიის ხელახლა აშენება. ამ დროისათვის მცხეთაში სულ ორი ეკლესია იყო: ორივე მირიანის მიერ აგებული: ქვემო და ზემო. ქვემო – პირველი ეკლესია ქართლში – ხის იყო. ზემო კი, როგორც უკვე მოყვანილი ამონარიდითაც ჩანს, ქვით ააგეს. რომელ მათგანს უნდა შეხებოდა რესტავრაცია? თითქოს ხისას, მაგრამ ვიცით, რომ ეს ეკლესია ჩამოიქცა უკვე მეფე არჩილის დროს ანუ V საუკუნის საწყის ათწლეულებში. შესაძლოა, ეს იყო ზემო ანუ გარეუბნის ეკლესია. იქნებ მირიანისა და მისი მეუღლის იქ დაკრძალვის შემდეგ იგი ხელახლა ააშენეს? „დიდი ეკლესიის“ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვის ნიშანი მრჩება. თუმც ეს ფაქტი მაინც ძალიან საინტერესოა, რადგან „ქართლის ცხოვრება“, როგორც ითქვა, ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს ურწმუნოდ სახავს.

## 7.

„მოქცევად ქართლისადს“ მიხედვით, ვარაზ-ბაკურის შემდგომ, როგორც ითქვა, ზეობდა ბაკურ თრდატის ძე.

„ბაკურ“ – ამ სახელის მქონე ორ ქართლის მეფეს აფიქ-სირებენ უცხოური წყაროები. ერთია, ზემოთ უკვე ნახსენები „დიდი ბაკური“, მეორეა ქართველთა მოქცევის ისტორიის შესახებ რუფინუსის ინფორმატორი „ფრიად სარწმუნო კაცი“ ბაკური, რომელიც, რუფინუსის მიხედვით, მშობლიური ქვეყნის გარეთ ცხოვრობდა ერთხანს და მერე კი გამეფებულა. რუფინუსი 402 წლისათვის წერდა ბაკურის შესახებ. ანუ ამ დროს ბაკური უკვე ქართლის მეფე ყოფილა. მეტი თვალსაჩინოებისათვის, აი, ამონარიდი რუფინუსის ტექსტიდან:

რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ ეს გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენთან იყო დომესტიკეთა კომისი (იგი უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სწულის ერთსულოვნებით იერუსალიმში. მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი.<sup>75</sup>

ისმის „სარწმუნო კაცის“ ბაკურის იდენტიფიკაციის საკითხი. „მოქცევად ქართლისადში“ ქართლის პირველ ქრისტიან მეფეებს შორის ორი ბაკურია დასახელებული: ერთია ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები მირიანის შვილიშვილი და მისი უშუალო მემკვიდრე ბაკურ რევის ძე, მეორე მირიანის სხვა შვილიშვილის ანუ თრდატ რევის ძის ძე ბაკური ანუ მირიანის შვილთაშვილი. თრდატ რევის ძის ზეობის დათარიღების გამორკვევის შემდეგ აშკარა ხდება, რომ, შეუძლებელია, რუფინუსთან მოხსენიებული ბაკური იყოს პირველი ბაკური ანუ ბაკურ რევის ძე ანუ „დიდი ბაკური“. იმიტომ, რომ, როგორც ვნახეთ, IV საუკუნის შუა ხანებში ტახტზე უკვე მომდევნო მეფე, მისი ძმა თრდატია. აქედან გამომდინარე, რუფინუსის ინფორმატორი ბაკური აშკარად არის „მოქცევად ქართლისადს“

75 გეორგიკა, I, გვ. 207. იბ. რუფინუსი, წიგნი I, 10.

ბაკურ თრდატის ძე, რომელიც, ოღონდაც, უშუალოდ მამის შემდეგ არ გამეფებულა.

ქართული წყაროს ამ ორი ბაკურის უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ბაკურების იდენტიფიკაციისას ბევრს მკვლევარს მოსდის შეცდომა. კერძოდ, რუფინუსის მიერ მოხსენიებულ „ფრიად სარწმუნო“ ბაკურს (იგივე სხვა წყაროებში ნახსენებ ბაკურ იბერიელს) და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „დიდ ბაკურს“ ერთ პიროვნებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, აიგივებენ ან მირიანის უშუალო მემკვიდრე ბაკურ რევის ძესთან ან ბაკურ თრდატის ძესთან.

მაგრამ, როგორც ითქვა, „დიდი ბაკური“ და „ფრიად სარწმუნო“ ბაკური სხვადასხვანი არიან. პირველი, შეესაბამება „მოქცევაზ ქართლისაც“ ისტორიული ქრონიკის ბაკურ რევის ძეს, მეორე – ამავე ქრონიკის ბაკურ თრდატის ძეს. ამ საკითხის გარკვევას ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მივუძლვენი გამოკვლევა<sup>76</sup> და შემდეგ არარეთხელ განვმარტე. მიუხედავად ამისა, აღრევა გრძელდება. არადა, წყაროებით ყველაფერი ნათელია: „დიდი ბაკური“ ანუ ბაკურ რევის ძე იყო ბაკურ თრდატის ძის ბიძა – მამის ძმა. თავის მხრივ, ბაკურ თრდატის ძე იყო პეტრე იბერის ბიძა – დედის ძმა.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ბაკურ თრდატის ძე იგივე რუფინუსის ბაკურია, ცხადი ხდება მიზეზი იმისა თუ რატომ არ დაიკავა მან ტახტი უშუალოდ მამის გარდაცვალების შემდეგ: ის ამ დროს ქართლში არ იმყოფებოდა და ამიტომ დროებით მეფობა იყისრა მისმა სიძემ ანუ დის ქმარმა. და ეს სრულიად ლოგიკურია. ფაქტობრივად, ზეობდა ბაკურის და: ბაკურდუხტია უზრუნველყოფდა მეუღლის პოზიციის ლეგიტიმურობას.

რუფინუსის „ფრიად სარწმუნო“ ბაკურს (სხვა პიზანტიური წყაროების ბაკურ იბერიელს) მხოლოდ IV საუკუნის 90-იანი წლების მიწურულიდან შეიძლებოდა დაეკავებინა ტახტი. ამ დრომდე ის კვლავ ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა. აქედან ცხადი ხდება, რომ გარკვეული პერიოდი ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის მერე ქართლში დამყარდა ირანელთა უშუალო მმართველო-

76 მ. ჩხარტიშვილი, „ფრიად სარწმუნო ბაკური“, მნათობი, 1986, № 5, გვ. 161-166.

ბა. ირანელთა ხელისუფლებას ქართლში, ჩანს, სწორედ უკვე ნახსენები ბარზაბოდი ახორციელებდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მისი რეზიდენცია რანში გახლდათ, მაგრამ ის გარკვეულ პერიოდებში, უნდა ვიფიქროთ, „სტუმრობდა“ ქართლის დედაქალაქს „წესრიგის“ დასამყარებლად. როგორც ვთქვი, ამგვარი ვითარება უნდა გაგრძელებულიყო თითქმის ათწლეული და მხოლოდ IV საუკუნის მიწურულისათვის შეძლო რომმა ქართლის „ირანულ“ ნაწილზეც თავისი გავლენის გავრცელება, რისი გამოხატულებადაც რომაელებთან ხანგრძლივად ნამსახური უფლისწულის ბაკურ თრდატის ძის გამეფება უნდა მივიჩნიოთ. უშუალო აგრესორი სპარსთა მეფის პიტიახში ბარზაბოდი, როგორც ითქვა, ქართული წყაროებით საქმაოდ ცნობილი პიროვნებაა: ის ვახტანგ გორგასლის პაპაა დედის ხაზით.

ზემოთქმულიდან გამომდიანრე ქართლის მმართველთა სიაში ბარზაბოდის აღდგენა მართებულად მეჩვენება, თუმც, ცხადია, ის მეფე არ ყოფილა. ასე რომ, IV საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულიდან კვლავ უმეფობის პერიოდი იწყება ირანის მიერ კონტროლირებად ქართლში. ბიზანტიის მიერ კონტროლირებადი ქართლში კი რეალურად მეფე არც არასოდეს მჯდარა. ეს, როგორც ითქვა, იყო სპასპეტთა საგამგებლო. უმეფობის პერიოდი სრულდება ბაკურ თრდატის ძის ტახტზე ასვლით.

აი, კიდევ ერთხელ მოვიყვან ამ მეფის ზეობის შესახებ „მოქცევად ქართლისას“ ცნობას:

და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძმი თრდატისი, და მთავარ ებისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაზონისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვეს.<sup>77</sup>

ბაკურს, როგორც ვხედავთ, მოღვაწეობა ქვემო ქართლში ტაძრის მშენებლობით დაუწყია. აյ უნდა შევჩერდეთ ორიოდ სიტყვით ბოლნისის სიონის მშენებლობაზე. როგორც ცნობი-

77 ქართლის ისტორია, I, გვ. 92.

ლია, ამ ტაძრის დათარიღების საკითხი გარკვეულ პერიოდში ცხარე დებატების საგანი იყო.<sup>78</sup> კვლევის საგანი ძირითადად ტაძრის წარწერა გახლდათ. მაგრამ წარწერა იმდენად არის დაზიანებული, რომ, ჩემი აზრით, იგი სრულიად არარეპრეზენტატული წყაროა ამ საკითხის გასარკვევად. ის იმისათვის თუ გამოდგება, რომ გვიჩვენოს ქართული დამწერლობის განვითარება. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმრავლესობა საერთოდ იგნორირებს წარატიული წყაროების მონაცემებს. „წყაროს“ მრავლობითში იმიტომ ვსვამ, რომ ინფორმაცია ბოლნისის სიონის მშენებლობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაშიც“ არის, ოღონდაც აյ ეს აქტივობა ბაკურ თრდატის ძის მომდევნო მეფე ფარსმანს მიეწერება.<sup>79</sup> მაგრამ ეს ცნობები არ-სებითად არ ენინაალმდეგება, პირიქით ამონმებს ერთმანეთს: ძირითადად ბაკურმა ააგო, თუმც გარკვეული დამამთავრებელი სამუშაოები ფარსმანის დროსაც ჩატარებულა. მთლიანი ტაძრის მშენებლობა ფარსმანის დროს ვერ მოხდებოდა. როგორც ვნახავთ, ის ძალიან ცოტა ხანს მეფობდა. ასე რომ, უნდა გავითვალისწინოთ ქართული ნარატიული წყაროების ცნობები ბოლნისის სიონის მშენებლობის დროის შესახებ და ვთქვათ: ტაძარი აგებულია V საუკუნის ათიან წლებში. მისი გადმოტანა V საუკუნის მინურულს სრულიად დაუსაბუთებელია.

ეს დიდებული ტაძარი ნამდვილად ბევრს ამბობს კონკრეტულად ბაკურის, და საზოგადოდ, ხოსროვანთა სახლის კულტურის სფეროში მოღვაწეობის შესახებ. თუმც კულტურა ყოველთვის გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან და ეს კანონზომიერება ხოსროვანთა შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება.

ახლა კი ყურადღება მინდა გავამახვილო მოყვანილი მიკროტექსტის ბოლო ფრაზაზე: იმიერ გასვლა და არმაზის გამაგრება იმაზე მინიშნება უნდა იყოს, რომ ბაკურმა წაშალა IV საუკუნის 60-იან წლებში ქართლის დაყოფის კვალი ანუ

78 ბოლნისის სიონის დათარიღებას ჩვეულებრივ ცდილობენ ეპიგრაფიკული წყაროების სამუშალებით (საკითხის შესწავლის ისტორიის შესახებ იხ. გ. ყიფანი. ბოლნისის სიონი. სამი უადრესი წარწერა. <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/11/>).

79 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

იმიერ ქართლსაც დაეუფლა. ჩანს, რომაელებმა მას სავრომაკ/საურმაგის ნაწილი გადასცეს. ამგვარად, ქართლის მთლიანობა ბაკურ თრდატის ძის დროს აღმდგარი ჩანს.<sup>80</sup> თუმც ვითარება, რომ არასტაბილური გახლდათ, ამაზე მეტყველებს ბაკურ თრდატის ძის მიერ ირანის საფრთხის საწინააღმდეგო ღონისძიება ბათა გატარება, კერძოდ, არმაზის ციხის გამაგრება.

რა მიზეზით უნდა აღმოჩენილიყო ბაკური ბიზანტიის იმპერატორის სამხედრო სამსახურში?

როგორც უკვე ითქვა, ქართველი უფლისწულების ყოფნა რომელიმე იმპერიის კარზე აუცილებელი წინაპირობა იყო მეფობისათვის. ასე ჩანს წარგზავნილი თავის დროზე ბაკურ რევის ძე ანუ „დიდი ბაკური“ ანუ იგივე „ქართლის ცხოვრების“ ბაქარი. ამ წყაროში პირდაპირი მითითებაა ამის შესახებ. პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრებით“ კი ეს შეიძლება ვივარაუდოთ დიდი დაბეჯითებით. ულტრა ვარაზ-ბაკურის/ასფაგურის ძე კი, ამიანე მარცელინეს პირდაპირი ცნობით, ირანის კარზე ყოფილა წარგზავნილი მძევლად.

თუ ამ ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბაკურ თრდატის ძე ადრევე იქნა გაგზავნილი ბიზანტიაში და მამის გარდაცვალების შემდეგ ის ბიზანტიილებმა უკან არ დააბრუნეს და ხელისუფლება სავრომაკს მისცეს. ამან წარმოშვა სახელისუფლო კრიზისი. ამ ვითარე-

80 ამ ფაქტზე ყურადღებას დ. მუსხელიშვილიც ამახვილებს, ოლონდაც ის, როგორც არაერთი სხვა მკვლევარი, ერთმანეთში ღრევს ქართლის ორ მეფეს სახელით „ბაკურ“; ამიტომ პეტრე იბერის ასურულებოვანი „ცხოვრების“ „დიდი ბაკურის“ ბიოგრაფიის ფაქტებს უკავშირებს „მოქცევაა ქართლისას“ ისტორიული ქრონიკის მეფე ბაკურ თრდატის ძის ბიოგრაფიის ფაქტებს. ამის შედეგად მკვლევარი შესაბამის ანუ, ჩემი აზრით, მცდარ რეპრეზენტაციას გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ამონარიონ მისი ნაშრომიან მანიც მომყვავს, რადგან მკვლევრის მერ სწორად არის გააზრებული წყაროს სხვა მონაცემი ანუ ცნობა ბაკურის „იმიერ“ მოღვაწეობის შესახებ: „ცხადია, დიდი ბაკური ირანის შაპის ვასალია და ამდენად ირანის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართლის სამეფოს მეფეა. ეს რომ მართლაც ასეა, კარგად ჩანს „მოქცევაა ქართლისას“ მატიანედან: „მეფობდა ბაკურ, ძვე თრდატისი. . . და ამან აღაშენა ეკლესიას ბოლნისს, იმიერ განვიდა და განახლნა არმაზნი სპარსთა შპისათვეს“. აქედან ცხადად ჩანს, . . . ის რომ ბაკური მტკვრის ორვე მხარის მფლობელია, ზის მცხეთაში და საქმიანობს „იმიერ“ – არმაზში, ბოლნისში“. იხ. დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, გვ. 70. აქ, კიდევ გავიმეორებ, მკვლევარი საუბრობს დიდი ბაკურზე და ბაკურ თრდატის ძეზე, როგორც ერთიდამავე პიროვნებაზე. ეს, როგორც ითქვა, შეცდომა. „იმიერ გასვლა“ არის მხოლოდ ბაკურ თრდატის ძის ბიოგრაფიის ფაქტი.

ბაში ირანელთა დახმარებით და, ცხადია, ხოსროვანთა მხრი-დანაც თანხმობის ვითარებაში დაიკავა ტახტი მისმა სიძემ ანუ ვარაზ-ბაქურ/ასფაგურმა/ბუზმიპრმა.

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ირანთან ესოდენ დაძაბული ურთიერთობის ვითარებაში რომაელები მაინც ნაკლებად ენდობოდნენ ბაკურს და, ჩანს, მათზე უფრო მეტად დამოკიდებული სავრომაკ/საურმაგი ამჯობინეს ქართლის სა-თავეში. ესაა ერთი ვარაუდი.

თუმც შეიძლება გამოითქვას მეორე ვარაუდიც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომელსაც აფიქსირებს 6. ნიკოლოზიშვილი.

6. ნიკოლოზიშვილის თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში ბაკურ თრდატის ძის მიერ უშუალოდ მამის შემდგომ ტახტის არდაკავების ფაქტი ჩნდება ერთგვარად მოულოდნელ რაკურსში.

6. ნიკოლოზიშვილის ეს მოსაზრება მდგომარეობს შემდეგ-ში: ცნობილი რიტორის, ფილოსოფოსის თემისტიონის მიერ 368 წელს წარმოთქმული VIII „ორაციოში“ მოხსენიებული „აღმოსავლელი უფლისნული“, რომელმაც ნებაყოფილობით უთქვამს უარი სამეფო კვერთხზე და იმპერატორის სამსახურში ჩადგომა უსურვებია, უნდა იყოს სწორედ ბაკურ იბერიელი ანუ ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძე ანუ იგივე რუფინუსის ინფორმატორი ბაკური.<sup>81</sup>

ამ ფაქტის გათვალისწინებით კი შეიძლება ასეთი ვითარება წარმოვიდგინოთ: როცა გარდაიცვალა თრდატი, იმის მაგიერ, რომ რომაელებს კანონიერი მემკვიდრის ტახტზე ასვლისათვის ხელი შეეწყოთ, მას მეფობაზე უარი ათქმევინეს და სავრომაკს მისცეს მმართველობა. თუმც ეს ნებაყოფილობითი პოლიტიკური ნაბიჯიც შეიძლებოდა ყოფილიყო: საქმე ისაა, რომ ქართლში თრდატ რევის ძის გარდაცვალების დროისათვის იმგვარი ვითარება შეიქმნა, რომ

81 6. ნიკოლოზიშვილი. თემისტონი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისის. ქართული წყაროთმცვლეობა, 2010, XII, გვ. 123-138. ანალოგიურ დასკვნამდე (სავარაუდო, 6. ნიკოლოზიშვილისაგან დამოუკიდბლად) მიღის ფრანგი მკვლევარი ნიკოლას პროფორმი. იხ. Nicolas J. Preud'homme, Bacurius, the Man with two Faces, იბერია-კოლეგითი. საქართველოს კლასიკური და ადრეგმედიური პერიოდის არქეოლოგიური-ისტორიული კვლევანი, 2017, №17, გვ. 184-186.

პრობიზანტიურად განწყობილ პიროვნებას გაუჭირდებოდა ტახტის შენარჩუნება. ამიტომ, შესაძლოა, ბაკური საკუთარი გადაწყვეტილებით (ეს, ცხადია, არ გამორიცხავს მის კოორდინაციას რომაელებთან), დროებით გაეცალა თავის ქვეყანას და მხოლოდ შესაფერისი პირობების დადგომის შემდეგ დაბრუნდა და გამეფდა კიდეც.<sup>82</sup>

როგორც ითქვა, ამ ოჯახის ნევრებისათვის დამახასითებელი იყო ტახტის დათმობის შესახებ გადაწყვეტილებანი რელიგიური მოსაზრებებითაც. მაგრამ ამჯერად მიზეზი მაინც უფრო პოლიტიკურ ვითარებაში ჩანს საძიებელი, რადგან საბოლოოდ ბაკური ასკეტიზმის გზას არ დასდგომია.

ასევა თუ ისე, ნ. ნიკოლოზიშვილის მიერ მოძიებული ფაქტის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მეორე დაშვებაც. პირველი, როგორც ითქვა, იყო ის, რომ მამის გარდაცვალების დროისათვის ბაკური უკვე ნასული იყო ბიზატიაში და ბიზანტიელებმა მას ნება არ მისცეს დაბრუნებულიყო და მის მაგიერ სავრომაკს გაუკაფეს ქართლის მმართველობაში გზა. მეორე კი ისაა, რომ ბაკური სწორედ თრდატის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო დროებით გაეცალა ქართლს და ჩადგა ბიზანტელთა სამსახურში იმ დრომდე ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა გამოკვეთილად პრობიზანტიური განწყობის მქონე მეფის ტახტზე ასვლა.

თავად ნ. ნიკოლოზიშვილი ასე ხედავს ამ ფაქტს:

თემისტიოსის ცნობიდან გამომდინარეობს, რომ ბაკურმა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ სამეფო ძალაუფლების მიღებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი და რომაელების სამხ-

82 6. პროდომი ასე ხედავს ვითარებას: „თუ მივიღებთ, რომ ბაკური ჩასვლას (ბიზანტიაში, მ. ჩ.) ადგილი ჰქონდა სპარსელების მიერ ასპაკურის სასარგებლოდ სავრომაკის ტახტიდან ჩამოგდების ახლო ხანებში, შეგვიძლია ეს ფაქტი განვიხილოთ, როგორც პრო-რომაულად განწყობილი იქერიელი ელიტის მიგრაცია სპარსელთა მიერ მხარდაჭერილი პროსპერსული ელიტის მიერ შემოთავაზებული ახალი გეგმის მიზეზით.“ იხ. Nicolas J. Preud'homme, Bacurius, the Man with two Faces, გვ. 186. ჩემი აზრით, ხოსროვანთა სამეფო ოჯახი ამ დროს მთლიანად პრო-რომაული იყო, ოლონდაც „როლები“ დანახილებული ჰქონდათ: ბაკური გამოხატულად და ყოველთვის პრო-რომაული უნდა ყოფილიყო, ვარაზ-ბაკური ვითარების მიხედვით: ხან პრო-სპარსული, ხან კი – პრო-რომაული.

ედრო სამსახურში გადავიდა, სადაც ჩარიცხულ იქნა იმპერატორის პირადი დაცვის საპატიო წევრად, როგორც *protector domesticus*. აღნიშნული წოდებით უნდა დაწყებულიყო ახალგაზრდა ქართველი უფლისნულის ხანგრძლივი (საუკუნის მეოთხედზე ოდნავ მეტი) რომაული კარიერა.<sup>83</sup>

ვფიქრობ, ეს პოლიტიკური გათვლა იყო. ამ ვითარებაში არ ივარებდა ბაკურის გამეფება, მისი „გაფუჭება.“

ბაკურის დის მეულლე ვარაზ-ბაკურ/ასფაგური კი იოლად წავიდა ირანთან ალიანსზე. მისი პროსპარსელობა, მართალია, მოჩვენებითი იყო, მაგრამ საქვეყნოდ საგანგებოდ გაცხადებული გახლდათ. „ქართლის ცხოვრების“ მიერ უარყოფითი შეფასება ვარაზ-ბაკურ/ასფაგურისა სწორედ მისი ამ საყოველთაოდ გაცხადებული პრო-სპარსელობით უნდა აიხსნას. ბაკურ თრდატის ძე, როგორც ფიგურა (ტახტის კანონიერი მემკვიდრე), ჩანს, რომაელებს გამიზნული არ ჰყავდათ ამ როლისათვის.

ჩემი აზრით, ნ. ნიკოლოზიშვილის ვარაუდი, სავსებით შესაძლებელია, რომ სიმართლეს შეესაბამებოდეს. ასეთ შემთხვევაში ის ძალიან საინტერესო შტრიხს მატებს საანალიზო პერიოდის ქართლის პოლიტიკური განვითარების ამსახველ სურათს.

## 8.

როგორც ვნახეთ, ბაკურ თრდატის ძის ბიოგრაფიას შეიძლება თვალი მივადევნოთ უცხოური წყაროებითაც. ქვემოთ კიდევ წარმოვადგენ მასალას ამ წყაროებიდან.

IV საუკუნის 70-90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით სარდალ ბაკურის შესახებ ცნობები არაერთ ბიზანტიელ ისტორიკოსთან გვხდება. მაგალითად, 378 წელს მომხდარ ადრიანოპოლის ბრძოლასთან დაკავშირებით მას ახსენებს ამიანე მარცელინე:

.. მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც ვინმე იბერიე-

83 6. ნიკოლოზიშვილი. თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი, გვ. 136.

ლი ბაკური სარდლობდა და კასიონი, ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიჭრნენ წინ. <sup>84</sup>

394 წელს ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების მონაწილედ ბაკურს აღნიშნავენ ზოსიმე (V ს.) და გიორგი ამარტოლი (IX ს.):

მასთან ერთად მოკავშირებად მყოფ ბარბაროსთა მეთაურად დააყენა (თეოდოსი მეფემ, მ. ჩ.) გაინა და საული, მათი გამგებლობის მოზიარე იყო აგრეთვე ბაკური... კაცი უცხო ყოველგვარი სიბოროგტისათვის და ამავე დროს განვრთნილი საომარ საქმეებში... სარდალთა შორის უმამაცესი ბაკური ყველა თავისიანზე უფრო წინ იბრძოდა... (ზოსიმე).<sup>85</sup>

სარდლები საბრძოლველად გამხნევდნენ, განსაკუთრებით კი ბაკური, კაცი ყოვლად ლირსეული როგორ რწმენით და სათხოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით; ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყებანი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია, გვამების გორაკებს აუხვია და თვით ტირანთან მივიდა (გიორგი ამარტოლი).<sup>86</sup>

ამიანე მარცელინეს, ზოსიმეს, გიორგი ამარტოლის მოხსენიებული პიროვნებაც რუფინუსის ფრიად სარწმუნო ბაკურივით ჰარმონიულია, სულიერი და ხორციელი სიკეთით ერთნაირად გამორჩეული. იგი იგივე ქრონოლოგიურ მონაკვეთში მოქმედებს. ამიტომ ეჭვი არაა, რომ ერთსა და იმავე პირთან გვაქვს საქმე. დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ზოსიმეს მიხედვით ბაკურს „გვარტომობა არმენიდან ჰქონდა“. უცხოელი ისტორიკოსისაგან ამგვარი ცდომილება სამხრეთ კავკასიის ორ მეზობელ ხალხთან დაკავშირებით გასაკვირი არაა.

84 გეორგიკა, I, გვ. 144.

85 გეორგიკა, I, გვ. 270,

86 გეორგიკა, I, გვ. 198.

ამგვარად, დასახელებულ ისტორიკოსთა ცნობების საშუალებით „ფრიად სარწმუნო“ ბაკურის (ბაკურ თრდატის ძის) ბიოგრაფიის ფურცლები საინტერესოდ ივსება, ჩვენი წარმოდგენა ბაკურის მიერ საზღვარგარეთ გატარებული წლების შესახებ კონკრეტდება. ამავე დროს ჩვენს თვალწინ წარმოდგება მისი მომხიბლავი პორტრეტი: სიმამაცის, სიფიცხის, სიჩაუქის შეხამება სათნობასა და დვოისმოსაობასთან. მისი უნარი ღირსეულად სჭეროდა უცხოელთა წინაშე თავი და გამოეწვია მათი ალფროთოვანება.

მაგრამ ეს პორტრეტი კიდევ მეტ სიმპათიას აღგვიძრავს, თუ მას დავუმატებთ ისეთ შტრიხს, როგორიცაა ბაკურის ურთიერთობა ცნობილ მოაზროვნე ლიბანიოსთან (314-393).

ლიბანიოსის ადგილი და მნიშვნელობა ირკვევა მისი ფილოსოფიური როლით ნეოპლატონიკოსების სირიულ სკოლაში. ანტიოქიიდან შთამომავალი ლიბანიოსი განათლებას იღებს თავის სამშობლო ქალაქსა, და, აგრეთვე, ათენში. ამის შედეგ მას ფილოსოფიური სკოლის სათავეში ვხედავთ როგორც კონსტანტინოპოლში, ისე ნიკომედიაში, ვიდრე, დასასრულ, ის არ დამკვიდრდა თავის სამშობლო ქალაქ ანტიოქიაში... ლიბანიოსის მოწაფეთა შორის ისეთი გამოჩენილი მოღვაწები იყვნენ, როგორიცაა იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზაზელი და სხვები.<sup>87</sup>

ლიბანიოსი განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთში. მისი ნაშრომები ფართოდ იყო გავრცელებული და კლასიკურად აღიარებული. IX საუკუნის ცნობილი მოღვაწე და ლიტერატორი ფოტიოსი მას უწოდებს „ატიკური მეტყველების კანონსა და საზომს“... ლიბანიოსი, როგორც სოფისტი და რიტორი, ცნობილია თავისი „სიტყვებით“ და „ნერილებით“. ...ჩვენამდე მოღწეულია 1605 ბერძნული წერილი მიწერილი მოწაფეებისადმი, მეგობრებისადმი და სხვა პირებისადმი. ლიბანიოსის ადრესატთა შორის ჩვენ გვხდებიან სახელგანთქმული პირები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, საგანგებო პატივისცემად ითვ-

87 ქ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, შრომები, თბილისი, 1983, ტომი VIII, წიგნი I, გვ. 137.

ლებოდა მისგან წერილის მიღება.<sup>88</sup>

აი, ასეთი პირვნების მიერ ბაკურისადმი მიწერილმა წერილმა მოაღწია ჩვენამდე. ესაა წერილი № 980. იგი თარიღდება 392 წლით. ამ წერილში ლიბანიოსი ბაკურს უქებს სამართლიანობას, სიბრძნეს, ზომიერებას, სიმამაცეს; აღფრთოვანებულია იმით, რომ სამხედრო საქმეებით დატვირთულ სარდალს აქვს ინტელექტუალური მოთხოვნილებანი:

შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენ შესახებ, როგორ-საც, ჩვეულებრივ, მეგობრების წრეში გმოვთქვამთ ხოლმე. რადგან დიდ სიმოგნებას განვიცდით იმ ქებათაგან, რომელ-საც გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი. ზოგი კიდევ ადიდებს შენს ზომიერებას, და იმას, რომ უფრო მეტად მრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომ-ლის წყალობითაც იმარჯვებ ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომე-ლიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენს ღირსებათაგან ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ.<sup>89</sup>

„ლოგოსი“ ძეველბერძნული ფილოსოფიური ტერმინია, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს: სიტყვა, აზრი, კანონი, მს-ჯელობა და სხვა. ლიბანიოსი მათდამი ბაკურის სიყვარულის აღნიშვნით აშკარად ხაზს უსვამს ბაკურის ინტელექტუალურობას. „ლოგოსების სიყვარული“ უნდა იყოს საზოგადოდ აზროვნების სპეციალურ სფეროს სიყვარულზე მითითება, ლოგოსი, მეცნიერების ეკვივალენტად უნდა აღვიქვათ, რომე-ლიც, მართლაც, მრავალია ანუ მრავალი დარგი აქვს.<sup>90</sup>

88 გეორგიკა, I, გვ. 60.

89 გეორგიკა, I, გვ. 63-64.

90 შ. ზუცუბიძის აზრით, ლიგის აქ ნიშნავს „ლმერთებს“ (იხ. მისი ქართული ფილო-სოფიის ისტორია, I, გვ. 140-141), რასაც ამ კონტექსტისათვის, სამართლიანად, არ იზიარებს ს. ყაუხჩიშვილი: „თუ „ლოგოსები“ ნიშნავს „ლმერთებს“, მაშინ გა-მოთქმები, რომლებიც ნახმარი აქვს ლიბანიოსს, „შენ გიყვარს ლოგოსები, ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ლმერთებისათვის“, „ხომ ზრუნავნ ლოგოსებისათვის ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს“.

ბაკურისა და ლიბანიოსის ურთიერთობა კარგად ჩანს ლი-ბანიოსის სხვა (№ 963, № 964) წერილებითაც, განსაკუთრებით კი პირველიდან, რომელიც კონსტანტინოპოლის პრეფექტ არისტენეტესადმია მიწერილი და რომლითაც ირკვევა, რომ ბაკურს თავად უზრუნია ლიბანიოსთან დასაახლოებლად და რაღაც სამსახურიც გაუწევია კიდეც მისთვის; ქართველ სარდალს დაუპყრია ცნობილი ფილოსოფოსის გული:

მოგვიყიდა კარგი წერილი კარგი კაცისაგან და კარგი კაცის ხელით; შენგან, რომელიც კარგი ხარ, და ბაკურის ხელით, რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და და სულიც მას ასეთივე აქეს. ჩვენდამი ძლიერი სიყვარულით აღტყინებული, შენ ფიქრობ, რომ ეს არ კმარა, და შენს თავს მიუმატე ნიჭიერი ბაკური, და ალავსე რა თანაბარი სიყვარულით, გამოგზავნე აქეთ, რათა ჩვენთან ამოსულიყო არა ვიწრო კარით, არამედ პირდაპირ, სალამოთითაც და რბენით, პირზე მაკოცა, თი-თოეულ ნაკვთში ცალ-ცალკე, მომიჯდა გვერდით და მთხოვა ნება მიმეცა ეცქირა ჩემთვის დიდხანს. დაფარული არ არის ჩემთვის თუ ვინ მომგვარა მე ასეთი კაცი და საიდან არის ისარი. უზომოდ გამახარა და მასიამოვნა მან იმით, რაც ჩემთვის გააკეთა.<sup>91</sup>

ზოგი თვლის, რომ ლიბანიოსის ადრესატი ბაკური იგივე რუფინუსის „ფრიად სარწმუნო“ კაცი ბაკური არაა, რადგან ეს უკანასკნელი ქრისტიანია, ხოლო პოლითეისტი ლიბანიოსის ადრესატი და ახლო მეგობარი არ შეიძლება ქრისტიანი ყო-ფილიყო.<sup>92</sup>

---

გამოდის, რომ „ღმერთები ზრუნავენ ლოგოსებზე“, ე. ი. „ღმერთები ზრუნავენ ღმერთებზე“ ან „ღმერთებმა მოგვცეს ლოგოსები“ ანუ „ღმერთებმა მოგვცეს ღმერთები“ (გეორგია, I, გვ. 62, სქოლიო). ს. ყაუხჩინიშვილის აზრით, ლოგოსები ნიშნავს რიტორიკულ ხელოვნებას (გეორგია, I, გვ. 61). მაგრამ ამ ტერმინის ასე დავინრობაც არ უნდა იყოს მართებული. ეს ტერმინი ამ კონტექსტში, ვფიქრობ, სისტემური ცოდნის აზრით ანუ მეცნიერების გაგებით გამოიყენება.

91 გეორგია, I, 64-66.

92 ზოგი მკვლევარი (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, მემატიანე, 2003, გვ. 82; იხ. აგრეთვე J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, წიგნში: *New Perspectives on Late Antiquity in the Eastern Roman Empire*, 2014, გვ. 138; ამ საკითხის შესახებ ადრინდელი ლიტერატურისათვის იხ. P. Peeters,

მაგრამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს ქრონოლოგიური პერიოდის, საქმიანობის და პიროვნული თვისებების იგივეობა. როგორც ეს წერილიდან ჩანს, ლიბანიოსისა და ბაკურის მეგობრობის საფუძველი რელიგია კი არა, შემეცნების ანუ მეცნიერების ანუ ლოგოსების სიყვარულია. ამასთან მინდა შევნიშნო, რომ წყაროების მიხედვით, ლიბანიოსისათვის ამგვარი ურთიერთობა სრულიად ბუნებრივი იყო. იგი მეგობრობდა და სწერდა ქრისტიანებსაც. და ეს გვიანიანტიკურობის სულისკვეთების შესატყვისი იყო, რადგან

ადრებიზანტიური საზოგადოების განათლებული ფენებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია კონფესიურად ინდიფერენტული ტიპი.<sup>93</sup>

იმ გარდამავალ ეპოქაში ბაკურის რელიგიური გამოცდილება არაქრისტიანული კულტურისადმი თუ არაქრისტიანებისადმი ფანატიკურად უარყოფით დამოკიდებულებას არ გულისხმობდა.

რუფინუსის ცნობით, ბაკური იბერთა მეფე გახდა. ეს მომხდარა რუფინუსთან საუბრის შემდეგ. ისტორიკოსს კარგად აქვს გამიჯნული წარსული და ამყო: ბაკური იყო დომესტიკა კომსი, არის იბერთა მეფე.<sup>94</sup> აღნიშნულ საკითხზე

Les débuts du christianisme en Géorgie d'après les sources hagiographiques, *Analecta Bollandiana*, 1932, გვ. 33-36; ს. აქემინან. მემორანული მუსეუმის კარავანის ასამიტოქანური ჩატური, ზურაბ გვ. 412.) თვლის, რომ ბაკურმა ქრისტე მოგვიანებით ალარა, თუმც ლიბანიოსის მიერ მოხსენებული ბაკურის და რუფინუსის ბაკურის იგივეობას ყველა არ გამორიცხავს. ბაკურის ნარმართობის შესახებ აზრი არა სწორი: როგორც ვნახეთ, ბაკურის დაბადებამდე ბევრად ადრე ქართლის სამეფო ოჯახს ქრისტიანული ცხოვრების მყარ ტრადიცია ჰქონდა.

93 ს. ავერინცევი, ადრებიზანტირი ლიტერატურა. თარგმნა თ. ჩხერიმა. – ლიტერატურული საქართველო, 1985, 26 აპრილი, გვ14.

94 აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება გავამახვილე ჯერ კიდევ 1987 წელს გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაში. იხ. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმ-ცოდნებითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებად ნმიდასა ნინოსი“, თბილისი, მეცნიერება, 1987, გვ. 38. მაშინ არ ვიცნობდი, ახლა კი მივუთითებ ამ საკითხზე რუფინუსის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორის, ფრანცუაზა ტელამონის აზრს: მკვლევარი თვლის, რომ რუფინუსის სხენებული ცნობა სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული და, შესაბამისად, უნდა ალდეს ბაკურის ბიოგრაფიაც. ბარებ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ რუფინუსის მიერ ნახსენები ბაკურის და სომხური წყაროების ქართლის მეფე ბაკურის იგივეობაში ფ. ტელამონს, ისევე როგორც

უურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც რუფინუსის ბაკური მეფედ ნამყოფ სამშობლოდან ბიზანტიაში პოლიტიკური ბედუკულმართობის გამო გადახვენილ პიროვნებად არის მიჩნეული.<sup>95</sup> მაგრამ ასე რომ არ უნდა გავიგოთ რუფინუსის სიტყვები, ამაზე თვით ტექსტზე დაკვირების გარდა მეტყველებს სოკრატე სქოლას-ტიკოსის შენიშვნაც: „რუფინუსი ამბობს, რომ ეს მან შეიტყო ბაკურისაგან, რომელიც წინათ იძერთა უფლისწული იყო.“<sup>96</sup> ანუ უფლისწულობაა წარსულში და არა მეფობა.

როგორც უკვე ვთქვი, გვიანანტიკური პერიოდის ქართლში ეს ერთადერთი შემთხვევა როდია ტახტის მემკვიდრის ბიზანტიაში ყოფნისა, რაც პოლიტიკური საჭიროებებით თუ ქვეყნის მართვისათვის საჭირო გამოცდილების მიღების სურვილით უნდა აიხსნას. პ. პეტერსის დაკვირვებითაც, რუფინუსის სიტყვებიდან ჩანს, რომ ბაკური მეფედ ნამყოფი პიროვნება არ არის, რომ მეფე ის შემდგომში ხდება.<sup>97</sup>

რუფინუსი, რომ არ ცდება, ამას ადასტურებენ ძველი სომხი ისტორიკოსები კორიუნი და მოსე ხორენელი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ V საუკუნის ათიანი წლების შუა ხანებისათვის ქართლის ტახტი ეკავა მეფეს, სახელად ბაკურს,<sup>98</sup> ხოლო ამავე წყაროებით უკვე ოციანი წლების დასაწყისისათვის ქართლის მეფეა არჩილი.<sup>99</sup> ბაკური იხსენიება სომხურ წყაროებში

ზოგ სხვა მცვლევარს ჩამო ჩათვლით, ეჭვი არ ეპარება. იხ. F. Thelamon, *Paiens et chrétiens au IVe siècle. L'apport de l'*'Histoire ecclésiastique'* de Rufin d'Aquilée*, Paris, Études Augustiniennes, 1981, გვ. 94.

95 პ. ინგოროვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თბილისისათვის კრებული შვიდ ტომად, თბილისი, 1978, ტომი IV, გვ. 322-323; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 94; გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, თბილისი, 1974, გვ. 3.

96 გეორგიკა, I, გვ. 234.

97 P. Peeters. Les débuts du christianisme en Géorgie d'après les sources hagiographiques, *Analecta Bollandiana*, 1932, გვ. 36.

98 Ա. Սարգսյան. Վրաստամ եւ Հայերը. Վիեննա, 1939, გვ. 187. Ն. Ավինեան. Քրիստոնեութեան միտք Հայաստան եւ Վրաստամ լստ աւանդութեան Բավուր Իշխանի, Հ. Ա. 1947, #8-9, გვ. 413.

99 Կօրյօն. Житие Маштоца. Перевод Ш. В. Смбатяна и К. Л. Мелик-Оганджаняна. - Ереван, 1962, გვ. 100-101. მოქსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, 1984, გვ. 224.

მესროპ მაშთოცის ქართლში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. პირველი ვიზიტის დროს ის ყოფილა ტახტზე, მეორე ვიზიტის დროს ქართლის მეფე უკვე არჩილია. ანუ ბაკურ თრდატის ძე გარდაცვლილა სადღაც ათიანი წლების შუა ხანებიდან ოციანი წლების დასაწყისამდე შორის პერიოდში.

ამ პერიოდის დავიწროება კიდევ უფრო შეიძლება. როგორც ითქვა, სომხური წყაროები მესროპის მეორე ვიზიტისას ქართლის მეფედ ასახელებენ არჩილს. ეს არჩილი, ცხადია, „მოქცევად ქართლისას“ მეფე არჩილია, რომელიც ბაკურის შემდეგ არის დასახელებული, ოღონდაც მათ შორის კიდევ ორი მეფეა მითითებული: ფარსმანი და მირდატი. ანუ სანამ მესროპი მეორედ ჩამოვიდოდა ქართლში, მანამ გარდაცვლილა არა მარტო ბაკურ მეფე, არამედ კიდევ ორ მეფეს მოუსწრია მეფობა და არჩილს კი ტახტზე ასვლა. ანუ, სავარუდოდ, ბაკურ მეფე მესროპის პირველი ვიზიტის შემდგომ მალევე გარდაცვლილა.

ამგვარად, V საუკუნის პირველი წლებიდან ვიდრე V საუკუნის ათიანი წლების შუა ხანებამდე ზეობდა ბაკური.

ბაკური ნამდვილად განსაკუთრებული ხიბლის მქონე პიროვნებად წარმოგვიდგება. თუმც როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, მას თავის ქვეყანაში მცირე დროით მიეცა მოღვაწეობის საშუალება. ბაკურის ზეობა მაინც პოლიტიკურად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მის დროს ქართლი გაერთიანდა, თუმც სპარსელთა შემოსევის საფრთხე, ცხადია, არ მოსპობილა. ბაკურს ეს კარგად ესმოდა და ამიტომ არმაზის ციხე გაუმაგრებია.

როგორც ითქვა, ბაკურის ზეობაში ქართლში ჩამოვიდა მესროპ მაშთოცი, რომელსაც ზოგიერთი სომხური წყარო სომხურ და ალბანურ ანბანებთან ერთად მიაწერს ქართული ანბანის შექმნასაც. ეს არ არის სწორი. ქართული ანბანი ამ დროს არ შექმნილა. ის მეფე ფარნავაზის დროს შეიქმნა. მესროპი იყო ქრისტიანი მოღვაწე, რომელსაც სურდა წარმართობის ნაშთების აღმოფხვრა მთელს სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, ქართლშიც. როგორც ირკვევა, ეს პროექტი სომხეთში

არ გაჩენილა, არამედ ახალი ანბანების შექმნა რომის პოლიტიკის ნაწილი იყო ერთიანი ქრისტიანული კულტურული სივრცის შესაქმენლად. მესროპ მაშთოცი კი ამ შემთხვევაში გახლდათ რომის ემისარი. ფარნავაზის დროს შექმნილი ქართული ასომთავრული ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო მესროპის ცვლილებათა პროგრამაში, რომელიც, როგორც ვთქვი, წარმართობის ნაშთების მოსპობას ისახავდა მიზნად. ქართული ანბანი ხომ ნაშთი კი არა, წარმართული კულტურის ცოცხალი ნაწილი იყო. მაგრამ ერთია, რა მიზანი ჰქონდა (და მას აშკარად, ჰქონდა მიზანი წარმართული ქართული ანბანი ჩაანაცვლებინა ახლით) მესროპ მაშთოცს. და მეორეა, რამდენად განხორციელდა მისი პროექტი ქართლში. სომხეთში ის განხორციელდა, ეს ფაქტია: აქ მანამდე არსებული ანბანი ჩაანაცვლა მესროპისეულმა. ქართლში იგივე არ მოხდა. ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული აღბეჭდილია წარმართული მსოფლხედველობით.<sup>100</sup> მას მხოლოდ ზერელე კვალი ეტყობა ქრისტიანობის ეპოქაში დამუშავების ანუ „მონათვლის“.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოახერხა მესროპმა წარმართულ ეპოქაში შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანის ჩაანაცვლება უნდა იყოს რამდენიმე: ქართული ასომთავრული დიდი ტრადიციის მქონე იყო და სრულყოფილად ასახავდა ქართულის ფონოლოგიურ სისტემას; თავად მესროპის შემოთავაზებული ასოები, ჩანს, არ ვარგოდა. ეს ბუნებრივიცაა: მესროპმა სომხურისთვის კარგის შექმნა შეძლო, რადგან სომხური მისთვის მმობლიური იყო. ქართული კი არ იცოდა და ამიტომაც არსებულ ქართულ ასომთავრულზე უმჯობესის შექმნა ვერ შეძლო. და მესამე, აქ გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ბაკურის დამოკიდებულებაც ფარნავაზისეული ქართული ასომთავრულისადმი, რომელსაც განაპირობებდა ბაკურის ფართო თვალსაწიერი: ლობანიოსის მეგობარი მარტო იდეოლოგიური კუთხით არ აფასებდა ქართულ ანბანს და წარმართულ ეპოქაში შექმნის გამო არ იწუნებდა. სწორედ ამიტომ მესროპის

100 რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, ნაკადული, 1980.

სურვილის მიუხედავად, და იმის მიუხედავად, რომ ბაკურმა ის კარგად მიიღო (სხვაგვარად შეუძლებელიცაა მიეღო ქართლის მეფეს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ფაქტობრივად ბიზანტიის ელჩი მესროპი), მისი პროექტის განხორციელება საკუთარ ქვეყანაში არ უფიქრია.

მოკლედ, ასეთი ვითარება გვაქვს: ბაკური არ არის ქართული ანბანის შექმნელი, მაგრამ ის უკავშირდება ქართული ანბანის ისტორიას, როგორც მისი გადამრჩენი. წარმართული ეპოქის კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ინტენსიური ქრისტიანიზაციის ეპოქაში რომ არ განადგურდა, ეს სწორედ მისი ანუ ბაკურის დამსახურებაა. ამ საკითხს ქვემოთ შედარებით ვრცლად დავუბრუნდები.

ბაკურის ზეობაში მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი: დაიბადა მურვანოსი. ამგვარად, მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ მეხუთე საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში ვარაზ-ბაკურსა და ბაკურდუხტიას შეეძინათ ვაჟიშვილი. ბაკურ თრდატის ძის ანუ ბიძის გარდაცვალების დროისათვის ის სულ რამდენიმე წლის უნდა ყოფილიყო.

მემკვიდრე ბაკურ თრდატის ძესაც აშკარად არ დარჩენია, რადგან მის შემდეგ მისი მამიდაშვილი ფარსმანი იკავებს ტახტს. ეს ფაქტი მიუთითებს, მემკვიდრის პრობლემას ხოსროვანთა სახლში: ქალის ხაზით ხოსროვანი იკავებს ტახტს. სავარაუდოდ, ფარსმანს სულ რამდენიმე წელი უნდა ემეფა. მისი მომდევნო მირდატი ვინ იყო ფარსმანისათვის, ამ წყაროში მითითებული არაა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ის ფარსმანის ძმა იყო, რაც სარწმუნო ჩანს, თუმც სხვა მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები აქ არაზუსტია. მირდატი სპარსელებს წაუყვანიათ და უცხოეთში გარდაცვლილა, ეტყობა, არა ბუნებრივი სიკვდილით. ზემოთ აღნერილი ქრონილოგიის გათვალისწინებით მასაც სულ რამდენიმე წელი უნდა ემეფა. აი, ამონარიდი „მოქცევად ქართლისადან“

და მისსა შემდგომად მეფობდა ფარსმან, დის წული თრდატისი, და მთავარ ებისკოპოსი იყო სკმეონ. და მისა შემდგო-

მად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ და მუნ მოკუდა.<sup>101</sup>

„ქართლის ცხოვრება“ მირდატის შთამბეჭდავ პორტრეტს წარმოგვიდგენს. ძნელია სათქმელია, ოღონდაც თუ რამდენად ადეკვატურია ეს პორტრეტი, რადგან არავითარი საკონტროლო წყარო არ გაგვაჩნია.

მიუხედავად ამისა, ქვემოთ მოვიყვან ამ ტრაგიკული ბედის მქონე ქართლის მეფის ლეონტისეულ დახასიათებას:

იყო ესე მირდატ კაცი ქუელი, მწედარი შემმართებელი, ურნმუნო და უშიში ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი, და მინდობილი მწედრობასა თვისსა. არა მსახურა ღმერთსა, არცა ალაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და სილალითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უფრობ, სპითა ძლიერითა, მირდატისა ზედა. მაშინ მირდატ სილალითა თვისითა, არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო: იოტეს და შეიპყრეს სპარსთა; მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქართლი და განრყუნეს ეკლესიანი... ხოლო მირდატ წარიყვანეს ბალდადს და მუნ მოკუდა.<sup>102</sup>

არც სპარსთა მეფის მოხელის სახელი ემთხვევა, როგორც ვხედავთ. თუმც საკმაოდ ნიშანდობლივი ცნობები აშკარად არის. სავარაუდოდ, მცირე ხნით მაინც, კვლავ უმეფობა<sup>103</sup> დამყარებულა ქართლში. ამის შემდგომ ქართლის ტახტს იკავებს მეფე არჩილი. მაგრამ ვიდრე თხრობას გავაგრძელებდე ამ არჩილის შესახებ საუბრით, მინდა დავუბრუნდე ბაკურ თრდატის ძეს.

101 ქეგლები, I, გვ. 92.

102 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.

103 „მაშინ ერისთავი სპარსთა მეფისა რომელი ერისთაობდა რანს და მოვაკანს, ვიდრე არჩილის მეფობამდე მისისვე გასაგებელი იყო ქართლი“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 140.

## 9.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ერთი თვალ-საზრისის მიხედვით, ბაკურ მეფე არის ქართული ასომთავრული ანბანის ავტორი (თანაავტორი). ეს თვალსაზრისი ეკუთვნის ზემოთ უკვე ნახსენებ მკვლევარს ბ. ხურცილავას.

ქართული ანბანი ქართული კულტურის უდიდესი მონაპოვარია. თუ ხოსროვანთა სახლს ეს ფაქტიც უკავშირდება, ცხადია, მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება გამოკვლევისათვის, რომლის ფოკუსი სწორედ ხოსროვანთა სახლის ისტორიაა.

ბ. ხურცილავა დიდი ხანია ინტენსიურად აქვეყნებს ამ შეხედულების შემცველ წიგნებსა თუ სტატიებს. ვრცელი დისკურსების მიუხედავად აღნიშნული თვალსაზრისის ძირითადი თეზისის რაიმე დონის დასაბუთება მე ამ ნაშრომებში ვერ მოვიძიე. ამიტომ ქართული ასომთავრულის წარმოშობის დროისა და ავტორის შესახებ ბ. ხურცილავას ამ შეხედულებათა შესახებ კრიტიკული თვალსაზრისის გამოთქმას არ ვჩეკარობდი, ვიმედოვნებდი, რომ სამეცნიერო საზოგადოება თავად გაერკვეოდა ამ მოსაზრების ავკარგიანობაში: დარწმუნებული ვიყავი არ მიიღებდა მას სერიოზულად.

მაგრამ, როგორც ითქვა, წინამდებარე წიგნის ფოკუსმა აუცილებლობით მოითხოვა ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება; ამავე დროს ქართული ანბანის შესახებ ბ. ხურცილავას თვალსაზრისის მხარდამჭერიც გამოუჩნდა ჩემთვის ფრიად საპატივსაცემო მკვლევრის ნ. ნიკოლოზიშვილის სახით. ამ უკანასკნელმა ჩემთვის ასევე საპატივსაცემო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში ბ. ხურცილავას თვალსაზრისზე გამოხმაურება გამოაქვეყნა.<sup>104</sup>

ბ. ხურცილავას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ თვალსაზრისის კრიტიკული განხილვისათვის ჩემთვის მაპროვოცირებელი შეიქმნა სწორედ ეს გამოხმაურება. ვსაუ-

104 ნ. ნიკოლოზიშვილი. დიდი ბაკური –ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ კვლევათა უურნალი კადმოსი, 2016, №8, გვ. 311-315 აქვს ინგლისურ ენაზე რეზიუმეც, გვ. 341-342.

ბრობ რა რეცენზინგისადმი ჩემს გულწრფელ პატივისცემაზე, აქვე მინდა შევნიშნო, რომ პ. ხურცილავასაც, ცხადია, პატივისცემით ვეკიდები; მისი შეხედულებისადმი ჩემი კრიტიციზმის მიზეზი არის მისი დაუსაბუთებელი დასკვნა ქართულ ანბანის წარმოშობის დროისა და ავტორის შესახებ, რაც ჩემს გულწრფელ გაკვირვებას იწვევს მკვლევრის ზოგი საინტერესო სამეცნიერო მიგნების ფონზე.

თუმც უნდა ითქვას, რომ ქართული ანბანის კვლევის ისტორია ამგვარი პარადოქსებით სავსეა. ეს ისტორია და ამ საკითხის შესწავლის მეტამეცნიერული მოტივაციებიც, ვფიქრობ, არანაკლებ იმსახურებს ყურადღებას, ვიდრე თავად ანბანური სისტემის ანალიზი. აღნიშნული პრობლემატიკა ქართული ისტორიოგრაფიისა და იდენტობის ისტორიის შესახებ დიდი მონოგრაფიის თემადაც კი მესახება. საქმე ისაა, რომ ენა და მისი მატერიალიზება ანბანის სახით, არის იდენტობრივი მარკერი. ამდენად, ამ საკითხის შესწავლა (ყოველ შემთხვევაში შედეგების გაცხადება) არ ხდება (და ვერც მოხდება) მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო წრეში. აღნიშნული გარემოება სამეცნიერო ძიებებს არა მარტო სტიმულს აძლევს, არამედ ხელსაც უშლის. პრობლემის სამეცნიერო კვლევას აბრკოლებს, ერთის მხრივ, არასწორად გაგებული პატრიოტიზმი, მეორეს მხრივ, ამ პატრიოტიზმის დასაბალანსებლად წარმოშობილი მისწრაფება უარი ეთქვას ყველა იმ ფაქტს, რომელიც გამოკვეთს ქართველთა კულტურულ უნიკალობას და, თუ გნებავთ, ისტორიული გამოცდილების განსაკუთრებულობასაც. ამას ემატება ის, რომ ანბანის საკითხი ქართულ სინამდვილეში ეჯაჭვება „მნიშვნელოვანი სხვის“, ამ შემთხვევაში, სომხების თემას, რაც ამ მიმართულებით კვლევას აკადემიური საქმიანობისათვის ხელშემძლელ ემოციურ ფონს უქმნის. კოლექტიური მეხსიერება და ისტორიოგრაფიის სენსიტიური თემები საბჭოური რეჟიმის მიერ ეთნო-კონფლიქტების გასაღვივებლადაც გამოიყენებოდა და ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხი ერთ-ერთი ასეთი თემა იყო სწორედ. ის უნდა ყოფილიყო ქართულ-სომხური დაპირისპირების მუდმივი წყარო. მესამეც, ეს თემა უკა-

ვშირდება ქართული იდენტობისათვის რელიგიურ მარკერის მნიშვნელობის თავისებურ გაგებასაც, კერძოდ, ზოგიერთი მკვლევრის თუ ქართული ერთობის რიგითი წევრის მიერ ამ მარკერის დაკავშირებას ექსკლუზიურად ქრისტიანობასთან და ქართული კულტურის, როგორც ოდენ ქრისტიანული კულტურის, ინტერპრეტაციას. ალბათ ყოველივე ამით აიხსნება, რომ ბევრი საზოგადოდ დაკვირვებული მკვლევარი, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტისას დაბნეულად გამოიყურება. მოკლედ, ქართული ანბანის კვლევის ისტორია, ამ საქმეში ჩართული მეცნიერები და მათი აუდიტორია, ამასთან დაკავშირებული მოტივაციები თუ სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთები, არის საკმაოდ ფართო თემა, რომლის დამუშავება მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ გვიანანტიკურ ქართლს და ბ. ხურცილავას ხსენებულ შეხედულებას ქართული ანბანის წარმოშობის დროისა და შემქნელის შესახებ.

რადგან ბ. ხურცილავას თვალსაზრისის განხილვისაკენ გარკეულწილად მიბიძგა ნ. ნიკოლოზიშვილის გამოხმაურებამ, სწორედ ამ გამოხმაურების განხილვით დავიწყებ ჩემს მსჯელობას და ამ გზით შევიყვან მკითხველს საქმის კურსში.

უკვე გამოხმაურების სათაური ცხადყოფს მის პათოსს: როგორც ვხედავთ, ის ისეა ფორმულირებული, რომ მკითხველს თავიდანვე განაწყობს ჰუმანიტარულ კვლევებში სრულიად განსაკუთრებულ აღმოჩენასთან შესახვედრად, იმ ვითარებასთან, როცა ქართველი მეცნიერის კვლევა უცხოელი მეცნიერის ავტორიტეტით არის გაძლიერებული. „ხურცილავა-კოდონიერის თეორია“, ასოციაციას აღძრავს ქართველოლოგის ისეთ ფაქტებთან, როგორიცაა „ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია“, „გამყრელიძე-ივანოვის ჰიპოთეზა“ ან თეორია და, ვფიქრობ, ეს გამიზნულადაცაა გაკეთებული რეცენზიურის მიერ, რომ ბ. ხურცილავას თვალსაზრისი მკითხველმა თავიდანვე დაუკავშიროს საყოველთაოდ აღიარებულ მიგნებათა ჩამონათვალს.

გამოხმაურება იწყება შესავლით, რომელშიც ქართული ანბანის დიდი მნიშვნელობა არის ხაზგასმული. შემდეგ საუბარ-

ია საკითხის შესწავლის მდგომარეობაზე. მითითებულია, რომ დიდი ხანია, სამეცნიერო ინტერესის საგანია მისი შექმნის დრო და ავტორის ვინაობა. რომ ქართულ და სომხურ წყაროებს თრი ურთიერთგამომრიცხავი მონაცემი აქვთ ამასთან დაკავშირებით. ქართული ვერსიის მიხედვით ქართული ასომთავრული შეიქმნა წინარე ქრისტიანულ ხანაში მეფე ფარნავაზის მიერ, სომხურის თანახმად კი – ქრისტიანულ ხანაში მესროპ მაშთოცის მიერ. მითითებულია, რომ ქართველ მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ზოგი ქართულ ასომთავრულს მიიჩნევს წინარექრისტიანულ, ზოგიც ქრისტიანული ეპოქის ძეგლად. რეცენზენტის აზრით, ბოლო ხანებში თ. გამყრელიძემ (რომელიც თავად ანბანის წარმოშობის ეპოქას ქართველთა ქრისტიანობაზე ოფიციალურად მოქცევის შემდგომ ვარაუდობს), დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ ფაქტთან მესროპ მაშთოცს არავითარი კავშირი არა აქვს. იგივე აზრისათვის 6. ნიკოლოზიშვილი იმონმებს ავსტრიელი მეცნიერის ვერნერ ზაიბტის ნაშრომსაც.<sup>105</sup>

105 რეცენზენტი ასახელებს ამ ნაშრომს: W. Seibt, "Wo, wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet geschaffen?", in: Die Entstehung der kaukasischen Alphabete als kulturhistorisches Phänomen / The Creation of the Caucasian Alphabets as Phenomenon of Cultural History. Referate des Internationalen Symposiums, Wien, 1-4 Dezember 2005. ეს არის ვენაში 2005 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე (რომლის ფორუმია იყო კავკასიაში ანბანების შექმნა, როგორც კულტურული ისტორიის ფაქტი) ხარდენილი მოხსენების აპსტრაქტი. ინფორმაცია ამ კონფერენციის შესახებ განთვალისწინებულია ინტერნეტში (<https://www.loc.gov/item/2012449601/>). აქედან ირკვევა, რომ ეს კონფერენცია ეძღვნებოდა სომხური ანბანის მესროპ-მაშთოცის მიერ შექმნის 1600 წლისთავს და სწორედ ამ კონტექსტში განიხილებოდა სხვა ანბანებიც, მათ შორის, კავკასიის ხალხებისა – ალბანელებისა და ქართველების. სომხური ანბანის შექმნა მესროპ-მაშთოცის მიერ აღიარებულ ყოფილა ურყვე ჭეშმარიტებად. ალბანურის მიმრით იმ დასკვნამდე მისულან, შესაძლებელია, რომ მასთან დაკავშირებული არსებული მტკიცებულება ქართულდად იქნეს მიჩნეული, ქართულასთავის კი შემოთავაზებული ყოფილი სრულიდ განსხვავებული მიღებოდა იმის მტკიცებით, რომ ის შეიქმნა სიია-პალესტინის რეგიონში. ამ იდეას შეიცავდა სწორედ ვერნერ ზაიბტის მოხსენება, რომელიც სტატიის სახით გამოქვეყნდა მოგვიანებით, კერძოდ, 2011 წელს სპეციალურ კრებულში (W. Seibt – J. Preiser-Kapeller (Hgg.), *Die Entstehung der kaukasischen Alphabete als kulturhistorisches Phänomen*. Referate des Internationalen Symposiums (Wien, 1.-4. Dezember 2005), Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften, Wien 2011 (= Österreichische Akademie der Wissenschaften. Phil.-hist. Klasse, Denkschriften, 430. Band; Veröffentlichungen zur Byzanzforschung, Band 28). ISBN 978-3-7001-7088-4) და ამ კრებულზე რეცენზია კი გამოაქვეყნან. დღობორჯვინიძემ 2013 წელს (*BYZANTINA SYMMEIKTA* 23, 2013, 317-324). ამ სტატიის გაცნობა მარნმუნებს, რომ ავტორს ეს აზრი გამოითქმული აქვს ვარაუდად და აქ რაიმე მყარ მტკიცებულებაზე საუბარი ზედმეტია.

გამოხმაურების ამ ნაწილის უმთავრესი მიზანი პ. ხურცილავას შრომებისათვის სათანადო ფონის შექმნა მგონია: კერძოდ, როგორც ვხედავთ, გვემცნობა, რომ ქართული ასომთავრულის ქრისტიანულ ხანაში შექმნა მხარდაჭერილია ავტორიტეტის მიერ<sup>106</sup> და საფრთხეც, რომ ანბანის წარმოქმნის დროის ამგვარად განსაზღვრამ ვინმეს ქართული ასომთავრული დააკავშირებინოს მესროპ მაშთოცის მოღვაწეობასთან, არ არსებობს ამავე ავტორიტეტული ქართველი მეცნიერის და, ამის დამატებით, უცხოელი მეცნიერის ძალისხმევით. ანუ მარტივად, რომ ვთქვთ, მათ, რომლებსაც, შეიძლებოდათ, გულს ჰკლებოდათ იმის გამო, რომ ქართული ანბანის ქრისტიანობის ეპოქაში შექმნის მხარდამჭერი თეორია ავტომატურად მესროპ მაშთოცის ღვაწლის მხარდამჭერი თეორია გამოდიოდა, არაფერი აქვთ სადარდო.

რეცენზენტის მიერ მითითებული ფაქტების მიუხედავად აშკარაა, რომ ქართული ანბანის ქრისტიანულ ეპოქაში წარმოშობის თვალსაზრისს რჩება პრობლემა ქართულთა კოლექტიური მახსოვრობაში ადგილის დასაკავებლად თუ წმინდა

106 თუ როგორ არის თ. გამყრელის მიერ ქართული ანბანის ქრისტიანულ ეპოქაში წარმოშობა დამტეაცებული, ეს ვარენე მრავალი წლის წინ ჩემს სტატიებში (იხ. მ. ჩხარტიშვილი, „წიგნი პრეველი“, მნათობი, 1988, №5, გვ. 147-150; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ანბანის ისტორიიდნ, მნათობი, 1989, №6, გვ. 169-173). რატომდაც მათ არსოდეს იხსენიებენ, როცა საუბრობენ ქართულ ანბანის წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჩემი სტატიები, მართალია, უკრნალ „მნათობში“ დაბეჭდილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სამეცნიერო არაა. მმხანად მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები ჰუმანიტარიის დარგში იქნებოდა სწორედ „მნათობში“, რადგან იმ ნლებში წმინდა სამეცნიერო პროფილის მქონე მედიის არჩევანი არ არსებობდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემაც ჰქონდა ჩემს სტატიებს: ეს იყო დრო, როცა ავტორიტარიზმი შესვალავდა არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ სამეცნიერო სივრცეებსაც და აკად. თ. გამყრელის კრიტიკის შემცველი ჩემი, მმხანად ახალგაზრდა მეცნიერის, ნაშრომების გამოქვეყნებას რედაქტორები ერიდებოდნენ. თავად ახალგაზრდა მეცნიერი კი ის საკუთარი ხარჯით ნამრის ვერ გამოსცემდა. ერთადერთი „მნათობის“ იმდროინდელი რედაქტორი ბატონი ა. სულაკაური იყო, რომელიც ამ ვთარებას არ შეეპუა და აღნიშნული სტატიების გამოქვეყნების საშუალებას მომცა. საინტერესოა, რომ ისინი იგნორირებულა ბ. ხურცილავას მიერაც, რომელსაც, თუ ვიმსჯელებთ მისი წიგნების ვრცელი ისტორიოგრაფიული მიმოხილვებით, საზოგადოდ აქვს იმის ამბიცია, რომ თავი მოუყარა საკითხის ისტორიის ყველა ფაქტს. ჩემი სწორედ ეს სტატიები აჩვენებს თ. გამყრელის მიერ მოხმობილი ფაქტების, როგორც არგუმენტების, უვარგისობას. ამ წიგნში დამატების სახით წარმოვადგენ როივე მათგანს მხოლოდ მცირდებ რედაქტორული ცვლილებებით.

სამეცნიერო კუთხით: საქმე ისაა, რომ ეს თვალსაზრისი არ გვთავაზობს ქართული ანბანის შემქნელის სახელს, მაშინ, როცა მის მიერ უარყოფილი ორივე წყარო, ქართულიცა და სომხურიც, ავტორებს ასახელებს: ერთის მიხედვით, ეს ფარნავაზია, მეორეს მიხედვით – მესროპ მაშთოცი. ქართული ანბანის შემქნელის შესახებ ორი ამგვარი პირდაპირი ცნობის უარყოფა ისე, რომ არ გყავდეს, თუნდაც სავარაუდო ავტორის კანდიდატურა, ნამდვილად პრობლემურია და ამას ვერ შველის სამეცნიერო ავტორიტეტების დამოწმება.

მე ვფიქრობ, ამ გამოწვევის პასუხად აღმოცენებულ აუცილებლობად სურს რეცენზენტს წარმოგვიდგნოს ბ. ხურცილავას თვალსაზრისი. ალბათ ეს ასეც არის, მაგრამ ამ გამოწვევის დაძლევის მცდელობა არ მესმის სამეცნიერო ღვაწლად რატომ უნდა ჩაეთვალოს ბ. ხურცილავას: აღნიშნული გამოწვევა ხომ ხელოვნურია, სწორედ ბ. ხურცილავასა და ზოგი სხვა მეცნიერის მხრიდან წყაროთა ჩვენებების უგულებელყოფით მიღებული.

რეცენზენტი აგრძელებს ბ. ხურცილავას შემოქმედების მიმოხილვით, აღნიშნავს მის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის ფაქტს და სრულად ეთანხმება მის მიერ არჩეული კვლევის გზას. ბ. ხურცილავას დისერტაციის შეფასება იმგვარია, მკითხველი შეუძლებელია დაეჭვდეს, რომ ეს ნაშრომები კლასიკურად იქნება აღიარებული უახლოეს მომავალში:

შეიძლება ითქვას, რომ ბ. ხურცილავას დისერტაცია მისი მრავალწლიანი სამეცნიერო შრომის გვირგვინია, რომლითაც მან სრული ისისავსით, რამდენადაც არსებული საისტორიო წყაროები ამის საფუძველს იძლევიან, წარმოაჩინა ადრექტისტიანული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება – დიდი ბაჟური. ამ ნაშრომების წყალობით, თვალსაზრინო ხდება ბაჟურის სიბრძნისა და ლოგოსთა სიყვარულის (ბაჟურის დახასიათება ცნობილი ფილოსოფოსის ლიბანოსის მიერ) კონკრეტული ნაყოფი – ქართული ასომთავრული ანბანი.<sup>107</sup>

107 6. ნიკოლოზიშვილი. დიდი ბაჟური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, გვ. 313.

ძნელია, წარმოვიდგინოთ რომელიმე თანამედროვე ავტორის ღვაწლის დახასიათება ამაზე აღმატებულად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. რეცენზენტი განაგრძობს:

თუმც ბაკურის, როგორც ასომთავრული ანბანის შემოქმედის ეპოქეა ამით არ დასრულებულა. 2014 წელს ბესიკ ხურცილავასაგან სრულიად დამოუკიდებლად ამავე აზრამდე მივიდა ვალიადოლიდის უნივერსიტეტის პროფესორი ხუან ს. კოდონიერი.<sup>108</sup>

რეცენზენტის მიერ ამ უცხოელი მკვლევრის ნაშრომის დახასიათებას და მისგან შესაბამისი ამონარიდის მოყვანას კი მოსდევს შემდეგი შეჯამება:

როგორც ვხედავთ ორი მეცნიერის დამოუკიდებლად მიღებული დასკვნები დიდი ბაკურისა და ქართული ასომთავრულის კავშირის შესახებ სერიოზულ პერსპექტივას იძლევა ქართული დამწერლობის შემდგომი შესწავლის კუთხით ამ მოვლენას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ხურცილავა-კოდონიერის თეორია. დარწმუნებული ვართ, რომ საკითხის მომავალი მკვლევრები გვერდს ვერ აუქცევენ მათ თეორიას დიდ ბაკურზე, როგორც ასომთავრულის ავტორსა თუ თანაავტორზე.<sup>109</sup>

ჩემთვის მეტად საპატივსაცემო რეცენზენტის ამგვარ პათოსს ბ. ხურცილავას აღნიშული თვალსაზრისის შეფასებაში ოდნავადაც ვერ გავიზიარებ და ამის საფუძველს ბ. ხურცილავას თვალსაზრისის დეტალური ანალიზი მაძლევს.

ანბანის წარმოშობის საკითხზე ბ. ხურცილავას ყველა პუბლიკაციას აქ ვერ შევეხები, რომ ჩემი წიგნის თემას ძალიან არ დავცილდე. განვიხილავ მხოლოდ ორ მათგანს; ვფიქრობ, ეს ნაშრომები საკმაოდ სრულყოფილად წარმოაჩენს ამ ავტორის თვალსაზრისს ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

108 6. ნიკოლოზიშვილი. დიდი ბაკური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, გვ. 313-314.

109 6. ნიკოლოზიშვილი. დიდი ბაკური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, გვ. 315.

პირველი ნაშრომი არის 2003 წელს გამოცემული მონოგრაფია.<sup>110</sup>

ნაშრომი შედგება წინასიტყვის, შესავლის და ექვსი თავისაგან. პირველი ოთხი თავი ბაკურის ბიოგრაფიის წარმოდგენას ეძღვნება. მეექვსე მიღებული შედეგების გადმოცემაა გაბმული ნარატივის სახით. კონკრეტულად ანბანის შექმნის და მისი ავტორის ვინაობრის საკითხის გარკვევას მიზნად ისახავს მეხუთე თავი. მას კიდევაც აქვს შესაბამისი სათაური: „დიდი ბაკური – ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა და ორიგინალური საეკლესიო წელთაღრიცხვის სათავეებთან“.

დასაწყისი თავები ბაკურის ბიოგრაფიის გადმოცემას ეთმობა. ამ ნაწილს დეტალურად არ განვიხილავ, თუმც ეპოქის გადმოცემის თვალსაზრისით მის არაერთ ნაწილს არ ვეთანხმები. ერთ-ერთი და უმთავრესი არის ქართული ანბანის შემქმნელად მოაზრებული ბაკურის ბიოგრაფიის საკითხი. ისევე როგორც არაერთი სხვა მკვლევარი, ბ. ხურცილავაც ერთმანეთში ღრევს წყაროებში დასახელებული ორი ბაკურის ბიოგრაფიას. კერძოდ, ბაკურ თრდატის ძეს, რომელიც, მისი აზრით, ქართული ანბანის შემოქმედია, უკავშირებს არა მარტო რუფინუსთან მოხსენიებული „ფრიად სარწმუნო კაცის“ ბაკურის ბიოგრაფიის ფაქტებს, არამედ პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „დიდი ბაკურის“ შესახებ ფაქტებსაც. ეს უკანასკნელი, როგორც ვაჩვენე, ბაკურ რევის ძეა.

ანუ საკითხის ერთი მხარეა, რომ ბაკურ თრდატის ძის, ისევე როგორც ბაკურ რევის ძის ბიოგრაფია ბ. ხურცილავას არას-წორად აქვს გაგებული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სრულიად უმართებულოდ ბაკურის ამ კრებსითი ანუ ფიქციური სახისათვის მიწერილი აქვს ქართული ანბანის გამოგონება, რაც ნიმნავს ქართული ანბანის V საუკუნის პირველ ათწლეულებში შექმნას,

110 ბ. ხურცილავა. დიდი ბაკური. ქართული ასომთავრულის ფუძემდებელი, თბილისი, 2003. ვსარგებლობ ინტერნეტში განთავსებული ელ-ვერსიით, რომელსაც სამწერაოდ გვერდები მიწერილი არა აქვს. ამიტომაც, გვერდებს ვერ ვუთითებ, თუმც ეს ნაშრომი დღესაც დევს ინტერნეტში და ყველა დაინტერესბულ მეთხველს ითვლად შეუძლია მოყვანილი ამ ნაშრომიდან ჩემ მიერ გაკეთებული ამონარიდების სიზუსტის შემოწმება: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5159/1/Didi\\_Bakur\\_Asomtavruli\\_Damcerlobis\\_Fudzemdebeli.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5159/1/Didi_Bakur_Asomtavruli_Damcerlobis_Fudzemdebeli.pdf) (ნახაია 2017 წლის 3 ნოემბერს).

ეს კი შეცდომაა. და ეს შეცდომა აფერხებს არა მარტო იმ ეპოქის მართებულ აღქმას, რომელიც ამ წიგნის ფოკუსია, არამედ ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის გააზრებასაც.

ბ. ხურცილავას აღნიშნული ნაშრომის თავი იწყება ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიის ფაქტებზე მსჯელობით, იმის ვარაუდების წარმოდგენით თუ როგორ უნდა ყოფილიყო ვითარება ქართლში ჩანაწერების გაკეთების თვალსაზრისით მანამ, ვიდრე აქ ოფიციალურად დამკვიდრდებოდა ქრისტიანობა. ამას რატომღაც მოსდევს შემდეგი სახის კატეგორიული განაცხადი:

მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს წინაქრისტიანულ ხანაში ადგილობრივი დამწერლობის რაობის საკითხი, მაინც ურყყვი დარჩება თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ასომთავრული არის პირელი სრულყოფილი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული დამწერლობა, რომელიშიც სრულად იქნა გათვალისწინებული თანადროული ქართული ენის ბერითი ინვენტარი.

წინა მსჯელობის მიხედვით მოლოდინი მქონდა, რომ ავტორი ჯერ განმარტავდა რატომ არ უნდა ვენდოთ ანბანის წარმოშობის შესახებ არსებულ წყაროთა ცნობებს, რატომ უნდა ვიგარაუდოთ, რომ სწორედ მის მიერ აღწერილ ვითარებაში შეიქმნა ქართული ანბანი. ამის მაგიერ კი გვაქვს ეს განაცხადი.

ამის შემდგომ მკვლევარი აღწერს იმ საჭიროებას, რომელიც დგება ქრისტიანი ხალხების წინაშე ნმინდა წერილის გავრცელების თვალსაზრისით, იშველიებს სომხურ წყაროებში მაშთოცის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, იმას თუ როგორ ძალისხმევას დაუკავშირდა ეს საქმე იქ. მერე კი პირდაპირ ასკვნის, რომ ქართველთა შორის ადამიანი, ვისაც ეს რთული საქმე უნდა ეტვირთა, შეიძლება იყოს მხოლოდ დიდი ბაკური. მკვლევარი, ცხადია, გრძნობს, რომ ამ შემთხვევაში არგუმენტის არქონა<sup>111</sup> თვალში საცემია და ამის

111 ჯერ ხომ ისიც არ აქვს დასაბუთებული, რომ იმ ეპოქაში უნდა შექმნილიყო, როცა ბაკური ცხოვრობდა, მერე, კიდეც რომ ეს დაქასბუთებინა, აქედან როგორ უნდა გააკეთო დასკვნა, რომ მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო შეექმნა ანბანი, რომლის შესახებ, როგორც განათლებულ ადამიანზე, წყაროებში ინფორმაცია მოიძია მკვლევარმა?!

დაფარვას ცდილობს ვრცელი და კვლევისათვის უსარგებლო დისკურსით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამეცნიერო რეპრეზენტაციასთან. რიგ შემთხვევაში ეს არის მხოლოდ ზოგადი, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების ფიქსირება, ზოგჯერ კი უბრალოდ ლიტერატურული ფიქცია, როცა მწერალი ცდილობს გამოძერწოს მისი გმირი და ამისათვის არაფერს იყენებს საკუთარი ფანტაზიის გარდა.

ამ წიგნის მკითხველს, რომ წარმოდგენა შეექმნას თუ რასთან გვაქვს საქმე, მოვიყვან ამონარიდს ბ. ხურცილავას დასახელებული ნაშრომიდან. ეს ამონარიდი ვრცელია, მაგრამ მკითხველს ვთხოვ მოთმინებას, რადგან საქმე ეხება არა მარტო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებულ შეცდომას, არამედ არამართებული სამეცნიერო პრაქტიკას, რაც ნამდვილად სავალალოა:

კომპლექსში ამ ამოცანის წარმატებულად გადაჭრა (იგულისხმება ანბანის შექმნა, მ.ჩ.) მოითხოვდა კოლოსალურ გონებრივ შრომას, უზარმაზარ ნიჭას და მეცნიერულ აღლოს, თეოლოგიური ასპექტების ღრმად წვდომასა და ფილოსოფიური აზროვნების უნარს, ქრისტიანული მისტიკიზმის უხილავი სამყაროს ინტუიციურ შეცნობასა და ჭვრეტას იმ პიროვნებისაგან ან პიროვნებათა კოლექტივისაგან, ვინც ღვთის ნებით აღნიშნული ურთულესი მისია იტვირთა. საკმარისია თვალი გადაგავლოთ იმ ძველ წერილობით ძეგლებს, რომლებიც მოვითხრობენ იმის შესახებ თუ რა გარჯა და წვალება გადახდათ თავს აღნიშნულ ამოცანას შეჭიდებულ ადამიანებს: მაგალითად, მესროპ-მაშტოცსა და საპაკ დიდს ან კონსტანტინე-კირილესა და მეთოდიოსს. მატერიალისტურად მოაზროვნე ადამიანის თვალში ეროვნული დამწერლობის, იგივე ენის, ანუ სამეტყველო ინსტრუმენტის შექმნის ფაქტი ეს მხოლოდ დიდი მეცნიერული აზროვნებისა და გარჯის გამოხატულებაა. მაგრამ ღრმად მორწმუნე ქრისტიანისათვის იგივე მოვლენა ზეშთა სამყაროს მისტიკურ ჭვრეტასთან, ღვთაებრივ გამოცხადებასთან ასოცირდება. პირველთათვის ის სამეცნიერო დისციპლინების – მათემატიკის, გეომეტრი-

ის, ასტრონომიის, გრამატიკის, ფილოსოფიის და სხვა მის-თანების მიმართ დაგროვილი კაცობრივი ინტელექტის გა-მოვლინების ფაქტია, მეორეთათვის კი, ის ღმერთშემოსილ ადამიანზე (ადამიანებზე) გადმოსული სულინმინდის მადლია. საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისით არცერთი აღნიშნული მხარე არ სცოდავს, რადგან ჩვენი ინფორმირებულობის ამჟამიდელი დონეც საქმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთი შემქნელის – დიდი ბაკურის პიროვნება სრულად აქმაყოფილებს ზემოაღნიშნული ორივე მხარის მოთხოვნებს. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუფინუს აკვილელის დახასიათებით იმხანად იერუ-სალიმში ბინადმყოფი ბაკური არამხოლოდ მორწმუნებაზე ზრუნავდა თურმე დიდად, არამედ თანაბრად „ჭეშმარიტებაზეც.“ ასომთავრული დამწერლობის შემოქმედი დიდი ბაკური არ შეიძლებოდა „ლოგოსების“ მოყვარული (როგორადაც ის ლიბანიოსს მიაჩნდა) არ ყოფილიყო, რადგან სწორედ მათი შეცნობისა და გონებაში გააზრების გზით ჰქმნიდა ის ქა-რთული მწიგნობრობის ბალავარს – ეროვნულ ანბანს, რომ-ლის მწერივში განლაგებული ასოები „ან“-იდან „ჯ“-ანამდე ხომ იმ ბგერით ერთეულებს (ფონემებს) წარმოადგენდნენ, რომლებიც ქართული „ლოგოსებიდან“ სიტყვა-გამოთქმე-ბიდან, ანუ მშობლიური ენის სამეტყველო ფონდიდან გამო-ჰყო მან და რომლებიც სამომავლოდ მწიგნობრობის გზით კვლავ „ლოგოსებადვე“ უნდა გარდასახულყვნენ? ვინ მოსთ-ვლის რამდენმა ასეთმა „ლოგოსმა“ გაიარა ბაკურის გონე-ბაში, რათა ბგერით ერთეულებად დანაწევრებულიყო „იბე-რიული“ ენა დიდებულ ქართულ დამწერლობაში გრაფიკული სიმბოლოების სახით ჩამონაკვთულიყო. ამა თუ იმ ენისათ-ვის დამწერლობის შექმნის მოვლენა „ეს არის არსებითად ენის ბგერითი, ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამ-წერლობის შემქნელის ლინგვისტური ალლო და ინტუიცია: იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულე-ბად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერითი სისტემას ქმ-ნის“-ო, სამართლიანად ბრძანებს ფრანგი ლინგვისტი ჰ.

როზენი (იხ. 15:118). ამასთანავე, ადრექრისტიანულ პერი-ოდში ენის გაგება, როგორც გარკვეული არსისა აზრისგან ცალკე, ანტიკური პერიოდის მსგავსად ჯერ კიდევ არ არსებობდა. გონება და მეტყველება წარმოიდგინებოდა ერთიანობაში, როგორც ერთიანი „ლოგოს“-ი. სწავლება სიტყვა „ლოგოს“-ზე არის საფუძველი ძველბერძნული სწავლებისა ენის შესახებ მის ონტოლოგიურ, ლოგიკურ და თვითონ გრამატიკულ მახასიათებლებთან ერთიანობაში. აღნიშნული სწავლება, ყველა ნიშნით, ცნობილი უნდა ყოფილიყო დიდი ბაკურისათვის. აკად. თ. გამყრელიძის დასკვნით: „ქართული ანბანის შემქმნელს ზედმინევნით სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბერითი სისტემა: იგი სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბერათა (ფონემათა) ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის. ქართული ენის ბერითი ინვენტარი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით შემდგომ არსებითი ცვლილებები არც კი განუცდია“ (15:129). იმავე მეცნიერს ეკუთვნის კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნა იმის შესახებ, რომ ასომთავრული ანბანის შემქმნელი იცნობდა მის თანადროულ სხვადასხვა წერით სისტემებს, მათ შორის ეპისკოპოს ვულფილას (ულფილას) მიერ IV ს-ის შუა ხანებში შექმნილ გოთურ ანბანსაც, რომლის მონაცემებს იგი ახალი დამწერლობის შექმნისას ითვალისწინებდა (იხ. 15: 190-191). ამრიგად, ენათმეცნიერული კვლევა-ძიებების შედეგად მოპოვებული საყურადღებო მასალების საფუძველზე დაიხატა ქართული ანბანის შემოქმედის, იმხანად ჯერ კიდევ ანონიმი პირისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება, რომელიც ზედმინევნით მოერგო დიდი ბაკურის პიროვნებას (იხ. 102 :95-117 და შმდ.). IV ს-ის II ნახევარსა და V ს-ის I მეოთხედში, რადროისთვისაც ივარაუდება ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მოვლენა, დიდი ბაკურის შესადარი ინტელე-

ქტითა და მრავალმხრივი ღირსებებით შემჯული პიროვნება ქართულ სამყაროში უძრალოდ არც ჩანს. დიდი ბაკურის ლრმად განსწავლულობის ფაქტი ბერძნულში საკამათო არ შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი ბიზანტიაში მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრება-მოღვაწეობის გამო, რაც თავისთავად გულისხმობს იბერიელი მეფისწულის მხრიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (ბიზანტიაში) სახელ-მწიფო სტატუსის მქონე ბერძნული ენის სრულფასოვნად ფლობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ლიბანიოსის, გე-ლასი კესარიელისა და რუფინუსის მსგავსი განათლებული მწერლების მიერ დიდი ბაკურის მაღალი ინტელექტუალური დონის ხაზგასმის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ წერილ-ობითი წყაროების ცნობებით დიდ ბაკურს უშუალო შეხება ჰქონდა გოთების სამყაროსთან: მას, როგორც ბიზანტიის ჯარის ერთ-ერთ სარდალს, მოუნია მონაწილეობის მიღება ვესტ-გოთთა წინააღმდეგ იმ რეგიონში (ბალკანეთის ნ. კ.) გამართულ შეტაკებებში, სადაც 350-წლიდან მოყოლებული თვისტომ თანამოაზრებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე სახლობდა თვით გოთური ქრისტიანული დამ-წერლობის შექმნელი პირი – ეპისკოპოსი ვულფილა. დიდ ბაკურს გოთ მეომრებთან და სარდლებთან (მაგალითად, სახელგანთქმულ გაინასთან) ახლო ურთიერთობა უწევდა იმ-პერატორ თეოდოსი I დიდის ლაშქარშიც, სადაც ისინი მრავ-ლად ირიცხებოდნენ IV ს – ის 80-იანი წლების დასაწყისიდან. უეჭველია, რომ იგი ხვდებოდა გოთებს იმპერიის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლიშიც, სადაც ბევრ მათგანს თეოდოსი I-ის ზების პერიოდში მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამხ-ედრო თანამდებობები ეკავა. ყოველივე აღნიშნული შეგვი-ძლია მივიჩნიოთ იმის მოწმობად, რომ უკვე IV ს-ის 80-იანი წლების დამდეგს დიდი ბაკურისათვის სრულიად ხელმისაწ-ვდომი იყო ეპისკოპოს ვულფილას მიერ შექმნილი გოთური ქრისტიანული დამწერლობა. სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯე-რობით კვლავ უცნობი რჩება ის, თუ კონკრეტულად როდის, სად და რა გზით მოახერხა იბერიელმა მეფისწულმა ისეთი

სრულყოფილი და ღრმა განათლების დაუფლება, რომელმაც  
მას დღევანდელი საზომებითაც კი განსაცვიფრებელი ქარ-  
თული „ასომთავრულის“ შექმნა შეაძლებინა. . . ყოველივე  
ზემოთქმული თვალნათლივ წარმოდგენას გვიქმნის იმასთან  
დაკავშირებით, თუ რა რთული ამოცანის წინაშე იდგნენ ქარ-  
თული ასომთავრული ანბანის შექმნელი პირები და კერძოდ,  
ბაკური დასახული მიზნის განხორციელების წინ. ქართული  
ეროვნული დამწერლობის შექმნის უმთავრესი მიზეზი და მი-  
ზანი ხომ „სალმრთო წერილის“ – იგივე „ლმრთის სიტყვის“  
მშობლიურ ენაზე აუდერება გახლდათ?!

როგორც ვხედავთ, აქ ბევრ რამეზეა მსჯელობა: ანბანის  
შექმნა ძნელია და განსაკუთრებულ მონაცემების პიროვნების  
ძალისხმევას საჭიროებს და სულინმინდის მადლს; ანბანის შე-  
ქმნა გარკვეულ ლინგვისტურ მოქმედებას გულისხმობას; ქა-  
რთული ანბანის შექნელი იცნობდა გოთურ გამოცდილებას;  
ბაკურს, ლიბანიოსის მიხედვით, უყვარდა ლოგოსები; ბაკუ-  
რი ბერძნულში კარგად იყო განსწავლული; ბაკური ხვდებოდა  
გოთებს (ბრძოლის ველზე, დავუმატებდი მე) და ა. შ. მაგრამ  
რომელია აქ ფაქტი, რომელიც გამოგვადგება არგუმენტად,  
იმისათვის რომ ვამტკიცოთ: ქართული ანბანი შეიქმნა IV  
საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ მეოთხედ-  
ში და მისი შემქმნელი იყო ბაკური? ზოგი რამ უბრალოდ  
კომიკურია: მხედველობაში მაქს გოთების ანბანის ბაკურის  
მიერ ნაცნობობის დასადასტურებლად ბაკურის ურთიერთობა  
გოთ მეომრებთან. როგორც ცნობილია, ბაკურ იბერიელი ანუ  
„ფრიად სარწმუნო“ ბაკური ანუ ბაკურ თრდატის სე 378 წელს  
ადრიანოპოლთან მონაწილეობდა გოთების წინააღმდეგ ბრძო-  
ლაში, როგორც რომაელთა ერთ-ერთი სარდალი. ცხადია, ამ  
ფაქტით ჩანს, რომ ბაკურს ჰქონდა გარკვეული ურთიერთობა  
გოთებთან, მაგრამ ეს განა ანბანის საკითხში თანამშრომლო-  
ბის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ?! ნუთუ გოთ მეომრებს  
ან იმის დრო ან იმის განსწავლულობა გააჩნდათ, რომ ბრძო-  
ლის ველზე ბაკურისათვის გოთური ანბანის შედგენის პრინცი-  
პები ესწავლებინათ?

ეს თვალსაზრისი ნამდვილად არ არის მეცნიერული და არც მისი შექმნის მოტივაცია მგონია მეცნიერული.

ბ. ხურცილავას ამ ნაშრომის მიხედვით ქართული ან-ბანის შექმნაში ღვაწლი მიუძღვის ერთ პირს; შემდგომში ბ. ხურცილავა „ადგენს“, რომ ამ უკანასკნელს თანაავტორიც ჰყავდა. ეს ყოფილა ნარატიული წყაროებისათვის სრულიად უცნობი პიროვნება გრი ორმიზდი. მისი სახელი ბ. ხურცილა-ვამ ამოკითხა ერთადერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, რომელ-შიც ანბანის შექმნის თაობაზე არაფერია ნათქვამი. თუმც ამ გარემოებას მკვლევრისათვის ხელი არ შეუშლია აღნიშნული პიროვნება ქართული დამწერლობის ერთ-ერთ შემოქმედად დაესახა.

მოდით ვნახოთ როგორ გააკეთა მან ეს. ამისათვის განვიხილოთ მონოგრაფია „ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“. თბილისი, 2009. ეს არის ბეჭდური ვერსია. მაგრამ ინტერნეტში გავრცელებულ ვერსიას გამოცემის თარიღად უზის 2008 წელი. ამიტომ, ვფიქრობ, ბეჭ-დური ვერსია ამ წიგნის მეორე გამოცემა უნდა იყოს.

თუ ამ წიგნის სათაურს ზემოთ განხილული მონოგრაფიის სათაურს („დიდი ბაკური. ქართული ასომთავრულის ფუძემდებელი“) შევუდარებთ, დავინახავთ, რომ მკვლევარს თავისი ძალისხმევა ამჯერად უმთავრესად ბაკურის თანაავტორის გამოვლენისაკენ წარუმართავს. ამ წიგნში სხვა საკითხებზეც არის საუბარი, მე მათ უფრო ვრცლად განვიხილავ, როცა საერთოდ ქართული ანბანის წარმომავლობის საკითხს შევეხები მომავალში. ახლა კი ანბანის საკითხი მხოლოდ ბაკურთან, როგორც ხოსროვანთა ოჯახის წარმოადგენელთან, მიმართებით მაინტერესებს და ამიტომ თემიდან ვრცელ გადახვევას ვერიდები. როგორადაც „დაამტკიცა“ ბ. ხურცილავა ბაკურის მიერ ქართული ანბანის ავტორობა, ეს ზემოთ უკვე ვნახეთ. ახლა მკითხველს მინდა ვაჩვენო, როგორ „ამტკიცებს“ იგი ბაკურის თანაავტორის არსებობას.

ამ საკითხს ის უძღვნის წიგნის ერთ-ერთ თავს, კერძოდ, თავ მერვეს, რომლის სათაურია „ქართული ასომთავრული ან-

ბანის ავტორები – ბაკური და გრი ორმიზდ (ისტორიულ-ბი-ოგრაფიული პორტრეტები)“. თავი იწყება ასე:

თვალსაზრისი ქართული ეროვნული დამწერლობის ორი ის-ტორიული პიროვნების ბაკურისა და გრი ორმიზდის მიერ შექმნაზე წერილობით პირველად 2002 წელს დავაფიქსირეთ ნაშრომში – „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ეპო-ქის, გარემოებებისა და ავტორთა ვინაობის საკითხისათვის“. თუმცა, კვლევის აღნიშნულ ეტაპზე მოცემული თვალსაზრი-სი ერთგვარად აპრიორული იყო და თავადვე ვგრძნობდით, რომ ის დამატებით არგუმენტაციას საჭიროებდა. შემდგომ-ში ჩვენს მიერ ინტენსიურად წარმოებული კვლევა-ძეიპების ნიადაგზე გამოვლენილმა ახალმა მასალებმა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაგვარწმუნა ჩვენი აღნიშნული თვალსაზრი-სის მართებულობაში.<sup>112</sup>

როგორც ვხედავთ, თავიდან ეს თვალსაზრისი „ერთგვარად აპრიორული“ ყოფილა. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ანუ მკვლე-ვარს თავიდან ფაქტები არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შეიმუშავა რაღაც თვალსაზრისი, რომელიც შემდგომ დაიდასტურა.

ორიოდე აბზაცის შემდგომ მკვლევარი წარმოადგენს უკვე დასკვნას:

ცალ-ცალკე აღებული კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის, „მეფეთა ცხოვრების“, „ქებავ და დიდებავ ქართულისა ენი-სად“-ს ცნობების, დავათის ქვასვეტისა და პალესტინაში, ბირ ელ-კატად წოდებულ ადგილას მდებარე ქართული ნა-მონასტრევის ერთ-ერთი წარწერის მონაცემების საფუძველ-ზე ჩვენთვის სრულიად ცხადი გახდა ის გარემოება, რომ ეროვნული დამწერლობის სათავეებთან იდგა არა კონკრეტ-ულად ერთი პიროვნება, არამედ ერთპაშად ორი ადამიანი. მიუხედავად დასახელებული სომეხი ავტორების ცნობათა მოგვიანო ხანებში ძლიერი გადაკეთება-დამახინჯების ნა-კლებად საკამათო ფაქტისა, ჩვენთვის საინტერესო პირთა

112 ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“, თბილისი, 2008, გვ. 72. იბ. [http://dspace.nplg.gov.ge/bit-stream/1234/5058/1/Xurcila\\_Besik.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bit-stream/1234/5058/1/Xurcila_Besik.pdf) (nanaxia 2017 ნოემბერს).

სახელების ამოკითხვა იქ მაინც შესაძლებელია. ესენია: „ბაკურ“-ი და „ჯალ“-ი. რაკიღა ბაკურის პიროვნება საზოგადოებისთვის ჩვენამდეც ასე თუ ისე ცნობილი იყო, ბუნებრივად მიიქცია ყურადღება ბირ ელ-კატში გასული საუკუნის ნახევარში იტალიელი არქეოლოგის – ვირჯილიო კორბოს მიერ აღმოჩენილ და სპეციალისტთაგან V ს-ის 30-იანი წლებით დათარიღებულ წარწერაში (ვრცლად მის შესახებ ოდნავ ქვემოთ იქნება საუბარი – ბ. ხ.) იმავე ბაკურთან ერთად ვინმე გრი ორმიზდის მოხსენიების ფაქტმა.<sup>113</sup>

მკვლევარი მიუთითებს, რომ მისთვის სრულიად ცხადი გამხდარა გარკვეულ წყაროთა განხილვის შემდეგ, რომ ქართულ ანბანს ჰყავს ორი ავტორი. ამ მიხვედრაში კი მას დახმარებიან სომები ავტორები. არ ასახელებს ამჯერად, მაგრამ გასაგებია, რომ გულისხმობს კორიუნსა და მოსე ხორენელს, რომლებსაც, მკვლევრის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ყოფილან გადაკეთებულნი და დამახინჯებულნი, მაინც შემოუნახავთ ქართული ანბანის ავტორთა სახელები. ესენი ყოფილან ქართლის მეფე ბაკური, რომელიც, ამ წყაროების მიხედვით, მასპინძლობდა მესროპს და ადგილობრივი ენის მცოდნე ჯალი, რომელიც ეხმარებოდა მაშთოცს. ამგვარად, ირკვევა, რომ სომხური წყაროების მონათხრობში ქართული ანბანის შექმნის შესახებ ბ. ხურცილავა დამახინჯებად და მერმინდელ გადაკეთებად მიიჩნევს მხოლოდ ცნობას მესროპ მაშთოცის შესახებ, მისი გარემოცვის და ზუსტად ამ დროს და მესროპის თანაშემწის მიერ ანბანის შექმნის შესახებ ინფორმაცია კი მისთვის სავსებით სანდოა და მეტიც, ინსპირაციის წყაროც კი გამხდარა. მაგრამ ეს პირები არ სურს იმ როლში წარმოაჩინოს, რა როლშიც ისინი წყაროებშია.

ბ. ხურცილავასადმი კეთილგანწყობილ რეცენზენტს კი მიუჩინევია ეს თვალსაზრისი დამაჯერებლად, მაგრამ, ცხადია, რომ ის სრულიად არაა დამაჯერებელი. ბ. ხურცილავა თვლის ქართული ანბანის შემქნელებად ბაკურსა და გრი ორმიზდს,

113 ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“, გვ. 72.

მაგრამ რის საფუძველზე, წყარო ხომ სხვა რამეს ეუბნება? როგორც ითქვა, ბაკურისათვის მკვლევარს ეს აფიქრებინა იმან, რომ ბაკური განსაკუთრებულად განსწავლული პიროვნება იყო. ამიტომ ჩათვალა, რომ ის იყო ერთადერთი კანდიდატურა, ვისაც ანბანის შექმნა შეეძლო. მაგრამ ეს ხომ არ არის არგუმენტი, მეტიც, ეს ხომ სამეცნიერო ვარაუდადაც არ შეიძლება ჩაითვალოს. განსწავლულობა ზოგადად და, თუნდაც, ანბანის შექმნის საკითხში განსწავლულობა, არ ნიშნავს ჯერ კიდევ იმას, რომ ადამიანმა ანბანი შექმნა. მეორე, ჩვენ არ ვიცით, ბაკურის თანადროულად კიდევ რამდენი განსწავლული ადამიანი ცხოვრობდა; დაბოლოს, რაც მთავარია, ბ. ხურცილავას ხომ არ უჩვენებია, რომ ქართული ანბანის შექმნა ემთხვევა ბაკურის ზეობას. მან ბაკურის ზეობის მიხედვით განსაზღვრა ანბანის შექმნა და მერე ამის გამო მიიჩნია ბაკური ანბანის ავტორად.

მაგრამ ახლა დავუბრუნდეთ გრი ორმიზდს და „მტკიცებას“ მისი თანავცტორობის შესახებ:

ძველი სომხური საისტორიო წყაროების „ჯალ“-ისა და პალესტინური წარწერის „გრი ორმიზდ“-ის შესაძლო იგივეობის შესახებ ეჭვის გაჩენისათანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ფარნავაზის ცხოვრების“ ტექსტში მოცემულმა იმ ცნობამ, რომლის თანახმადაც ქართლის სამეფოს ლეგენდარულ ფუძემდებელს მეფე ფარნავაზს (რომელსაც აღნიშნული წყარო, როგორც ცნობილია, ქართული მწიგნობრობის შექმნას მიაწერს) ჰქონდა მეორე სახელიც; წყაროში მოცემული ცნობის თანახმად მას „სპარსულად არმაზ ერქუა“. თუკი სახელი „ფარნავაზ“ სპარსულიდან ქართულად გადმოითარგმნება „ხელმწიფის“ სემანტიკური მნიშვნელობით, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს (იხ. სანაძე 2001: 80), სპარსული „არმაზი“ საშუალო სპარსული ენის ეპოქისთვის (რა დროსაც ქართული ანბანი შექმნის ფაქტი იგულება), არც მეტი და არც ნაკლები, „ორმიზდ“-ის (ძვ. სპარს. „აჰურამაზდა“, საშ. სპარს. „ჰორმიზდ//ორმიზდ“, პართ. „ოჰრმაზდ“) შესატყვისია. ასე და ამრიგად გაიბა ერთგვარი, მანამდე

უხილავი კავშირი ბირ ელ-კატში აღმოჩენილ წარწერასა და „ფარნავაზის ცხოვრების“ დასახელებულ ცნობას შორის.<sup>114</sup>

წარმოდგენილ მსჯელობა თავისი არაპროფესიული ხა-სიათით ყოველგვარ საზღვრებს სცილდება: პირველ რიგში, აღსანიშნავია, ზღვარდაუდებელი ფანტაზია: მოულოდნელად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მკვლევარს გასჩენია ეჭვი, რომ ჯალი და გრი-ორმიზდი ერთი და იმავე პიროვნების სახელებია. კი მაგრამ რატომ? გრი ორმიზდის შესახებ არათუ ანბანთან დაკავშირებული საქმიანობა, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არაფერი ვიცით. რატომ უნდა იფიქრო ადა-მიანმა, რომ ეს პიროვნება იგივე ჯალია, რომელიც მესრობ მაშთოცის თანაშემწედ არის წყაროში დასახელებული? ასე ხომ ყველაფერი შეიძლება იფიქრო და ნებისმიერ სახელთან გააიგივო გრი ორმიზდი. მეორეც, გაუგებარია, რას ნიშნავს ფარნავაზ მეფის მიმართ გამოყენებული ეპითეტი „ლეგენდ-არული“. ეტყობა, ავტორს იმის თქმა სურს, რომ ფარნავაზი არაა ისტორიული პიროვნება. რის საფუძველზე ასკვნის ის ამას? ცხადია, მას ამის საფუძველი არა აქვს, თუმც მოტივა-ცია კი ამკარაა: ქართული ტრადიცია ქართული ანბანის შე-ქმნას ხომ მეფე ფარნავაზს უკავშირებს და ეს არ ეთანხმება ბ. ხურცილავას წარმოსახვებს. როგორ უნდა „მოუაროს“ ამ წინააღმდეგობას მკვლევარმა? ძალიან მარტივად: ფარნავაზი არაისტორიულ მეფედ დასახოს. მესამე, საკვირველება ისაა, რომ ბ. ხურცილავა, როცა სჭირდება მის მიერ არაისტორიულ პირად წარმოდგენილი მეფის „ცხოვრების“ გამოყენებასაც არ ერიდება. კიდევ გავიმეორებ ზემოთ უკვე ციტირებულს: „ასე და ამრიგად გაიბა ერთგვარი, მანამდე უხილავი კავშირი ბირ ელ-კატში აღმოჩენილ წარწერასა და „ფარნავაზის ცხოვრების“ დასახელებულ ცნობას შორის“. ამ მსჯელობას ებმის ასეთი მსჯელობა:

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პირთა იდენტიფიკაციის სარწ-მუნობის აღიარებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

114 ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაქურ“ და „გრი ორმიზდი“, თბილისი, 2008, გვ. 73.

შეხების წერტილის პოვნას სომხური წყაროების „ჯალ“-სა და ბირ ელ-კატის წარნერის „გრი ორმიზდ“-ს შორის. ამ წინაღობის დაძლევაში დაგვეხმარა გ. წერტილის მიერ თავის დროზე სახელ „გრი ორმიზდ“-თან დაკავშირებით გაკეთებული საყურადღებო დასკვნა. კერძოდ, ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, ისევე როგორც მანამდე ს. ყაუხეჩიშვილმა, ეს სახელი სპარსულ ორწევრიან კომპოზიტად ცნო, ხოლო საწყისი სიტყვა „გრი“ სრულიად სამართლიანად დაუკავშირა საშუალო სპარსულ ტერმინს „გრი“, რომლის მნიშვნელობაა „სული“ და რომელიც ტრადიციულად იხმარებოდა ადამიანის საკუთარი სახელების წინ. იმავე მეცნიერმა აღნიშნული სიტყვის ხმარების სრული ანალოგია „ჯალ“ ტერმინის სახით დაიმორჩმა ახალ სპარსულ-შიც (წერტელი 1960: 30-34). ირანისტები აღნიშნულ „ჯალ“ ტერმინს (jān, gyān) საშუალო სპარსული ენის ეპოქისთვისაც აფიქსირებენ და მას ძველი სპარსული \*vyanā--დან მომდინარედ მიიჩნევენ (იხ. ანდრონიკაშვილი 1996: 188). აღნიშნულის ფონზე ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდა ის გარემოება, რომ სომხურ წერილობით წყაროებში ნახსენები „ჯალ“-სახელის ქვეშ სწორედ გრი ორმიზდის პიროვნებაა ნაგულები.<sup>115</sup>

ამ უკანასკნელად მოყვანილ მსჯელობას კი უკომენტაროდ დავტოვებ, რადგან სამეცნიერო გამოკვლევაში მისი განხილვა, მართლაც, ყოვლად უადგილო მგონია.<sup>116</sup>

115 ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“, თბილისი, 2008, გვ. 73.

116 მის საჩვენებლად თუ რა სახის ფანტაზიასთან გვაქეს საქმე ბ. ხურცილავას ხსენებულ კვლევაში, მსურს დავიძონმო კადევ ერთი ამოხარიდი. მევლევი მიუთითებს ანარია ჯაფარიძის შემდეგ აზრზე: „IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში ქართლში სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქია მეთაურობით გაჩაღლბული იყო ყოვლისმომცველი მთარგმნელობითი მუშაობა... ქრისტიანული მწიგნიბრობის დაფუძნების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ წმიდა წერილის პირველი მთარგმნელები“. და ამ აზრს ბ. ხურცილავა მოულოდნელად აგრძელებს შემდეგი მსჯელობით: „ამიტომ ვვარაუდობთ ჩვენ იმას, რომ „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაა“-ს ძეგლში ნახსენები „ახალი ნინო“-ს სახელევეშ შეძლება ქართული ანაანის ერთ-ერთ შემქმნელია, სახელდობრ კი; გრი ორმიზდი იყოს ნაგულისხმები“. იხ. ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“, თბილისი, 2008, გვ. 80 როგორც ვხედავთ, ნებისმიერი მეცნიერული დისკურსიდან და წყაროს ნებისმიერი მონაცემიდან ბ. ხურცილავას შეუძლია გამოიტანოს მისთვის სასურველი, წინასწარ აკვიატებული, დასკვნა.

აი, ამგვარად „გააიგივა“ ბ. ხურცილავამ გრი ორმიზდი ჯალთან და საბოლოო ჯამში პალესტინის ქართულ წარწერაში მოხსენიებული პირი გრი ორმიზდი სომხური წყაროს მიხედვით მესროპ-მაშთოცის თანაშემწედ წარმოგვისახა. მერე მკვლევარი საუბრობს პალესტინის ქართული წარწერის დათარიღებასთან დაკავშირებით მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობაზე და ამის შემდეგ კვლავ გვთავაზობს (თითქოსდა წინ წარმოდგენილი დასაბუთებების საფუძველზე გაკეთებულ) დასკვნას:

მას შემდეგ რაც ჩვენ აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული პირები ქართული დამწერლობის შემქმნელებად ვცანით, აღნიშნულის კვალიბაზე თვითონ წარწერის შინაარსის მიმართ ინტერესიც ერთიორად გაიზარდა.<sup>117</sup>

ამ ამონარიდში ძალიან ნიშანდობლივად მეჩვენება სიტყვა „ვცანით“. კიდევ კარგი, მკვლევარი არ გვეუბნება, რომ დაასაბუთა. მას უცებ რატომდაც გაუჩნდა ეჭვი, რომ გრი ორმიზდი უნდა ყოფილიყო ბაკურის თანაავტორი ანბანის შექმნაში და მერე ასეთად „ცნო“ კიდეც იგი. ეს არის და ეს ამ „თეორიის“ არსი. ეს „თეორია“, ცხადია, ბაკურისა და გრი ორმიზდის შესახებ ვერაფერს ვერ ამტკიცებს. მისი მიზანია ქართული ანბანის წარმოშობის ქართული ვერსიის, რომელიც ამ ფაქტს ძვ. წ. IV-III სს ათარიღებს, უარყოფა და მის სანაცვლოდ ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანში შექმნის თაობაზე თვალსაზრისის შემოთავაზება. ბაკურის განდიდება, ამ პერიოდს ქართლის კულტურულ მიღწევებზე საუბარი ბ. ხურცილავას იმისათვის სჭირდება, რომ ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ძალიან დაინტერესებული ამ საკითხით, არ იგრძნოს დანაკლისი იმის გამო, რომ ხდება ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის შვიდი საუკუნით „გაახალგაზრდავება“. არგუმენტების არქონის დასამალავად ბ. ხურცილავა წარმოადგენს ძალიან ვრცელ დისკურსებს, რომლებიც, მართალია, ქართული ანბანის ისტორიას უკავშირდება, მაგრამ სულაც არ უკავშირდება ბ. ხურცილავას თვალსაზრისის დამტკიცებისათვის აუცილებელ არგუმენტაციას.

117 ბ. ხურცილავა. ქართული ასომთავრული ანბანი და მისი ავტორები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდი“, თბილისი, 2008, გვ. 76.

ამის მიხვედრა არ უნდა ძნელი ყოფილიყო იმგვარად და-კვირვებული მკვლევრისათვის, როგორიც რეცენზენტია. მისი აღფრთოვანება პ. ხურცილავას თვალსაზრისით (რომელიც კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, ნამდვილად არ მიმაჩნია მეცნიერულად), უცხოელი ავტორისა და პ. ხურცილავას თვალსაზრისის თანხვედრის ფაქტით მგონია გამოწვეული. ამგვარად, ბუნებრივად მივდივართ იმ უცხოელ ავტორამდეც, რომელიც ნ. ნიკოლოზიშვილის მიერ პ. ხურცილავასთან ერთად ქართული ანბანის შესახებ ახალი თეორიის შემქნელად სახელდება.

გარკვეული ინფორმაცია ამ ავტორის შესახებ რეცენზიაშიც არის მოყვანილი. ვიდრე ამ ნაშრომს უშუალოდ განვიხილავდე, მინდა წარმოგიდგინოთ ის სწორედ რეცენზენტის თვალით დანახული. რეცენზენტი თავიდან მოკლედ გადმოსცემს წიგნის შინაარსს, მერე კი მოჰყავს ამონარიდი ამ წიგნიდან, რომელიც კონკრეტულად ბაკურს შეეხება:

თუმცა, ბაკურის, როგორც ასომთავრული ანბანის შემოქმედის ეპოქეა ამით არ დასრულებულა. 2014 წელს, ბესიკ ხურცილავასგან სრულიად დამოუკიდებლად ამავე აზრამდე მივიდა ვალიალოლიდის უნივერსიტეტის პროფესორი ხუან ს. კოდონიერი (Juan Signes Codoner, „New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries“, წიგნში New Perspectives on Late Antiquity in the Eastern Roman Empire, 2014).

კერძოდ, ის, იკვლევს რა ისტორიულ და კულტურულ ვითარებას ადრეერისტიანული ხანის რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე, მიდის დასკვნამდე, რომ ამ ეპოქაში იმპერია წყვეტს დაპყრობით ომებს ამ მიმართულებით და ხელს უწყობს მეგობარი, ქრისტიანი ერებისთვის მათი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, მათ შორის, კულტურული თვალსაზრისით, მისიონერების მეშვეობით. სწორედ ამით ხსნის მეცნიერი ქრისტიანულ დამწერლობათა შექმნის ბუმს ადრექრისტიანულ ეპოქაში. ეს დამწერლობებია – კოპტური, სირიული (ესტრანგელო და მისგან მომდინარე დას. და აღმ.

სირიული დამწერლობები), ქართული, სომხური, ალბანური, გოთური, ეთიოპური (ვოკალიზებული ვერსია), ნუბიური, წინარეისლამური ჩრდ. არაბული და სამხ. არაბული. მისივე დაკვირვებით, იგივე ტენდენცია გრძელდება მოგვიანებითაც, როდესაც ბიზანტიელი მისიონერები კირილე და მეთოდე ეროვნულ დამწერლობებს უქმნიან სლავებს გლავოლიცისა და კირილიცის სახით. კონკრეტულად ქართულ ანბანზე მსჯელობისას ხ. კოდონიერი აღნიშნავს, რომ ქართული ანბანი დიდი აღბათობით უნდა შექმნილიყო პალესტინაში, ქართველი ბერების წერში, სადაც უძველესი ქართული წარწერებია დადასტურებული. ბაკურთან დაკავშირებით კი ის წერს:

„Unfortunately, we lack any reference to a possible inventor of Georgian letters, who could have promoted an adaptation of the Greek alphabet to write his own language. Whoever he was and wherever he conceived the adaptation, he must have relied on the support of some Georgian prince, exactly as Mesrop did. And this prince probably acted also in connection with the Romans. From a solely typological point of view, a good candidate would be prince Bacurius of Georgia, who is mentioned in many sources of the second half of the 4th c., and acted as a general under the emperors

Valens and Theodosios I. Although usually considered a pagan because of one letter Libanios addressed to him (no 1060, ed. Foerster, 1921-1922), Bacurius could have later converted to Christianity for he visited the Church historian Rufinus several times in his monastery at the Mount of Olives and was the source of the historian's account of Georgia's conversion to Christianity.”

„სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს არავითარი ცნობა ქართული დამწერლობის შესაძლო შემქმნელზე, ვისაც შეეძლო ხელი შეეწყო ბერძნული ანბანის ადაპტაციისთვის საკუთარ ენაზე სანერად. ვინც უნდა ყოფილიყო და სადაც უნდა ჩაეფიქრებინა ადაპტაცია, მას უნდა ჰქონოდა ვილაც ქართველი დიდებულის მხარდჭერა, როგორც ეს მესროპმა გააკეთა. და ეს დიდებული, შესაძლოა, მოქმედებდა, ასევე, რომაელებთან შეთანხმებით. თუნდაც მხოლოდ ტიპოლოგი-

ური თვალსაზრისით, ამისთვის კარგი კანდიდატი იქნება ქართველი უფლისწული ბაკურიუსი, რომელიც მე-4 საუკუნის ბევრ წყაროში იხსენიება და მსახურებდა გენერლად იმპერატორებთან ვალენსისთან და თეოდოსი I-თან. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, მას წარმართად მიიჩნევენ, ლიბანიოსის მის მიმართ მიწერილი წერილის გამო (no 1060, Foerster-ის გამოცემა, 1921-1922), ბაკურიუსი შეიძლებოდა მოგვიანებით მოქცეულიყო ქრისტიანობაზე, რისთვისაც ის რამდენჯერმე ეწვია ეკლესიის ისტორიკოს რუფინუსს მის მონასტერში ზეთისხილის მთაზე და იყო ისტორიკოსთა წყარო, საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ ცნობებისა.“<sup>118</sup>

მე ვფიქრობ, დედნის აზრი თარგმანში ბოლომდე სრულყოფილად არ არის გადმოცემული. კონკრეტულად, ჩემი აზრით, არასწორად არის თარგმნილი შემდეგი ადგილი: “Unfortunately, we lack any reference to a possible inventor of Georgian letters, who could have promoted an adaptation of the Greek alphabet to write his own language. Whoever he was and wherever he conceived the adaptation, he must have relied on the support of some Georgian prince, exactly as Mesrop did. And this prince probably acted also in connection with the Romans. From a solely typological point of view, a good candidate would be prince Bacurius of Georgia”. ეს ადგილი უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: „სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს რაიმე მითითება ქართული ასოების შემქმნელის ვინაობის შესახებ, იმისა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო ბერძნული ანბანის ადაპტირება მოეხდინა მის საკუთარ ენაზე წერის საჭიროებისათვის. ვინც არ უნდა ყოფილიყო ის და სადაც არ უნდა ჩაეფიქრა მას ეს ადაპტაცია, იგი, ისევე როგორც მესროპი, უნდა დაყრდნობოდა რომელიმე ქართველი უფლისწულის დახმარებას. და ეს უფლისწული, როგორც ჩანს, ასევე რომაელებთან კავშირში მოქმედებდა. თუნდაც მხოლოდ ტიპოლოგიური თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ამისთვის კარგი

118 6. ნიკოლოზიშვილი. დიდი ბაკური – ხურცილავა-კოდონიერის თეორია ქართული ასომთავრული ანბანის ავტორობის შესახებ, გვ. 313-315.

კანდიდატურა იქნებოდა ქართველი უფლისწული ბაკურიუსი“.

დედანში სამჯერ არის გამოყენებული სიტყვა „prince“. 6. ნიკოლოზიშვილი ამ სიტყვას ორგან თარგმნის როგორც „დიდებულს“ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როგორც „უფლისწულს“. არადა, ამ სიტყვის მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, ამ კონტექსტში, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს. ის ნიშნავს „უფლისწულს“ ან სამეფო ოჯახის წევრს (სეფენულს). მაგრამ ეს არაა ამჯერად იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადც ის, რომ ბაკურიუსი დასახელებულ უცხოელ მკვლევარს ესახება არა ქართული ანბანის შემქნელ პიროვნებად, არამედ ქართული ასოების შემქმნელის მხარდამჭერის კანდიდატურად, ისიც არა კონკრეტულ, არამედ ტიპოლოგიურ მაგალითად: ანუ საზოგადოდ ასეთი ტიპის ანუ ბიოგრაფიის ადამიანი უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, ქართული ანბანის შემქნელის მხარდამჭერი.

რომ აღნიშნული მკვლევარი ბაკურს ნამდვილად არ მიიჩნევს ქართული ანბანის შემოქმედად. ეს დასკვნა მე 6. ნიკოლოზიშვილის მიერ მოყვანილი აღნიშნული ამონარიდის ანალიზის საფუძველზე გამოვიტანე. მაგრამ, როცა თავად ორიგინალში ჩავიხედე, უკვე ამის პირდაპირი დადასტურებაც ვნახე. პროფესორი ხუან ს. კოდონიერი თავის მსჯელობას ასე აჯამებს: „We will probably never know who invented the Georgian alphabet or who the prince was that supported him in this endeavour“.<sup>119</sup> აი, ამ ადგილის თარგმანი: „ჩვენ ალბათ ვერასოდეს შევიტყობთ თუ ვინ შექმნა ქართული ანბანი ან ვინ იყო ის უფლისწული ვინც მას ამ საქმეში დაეხმარა.“

ასე რომ, პროფესორ ხუან ს. კოდონიერს ვერ დავიმოწმებთ იმ თვალსაზრისისათვის, რომ ქართული ანბანის ავტორია ბაკური. შესაბამისად, შეუძლებელია არსებობდეს „ხურცილავა-კოდონიერის თეორია“.

რეცენზიტი, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს კოდონიერის ნაშრომის სათაურსაც, თუმც არ თარგმნის მას. მე ვფიქრობ, ეს

119 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, წიგნში: *New Perspectives on Late Antiquity in the Eastern Roman Empire*, 2014, გვ. 138.

აუცილებელია, რომ ქართველმა მკითხველმა სრულყოფილად გაიგოს ხუან ს. კოდონიერის თვალსაზრისი. მისი ნაშრომის სათაურის ქართული თარგმანი კი ასეთია: „ახალი ანბანები ქრისტიანი ერებისათვის: ბიზანტიური თანამეგობრობის სა-საზღვრო სტრატეგია IV-X საუკუნეებში.“

მინდა მკითხველმა თავიდანვე ყურადღება მიაქციოს, რომ ეს ავტორი, ამ სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საუბარს აპირებს გაქრისტიანებული ხალხებისათვის ახალი ანბანების (და არა საერთოდ ანბანების) შექმნაზე. ანუ თავად ეს სათაური არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ახლადგაქრისტიანებულ ხალხს მანამდეც ჰქონოდა ანბანი. ნაშრომის გაცნობა გვარნ-მუნებს, რომ ეს, მართლაც, ასეა.

რახან აღნიშნული ნაშრომი რეცენზიაში ძალიან მოკლედ არის წარმოდგენილი და ამის გამო ხარვეზიანადაც, მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ იგი.

გამოკვლევა იხსნება შესავალი შენიშვნებით. პირველ რიგში, განიმარტება ტერმინ „თანამეგობრობა“ (ასე გადმო-მაქვს მე ინგლისური სიტყვა commonwealth) მნიშვნელობის განმარტებით. მიუთითებს, რომ ეს ტერმინი ბიზანტიის იმპე-რიის მიმართ პირველად, არცთუ მკაფიო აზრით, გამოიყენა დ. ობოლენსკიმ 1971 წელს აღმოსავლეთ იმპერიის სლავური სამყაროს აღსანიშნავად, მერე კი (1993 წელს) გამოიყენა გ. ფოუდენმა კონსტანტინე I-ის მიერ მონოთეისტური ქრისტია-ნობის მიღების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი პოლიტი-კური ჩარჩოს აღსანერად. კონსტანტინეს დროს რომს სურდა გამხდარიყო პოლიტიკურ-კულტურული სამყაროს იმპერია, მაგრამ ეს სურვილი ვერ განხორციელდა და შედეგად ჩამოყ-ალიბდა უფრო თავისუფალი, პლურალისტული სტრუქტურა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ თანამეგობრობას.<sup>120</sup> გ. ფოუდენმა პირველი ბიზანტიური თანამეგობრობის ჩამოყალიბება დაუკა-ვშირა V საუკუნეს და, კონკრეტულად, ქალკედონის საეკლესიო კრებას. საკუთარი გამოკვლევის მიზანს კი ხუან ს. კოდონიერი ასე განმარტავს: მას სურს ბიზანტიის მისიონერული მოღვანე-

<sup>120</sup> ლიტერატურაში შეხვდებით გამოთქმებს „ბიზანტიური თანამეგობრობის ქვეყნები“ ან „ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნები“.

ობის ერთი კონკრეტული ასპექტის გაშუქება IV-X საუკუნეებში, დროს, რომელიც გ. ფოუდენის მიხედვით, არის „პიზანტიური თანამეგობრობის“ მეორე პერიოდი. კონკრეტულად მას სურს შეეხოს იმპერიის პერიფერიის ქრისტიანი ხალხებისათვის ახალ ანბანების შექმნის საკითხს, ხალხებისა, რომლებიც „იმპერიულ თანამეგობრობას“ ფორმას აძლევდნენ. ავტორი მიუთითებს, რომ კარგად ესმის კვლევის კომპლექსურობა და ამასთან დაკავშირებული სირთულეც, რომ ეს საკითხი დეტალურ ძიებას საჭიროებს სხვადასხვა კულტურული ტრადიციის სპეციალისტების მხრივ, მაგრამ მიაჩნია, რომ მისი წამოწყება მაინც გამართლებულია, რადგან არ არსებობს ერთიანი გააზრება იმ საერთო პროექტისა, რომლის ჩარჩოში ეს ანბანები შეიქმნა.<sup>121</sup>

ამგვარად, თავიდანვე ცხადია, რომ ამ გამოკვლევის მიზანი არის ქრისტიანი ხალხებისათვის ანბანების შექმნაში რომის მონაწილეობის წარმოჩენა და სხვადასხვა ხალხის გამოცდილების მრავალფეროვანი მაგალითებით ერთიანი იმპერიული პოლიტიკის ჩვენება. ამ პოლიტიკას საფუძვლად დაედო პერიფერიასთან მიმართებით რომის დამოკიდებულების არსობრივი შეცვლა: იმპერია გარდაიქმნა თანამეგობრობად. პერიფერიებს ეძლეოდათ საკუთარი ცხოვრების მოწყობის საშუალება თავიანთი კულტურის მიხედვით იმ პირობებში, როცა არსებობდა გამაერთიანებელი იდეოლოგია ქრისტიანობის სახით. ქრისტიანობის გავრცელებისა და რეალური დანერგვისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურას. ამიტომ მიენიჭა იმპერიის პერიფერიაში მცხოვრებ ქრისტიან ხალხებისათვის ახალი ანბანების შექმნას რომაელთა მხრიდან ასეთი მნიშვნელობა. ავტორის აზრით, ეს პროცესი სხვადასხვა ხალხებში ან უშუალოდ ბიზანტიის მიერ იყო დასპონსორებული ან მისი ზედამხედველობით ხორციელდებოდა. ამ პოლიტიკას მოჰყვა ადგილობრივი ლიტერატურების აღმოცენება. ხშირ შემთხვევაში ამას უსწრებდა ახალი ანბანების გამოგონება. ავტორი გვპირდება, რომ წარმოდგენს კონკრეტ-

121 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 116-117.

ულ მაგალითებს, და დაიწყებს სირიულ ენაზე საუბრით. აქვე შენიშნავს, რომ სირიული ენა სტანდარტიზებული იყო უკვე II საუკუნის მინურულსა და III საუკუნის დასაწყისში ედესაში ჯერ კიდევ ამ ტერიტორიის ქრისტიანიზაციამდე. მაგრამ IV საუკუნის II ნახევარსა და V საუკუნის I ნახევარში ქრისტანული მისიების ტალღის პერიოდი, რომელსაც თან ახლდა ახალი ანბანების შემოღება, იყო უმეტესობა ახალი ეროვნული ლიტერატურების აღმოცენების დრო. სწორედ ამ კონტექსტში ავტორი გვპირდება, რომ ისაუბრებს გოთურ, ეთიოპურ, სომხურ, იბერიულ, ალბანურ, კოპტურ ანბანებზე.<sup>122</sup>

მართლაც, მომდევნო ანუ მეორე პარაგრაფში, ავტორი ეხება სირიული ლიტერატურის განვითარების ისტორიას, თუმც აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევა დანარჩენი ქრისტიანი ხალხებისაგან განსხვავებულია, რადგან სირიული ენა, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე იყო ისევე პრესტიული, როგორც ბერძნული. ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ის აქ ამ შემთხვევას განიხილვას, როგორც თავად გვიხსნის, ისაა, რომ სირია იმპერიის პერიფერიას წარმოადგენდა.

ჩემთვის კი ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ავტორი, რომელიც, მისივე განცხადების მიხედვით, მიზნად ისახავს ქრისტიან ხალხებში ანბანების და ეროვნული ლიტერატურების შექმნის საერთო პროექტის გამოვლენას, იწყებს მაგალითით, რომელიც სპეციფიკურია და საერთო მოდელში არ ჯდება. სირიულ სინამდვილეში ანბანიცა და განვითარებული ლიტერატურული პროცესიც წინ უსწრებს ქრისტიანიზაციას. ანუ პირველი კონკრეტული მაგალითის განხილვისთანავე, ჩემი აზრით, ავტორი დგება იმის აუცილებლობის წინაშე, რომ გამოკვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა გადაიაზროს.

შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება გოთების მაგალითს. დასაწყისშივე ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეს შემთხვევა მის მიერ ნავარაუდევი მოდელის სრულად შესატყვისია: არავითარი ეჭვი

122 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 122. კიდევ სხვა რამდენიმე ხალხის გამოცდლებაც არის წარმოდგენილი ამ წიგნში, მაგრამ მათ არ განვიხილავ ქვემოთ, რამდენადაც მათი თარიღი ჩემი წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოების მიღმაა.

არ შეიძლება არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ რომის იმპერია ასპონსორებდა გოთებში ახალი ანბანის შექმნას და რომ ეს ახალი ანბანი უფუძნებოდა ბერძნულ მოდელს.<sup>123</sup> ამავე დროს ავტორი მიუთითებს: თუ ტიპოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, გოთური არ იყო ბერძნულის საფუძველზე ინსპირირებული ახალი ანბანი, არამედ მხოლოდ ბერძნული დამწერლობის უნციალური ფორმა, ბერძნულის ადაპტაცია გოთურის ჩასაწერად გავრცობილი მხოლოდ რამდენიმე დამატებითი ასოთი, რომელთა შორის, ზოგი რუნიკული წარმოშობისა იყო. გოთური ანბანის შემქნელმა ულფილამ იცოდა რუნიკული დამწერლობა, მაგრამ უპირატესობას ანიჭებდა ბერძნულ ანბანს, როგორც საფუძველს გოთური დამწერლობისათვის, იმიტომ რომ წმინდა წერილის თარგმნისათვის რუნიკული დამწერლობა მიაჩდა შეუსაბამოდ.<sup>124</sup>

ანუ, როგორც ვხედავთ, გოთების შემთხვევაშიც წინაქრისტიანული დამწერლობის არსებობა უარყოფილი არაა. ულფილამაც იცოდა ეს დამწერლობა, მაგრამ მან თავისი არჩევანი გააკეთა ბერძნულის სასარგებლოდ აშკარად იდეოლოგიური მოსაზრებებით. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, იმაში, რაც ავტორს სათაურშივე აქვს გაცხადებული: სიტყვა არ ეხება დასახელებულ ხალხებში დამწერლობის ახლიდან შემოღებას, არამედ ქრისტიანი მისიონერების მიერ არსებული ანბანების ჩანაცვლებას ახალი დამწერლობით, რომელიც გოთების შემთხვევაში არც უნდა იქნეს განხილული ახალ ანბანად, არამედ ბერძნულის თავისებურ გრაფიკულ მოდიფიკაციად ძველი ანბანიდან დამატებული ასოებით.

შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება ეთიოპური შემთხვევის განხილვას. ავტორი მიუთითებს, რომ ეს შემთხვევა დიდად წააგავს გოთურს, თუმც მნიშვნელოვნადაც განსხვავდება მისგან. იწყებს განსხვავებებით და აღნიშნავს იმას, რომ ქრისტიანი მისიონერების მოსვლამდეც ეთიოპელებს ჰქონდათ ძალიან

123 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 124.

124 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 126.

განვითარებული ლიტერატურული ტრადიცია და იყენებდნენ კონსონანტურ ანბანს. შემდეგში მოხდა ცვლილება, რომელიც თარიღდება IV საუკუნის დასაწყისით და ანბანს დაემატა ხმოვნები, რომლებიც იწერებოდა დიაკრიტული ნიშნების სახით და ულერადობას უცვლიდა თანხმოვნებს. ეს მოხდა აკსუმის მეფის ერზანას დროს (რომელიც ზეობდა IV საუკუნის ოციანი წლებიდან დაახლოებით 360 წლამდე). ეს იყო ამ ქვეყნის პირველი ქრისტიანი მეფე, მმართველი, რომელმაც მოაქცია ქვეყანა. ავტორის აზრით, ძველი ანბანი შეიცვალა იმისათვის, რომ ახალი ქრისტიანული სახელმწიფოს საჭიროებებს უკეთ მომსახურებოდა. ეს კვლავ იმის დასტურად მიაჩნია, რომ ეთიოპურის პარალელურად იყენებდნენ ბერძნულსაც, რაც აჩვენებს, რომ კულტურული თვითიდენტიფიკაციის მიუხედავად, იმპერიასთან მიზიდულობის ძალა მეტი რჩებოდა, ვიდრე კავშირის წყვეტის.<sup>125</sup>

მომდევნო ანუ მეხუთე პარაგრაფი ეთმობა სომხურ, ქართულ, ალბანურ ანბანებს. მე დროებით ამ პარაგრაფს არ შევეხები, არამედ გადავალ მომდევნოზე და ამას, როგორც ქართველი მკითხველისათვის ყველაზე მეტად საინტერესო ნაწილს, ბოლოსათვის მოვიტოვებ.

მექვსე პარაგრაფი ეძღვნება კოპტურს. ის იწყება იმაზე ხაზგასმით, რომ ბერძნებს ეგვიპტეში ყოველთვის ჰქონდათ გავლენა, მაგრამ მხოლოდ IV საუკუნიდან ძველი კოპტური ანბანი ჩანაცვლდა ახალი კოპტური ანბანით, რომელიც მოიცავდა მთავარ ტიპს და 13 ვარიანტს. ყველა მათგანი ბერძნული ანბანის ადაპტაციას წარმოადგენდა, დამატებული ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე ავტოქტონური ნიშანი. ზემოთ განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით, ეთიოპია არ იყო იმპერიისათვის პერიფერიული.<sup>126</sup> ამგვარად, ამ ეთიოპის მაგალითიც აჩვენებს, რომ საქმე ესება არა საერთოდ ეთიოპური დამწერლობის გამოგონებას, არამედ ქრისტიანული გავლენით მიღებულ ანბანს.

ამ ნაშრომში არის სხვა პარაგრაფებიც, მაგრამ მათ განხ-

125 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 128.

126 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 139.

ილვას, როგორც უკვე ვთქვი, ახლა არ შევუდგები, რადგან ისინი წინამდებარე წიგნის კვლევის ქრონოლოგიურ საზღვრებს სცდება.

ეპილოგში ავტორი კვლავ ქრისტიანული ოკუმენას შექმნის შესახებ საუბრობს და მიუთითებს რომ ბიზანტიური თანამეგობრობის ჩამოყალიბება იწყება დამწერლობის მქონე ქრისტიანი ერების წარმოშობისათვის ხელშეწყობით. ამის რამდენიმე მაგალითს განიხილავს, როგორც უკვე ვნახეთ, მაგრამ ეპილოგში ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ გოთურ და ეთოპურ შემთხვევებზე, რადგან ჩანს, ისინი მიაჩნია ყველაზე გამოკვეთილ მაგალითებად.<sup>127</sup>

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ პარაგრაფს, რომელიც ზემოთ გამოვტოვეთ. ავტორი იწყებს სომხური ანბანის შექმნის ისტორიით. საუკეთესო წყაროდ მაშთოცის „ცხოვრებას“ ასახელებს, რომელსაც, სავარაუდოდ, V საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილად მიიჩნევს. თვლის, რომ ის არაა სანდო წყარო, რადგან ხდებოდა მისი ინტერპოლირება და მისით მანიპულირება საუკუნეების განმავლობაში, თუმც ამავე დროს მიუთითებს, რომ ეს წყარო ყველაზე უფრო დეტალურად გადმოგცემს ანბანის შექმნის პროცესს და არის ყველაზე უფრო აკურატული გადმოცემა ზემოთ განხილულ შემთხვევებთან შედარებით. მერე ახასიათებს მესრობს, მის განათლებს, მიუთითებს მის კარგ განსწავლულობას ბერძნულ ენასა და ბერძნულ კულტურაში. საუბრობს მის გადაწყვეტილებაზე შეექმნა ახალი ანბანი და მის დამხმარეებზე – კათალიკოს საპატია და მეფე ვრამშაპუშზე. მიუთითებს, რომ პირველ რიგში მესრობი თავის ყურადღებას მიაპყრობს სირიას. სირიელი ეპისკოპოსის დანიელისაგან სომხური ანბანის მოტანის ფაქტს. სწორედ ამ ანბანის სწავლება დაიწყო თავიდან მესრობმა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ სომხური ენის გადმოსცემად ეს დამწერლობა არ იყო შესაფერისი. და ამის მერე იყო რომ ბერძნულის საფუძველზე შეექმნა ანბანი და ამაში მას მეფის მხრიდან ჰერიდა დიდი დახმარება. კოდონიერი შენიშნავს, რომ აქ არ ჩანს, რომ

127 J. S. Codoner, New Alphabets for the Christian Nations: Frontier Strategies in the Byzantine Commonwealth between the 4th and 10th Centuries, გვ. 160-161.

თავიდან რომის იმპერატორი ჩართული ყოფილიყო ამ პრო-ცესში და საქმე ისეა წარმოჩენილი, თითქოს ეს ყველაფერი მესროპის დამოუკიდებელი ინიციატივა იყო. მაგრამ მესროპის მოღვაწეობაში იმპერატორ თეოდოსი II-ის როლის დამცრობა, ამ ავტორის აზრით, უნდა აიხსნას სომეხთა პატრიოტული განწყობებით და მესროპის განდიდების სურვილით. მაგრამ მაინც, თვლის ავტორი, წყარომ ვერ შეძლო მესროპის რომზე დამკიდებულების დაფარვა და აღნერილი აქვს მესროპის მოგზაურობა იმპერიაში. აღნერილი აქვს, როგორი პატივით მიიღეს ის საიმპერატორო კარზე პირადად იმპერატორმა და პატრიარქმა აკაკიოსმა. ამ აუდენციის დროს მიიღო მესროპმა კეისრის ბეჭდიანი *sacra rescripta*, რომ ბიზანტიის კუთვნილი სომხეთისაგან შეეკრიბა ახალგაზრდობა ინსტრუქტირებისათვის. ტექსტში, მართალია, უფრო ევანგელიზაციაზეა საუბარი, ვიდრე დამწერლობასთან დაკავშირებულ ინსტრუქტაზე. ეს არის 428 წელი, როცა ირანი შეიჭრა სომხეთში და მოახდინა მისი ანექსია. მაგრამ ანბანი უკვე ჰქონდათ სომხებს და სომხურად ნათარგმნი წმინდა წერილი. 451 წლის შემდეგ სომხები მაინც გამოეთიშენ ბიზანტიური თანამეგობრობის ორბიტას. ანბანის შექმნაც უნდა ყოფილიყო ირანის გახელების საბაბი. ავტორი თვლის, რომ ტიპოლოგიურად სომხური ეფუძნება ბერძნულს, იგივე რიგი და, უმეტეს შემთხვევაში, იგივე ფონეტიკური ლირებულება, თუმც ვიზუალურად სომხური ანბანი ბერძნულისაგან განსხვავებულია.

მერე აღნიშნავს, რომ კორიუნი მესროპ მაშთოცს უკავშირებს ქართული და ალბანური ანბანების შექმნასაც, რა-საც ის არ იზიარებს. ამიტომ თვლის, რომ უკანასკნელად დასახელებული ხალხების შემქნელების შესახებ არ შემოვვრჩა რაიმე გადმოცემა, თუმც ორივე ეს ანბანი იმავე დროს არის შექმნილი, როცა სომხური. მოყვანილია ამონარიდი კორიუნის თხზულებიდან, რომელშიც მესროპის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ არის საუბარი. ავტორის კომენტარი ამ ამონარიდთან დაკავშირებით ისეთია, რომ ეს უნდა იყოსო სომეხთა პატრიოტული მიზნით გამონაგონი.

ამგვარად, ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ ქრისტიანი ხალხებისათვის ანბანების შექმნის ერთიანი იმპერიული პროექტი არსებოდა, რომ მესროპს რომაელთაგან ამის საგანგებო უფლებამოსილება ჰქონდა და რომ ყველაზე კარგად ანბანების შექმნის ისტორია კორიუნთან არის გადმოცემული. მეორე მხრივ, მესროპს არ შეეძლო შეექმნაო სომხურის გარდა სხვა ანბანები. ავტორის მითითებით, არა მარტო ტოპოლოგიურად, ისტორიულადაც შეუძლებელია, რომ სომებს ბერს ანბანი შეექმნა ქართველებისათვის, რომლებიც ძალიან ნეგატიურად არის აღწერილი მესროპის „ცხოვრებაშიო“.

აქ აუცილებელია, ჩემი აზრით, დაზუსტება: მესროპი, როგორც ქრისტიანი მოღვაწე, ნეგატიურად იყო განწყობილი საზოგადოდ წარმართების, მათ შორის, ქართლის წარმართების მიმართ. ანუ ეს ფაქტი ვერ „მუშაობს“, როგორც არგუმენტი მეცნიერისათვის.

მერე ავტორი საუბრობს ი. გიპერტის ნაშრომზე და მის შე-დეგზე, რომლის მიხედვითაც ქართული უფრო ახლოა ბერძნულ დედანთან. ქართული ზუსტად მიჰყვება ბერძნულის თანმიმდევრობას, სომხურისა და ალბანურის შემთხვევები კი განსხვავებულია. ალბანურის შემთხვევაში ფიქრობს, რომ სომხურის საფუძველზეა შექმნილი, ოღონდაც არა მესროპის მიერ, არამედ ადგილობრივის მიერ. ქართულის წარმომავლობასთან დაკავშირებით ეჭვს გამოთქვამს. თუ ქართულიც წარმომავლობს სომხურიდან, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სომხური მერე შეიცვალაო. პირიქით, რომ ვიფიქროთ, მისი აზრით, ესეც შეიძლება. მერე იმოწმებს ვერნერ ზაიბტს, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანი სირია-პალესტინაში მყოფი ქართველი ბერების წრეში უნდა წარმოშობილიყო, რომლებმაც კარგად იცოდნენ თავიანთი სომები მეზობლების საქმენი ამ საკითხში, რომლებთანაც, შესაძლოა, ისინი მონასტრის სივრცესაც კი იყოფდნენ.

ამის მერე კოდონიერი, როგორც თავადაც ამბობს, უფრო შორს მიდის, ვიდრე ზაიბტი: მისი აზრით, ეს სწორედ მესროპი უნდა ყოფილიყო, რომელმაც ქართველებისაგან აიღო, რადგან ქართული უფრო ახლოა ბერძნულ დედანთანო.

მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, სომხურ ვერსიასთან დაკავშირებით შეჯამება არ არის რაიმე გამოკვეთილი აზრის შემცველი: მკვლევარი ასკვნის, რომ ქართული და სომხური ანბანების წარმოშობა უფრო დახლართულია, ვიდრე ამას მეს-როპის „ცხოვრება“ წარმოადგენსო.

მერე უკვე მოდის მსჯელობა ქართულ დამწერლობის ხელ-შემწყობის კანდიდატურასთან დაკავშირებით, რომლის შესახ-ებაც უკვე ვთქვი ზემოთ.

ავტორი სიტყვით უარყოფს მესროპის მიერ ქართული ან-ბანის შესახებ ცნობას, მაგრამ მის მიერ ისტორიული კონტე-ქსტის რეპრეზენტაცია, მის ამონარიდები წყაროებიდან სხვა რამის ფიქრისაკენ უბიძგებენ „გამომაძიებელ“ მკითხველს.

ავტორი საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ არსებობს ცნობა ქართული ანბანის წინაქრისტიანულ ხა-ნაში წარმოშობის შესახებ. არადა, როგორც ვნახეთ, ამგვარ ფაქტებს უყურადღებოდ თითქმის არცერთი სხვა შემთხვევის განხილვისას არ ტოვებს. შეუძლებელია, ის ამ ფაქტს არ იც-ნობდეს, რადგან იმონმებს ზაიბტს, რომელიც, თუმც ასევე ქრისტიანულ ხანას მიიჩნევს ქართული ანბანის შექმნის შესაძ-ლო დროდ, ლეონტის ცნობის შესახებ აღნიშნავს. კოდონიერი კი, თუმც ზაიბტის სტატიას იმონმებს, ლეონტის, როგორც თუნდაც მისთვის არასანდო წყაროს, საერთოდ არ იხსენიებს. არადა, ლეონტის ცნობა ქართული ანბანის შესახებ მის აზრს ხელს არ უშლის: ქართველებს, ისევე როგორც მის მიერ განხი-ლულ ხალხების უმეტესობას, წინა პერიოდში ჰქონდათ ანბანი.

ამგვარად, კოდონიერი ქართული ანბანის შექმნას უპირო-ბოდ ქრისტიანულ ეპოქაში რომაული პოლიტიკის ზემოთ აღ-ნერილი იმ იმპერიული პროექტის ფარგლებში ვარაუდობს, რომელსაც ახორციელებდა მესროპ მაშთოცი. ყველა ხალხს ჰქონია მანამდე განვითარებული დამწერლობა და, შესაბამის-ად, ლიტერატურაც. ერთადერთი ქართველები ყოფილან გამ-ონაკლისნი.

ანბანებთან დაკავშირებით ბიზანტიური იმპერიული პრო-ექტის შესახებ დაკვირვება მართებული ჩანს. მესროპის აქ-

ტივობა და ქრისტიანული ანბანების შექმნის ინიციატივაც უნდა ყოფილიყო არა სომხეთის, არამედ რომაელების პოლიტიკა მართლაც. მაგრამ მესროპის აქტივობა ქართლში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ქართული ანბანის გამოგონება, არა ამედ, როგორც კოდონიერი მიერ განხილული თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში ადასტურებს, უკვე არსებულის შეცვლის ცდა. ამ პროექტმა ზოგან გაამართლა, ზოგან არა. ქართლში ამ პროექტმა ვერ იმუშავა. ქართველებს ფარნავაზის დროიდან პქონდათ საკუთარი დამწერლობა, რაც არაორაზროვნად არის გაცხადებული წყაროში და არ არსებობს საფუძველი არ ვენდოთ ამ წყაროს ასე ცალსახა ცნობას.<sup>128</sup> ფარნავაზის დროს შექმნილი ქართული ანბანი, ცხადია, წარმართული ძეგლი და წარმართული იდეოლოგიის მატარებული იყო. მესროპმა, რომელიც, როგორც ითქვა, ეპრძოდა წარმართობის გადმონაშთებს კავკასიაში, მოინდომა მისი შეცვლა სავსებით გასაგები პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებით. სომხეთში მისმა მცდელობამ ამ მიმართულებით წარმატება მოიტანა. ქართლში კი ის აშკარად წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ასომთავრული წარმართული მსოფლხედვის მატარებელია. არსებული წარმართული ანბანი, როგორც მითითებულია კიდეც ლიტერატურაში, „მოინათლა“. შენარჩუნების მიზეზებზე ზემოთ უკვე ვთქვი, მაგრამ აქაც გავიმეორებ: ქართული დამწერლობა იყო უაღრესად სრულყოფილი დამწერლობა სრულიად ადეკვატური ქართული ენის აღნერისათვის; ქართლის იმდროინდელ მესვეურთ, უპირველეს

128 ყოველი ობიექტურ მკვლევრის საშუალო პრინციპი უნდა იყოს ისტორიული წყაროს „უდანაშაულობის პრეზენტაციის“ პრინციპი, რაც არსებითად ნაშნავს იმას, რომ წყაროს მონაცემების გაუზიარებლობა არაა გამართლებული იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საქმარისი საფუძვლით წყაროს მონაცემები დასაეჭვებლად. ამ პრინციპის განმარტებისათვის იხ. ლურე ქ. ს. ი თა называюемой «презумпции невиновности» источника, Источниковедческие разыскания. 1982, Тбилиси. «Мечниереба», გვ. 40-45. ჩვენს შემთხვევაში გვაქვს ლეონტი მროველის სრულიად ცალსახა ცნობა ქართული ასომთავრულის შექმნის ინიციატორის და დროის შესახებ. სახელმწიფოს დამარსებელ მეცნიერ, რომ ანბანის შექმნაზე ეზრუნა, ცხადია, სრულიად ლოგიკურია. ამასთან ეს ცნობა განეკუთვნება კულტურული ისტორიის ამსახველ ცნობათა რიცხვს. ასეთი ცნობები ქართულ წყაროებში ხშირი არ არის. უეჭველია, რომ ის ძველ ავტორს სრულიად გაცნობიერებულად აქვს ჩართული თავის თხრობაში.

ყოფლისა, კი მეფე ბაკურ თრდატის ძეს ამის გაგება ჰქონდა, რომ იდეოლოგიური მოსაზრებებით ქართული დამწერლობის – ქართული კულტურის ამ დედაბობის ჩანაცვლება – არ უნდა მომხდარიყო. რომაული პროექტის რეალიზება მესროპს ქართლში არ გამოუვიდა იმ გამოც, რომ მან რეალურად, ვერ შეძლო ქართველებისათვის ისეთი ძლიერი შეთავაზება ჰქონდა, როგორც სომხებისათვის. ამიტომაც მისმა შეთავაზებამ კონკურენცია ვერ გაუწია წარმართულ ეპოქაში შექმნილ ქართულ ასომთავრულს და, შესაბამისად, არც დაინერგა.

პროფესიორი კოდონიერი, თავის საინტერესო დაკვირვებას საერთო იმპერიული პროექტის შესახებ სათანადო კონტექსტს გამოუნახავდა ქართლში, რომ ითვალისწინებდეს ლეონტი მროველის ცნობას ფარნავაზის ინიციატივით ქართული დამწერლობის შექმნის შესხაებ. მაშინ ის დაინახავდა, რომ მესროპის მოღვაწეობა ქართლში არ ნიშნავდა ანბანისა და ლიტერატურის შექმნას, რომ მესროპის მოქმედება ქართლში იყო ხსენებული კულტურული პროექტის განხორციელების წარუმატებელი ცდა.

ამგვარად, ბაკურ თრდატის ძე ქართული ანბანის ისტორიას უკავშირდება, მაგრამ არა როგორც მისი შემქნელი, როგორც ამას ფიქრობს ბ. ხურცილავა, არამედ როგორც ფარნავაზისდროინდელი ქართული ანბანის შემნარჩუნებელი და „მომნათლავი“. მან წარმართულ ეპოქაში შექმნილი ქართული ანბანი დაინარჩუნა, როგორც „თვალი ბივრიტი“,<sup>129</sup> რომელ-

129 „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში აღნერილია წმინდა ნინოს ლოცვის შედეგად ქართლის წარმართული კერპების მსხვერევა. ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ერთადეტრო, რაც ამ კერპებიდან გადარჩა, იყო „თუალი ბივრიტი“. ვფიქრობ, ამ სამბოლიკის აზრი სრულად ნათელია. ის ასახავს ძველი მწერლობის მიერ რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესის აღქმას და იმ იმპულსს, რომელიც ამ პროცესს, მისი აზრით, ჰქონდა ქართული ერთობის განვითარებაზე ანუ ცვლილებას და განგრძობადობას ერთორიულად. წარმართობა მოისპო, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ნანილი ანუ „თუალი ბივრიტი“ დარჩა ქართული კულტურის საგანძურშო. აი, ეს, მართლაც, საოცარი ადგილი დასახელებული თხზულებიდან. წმინდა ნინო იგონებს: „და ვითარცა დასცრრ რისხუა იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და ვპოვე თუალი იგი ბივრიტი, აღვიდე და წარმოვედ ნინა ეკრძო დასასრულსა მის კელიდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილ იყო, და მას ადგილსა ყოფილ არს ციხეს“ (ძეგლები, I, გვ. 122). ეს ხედვა არსებითად ქართული იდენტობის განვითარების ამსახველია: წარმართულ კულტურის საუკეთესო და მარადიული ნანილი ანუ „თუალი ბივრიტი“ –ქართული ქრისტიანული კულტურაში

იც ერთადერთი გადარჩენილი ნაწილი წარმართული არმაზის კერპისა.

ქართული ანბანის ისტორიიდან ლეონტი მროველის ცნობის ამოღება, სრულიად გაუგებას ხდის ქართული ანბანის თავ-გადასავალს. ეს აკნინებს ქართულ კულტურას, რადგან მრავალი საუკუნით აცილებს ცივილიზაციის უმთავრეს ატრიბუტს. ზოგ მკვლევარს ამგვარი შედეგის მქონე შეცდომა უნებლიერ მოსდის, თუმც ზოგი (ქართველიცა და უცხოელიც), ამას სააგანგებოდ სჩადის სხვადასხვა არამეცნიერული მოტივაციით. ამ საკითხზე ამჯერად მეტს სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რათა ხოსროვანთა სახლის შესახებ დისკურსს ძალიან არ დავცილდე, წინამდებარე წიგნის დამატებაში კი, მკითხველს ქართული ანბანის ისტორიის შესახებ ჩემს ორ ადრე გამოქვეყნებულ სტატიას ვთავაზობ, რადგან მათი შეხსენება სამეცნიერო წრე-ებისათვის აუცილებლად მიმაჩნია.

---

დანარჩენდა. ქართული ანბანი მთავარი უნდა ყოფილიყო ამ საგანძურში, ანუ ამ აზრით ის იყო „თუალი ბივრიტი“.

## თავი IV.

### ქართლის უკანასკნელი ხოსროვანი მეცნ

#### 1.

ნაშრომის ეს მონაკვეთი ეძღვნება ზემოთ ნახსენებ ტრაგიკული ბედის მქონე მირდატ მეფის მომდევნო მეფეს არჩილ I-ს.

ქართლის ეს ხელისუფალი სამეფო ტახტზე ვახტანგ გორგასლის წინამორბედის – მირდატის – წინამორბედი იყო. შესაბამისად, ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, მისი ზეობა მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება.

ფართო საზოგადოებისათვის მეფე არჩილი თითქმის უცნობია.<sup>1</sup> ამგვარი ფიქრის საფუძველს მაძლევს ინტერნეტში განთავსებული მასალის ანალიზი: ზოგ პუბლიკაციაში არჩილი ქართველ მეფეთა სათვალავში არც კი მოიაზრება: არჩილ I-ად მიჩნეულია არაბების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე არჩილი. დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში გვიან ანტიკურ ეპოქაში მოღვაწე არჩილის ხსენებას არ ვხდებით;<sup>2</sup> უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში მასზე ინფორმაცია თუ არის, ორიოდე წინადადებით შემოიფარგლება.<sup>3</sup> ამის მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ იმ მეცნიერთა თვალსაზრისები, რომლებიც ამ წიგნის ფოკუსში მოქცეულ პერიოდს იკვლევენ, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია;<sup>4</sup> აქედან გამომდინარე ფართო

1 ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ქართული საზოგადოება, ჩვეულებრივ, დიდ ინტერესს ავლენს ისტორიისადმი; მეფეთა სახეებს კი კოლექტურ მეხსერებაში განსაკუთღებით საპატიო ადგილი უკავიათ.

2 ჩემ მიერ განხილულ ათეულობით სახელმძღვანელოში ყოველ შემთხვევაში ასეა.

3 ავილოთ, თუნდაც, თბილისის სახელმწიფო „საქართველოს ისტორია“ (ტ. 1, თბილისი, 2006), აქ არჩილის შესახებ ინფორმაცია ამოინურება შემდეგით: „ამის შემდეგ ქართლში გამეფდა არჩილი, ხოლო შემდეგ – მისი ძე მირდატი“ (გვ. 116).

4 მაგალითისათვის შდრ. ვ. გოილაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი, 1990, გვ. 101–103; დ. მუსხელიშვილი. საქართველო VI–VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003, გვ. 83–84; მ. სანაძე. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიანთა აშოტ კურაპალატამდე). თბილისი, 2016, გვ. 297–302.

მკითხველისათვის (და არა მარტო ფართო მკითხველისათვის) რთული ხდება კოლექტიური მეხსიერებისათვის მისაღები ერთი სახის გამოძენვა. ეს გაურკვევლობა განსაკუთრებით თავს იჩენს სამეცნიერო-პოპულარულ საცნობარო ლიტერატურაში.<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის შესახებ უცხოენოვანი ნაშრომებიც ამ ვითარებას არეკლავს: არჩილი ან სრულიად არ, ან ორი სიტყვით, ან მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მოიხსენიება.<sup>6</sup>

ამ მეფეს წინამდებარე წიგნში ვეხები იმიტომ, რომ, როგორც ირკვევა, ისიც ხოსროვანი და მირიანის შთამომავალი იყო, კერძოდ, მირიანის ძის რევის ძე.

მეფე არჩილზე თხრობას დავინცია „მოქცევად ქართლისაა“ ინფორმაციის ანალიზით. აქაც გავიმეორებ, რომ წყაროთმ-ცოდნეობითი თვალსაზრისით ეს ძეგლი უაღრესად ღირებულად მიმართავის ანალიზის ანალიზის უზენაეს ხელისუფალთა რიგს. მისი ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაკლი (ვგულისხმობ, როცა მას როგორც წყაროს მივმართავთ და არა როგორც საისტორიო მწერლობის ნიმუშს), ისაა, რომ ხშირად ინფორმაცია ამა თუ იმ ხელისუფალზე, უაღრესად მოკლეა. ამის გამო „მოქცევად ქართლისაა“ უმეტეს შემთხვევებში ჩვენს ინტერესს უფრო აღვივებს, ვიდრე აქმაყოფილებს. ეპოქის სურათის აღსადგენად აუცილებელი ხდება დამატებითი მონაცემების მოძიება. თუმც „მოქცევად ქართლისაა“ მნიშვნელობა მაინც განუზომლად დიდი რჩება: გარდასული სინამდვილის ამსახველ, ხშირად ქაოტიურ, მონაცემებში გასარკვევად.

- 5 მაგალითისათვის იხ. ენციკლოპედიურ-საცნობარო წიგნი „საქართველოს მეფეები“ (რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, 2000), გვ. 39.
- 6 ქრონოლოგიურად შესაბამის ადგილს (და საერთოდაც) არ იხსენიება არჩილ მეფე, მაგალითად, რ. სუნისთან (R. G. Suny. *The Making of the Georgian Nation. Second edition*, Indiana University Press, გვ. 22-23) ორიოდე სიტყვით იხსენიება დ. რეიფილდთან (D. Rayfield. *Edge of Empires. A History of Georgia*. Reaktion books, 2012, გვ. 42.); კ. თუმანოვი და ს. რაპი, მართალია, წარმოადგენი მოკლე რეპრეზენტაციებს, მაგრამ მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით (C. Toumanoff. *Chronology of the Early Kings of Iberia, Tradition*, 1969. vol. 25 გვ. 27; S. H. Rapp, Jr. *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium and the Architects of the Written Georgian Past*. vol. 1. A dissertation submitted in a partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (history). At the University of Michigan, 1997, გვ. 400-401).

აი, როგორაა წარმოდგენილი არჩილის ზეობა ამ წყაროში:

„და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბალდადს და მუნ მოკუდა. და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ, და მთავარ ებისკოპოსი იყო იონა. და მაშინ დაეცა ქუემო ეკლესია. და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა-წარმოილო. და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდა აღაშენეს არაგუსა ზედა. და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა. და მისვე არჩილის ზე ოთხნი მთავარ ებისკოპოსი გარდაიცვალნეს. და მერმე მეფობდა მირდატ. და მთავარ ებისკოპოსი იყო გლოონქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“ (შატბერდული რედაქცია).<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, ძალიან ნიშანდობლივი ფაქტების შემცველი რეპრეზენტაციაა. საკმაოდ დამთრგუნველი სურათია დახატული. მხოლოდ ნეგატიური ინფორმაცია. ერთადერთი პოზიტივი წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობაა. ამ, მართლაც, ძალიან გამორჩეულ მოვლენას ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავ.

„მოქცევაზ ქართლისადმი“ მითითებული არაა არჩილის ბიოგრაფიის აღსაწერად ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემი, თუნდაც, მაგალითად, არაა განმარტებული ვინ იყო არჩილი მისი წინამორბედი მეფე მირდატისათვის, რომლის მეფობა, როგორც ეს წინა თავში „მოქცევაზ ქართლისადს“ ისტორიული ქრონიკიდან მოყვანილი ამონარიდიით ჩანს, მტრის კარზე შეწყვეტილა; ან ვინ არის არჩილისათვის მისი მომდევნო მეფე მირდატი.

ინფორმაციის შევსების საშუალებას გვაძლევს ზემოთ უკვე ნახსენები, ასევე ძალიან ღირებული წყარო. ესაა პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება.“ აქ მოხსენიებულია მეფე არჩილი (არსილიოსი), რომელიც, ჰაგიოგრაფის<sup>8</sup> მითითებით

7 ძეგლები, I, გვ. 92.

8 ამ ჰაგიოგრაფს ზოგი მკვლევარი, მაგალითად, კ. ჰორნი, მიმნევს იოანე რუფუსად. იხ. C. B. Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian*. Oxford University Press, 2006; John Rufus: *The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated with an Introduction and Notes by C. B. Horn and R. R. Phenix (Society of Biblical lit-

ყოფილა პეტრეს პაპის ძმა დედის ხაზით; კვლავ ამ წყაროს მითითებით ის ტახტზე ღრმადმოხუცებული ასულა იბერიაში გავრცელებული მეფეთმონაცვლეობის წესის თანახმად და ქვეყანას პეტრეს მამასთან ერთად განაგებდა თურმე.<sup>9</sup>

აშკარაა, რომ „მოქცევად ქართლისაში“ მითითებული არჩილი და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ არჩილი ერთი და იგივე პიროვნებაა. ქართლის სხვა მეფეს სახელი არჩილი არ რქმევია ზემოთ ხსენებულ არაბთა შემოსევების დროს მონამეობრივად აღსრულებულ არჩილამდე.

ასე რომ, იგივეობა ეჭვს არ იწვევს და ამ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში დაფიქსირებული ფაქტები შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ „მოქცევად ქართლისას“ მონაცემების შესავსებად: რახან არჩილი ყოფილა ჰაგიოგრაფის მიერ პეტრეს პაპად მიჩნეული ბაკურის („მიჩნეულს“ ვამბობ იმიტომ, რომ როგორც გაირკვა, პეტრეს ალალი პაპა თრდატ რევის ძე იყო) ძმა და ეს ბაკური, როგორც აგრეთვე, წინა თავში გავარკვიეთ, იგივე „მოქცევად ქართლისას“ ისტორიულ ქრონიკაში დასახელებული მეფე ბაკურ რევის ძეა, შესაბამისად, არჩილიც გამოდის მირიანის შვილიშვილი და რევის ძე.

პეტრე იბერი თავის ბიოგრაფს, რომელიც მისი მონაცეცი იყო, ბევრს ესაუბრებოდა საკუთარ ახლობლებზე. განსაკუთრებით ვრცელია ინფორმაცია სწორედ არჩილზე:

დიდ ბაკურიოსს ცხონებული პეტრეს პაპას დედის მხრით ჰყავდა ძმა, ცხონებული არსილიოსი. მან ბაკურიოსთან და ბოზმარიოსთან ერთად ღრმად მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთ მონაცვლეობის წესისა, იმედა იბერიაში, დაასრულა თავისი ცხოვრება უმანქოებაში და ღვთისნიერობაში.<sup>10</sup>

erature, Atlanta, 2008. ატრიბუციის საჩვენებლად მოხმობილი არგუმენტები ვერ მარწმუნებს. ამიტომ პეტრე იბერის ასურულენოვანი ტექსტის ავტორს, როგორც ანონიმს, ისე მოვიხსენიებ.

9 გეორგია. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურიოთ ს. ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1965, (შემდეგ: გეორგია, II), გვ. 249.

10 გეორგია, II, გვ. 249.

... მისი (ბაკურიოსის – მ.ჩ.) ღვიძლი ძმა არსილიოსი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ის მოხუცებული იყო და უმანკოებრივ მეფობდა იბერიაში ბოზმარიოსთან ერთად, პეტრეს მამასთან, რომელსაც – პეტრეს – ნაბარნუგიოსიც ერქვა, და როდესაც ამ ქვეყნის ნარჩინებულებმა მუდარით სთხოვეს შვილების გაჩერისა და სამეფო გვარის განგრძობის გულისათვის ექორნინა და მას ამ მიზნით მოჰევარეს ერთი ქალი სამეფო გვარისა, – მიუხედავად ამისა, მაინც ქალწულებრივი დარჩა ამ ქალის მიმართ. მაგრამ, როდესაც მან შეიტყო, რომ მას (ამ ქალს) რაღაც სამარცხვინო ჩაედინა, ხოლო ის, მისგან რბილად გაკიცხული, უარყოფდა (თავის დანაშაულს), მან მაინც უცბად წაასწორო ამ ბოროტმოქმედს და ასე უთხრა: „(უმადლოდე) ფილოსოფიის უმანკოებას და დიდ სირბილეს! მიჩუქებია შენი სიცოცხლე და შენი სისხლი. აპა, სამგზავრო ფულიც და საგზალიც; გამზორდი ახლავე და დასტოვე ეს ქვეყანა, რათა რაიმე უბედურება არ შეგემთხვიოს და შენი სისხლი არ მომეთვალოს.“ და როდესაც მან ამნაირად გაუშვა იგი, მერე მიმართა თავის ცოლს: „ამ შენი საქციელის გამო მე არ გაგეყრები, მაგრამ უფრო მეტად გავამასხარავებ შენს სამარცხვინო საქმეს. მე მივენდობი ღვთის ძეს, რომლის კანონი შენ შეურაცხჲყავ და მისი მეოხებით შენი სასირცხო ასო ჭიანჭველების ბუდე გახდება, და ასე გაიხრწნება შენი სხეული“, და მაშინვე აღსრულდა იმ უმანკო კაცის წყევლა: რადგან ქალის ქვედა სხეული ჭიანჭველების გამო დალპა, მისი სიცოცხლეც და მისი სხეულიც ტკივილებისაგან მოსპობის გზას დაადგა. ისიც იმნაირად, რომ ის ცარიელ ძვლებად და ტყავად იქცა. მაგრამ იმ სამართლიანი (მსაჯულის) რუდუნებამ კვლავ გაანთავისუფლა (ის ქალი) წყევლისაგან: ღვთაებრივი მათრახით გაშოლტილმა, როგორც კი აღიარა თავისი დანაშაულებრივი საქციელი, ნამდვილი სინანული იგრძნო. ის მწარედ ოხრავდა და იმ ზომამდე მივიდა მისი სინანული და გულის აყრა, რომ იგი საჯაროდ დავარდა ეკლესიის კარიბჭესთან, ყველა გამვლელის წინაშე თავის ცოდვას აღიარებდა და ყველას ემუ-

დარებოდა, ფეხებით გაეთელათ ის და თავის თავს უწოდებდა ნამუსახდილ მეძავსა და მემრუშეს, ღმერთის მტერსა და ადამიანთა სირცხვილს. ამიტომაც იწვევდა ის ყველა ადამიანში პატიებას, ცრემლს და თანაგრძნობას. და რადგან მთელი ხალხი საერთო მარხვას მისდევდა და ეკლესიისაგანაც უგულითადესი ვედრება იყო, რუდუნებით, ცრემლებითა და ოხვრით ამ ქალის გულისათვის, ის განიკურნა წვალებისაგან და ამიტომ ის სათნოიანი გარდაქმნისა და ასკეტური ცხოვრების მეშვეობით ისეთი წმინდა შეიქმნა, რომ ის ყოველი კაცი-სათვის გახდა ნიმუში და საბუთი მოწყალეობისა და სისაცი-სა. თვით არჩილმა კი თავისი ვაჟეაცური ქცევის წყალობით იმ ზომამდე მოიპოვა წყალობა და საამო მინდობა ლვთისადმი, რომ ის თავის ლოცვათა გზით სასწაულებს ახდენდა, როგორც ჩვენი ცხონებული მამა გვარწმუნებდა და შეუმცდა-რად ამტკიცებდა. ხოლო როდესაც ის იძერიაში ბატონობდა და ცხონებული პეტრეს შესახებ შეიტყო, რომ მან ამ ქვეყანას პირი შეაბრუნა, წმინდა ქალაქში ცხოვრობს და იქ მონაზონის ასკეტურ ცხოვრებაში დახელოვნობს (ლვთის შემწეობით ასე გავარდება ხმა და ცნობას მოიტანს), გაუგზავნა მას შემდეგი მიწერილობა: „ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელ-საც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში – როგორც შენ გვყავხარ, ამიტომ გთხოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების წყალობით ვპოვო მოწყალეობა“. რადგან ბევრ წარჩინებულს ამა ქვეყნისას, ამ უზრუნველებსა და სიამოვნებათა მაძებართ, ჩვეულებად პქონდათ მიეწვიათ თავისთან მაშრიბი და მუტრიბი, ამა სოფლის ეს ნაძირალები (არარაობანი – ს. ყ.). რათა ემღერათ, ემღერათ სიამოვნებისა და წარმავალი განცხრომის მოსაგვრელად, მან დაიქირავა, როგორც ეს ქნა დავით მეფემ, წმინდა გალობათა მომღერალნი, რომელნიც პურის ჭამის დროს და ყოველ დროს ლვთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ასე რომ, მისი სასახლე არაფრით განსხვავდებოდა ეკლესიისაგან“.<sup>11</sup>

წყარო კარგად აჩვენებს რაგვარად ასკეტური განწყო-

11 გეორგიკა, II, გვ. 251-252.

ბილების ადამიანი იყო არჩილი. ასეთი მმართველის იდეალი, როგორიც იყო არჩილი, იმდროინდელ საქრისტიანოში, როგორც ითქვა, არსებობდა. არჩილის შესახებ ჰაგიოგრაფი მიუთითებს, რომ არჩილმა მეფის სასახლე დაამსგავსა ეკლესიას. ზუსტად ასევე წერენ ბიზანტიის სამეფო ოჯახის წევრების შესახებაც ძველი ავტორები. მაგალითად, იგივე აზრია გამოთქმული ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი მცირეს უფროსი დის პულქერიას ცხოვრების სტილის შესახებაც.<sup>12</sup> ანუ იმის თქმა მინდა, რომ გვიანანტიკური ეპოქის მაღალი წრების ქრისტიანულს შორის ოჯახისადმი ამგვარი დამოკიდებულება ნორმა არა, მაგრამ საკმაოდ მიღებული იდეალი იყო. იყვნენ დიდგვაროვანი მორწმუნები, რომელთაც არც ქონების დათმობა უჭირდათ საეკლესიო ცხოვრებისათვის და არც ხელი-სუფლების. გვიანანტიკური ქართლი, როგორც საქრისტიანოს განუყოფელი ნაწილი, ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ყოველ შემთხვევაში, ამას იზიარებდა მისი არისტოკრატიის ნაწილი. ამიტომ არჩილის ასკეტიზმი მარტო პიროვნული მიდრეკილებების გამოხატულება არ მგონა, არამედ იმ ზოგად-ქრისტიანული კულტურისაც, რომლის მონაწილე არჩილი იყო. უმნიშვნელო როდი უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში არჩილის მამის ანუ რევის მაგალითიც.

როგორც უკვე ითქვა, პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ ავტორის მითითებით, იბერიაში მოქმედი მეფეთმონაცვლეობის წესი იყო მოხუცებულობაში არჩილის გამეფების მიზეზი. ეს არის თავად ჰაგიოგრაფის ლოგიკური დასკვნა დაფუძნებული მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ტახტზე მეფების უცნაური წესით მონაცვლეობის გათვალისწინებაზე. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს მეფეთმონაცვლეობის წესი კი არა, ტახტის მემკვიდრის არყოლით გამოწვეული კრიზისის გამოხატულება იყო. მეფეთმონაცვლეობა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მამიდან შვილზე კი არ გადადის, არამედ მოივლის გვარის ყველა მამაკაც

12 ამაზე ყურადღებას ამახვილებს კ. ჰორნი სოკრატეზე დაყრდნობით. იხ. C. B. Horn. Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian, გვ. 64.

წევრს უფროს-უმცროსობის მიხედვით: ჯერ გამეფდებიან ერთი თაობის წარმომადგენლები ასაკის გათვალისწინებით, მერე შემ-დგომი თაობის წარმომადგენლები, ისევე ასაკობრივი რიგის მიხედვით. ამ წესთან რომ გვქონდეს საქმე, არჩილ რევის ძე თრდატ რევის ძის შემდგომ ანუ ორი უფროსი ძმის შემდგომ უნდა გამეფებულიყო. სინამდვილეში კი რას ვხედავთ: არჩილი გამეფდა არა მარტო ორი უფროსი ძმის, არამედ მისი ძმიშვილის ქმრის, ძმიშვილის და ორი დისშვილის შემდეგ ანუ თაობით მასზე უმცროსების და ქალის შთამომავლების შემდეგ. აშკარაა, არჩილი არ აპირებდა მეფობას, არც ოჯახის წევრები მიიჩნევდნენ მას ამისათვის შესაფერისად. როცა ოჯახის ყველა მამაკაცი წევრი გარდაიცვალა და ერთადერთი მემკვიდრე, ჯერ მცირენლოვანი მურვანოსი, ბიზანტიაში იმყოფებოდა, აი, მაშინ უნდა დასმულიყო არჩილის გამეფების საკითხი.

ამგვარად, ღრმად მოხუცებულობაში ტახტზე არჩილის ასვლა იმას ნიშნავს, რომ მას თავიდან განზრახული არც ჰქონია გამეფება. უბრალოდ გარკვეულ ვითარებაში მოუწია ეს ნაბიჯი გადაედგა, ისევე როგორც იძულებით დათანხმდა ცოლის მოყვანას.

ადრე წარმოდგენილი მსჯელობით გაირკვა, რომ არჩილი რევის ძეა და, შესაბამისად, მისი წინამორბედი მირდატი მისი მამა არ არის. მაგრამ უკანასკნელად წარმოდგენილი მასალის მიხედვით ჩვენთვის ცხადი ხდება ისიც, რომ არჩილი არ შეიძლება იყოს მისი მომდევნო მეფის ანუ მირდატის მამა: არჩილს ხომ საკუთარ ცოლთანაც არ ჰქონია ინტიმური ურთიერთობა და, როგორც ჰავიოგრაფი ხაზს უსვამს, არჩილი მასთან „ქალწულებრივი“ დარჩა.

მაშინ, ვინ არის არჩილის მომდევნო მირდატ მეფე არჩილისათვის?

ვიდრე ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, მანამდე დარჩა გადასაჭრელი ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროა, რომ გაირკვეს: ეს არის არჩილის ის პორტრეტი, რომელიც წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“.

„ქართლის ცხოვრებაში“ დახატული არჩილის პორტრე-

ტი და ზემოთ რეპრეზენტირებული პორტრეტი ერთმანეთი-საგან განსხვავდება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არჩი-ლი სპარსელების წინააღმდეგ მოუღალავი მებრძოლია, მას მეუღლისაგან ჰყავს შვილი ანუ არჩილის მომდევნო მირდატი არჩილის შვილია:

ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ნათესავი ივბი-მიანოს მეფისა, სახელით მარიამ, და განაცხადა მტერობა სპარსთა; გამოაჩინნა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი, მოს-რნა და განსხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და წარმძღვანებ-ითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა. მაშინ ერისთავი სპარსთა მეფისა რომელი ერისთაობდა რანს და მოვაკანს, ვიდრე არჩილის მეფობამდე მისისივე გასაგებელი იყო ქართ-ლი. მან შეკრიბა სპა რანისა და მოვაკანისა და ადარბადა-განისა, და მომართა არჩილს, ხოლო არჩილ, სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, მიეგება საზღვართა ზედა ქართლი-სათა და რანისათა, ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერძუჯისა-სა, და ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა მოსრნა და ტყუე-ყვ-ნა; შევიდა რანს, მოტყუენა და მოვიდა შინა გამარჯუებული. განავლინა ქადაგი ყოველსა შინა ქართლსა და რქუა ყოველ-თა: „არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმწნითა, არცა სიბრძნი-თა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუარითა უფლისასა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმ-რთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღურად და საჭურვე-ლად ჯუარი მისი პატიოსანი. ან ყოველთა ქართველთა ადი-დეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებული ყოვლისა. შეწირეთ მადლობა და მტკიცემცა არიან გულნი თქუენი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა. და ყოვ-ელთა ქართველთა შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ, და განაახლნეს ეკლესიანი. მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლე-სია სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვსასა, სადა იყვნენ კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მასვე აღე-შენნეს. ესუა ძე არჩილს, და ეწოდა სახელი მისი მირდატ.<sup>13</sup>

13 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 140. ხაზი ჩემია. წინა თავში, როცა ვსუბრობდი არჩ-

როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან ეს ორი სახე? თითქოს ეს შეუძლებელია. მაშინ ვენდოთ ერთ-ერთს, მაგრამ რომელს? არჩევანის გაკეთებაც შეუძლებელია. იქნებ სხვადასხვა პიროვნებას ეხება სიტყვა? ესეც გამორიცხულია: როგორც უკვე აღვნიშნე, რომ „მოქცევად ქართლისად“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ არჩილ მეფე ერთიდაიგივე პირია იმიტომ, რომ სხვა ქართლის მეფე ამ სახელით ამ პერიოდში ცნობილი არაა. „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებითაც იგივე უნდა გავიმეორო. ამის დამატებით უნდა ვთქვა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს ცნობა სტეფანწმინდას მცხეთაში მშენებლობის შესახებ. ეს კი ექსკლუზიურად არჩილის I-ის ზეობის დამახასიათებელი ფაქტია, მისი ეპოქის „სავიზიტო ბარათია“. ასე რომ, „ნყალი არ გაუვა“, „ქართლის ცხოვრების“, „მოქცევად ქართლისად“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „არჩილების“ იგივეობას.

აღნიშნული ვითარება, მართლაც, დილემად წარმოდგებოდა (ცხადია, შეუძლებელია ადამიანი ერთდროულად ასკეტიც იყოს და არც იყოს), რომ არა ერთი დეტალი, რომელსაც არჩილის მეფობასთან დაკავშირებით გვაწვდის პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“. ეს არის ცნობა იმის თაობაზე, რომ არჩილი იბერიას მართავდა პეტრეს მამასთან ერთად. მართალია, არჩილის თანამმართველი არც „მოქცევად ქართლისადში“ და არც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არაა, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს მის მყოფობას სამეფო კარზე. აღნიშნული თხზულებები ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის ძეგლებია. ამიტომ მათში აისახება მხოლოდ ოფიციალური ვითარება. პეტრეს ბიოგრაფიის მიზანი კი სხვაა, ის ცდილობს აღნუსხოს ყველაფერი, რაც პეტრეს უკავ-

---

ილის წინამორბედი მირდატის შესახებ, ვივარაუდე, რომ ამ მეფის წაადრევი გარდაცვალების შემდგომ ქართლში ერთხანს კვლავ უმეფობა უნდა დამყარებულიყო, რაც არსებითად ირანელია უშუალო გამგებლობას ანუ სპარსთა ერისთავის (პიტაზმის) გამგებლობას ნიშნავდა. პიტიაში უკვე ხსენებული ბარზაბილი უნდა ყოფილიყო. ზემოთ ხაზგასმული ცნობით ეს ვარაუდე პირდაპირ დასტურდება. აზრი რომ უფრო ნათლად გამოკვეთილიყო, ტექსტში გამომცემლის მიერ დასმული მძიმე მოვალე სიტყვებს „მეფობამდე“ და „მისასაცვე“ შორის. აქ ცხადად ჩანს, რომ არჩილის მეფობამდე სპარსთა მეფის პიტიაში განაგებდა ქართლს, ისევე როგორც განაგებდა რანს და მოვაკანს.

შირდება, ამიტომ მისთვის უმნიშვნელოა როდია, ყურადღება გაგვამახვილებინოს, რომ არჩილთან ერთად პეტრეს მამა თანამმართველობდა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს მამა ანუ ვარაზ-ბაკური/ასფაგური ამ დროს მეფე არ იყო, ჰაგიოგრაფისათვის მთავარი სწორედაც ხელისუფლებაში მისი მმართველობის აღნიშვნაა. ამგვარად, ვარაზ-ბაკურ ასფაგურის ბიოგრაფიის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ვლინდება: IV საუკუნის მიწურულს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ვარაზ ბაკური/ასფაგური დაბრუნებია სამეფო აპარტამენტებს, ამჯერად უკვე როგორც არჩილ რევის ძის თანამოლვანე. დ. მუსხელიშვილი ამ ფაქტს განმარტავს, როგორც ქართლის დაყოფის დროინდელ ორმეფობას და თვლის, რომ, ამგვარად, ორმეფობა ნარჩუნდებოდა მეფე არჩილის დრომდეც.<sup>14</sup> ეს არ არის ამ ცნობის მართებული ინტერპრეტაცია. როგორც ზემოთ ითქვა, ორმეფობა, რაც ნიშნავდა ქართლის დაყოფას არმაზისა და მცხეთის ქართლად, ბიზანტიისა და ირანის ქართლად, დასრულდა ბაკურ თრდატის ძის დროს, როცა ბაკური „იმიერ განვიდა“.

ვარაზ-ბაკური/ასფაგური სავრომაკ/საურმაგს უპირისპირდებოდა და ქართლის ორად გაყოფა ამან გამოიწვია. არჩილთან ის თანამშრომლობდა და თანამმართველობდა აშეკარად იმ მიზეზით, რომ თავად არჩილს მეფობის უნარი არ გააჩნდა და არც საკუთარი მემკვიდრე ჰყავდა. მურვანოსის დაბადების შემდეგ (მეხუთე საუკუნის ათიანი წლების დასასწისში) ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა დაკარგული პოლიტიკური წონა დაიბრუნა: ის ტახტის მემკვიდრის მამა გახდა: მურვანოსი, როგორც ხოსროვანს დედის ხაზით, ეკუთვნოდა ტახტი იმ ვითარებაში, როცა სხვა აღარავინ იყო დარჩენილი. არჩილი გახლდათ უკანასკნელი ხოსროვანი მამის ხაზით და მას მემკვიდრე არ ჰყავდა და ვერც ეყოლებოდა. აი, ამ ფაქტების ფონზე უნდა გავიაზროთ, არჩილისა და ვარაზ-ბაკურის/ასფაგურის თანამეფობა. ვიმეორებ, ეს არ იყო ორმეფობა იმგვარი, როგორ-საც ადგილი ჰქონდა სავრომაკ/საურმაგისა და ვარაზ-ბაკურ/

14 იხ. დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 70-71.

ასფაგურის დროს ან თუნდაც ბევრად ადრე, ფარსმან ავაზისა და ფარსმან ქველის დროს.<sup>15</sup>

მეხუთე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის უფლისწული მურვანოსი მძევლად გაიგზავნა პიზანტიაში. მძევლობა რომელიმე იმპერიის კარზე აუცილებელი წინაპირობა ჩანს ამ დროს მეფედ გასახდომად ქართველი უფლისწულები-სათვის. ანუ მურვანოსა, აშკარად სამეფოდ ამზადებდნენ. მამა და პაპა (უფრო ზუსტად, პაპის ძმა), ამ დროისათვის ორივენი უეჭველად ასაკოვანნი, <sup>16</sup> ელოდებოდნენ მის დაბრუნებას.

ეს განსჯა გვახვედრებს რას უნდა ნიშნავდეს „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი პორტრეტი: ეს არსებითად არჩილის თანამმართველის ანუ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის მოღვაწეობის ასახვა უნდა იყოს. მას არჩილთან ერთად სწორედ იმიტომ უნდა ემოღვაწა, რომ მისგან განსხვავებული, აქტიური პრატიკული ქმედების უნარის მქონე კაცი იყო. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნერილ სპარსელთა წინააღმდეგ არჩილის მიერ წარმოებულ ბრძოლებს, ჩანს, პეტრეს მამა აწარმოებდა არჩილის სახელით. გვიანდელ ქართველ მემატიანეს, რომელსაც სათანადოდ, არ აქვს გააზრებული თანამმართველის როლი (ან ფიქრობს, რომ ამ არაორდინარული ვითარების აღნერა დააბნევს მის მკითხველს) აღნიშნული აქტივობა მარტო არჩილი-სათვის აქვს მიწერილი.

როგორც აჩვენა შემდგომმა მოვლენებმა, არჩილის ტახტზე ასვლით ხოსროვანთა სახლის პრობლემა დაკავშირებული მომავალ ტახტის მემკვიდრესთან, ვერ გადაწყდა. მოხდა

15 მეფეთა შესახებ დამატებითი ონფრორმაციისათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი. სახეები საქართველოს წარსულიდან, თბილისი, უნივერსალი, 2009, გვ. 17-51.

16 არჩილი, როგორც ჩანს, რევილების შორის ყველაზე უმცროსი გახლდათ, მაგრამ V საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის ის მაინც საკმაოდ მოხუცებული უნდა ყოფილიყო, როგორც მიუჰთითებს კედეც წყარო. რაც შეეხება ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს, მას პირველად წყაროებში ვხედავთ IV საუკუნის სამოციანი წლების მიწურულისათვის. ამ დროს ის, სავარაუდოდ, ჭაბუკა. V საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის, ის არჩილზე ახალგაზრდა, გაგრად მიანც საკმაოდ მირქმულ ასაკში იქნებოდა. პეტრე იბერის ქართულენოვანი „ცხოვრება“ ხომ ხაზგასმია მიუთითებს, რომ პეტრე ვარაზ-ბაკურს გვინან შეეძინა. რაც შეეხება მის მეულე ბაკურდუხტიას, ის ქორწინების (ალბათ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, დწინდფვის) დროისათვის ანუ IV საუკუნის 60-იანი წლების მიწურულის, სულ ჩვილი უნდა ყოფილიყო, რომ V საუკუნის 10-იანი წლებისათვის შევილის შობა შეძლებოდა.

გაუთვალისწინებელი რამ: მურვანოსი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო აპარტამენტებიდან გაიპარა და პალესტინაში პეტრეს სახელით ბერად აღიკვეცა. ამგვარად, ტახტზე დარჩა არჩილი, რომელსაც შვილი ველარ ეყოლებოდა და ვარაზ-ბაკური, რომელსაც ხოსროვანი მეუღლისაგან ასევე ველარ ეყოლებოდა შვილი თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც, მურვანოსი ძლივს შეეძინა უფლისადმი ბევრი ვედრების შემდეგ უკვე ასაკოვან წყვილს.

ახლა დავუბრუნდეთ კითხვას იმის შესახებ თუ ვინ არის არჩილის მომდევნო მირდატ მეფე არჩილისათვის?

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არჩილის ძე იყო მირდატი, ხოლო ამ მირდატის ძე ვახტანგ გორგასალია: „და ესუა ძე არჩილს, და უნოდა მირდატ“.<sup>17</sup>

და კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მირდატ მეფე და დედოფალი საგდუხტ, რათა მისცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა მიუდგა საგდუხტ და შვა ძე უნოდა სპარსულად სახელი მისა ვარან ხუასრო თანგ, ხოლო ქართულად ენოდა ვახტანგ.<sup>18</sup>

„მოქცევაზ ქართლისადშიც“ არჩილის მერე მირდატია დასახელებული, მაგრამ მათ შორის ნათესაური კავშირის შესახებ არაფერია თქმული: „და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ და მთავარებისკოპოსი იყო იონა.“<sup>19</sup> ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს პირდაპირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მირდატი არჩილის შვილია, „მოქცევაზ ქართლისადში“ ეს ფაქტი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ არც უარყოფილია.

როგორც ვხედავთ, ვითარება შემდეგია: ერთ-ერთ წყაროში არაფერია ნათქვამი არჩილისა და მირდატის ურთიერთმიმართების შესახებ, მეორეში მირდატი არჩილის შვილად არის დასახელებული, მაგრამ მესამე წყაროთი დანამდვილებით ვიცით, რომ არჩილს შვილი არ ჰყოლია. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: არჩილის მომდევნო მეფე მირდატი უნდა

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 140.

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ 143.

19 ძეგლები, I, გვ. 92.

იყოს არჩილის შვილობილი. ეტყობა საქმე გვაქვს ხოსროვანებსა და ერთ-ერთი დაწინაურებულ ქართულ საგვარეულოს შორის გაფორმებულ სოციალურ კონტრაქტთან, რომელიც გულისხმობდა ხოსროვანთა ოჯახში ამ საგვარეულოს შემოყვანას, ანუ თვისობას.<sup>20</sup> ასე გააზრების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრება“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“ ერთმანეთს არც ეწინააღმდეგება: შვილსა და შვილობილს შორის ტოლობის ნიშანი ისმოდა ძველ სამყაროში.

ვიდრე შემდგომ მსჯელობაზე გადავიდოდე, მინდა ამ საკითხზე ოდნავ მეტი ინფორმაცია მივაწოდო მკითხველს, რომ ნათლად დაინახოს, რაოდენ ლოგიკურია მირდატის არჩილის შვილობილად მიჩნევა.

როგორც ძველ აღმოსავლეთში, ასევე, ძველ საბერძნეთსა და რომში შვილად აყვანა იყო სოციალური კონტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. ის კანონმდებლობით კარგად იყო რეგულირებული. სხვადასხვა შემთხვევაში მიმართავდნენ შვილად აყვანას. რომში განსაკუთრებულად გავრცელებული იყო შვილად აყვანა ოჯახის მემკვიდრული ხაზის გაგრძელების მიზნით. იმპერატორები ძალიან ხშირად შვილობდნენ თავიანთ მემკვიდრეებს. ამით ხელისუფლების გადაცემა უმტკივნეულოდ ხდებოდა. შვილად აყვანა წარჩინებულთა გვარებს შორის დააბულობას ფაქტობრივად სპობდა. წაშვილებს იგივე უფლებები ჰქონდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც ბუნებრივ შვილს ექნებოდა. და მეტიც: წაშვილები უფროს შვილად ითვლებოდა. თუ შვილად აყვანის შემდეგ წყვილს შვილები გაუჩნდებოდა, წაშვილები მაინც თავის პრიორიტეტულ პოზიციას ინარჩუნებდა. შვილად აყვანა შეეძლო არა მარტო წყვილს, არამედ მარტოხელა ადამიანსაც (ქორწინებაში არმყოფ საერო პირს, მონაზონს, საჭურისს) სხვადასხვაგვარი მოტივაციით. ხშირი იყო სწორედ მემკვიდრეობის და პოზიციის გადაცემის მიზნით შვილობა. ეს საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენდა უშვილოებისათვის და ბევრი შვილის მყოლთათვისაც. შვილად აყვანის ფაქტი არც სამარცხვინოდ ითვლებოდა, არც იმაღლებოდა. ისეთივე

20 „თვისობის“ სოციალური არსის შესახებ იხ. გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, 1979.

გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სოციალური კონტრაქტისა, როგორც ქორნინება. რომის იმპერატორების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი წინამორბედის შვილობილი იყო. მოკლედ, ძალიან მრავალრიცხოვან ლიტერატურაში ეს საკითხი კარგად არის გაშუქებული.<sup>21</sup> ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ პრაქტიკის არსებობა ვივარაუდოთ ძველ საქართველოშიც. მაგრამ არა მარტო ვივარაუდოთ, შეგვიძლია დავასახელოთ კონკრეტული მაგალითებიც: დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის შემთხვევა მემკვიდრეობის დატოვების მიზნით სწორედ შვილობის მაგალითს წარმოადგენს:

ვითა შეიქცა (დავით კურაპალატი – მ. ჩ.) მუნით გარე, დაუტევა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას უამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა თესითა უსრულ, ამისთვის თანაგამგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ. შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწენე. ამას დაემორჩილეთ ყოველნი.<sup>22</sup>

#### და კიდევ:

და ვითარცა ვთქუ პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოება ტაოსა.<sup>23</sup>

21 Adoption in ancient Rome. [http://en.wikipedia.org/w/index.php?title=Special:Book&bookcmd=download&collection\\_id=49c76475177e01bb8e550ea8e69916bd914ec07e&writer=rdf2latex&return\\_to=Adoption+in+ancient+Rome](http://en.wikipedia.org/w/index.php?title=Special:Book&bookcmd=download&collection_id=49c76475177e01bb8e550ea8e69916bd914ec07e&writer=rdf2latex&return_to=Adoption+in+ancient+Rome);

Dr. Robert Paulissian. Adoption in Ancient Assyria and Babylonia. <http://www.jaas.org/edocs/v13n2/Paulissian.pdf>;

Baina David King. Adoption in New Testament Times. A Senior Thesis submitted in partial fulfillment of the requirements for graduation in the Honors Program Liberty University Spring Semester 2005. James M. Scott. Adoption as Sons of God. An exegetical investigation into the background huiosthesia in the Pauline corpus. Tübingen. Mohr. 1992.

22 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 274. .

23 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 275. ა. შედარებით ნაკლებად ცნობილი მაგალითი ”ქართლის ცხოვრებიდან”: ”მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილიშული მისი მირვან”, გვ. 87. სიტყვა შეეხება ფარნავაზის ძე საურმაგს, რომელსაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა და ამიტომ ცოლის ნათესავი ”დაიჭირა შვილად”

განსხვავებული კონტექსტია, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა ჩვენი კვლევისათვის ვახტანგ გორგასლისა და მისი დის აღზრდა ქართლის სამეფოს უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე და, ცხადია, ამავე დროს, ძლიერი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენელთა მიერ:

მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლთა აღიზარდიან.<sup>24</sup>

### შდრო::

შემდგომად ამისა, მეექუსესა წელსა, შუა საგლუხტ ასული სხუა, და მოითხოვა იგი საზრდელად სპასალარმან კასპისა-მან, და მისცა იგი მეფემან და წაიყუანა იგი ქალაქსა კასპისა-სა და იზარდებოდა მუნ.<sup>25</sup>

ამგვარად, სხვის კარზე შვილად აღზრდა სავსებით მიღებული იყო საქართველოშიც. მითუმეტეს, მიღებული იქნებოდა ამ ტიპის სოციალური კონტრაქტი ისეთ ვითარებაში, როცა დინასტიას გადაშენება დაემუქრა. ასე რომ, პეტრეს მიერ ტახტზე უარის თქმის შემდგომ<sup>26</sup> პრობლემის სრულიად ლოგიკური გადაწყვეტა იქნებოდა, უშვილო არჩილს თავისი მემკვიდრე ეშვილა. ამიტომაა, რომ მირდატს წყაროში არჩილის შვილი ჰქვია: შვილობილსა და შვილს შორის, უკვე ითქვა, ტოლობის ნიშანი ისმოდა მემკვიდრეობის გადაცემის თვალსაზრისით. ამგვარ სოციალურ კონტრაქტში, ცხადია, ორივე მხარე იქნებოდა დაინტერესებული. ხოსროვანებს მემკვიდრე არ ჰყავდათ, ხოლო იმ საგვარეულოს წარმომადგენელს, რომლიდანაც აყვანილი იქნა არჩილის მემკვიდრე, მხოლოდ ხოსროვანობის ოჯახის წევრად გახდომის გზით შეეძლო ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა. ვახტანგის მამა მირდატი, ასე ვთქვათ, პირველი „ხელოვნური“ ხოსროვანი იყო.

24 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 143.

25 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 143.

26 პეტრე იბერი რომ მეფობის პატივს გაექცა, ეს კარგად არის ნაჩვენები მის ზემოხენებულ ჰაგიობიოგრაფიაში.

„ხელოვნური ხოსროვანობის“ შესახებ ჩემი აზრის სისწორის საჩვენებლად, ვფიქრობ, ფასეულია ერთი დეტალიც, რომელიც ვახტანგ გორგასლის განსაკუთრებულ დამოკიდებულების ავლენს თავისი „ხელოვნური პაპის“, ანუ არჩილისადმი. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალს ჰყავდა სამი ვაჟი: უფროსი დაჩი, რომელიც მას პირველი ცოლისაგან, ანუ სპარსელი ბალენდუხტისაგან შეეძინა; აგრეთვე, ლეონი და მირდატი, რომელნიც მეორე ცოლისაგან, ანუ კეისრის ასულისაგან ჰყავდა. საინტერესოა სწორედ ეს სახელები. შუათანა ძის სახელი აშკარად ვახტანგის სიმამრის (მეორე ცოლის მამის) საპატივსაცემოდ არის დარქმეული, ნაბოლარას ვახტანგის მამის სახელი ჰქვია.<sup>27</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ვახტანგმა შვილების სახელები საგანგებოდ შეარჩია და ტრადიციის გათვალისწინებით დაარქვა კიდეც მათ მამისა და სიმამრის სახელები. აქედან გამომდინარე, ლოგოკურია ვიფიქროთ, რომ არც მისი პირმშოს სახელი იქნებოდა შემთხვევითი. მაგრამ ამ პირმშოს ვის საპატივცემოდ დაერქვა სახელი?

„ქართლის ცხოვრებაში“ დაჩის სრული ფორმა არის მოყვანილი: ესაა დარჩილი: „და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ და ქართულად დაჩი.“<sup>28</sup> არჩილ/დარჩილი ქართულ ხელნაწერებში ერთმანეთს ზოგჯერ ანაცვლებს. ამ თვალსაზრისით ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება „ნიმინდა დავითისა და კონსტანტინეს წამება“ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს.<sup>29</sup>

მაგრამ „დარჩილ“ ნიშნავს არჩილისას, ანუ არჩილ/დარჩილი ერთმანეთთან ფონეტიკურად და სემანტიკურად ახლოს მდგომი სახელებია. ამგვარად, ვახტანგს პირმშოსათვის ფაქტობრივად პაპის სახელი დაურქმევია. ასეთი გადაწყვეტილება

27 „როგორც ზემოთ შევნიშნე, თუ ვახტანგის სიმამარი, მართლაც, ლეონი იყო, მაშინ გამოდის, რომ ვახტანგს საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ტრადიციისამებრ სიმამრისა და მამის სახელები დაურქმევა“. იხ. ვ. გოლოძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბილისი, 1991, გვ. 88.

28 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 178.

29 მ. სანაძე, გ. არახამია, VI საუკუნის ისტორიული ქრონიკა „დავით და კონსტანტინეს წამებაში“, თბილისი, 2013, გვ. 15-23.

გასაგები ხდება, თუ გავიზიარებთ აზრს იმის თაობაზე, რომ არჩილი ვახტანგის ბიოლოგიური პაპა კი არაა, არამედ სოციალური კონტრაქტის გზით გამხდარი ნათესავი. ხოსროვანთა გენეალოგიურ ჯაჭვში ბმა არჩილსა და მირდატს შორის სხვა ბმებზე უფრო სუსტი იყო, ყოველ შემთხვევაში, იმაზე სუსტი, ვიდრე მირდატსა და ვახტანგს შორის: მირდატისათვის ვახტანგი ბიოლოგიური შვილი იყო, არჩილისათვის კი ვახტანგი იყო ხელოვნური ნათესაობის გზით გამხდარი შვილიშვილი. ასეთ ვითარებაში ფსიქოლოგიურად სრულიად გასაგებია ვახტანგის გადაწყვეტილება, პირმშოსათვის დაერქმია პაპის, ანუ სინამდვილეში პაპობილის, სახელი და ამით განემტკიცებინა მემკვიდრული ჯაჭვის ფაქტობრივი წყვეტის ადგილი, რომელიც, როგორც ხელოვნური დანათესავების გზით შექმნილი კავშირი, უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად სენსიტიური. აი, ეს ნიუანსიც მიმტკიცებს აზრს, რომ არჩილის შემდგომ რეალურად სხვა საგვარეულოა ქართლის სამეფო ტახტზე, თუმცი ისინი ზეობენ, როგორც ხოსროვანები. მაგრამ რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა სინამდვილეში მირდატი ანუ ვინ იყო მისი ნამდვილი მამა?

წინასწარ, რაც შემიძლია ვთქვა ამ საგვარეულოს შესახებ ის არის, რომ მას კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ხოსროვანებთან, რაც მათი მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონით უნდა ყოფილიყო განპირობებული; სხვა შემთხვევაში მემკვიდრეს ამ საგვარეულოდან არ იშვილებდა ხოსროვანთა სამეფო ოჯახი. მაგრამ ეს იმდენად ზოგადი ნიშანია, ხოლო ზემოთ დასმული კითხვა კი იმდენად კონკრეტული და თანაც ცნობები შესაბამისი ეპოქის ქართლის შესახებ იმდენად ცოტა, რომ მკითხველი ნამდვილად არ გამამტყუნებდა, აյ რომ შემეწყვიტა კვლევა. მაგრამ მე მაინც ვაგრძელებ ძიებას, რადგან, ვფიქრობ, რომ მაქვს ოპტიმიზმის საფუძველი: არისტოკრატიული საგვარეულოები შეიძლება ბევრი ყოფილიყო ქართლში, მაგრამ ასეთი საგვარეულოები, რომელთანაც სამეფო ოჯახი ამგვარად მჭიდრო ალიანსს ისურვებდა, შეუძლებელია ბევრი ყოფილიყო; შესაბამის ეპოქაში მე შემიძლია მივუთითო ერთ

ასეთ საგვარეულოზე. ესაა პეტრე იბერის მამის საგვარეულო.

პეტრეს მამა, როგორც ითქვა, ხიდარელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოსთან ხოსროვანებმა პოლიტიკური ალიანსი ჯერ კიდევ IV საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს შეკრეს, როცა ხოსროვანი პრინცესა ბაკურდუხტია ცოლად გააყოლეს ასფაგურ/ვარაზ-ბაკურს. ამგვარად, ეს საგვარეულო ხოსროვანების პოლიტიკური პარტნიორი გახლდათ. ამიტომ, საფიქრებელია, რომ სხვა სოციალურ-პოლიტიკური კონტრაქტიც გაეფორმებინათ ამ საგვარეულოსთან, ისეთი, მაგალითად, როგორიც შვილად აყვანის კონტრაქტია.

ამ ვარაუდს ეხმარება დეტალი, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა: პეტრეს მამა იყო არჩილის თანამეფე.

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, პეტრეს მამის დამოკიდებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა არჩილის შვილობილის შერჩევაში. ის ამ პროცესში იმის გამოც უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად აქტიურად ჩართული, რომ „დაზარალებული“ იყო: პეტრემ, რომელიც მისი ერთადერთი ვაჟიშვილი იყო ხოსროვანი პრინცესასაგან, მოლოდინი არ გაუმართლა: იმის მაგიერ, რომ ბიზანტიაში მეფობისათვის გაწვრთნილიყო და ქართლს არჩილის მემკვიდრედ მოვლინებოდა, ბერად აღიკვეცა და სამშობლოში აღარ დაბრუნდა. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ არჩილის შვილობილის შერჩევა პეტრეს მამის ჩართულობით მოხდებოდა. არჩილის შვილობილი და მისი მემკვიდრე ქართლის ტახტზე სწორედ პეტრეს მამის საგვარეულოს ანუ ხიდარელების ფეოდალური სახლის წარმომადგენელი და ამ უკანასკნელისათვის მისაღები პირი უნდა ყოფილიყო.

ის ფაქტი, რომ ვარაზ-ბაკურს სხვა ცოლისაგან ჰყავდა ვაჟიშვილებიც, სულ სხვა კუთხით გვაჩვენებს არჩილის შვილობილი მირდატის ვინაობის საკითხს. ამ ფაქტის გარკვევამდე მე მხოლოდ იმას ვვარაუდობდი, რომ არჩილის შვილობილი მირდატი ხიდარელების საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო და, ამასთან, არჩილის თანამეფისათვის, ანუ ვარაზ-ბაკურისათვის მისაღები პიროვნება. მაგრამ ამ ფაქტის გარკვევა საშუალებას

მაძლევს ეს დასკვნა დავაკონკრეტო: მირდატი ვარაზ-ბაკურის შვილი უნდა იყოს. ცხადია, მას შემდეგ, რაც მურვანოს/პეტრეს გამეფების იმედი დაჰკარგა, მამა შეეცდებოდა სხვა ძისათვის გაეკაფა გზა ტახტისაკენ.

მართალია, ზემოთ დასახელებულ სინურ ხელნაწერში ვარაზ-ბაკურ ხიდარელის ორ ვაჟთაგან მირდატი არც ერთს არ ჰქვია, მაგრამ, მირდატს ხიდარელების ნეშტთა შორის არც უნდა ვეძებდეთ. მირდატი, როგორც ხოსროვანთა ოჯახის შვილობილი და, შესაბამისად, მისი სრულუფლებიანი წევრი, თავის სამუდამო განსასვენებელს, რა თქმა უნდა, სამეფო დინასტიის საძვალეში ჰპოვებდა და არა ხიდარელთა სამარხში.

დაბოლოს, მკითხველის ყურადღება მინდა შემდეგ ფაქტს მივაპყრო: ამიანე მარცელინეს ასფაგურის ანუ იგივე ვარაზ-ბაკურის ძეს ულტრას, რომელიც ყოფილა სპარსელების მძევალი.

სახელი „ულტრა“ უცხოა იმდროინდელი ქართული სამეფო ონომასტიკონისათვის, რომელიც ამ დროს სრულიად სპარსულია. ს. ყაუხჩიშვილი იმის გამო, რომ ამ სახელის მქონე პიროვნება ან უფლისწული სხვა წყაროებით არ ვიცით, ვარაუდობს: სახელი ძალიან დამახინჯებული უნდა იყოს.<sup>30</sup> მე კი არ მგონია, რომ აქ დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე. ეს უნდა იყოს რომელიდაც სპარსული ეპითეტ-სახელის თარგმანი ლათინურად. „ულტრა“ ხომ ლათინურად „უმაღლესს“, „საუკეთესოს“ ნიშნავს. ქართველ უფლისწულს რომ ამგვარი შინაარსის ეპითეტ-სახელი ჰქონოდა, აბა რა გასაკვირია.

არც ის არის გასაკვირი, რომ ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის ძეს ულტრას, ამ ეპითეტის გარდა, სხვა სახელი ან სახელებიც ჰქონოდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ულტრა იგივე მირდატია. ანუ არჩილის შვილობილი და, შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის მამა არის ასფაგურ/ვარაზ-ბაკურის ძე ულტრა/მირდატი.

ხიდარელების ფეოდალური სახლი უნდა ყოფილიყო სიძლიერით მესამე საგვარეულო სამეფო სახლის და სპასპეტის

<sup>30</sup> გეორგია., I, გვ. 161, შენ. 179.

სახლების შემდგომ. რომაელებისა და სპარსელების ზემოთ დასახელებულ კონფლიქტში, რომელსაც IV საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი, სპასპეტის სახლი (სავრომავ/საურმაგი) და ხიდარელები (ასფაგურ/ვარაზ-ბაკური) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. თუმცა დაპირისპირება ქართლის არის-ტოკრატიულ საგვარეულოებს შორის ქვეყნის შემდგომი ბედი-სათვის სასიკეთო კონსესუსით დამთავრებულა: ხოსროვანებმა მირდატ ხიდარელი იშვილეს და ხოსროვანი გახადეს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი საკუთარი ძე ვახტანგი აღსაზრდელად მისცა სპასპეტის სახლს.

ამგვარად, ასფაგურ/ვარაზ-ბაკური/ბოზმარიოს/ბუზმიპრი არის გვიანი ანტიკურობის ეპოქის ქართლის ორი უდიდე-სი მოღვაწის – პეტრე იბერისა და ვახტანგ გორგასალის – დამაკავშირებელი რგოლი: პირველის მამაა, ხოლო მეორის – პაპა. პეტრე იბერი და ვახტანგის მამა მირდატი ნახევარძმები იყვნენ, ანუ პეტრე ვახტანგის ბიძა იყო.

მირდატის საგვარელო კუთვნილების გარკვევა სხვაგვარ შექმნებული წარმოაჩენს პეტრე იბერის გადაწყვეტილებას, არ დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქამდე ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზს პირადად მე ვხედავდი მხოლოდ პეტრეს პიროვნულ მიდრეკილებაში ასკეტიზმისაკენ თუ ფილოსოფიური განსჯი-საკენ. ეს აზრი კარდინალურად ახლაც არ შემიცვლია, ოღონდ, მას შემდეგ, რაც ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ქართლის ტახტი ბიზანტიაში წარგზავნილი პეტრეს მაგიერ სპარსეთში მძევლად ნამყოფმა მისმა ნახევარძმამ ულტრა/მირდატმა დაიკავა, ფიქრი დავიწყე პეტრე იბერის გადაწყვეტილების პოლიტიკურ კონტექსტში გააზრების შესაძლებლობაზეც. ეს ვითარება ერთგვარად წააგავს ზემოთ აღნერილ ისტორიას ბაკურ თრდატის ძის მიერ მეფობაზე უარის თქმის შესახებ. ამგვარი რამის გაკეთება ნამდვილად შეეძლოთ ასკეტური განწყობის ხოსროვანებს, თუმცა პოლიტიკური ვითარებაც მათ ხშირად აძლევდა შესაბამის მოტივაციას

ვარაზ-ბაკურის ძეები მურვანოსი/პეტრე და მირდატ/ულტრა ორი განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის გამომხ-

ატველნი აღმოჩნდნენ. ამ როლებისათვის თავიდანვე იყვნენ, ჩანს, ისინი გამიზნულნი. V საუკუნის შუა ხანებში ქართლის პოლიტიკური ვექტორი გამოკვეთილად გადაიხარა ირანისაკენ. ამიტომაც მეხუთე საუკუნის შუა ხანებისათვის ქართლის ტახტზე ავიდა არა ბიზანტიაში ამისათვის საგანგებოდ წარგზავნილი მურვანოსი/პეტრე, არამედ ირანში ნამყოფი მირდატ/ულტრა. ეს ქართლისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, ცხადია, მაგრამ ეტყობა, იმ დროისათვის ქვეყნისათვის ერთგვარი გამოსავალიც. პეტრეს, ისევე როგორც მის პაპას (პაპის ძმას) არჩილს და პაპის მამა რევს, ხელისუფლება საზოგადოდ (არათუ საერო, სასულიეროც კი) არ იზიდავდა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობ, ისიც აშკარა უნდა გამხდარიყო მისთვის, რომ ქართლში აღარ ჩამოესვლებოდა. ის ირანისადმი შეურიგებელი პოზიციის მეფე უნდა ყოფილიყო. ქართლს კი ამ დროს სავსებით პროირანული თუ არა, ირანთა გარკვეულად შემრიგებლური კურსი ჰქონდა აღებული.

როგორც ვხედავთ, ვარაზ-ბაკურის და მისი შთამომავლების საკმაოდ დეტალური ისტორიის აღდგენა ხერხდება. ამის საშუალებას გვაძლევს უცხოურ წყაროებთან ერთად ქართული წყაროების გათვალისწინება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მეხუთე საუკუნის ქართლით და, კონკრეტულად, პეტრე იბერის ბიოგრაფიით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრები ქართულ წყაროებს კი იყენებენ, მაგრამ რეალურად მათი მონაცემებს სრულყოფილად ვერ ითვალისწინებენ. ამის თქმის საფუძველს ნაწილობრივ მაძლევს თუნდაც კ. ჰორნის სტატია,<sup>31</sup> რომელიც ეძღვნება იმის გარკვევას პეტრე იბერი იყო თუ არა ნამდვილად სამეფო შთამომავლობის. პასუხი არის ვარაუდი, რომ იყო. მაგრამ ეს ხომ ღია კარების მტვრევაა და ეს თვალსაჩინოა წარმოდგენილი დისკურსის ფონზე. იგივე შემიძლია ვთქვა ზემოთ დასახელებულ ფრანგ მკვლევარზე ნ. პროდომზე, რომელიც თავის სტატიას იწყებს იმით, რომ გვი-

31 სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალ „ქართველოლოგი“ (2010, №2). ვსარგებლობ ჟურნალის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ვერსიით (<http://kartvelologji.tsu.ge/public/en/archive/10/2>), სადაც ინგლისურ ტექსტს რატომაც სათაური არა აქვს. ქართულ თარგმანს კი აქვს შემდეგი სათაური: „პეტრე იბერის სამეფო ოჯახიდან წარმომავლობის ისტორიული დასაბუთების თაობაზე“.

ანანტიკური პერიოდისათვის ქართულ წყაროების მიმართ უნდობლობას გამოხატავს მიაჩნია რა ისინი გვიანდელად.<sup>32</sup> ჯერ ერთი, როგორც ზემოთ მივუთითე, „მოქცევად ქართლისა“ ამ ეპოქისათვის გვიანდელი წყარო არ არის, მეხუთე საუკუნეშია მისი პროტორედაქცია შექმნილი. მეორეც, გვიანდელი ავტორი ანუ ლეონტი მროველი ეფუძნება მრავალ ჩვენამდე მოუღწეველ ავთენტურ წყაროს. დაბეჭითებით უნდა ვთქვა: გვიანი ანტიკურობის პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევა შეუძლებელია ქართული წყაროების მონაცემების გათვალისწინების გარეშე. მეტიც, გზამკვლევად მათი მონაცემების აღიარების გარეშე.

ირანთან ურთიერთობებში ზემოთ აღწერილ კურსთან დაკავშირებითაც მინდა ვთქვა მოკლედ.

„ქართლის ცხოვრებაში,“ როგორც აღვნიშნე, ბევრი რამ არეულად არის გადმოცემული. ეს იმიტომ, რომ, როგორც უკვე არაერთხელ განვმარტე, ლეონტი მროველს სურდა საკუთარი გააზრებით დაელაგებინა მოვლენები და ამ პროცესში მოუვიდა ცდომილებანი რეპრეზენტაციაში. მაგრამ ცდომილებანი რეპრეზენტაციაში იმას როდი ნიშნავს, რომ კარგად ინფორმირებულ წყაროებს არ იყენებდა ავტორი. ამიტომ, სათანადო მიდგომის შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ ის მონაკვეთი, რომელიც ლეონტი მროველის ეკუთვნის, შეიძლება წყაროდ იქნეს გამოყენებული.

მაგალითად, აქ თავისებურად, მაგრამ სწორად არის წარმოჩენილი ქართლის პოლიტიკურ კურსში ის ცვლილება, რომელსაც ტახტზე მირდატულტრას ასვლა მოასწავებდა. მხედველობაში მაქვს ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია მირდატის სიყვარულის ძალიან პოეტურ ისტორიაზე. მემატიანე გვარნმუნებს, რომ მირდატს გული შეუვარდა ქართლის ამაოხრებელი სპარსთა მეფის პიტიახშის პარზაბოდის ქალიშვილზე. ამიტომ მამისათვის (როგორც გაირკვა, მამობილისათვის) ანუ არჩილისათვის უთხოვია ქალის შერთვის ნება. მიზნისათვის რომ მიეღწია მირდატს საკუთარ გრძნობებზე კი

32 Nicolas J. Preud'homme, Bacurius, the Man with two Faces, გვ. 166.

არ გაუკეთებია აქცენტი, არამედ ამ ქორწინების პოლიტიკურ სარგებლიანობაზე გაუმახვილებია ყურადღება. მისი მტკიცებით ეს ქორწინება მშვიდობას მოუტანდა ქართლს:

ვევედრები მეფობასა შენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტი, ასული ბარზაბოდისი, და შევქმნათ ჩუენ შორის მშვიდობა. დაღაცათუ ძალითა ქრისტესითა ჩუენ ვართ მძლენი, არამედ ვერა ავიხუამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ანუ უკუ იცალოს მეფემან სპარსთამან, და იძიოს ჩუენ ზედა შური, და მოაწერან ეკლესიანი და საზღვარნი ჩუენნი. და ან ამით განქარდეს მტერობა ჩუენ შორის... და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღუარნი ქართლისანი, და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს, და არღარა შეიქმნას გულსა ქართველთასა იჭვ და გმობა სჯულისა ქრისტესი-სა მძლავრებისათვეს სპარსთასა. და ესე ყოველი სიყუარულ-სათვეს ქალისა წარმოთქუა.<sup>33</sup>

არჩილიც დათანხმებულა და, ცხადია, მირდატის ნამდვილი მამა ვარაზ-ბაკურიც ამ გადაწყვეტილების მომხრე იქნებოდა, რადგან მან, მართლაც, კარგად უწყოდა რას ნიშნავდა სპარსელებთან დაპირისპირება. როგორც უკვე ითქვა, პირველ ჯერზე ხელისუფლებაში მოსულს, სწორედ ბარზაბოდის ხელმძღვანელობით სპარსელთა შემოსევამ დაატოვებინა ტახტი და იძულებული გახადა საკუთარი მამულისათვის ანუ ხიდარისთვის შეეფარებინა თავი.

ამ ფაქტების გათვალისწინებით თუ შევხედავთ, მირდატ/ულტრას ბარზაბოდის ქალიშვილზე ქორწინებას, ის ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ქვეყანამ შაჰის ადგილობრივ დიდმოხელესთან ურთიერთობის მოწესრიგების შედეგად დროებით შეძლო ირანის მხრიდან ზეწოლის შესუსტება.

### 3.

მაგრამ არჩილზე და, საზოგადოდ, ხოსროვანთა ეპოქის ქართლზე საუბარი დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, თუ არ

33 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 141.

შევჩერდებით კულტურის ისტორიისათვის ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე. კულტურა და პოლიტიკა ხოსროვანი მეფეების მოღვაწეობაში რეალურად გამიჯნული არც ყოფილა.

ნაშრომის ამ მონაკვეთში კონკრეტულად მინდა შევეხო სტეფანწმინდას მშენებლობა მცხეთაში.

როგორც თავშივე მივუთითე, ეს ფაქტი ერთადერთი პოზიტივია არჩილის ზეობის „მოქცევად ქართლისადსეულ“ რეპრეზენტაციაში. იმ მძიმე ვითარებაში, რომელშიც იყო ქართლი არჩილის დროს, ტაძრის მშენებლობა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ მან ჩემი ყურადღება განსაკუთრებით იმიტომ მიიპყრო, რომ არჩილის ზეობის ეპოქის კიდევ უფრო ღრმად გააზრების საშუალებას იძლეოდა.

„მოქცევად ქართლისად“ ცნობა ზემოთ უკვე იყო მოყვანილი. „ქართლის ცხოვრება“ რამდენადმე განსხვავებული ფორმულირებით გვამცნობს წმინდა სტეფანე პირველმონამის ტაძრის მშენებლობას მცხეთაში:

მაშინ არჩილ მეფემან ალაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგრძათა, სადა იყვნეს კოშკი მტკიცენი საბრძოლნი, რომელი მას-ვე აღეშენეს.<sup>34</sup>

ანუ ეს ის ფაქტია არჩილის ზეობაში, რომელთან დაკავშირებითაც „მოქცევად ქართლისად“ და „ქართლის ცხოვრებას“ ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაცია არა აქვთ. მართალია, პირველი მათგანი ტაძრის მშენებლობას აზნაურთა წამოწყებად თვლის, მეორე კი საკუთრივ მეფის ინიციატივად წარმოაჩენს, მაგრამ ის, რომ სტეფანწმინდა მცხეთაში სწორედ ამ მეფის დროს აშენდა, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული ინფორმაცია არა აქვს ამ ორ წყაროს.

არჩილის ზეობას სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს მონაკვეთი მეხუთე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისიდან ოცდაათიანი წლების მიწურულამდე. მცხეთის სტეფანწმინდის აშენების დროც ესაა. სწორედ აღნიშნული ქრონოლოგიაა განსაკუთრებით ფიქრის აღმდვრელი: თვით იერუსალიმშიც კი წმინდა სტეფანეს

34 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 140.

სახელობის ეკლესიის მშენებლობა 438 წლით თარიღდება. მცხე-  
თის სტეფანწმინდა, ამგვარად, ამ წმინდანის სახელობის ერთ-ერ-  
თი ყველაზე ადრეული ეკლესია იყო მთელს საქრისტიანოში.

წმინდა სტეფანე ქრისტიანული ეკლესიის სრულიად განსა-  
კუთრებული ფიგურაა. ის არის პირველმონამე, მისი მარტვი-  
ლობის ისტორია აღწერილია „საქმენი მოციქულთაში“ (6, 7 თავ-  
ები). აქ გადმოცემული ფაქტები შემდეგია: სტეფანე დიაკონი  
მოღვაწეობდა იერუსალიმში პირველ საუკუნეში, ის იუდეველებს  
ასწავლიდა ქრისტეს რჯულს. ამან აღაშფოთა იუდეველთა რე-  
ლიგიური ხელისუფლება და ის ღმერთის და მოსეს სჯულის  
გმობის ბრალდებით წარდგენილ იქნა განსასჯელად სინედრი-  
ონზე. სტეფანეს თავის მართლება არც უცდია, არამედ თავისი  
სიტყვა გამოიყენა იმისათვის, რომ ვრცლად წარმოედგინა სა-  
კუთარი თვალსაზრისი იუდეველთა ისტორიაზე. მის სიტყვებს  
იქვე მყოფი ბრძო დრტვინვით ხვდებოდა; ბრძოს აღშფოთებამ  
აპოგეას მიაღწია, მაშინ, როცა სტეფანემ თქვა, რომ იუდეველ-  
თა მიერ წანამებ ქრისტეს ღმერთის გვერდით მდგომს ხედავს  
ზეცაში. გავეშებული მსმენელები ყურებს იხშობდნენ, რომ ეს  
არ გაეგონათ. საბოლოოდ მოთმინებადაკარგულებმა სტეფანე  
ჩაქოლეს. ეს ეპიზოდი, გარდა იმისა, რომ აღწერს ქრისტეს  
მონამებისათვის პირველად დაღვრილი სისხლის ისტორიას,  
საინტერესოა იმითაც, რომ წარმოაჩენს მომავალ პავლე მოცი-  
ქულს, მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკ სავლეს, რომელიც, მართალია,  
უშუალოდ არ მონაწილეობდა სტეფანე დიაკონის ჩაქოლვაში,  
მაგრამ ჩამქოლავთ კი გულით თანაუგრძნობდა: ჩამქოლავებ-  
მა იმისათვის, რომ თავიანთი ავი საქმის კეთებაში ხელი არ  
შეშლოდათ, ზედა ტანისამოსი გაიხადეს. სწორედ ამ ნივთებს  
დარაჯობდა სავლე და უცქერდა ჩაქოლვის სასტიკ სცენას.  
მართალია, რომაული სამართლით, ჩაქოლვა აკრძალული იყო,  
მაგრამ სტეფანეს გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. სტე-  
ფანეს მკვლელობა, ეტყობა, წარმოჩინდა არა როგორც სინე-  
დრიონის გადაწყვეტილების საფუძველზე ჩადენილი ქმედება,  
არამედ აფექტის მდგომარეობაში მყოფი ბრძოს ანგარიშსწორე-  
ბა. საოცარი დრამატიზმით სავსე ეს ეპიზოდი ბევრი ცნობილი

ხელოვანის ინსპირაციის წყაროდ იქცა, მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ რემბრანტის ტილო „ნმინდა სტეფანეს ჩაქოლვა“.

ნმინდა სტეფანეს კულტი არსებობს როგორც აღმო-სავლურ, ისე დასავლურ ქრისტიანობაში. და ყველა ქრის-ტიანულ ქვეყანაში არის მისი სახელობის ტაძრები. სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს რელიგიურ ცენტრში წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარი აუგიათ.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, ვითარება, როცა ეს ეკლესია ააშენეს. გავიმეორებ უკვე ნათქვამს: მეფე არჩილის წინამორბედი მეფე მირდატი სპარსელებს წაუყვანიათ და იქ მომკვდარა, სავარაუდოდ, არა თავისი ბუნებრივი სიკვდილით. ქართლის პირველი ეკლესია ანუ „ქუემო ეკლესია“ – ცხოვე-ლი სვეტის დავანების ადგილი – დაქცეულა. ვეღარ აღუდგე-ნიათ, ამიტომ სვეტი გადაუბრძანებიათ გარეუბნის ეკლესია-ში. ანუ იგივე „ზემო ეკლესიაში“, მერმინდელ სამთავროში. მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაც სწორედ ეს ანუ გარეუბნის ეკლესია გამხდარა. სიტყვა „გარდაცვალება“ ეპისკოპოსებთან დაკავშირებულ წინადადებაში აშკარად ნიშნავს „შეცვლას“, თუმც, ცხადია, არც ისაა გამორიცხული, რომ შეცვლა გარ-დაცვალების გამო მომხდარიყო. აღნიშნული ფაქტი (ერთი მეფის ზეობის პერიოდში ოთხი მთავარეპისკოპოსის შეცვლა) არასტაბილური ვითარების ამსახველია, რაც, ცხადია, ირანის პოლიტიკური ზენოლით იყო გამოწვეული. ამ ვარაუდის სა-სარგებლოდ მეტყველებს ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ მოგვთა საქმიანობა სრულიად შეუზღუდავია; მეორე, ნიშანდობლივია არჩილის მომდევნო მეფის – მირდატის – დროს აღსაყდრე-ბული გლონოქორ მთავარეპისკოპოსის ვინაობაც: ის მთავა-რეპიკოპოსობას თურმე „უთავსებდა“ ირანის შაპის მოხელეო-ბას (ერისთავობას) ქართლსა და ჰერეთში. ეს ფაქტი კარგად აჩვენებს რა სურდათ ქართლის ეკლესის მწყემსმთავრები-საგან ირანელებს: ისინი მათ სრულ დაქვემდებარებაში მყო-ფი მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომაც იცვლებოდნენ ჩანს, ქართლის ეკლესის მესვეურები ასე ხშირად.

აი, ყოველივე ამის გათვალისწინებით ისმის კითხვა: რატომ

მაინცდამაინც ამ წმინდანის სახელობის ეკლესიის მშენებლობისათვის მოუკიდიათ ხელი ქართველებს მათთვის ამ გაუსაძლის ეპოქაში? თუ იმ ფრაგმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც აღნიშნული ეკლესიისაგან დღემდეა შემორჩენილი, ეს ყოფილა მაღალხარისხოვანი, იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ზომის, შენობა.

თუ კი ასეთი მშენებლობისათვის საჭირო სახსრები და შესაძლებლობა ჰქონდათ, რატომ არ აღადგინეს, პირველ რიგში, დაქცეული „ქუემო ეკლესია“, რომელიც ქართლში პირველი ეკლესია იყო და მეტიც: ქართლის მოქცევის ახლო ხანებში შექმნილი მესიანური იდეოლოგიის<sup>35</sup> მიხედვით, მსოფლიოს საკრალური ცენტრის დამაფიქსირებელი ნაგებობაც.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ აღნიშნულ ვითარებაში პირველ საუკუნეში პალესტინაში მოღვაწე წმინდანის სახელობის ეკლესის აგება მცხეთაში გარკვეულად არაორდინაციური მოვლენაა. ზოგადად წმინდა სტეფანეს თაყვანისცემის გარდა ეს ქმედება უსათუოდ გულისხმობს რაღაც დამატებით, მშენებლობის ინიციატორთათვის უაღრესი მხნეობის მიმნიჭებელ, მოტივაციას. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება ზოგადერისტიანული კონტექსტი. საქმე ისაა, რომ მართალია, წმინდა სტეფანე პირველ საუკუნეში აღესრულა, მან როგორც წმინდანმა თავისი საზოგადოებრივი „როლის“ შესრულება დაიწყო მებუთე საუკუნიდან, როცა სასწაულებრივ აღმოჩნდა მისი წმინდა ნაწილები. საეკლესიო ტრადიციით, ეს მოხდა 415 წელს: იერუსალიმელ სასულიერო პირებს ჩვენებაში ემცნოთ სტეფანეს (და რამდენიმე სხვა ქრისტიანის) დაკრძალვის ადგილი. ამ ჩვენების მიხედვით იპოვეს ეს ნეშტები. მხოლოდ ძვლები იყო დარჩენილი და, აგრეთვე, ის ქვები, რომლითაც სტეფანე ჩაქოლეს. მცირე ნაწილი დატოვეს ადგილზე, უმეტესი კი წაასვენეს და დააბრძანეს იერუსალიმის სიონის ტაძარში.

საზოგადოდ, წმინდა ნაწილებისადმი ქრისტიანების ინტერესი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან, მეორე საუკუნი-

35 იხ. ზემოთ და, აგრეთვე, მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიური რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი, 2009.

დან, იწყება.<sup>36</sup> წმინდა ნაწილის ფლობა ნიშნავდა ღვთაებასთან მეტ სიახლოვეს, მეტ დაცულობას, მეტ ძალას, როგორ ინდივიდის, ისე მთელი კოლექტივისათვის. ამიტომ ქრისტიანები ცდილობდნენ ყოველნაირი გზით მათ მოპოვებას. მეექვსე საუკუნისათვის საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია წმინდა ნაწილების მოპოვებით გატაცებამ და პილიგრიმობამ მათი შენახვის ადგილების მოსანახულებლად. წმინდა ნაწილები პრესტიჟის და ურთიერთქიშის საგანიც კი იყო.<sup>37</sup> მეხუთე საუკუნეში ამ ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო სწორედ წმინდა სტეფანე პირველმოწამის ნაწილების აღმოჩენამ. შეიძლება უფრო სწორი იყოს შებრუნებულად ითქვას: წმინდანებისა და წმინდანთა ნაწილებისადმი განსაკუთრებულმა საზოგადოებრივმა ინტერესმა განაპირობა ეს აღმოჩენა. აღნიშნული ფაქტი და სასწაულები, რომელსაც ეს ნაწილები ახდენდნენ, მაშინვე მოექცა მთელი საქრისტიანოს უურადღების ცენტრში. ამ პერიოდში მოღვაწე ცნობილი ქრისტიანი თეოლოგი ნეტარი ავგუსტინე (354–430) თავის „ღვთის ქალაქში“ (წიგნი 22, თავი 8)<sup>38</sup> დიდ ადგილს უთმობს წმინდა სტეფანეს ნაწილების მიერ მოხდენილ სასწაულებს. ათეული სასწაული მოჰყავს მაგალითად და მკითხველს ებოდიშება, რომ კიდევ ბევრი იცის და ვერ ახერხებს დაფიქსირებას. ნეტარი ავგუსტინე ასაბუთებს წმინდანებისა და მათი ნაწილების მნიშვნელობას ადამიანთა ხსნის საქმეში. ანუ მეხუთე საუკუნის პირველი ნახევარი არის არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წმინდანების და მათი ნაწილების თუ რელიკვიების „პრაქტიკულიად“ გამოყენების

36 Veronica Fitzpatrick. Finding the Middle Ages in the Twenty-First Century. A Quick Introduction to the the Medieval Cult of Relics. <http://veronicafitzpatrick.com/a-quick-introduction-to-the-medieval-cult-of-relics/>

37 წმინდა ნაწილების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან დავასახლებ მხოლოდ რამდენიმეს: Wilfrid Bonser, "The Cult of Relics in the Middle Ages," *Folklore* 73, no. 4, 1962; P. Brown, *The Cult of the Saints: Its Rise and Function in Latin Christianity*, Chicago: The University of Chicago Press, 1981; H. A. Klein. Eastern Objects and Western Desires: Relics and Reliquaries between Byzantium and the West. *Dumbarton Oaks Papers*, vol. 58. 2004 , pp. 283-314; D. Krueger. The Religion of Relics in Late Antiquity and Byzantium, in: *Treasures of Heaven: Saints, Relics, and Devotion in Medieval Europe*, ed. Martina Bagnoli et. al., New Haven: Yale University Press, 2010;

38 ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.newadvent.org/fathers/120122.htm>

პერიოდი, არამედ ამ საკითხის ასე ვთქვათ, თეორიულად დასაფუძვლების დროც.

ნეინდა სტეფანეს ნაწილების ისტორიის გადმოცემა საკმაოდ რთულია. რადგან ხშირად ერთმანეთში ირევა სხვადასხვა გადმოცემები. ამ გადმოცემების არსებობა თავისთავად საინტერესო ფაქტია, რაც ნაწილების დიდ „სოციალურ წონაზე“ მეტყველებს. იმისათვის, რომ მკითხველს ზოგადი შთაბეჭდილება შეექმნეს ერთ ვერსიას მოვყები, რომლის მიხედვითაც იერუსალიმის სიონში ნაწილები ესვენა მანამ, ვიდრე რომაელი დედოფლის ევდოკიას მიერ აგებულ წმინდა სტეფანეს ტაძარში არ გადააპრანეს 438 წელს. 439 წელს კონსტანტინოპოლში დაბრუნებულ ევდოკიას თან ჰქონდა აგრეთვე ნაწილი, რომელიც მისცა მის მულს – პულქერიას. პულქერიამ ის დააპრანა წმინდა ლავრენტის ტაძარში და საიმპერატორო სასახლეში წმინდა სტეფანეს სალოცავი შექმნა. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ამ ნაწილებს კონსტანტინოპოლამდე უფრო ადრე, კერძოდ, 421 წლისათვის უნდა მიეღწია, მაგრამ ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს ცნობა შეთხულია, რადგან ამ გზით ევდოკიას პრიორიტეტი ამ ნაწილებთან მიმართებაში აღარ იკვეთებოდა. შესაძლოა, ეს გადმოცემა შეთხზეს პულქერიას მომზრებებმა, იმისათვის, რათა მისი ღვანლი წარმოეჩინათ. ეს ორი მაღალი წრის ქალბატონი, როგორც ითქვა, რძალ-მული, ერთმანეთს ეცილებოდა გავლენას საიმპერატორო კარზე. ამ შემთხვევაში ჩემი ყურადღება მიიქცია გადმოცემაში დაფიქსირებულმა თარიღმაც: 422 წელს დაქორწინდნენ თეოდოსი მცირე და ევდოკია. გადმოცემაში კი ნაწილების კონსტანტინოპოლში მიღწევის დროდ 421 წელია მითითებული. ანუ ეს ის დროა, როცა ევდოკია ჯერ კიდევ არ იყო სამეფო ოჯახის წევრი. შესაბამისად, ევდოკიას პრეტეზიები ამ ნაწილებთან მიმართებაში, ამ გადმოცემის ავტორთა აზრით, გამორიცხულია. დედოფალ ევდოკიას კი რომ ამ მხრივ სერიოზული პრეტეზიები, მართლაც, ჰქონდა, ეს კარგად ჩანს არა მარტო მის მიერ წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობით იერუსალიმში, არამედ იმითაც, რომ გარდაცვალების მერე (მი-

სივე სურვილით, ცხადია), ის სწორედ ამ ტაძარში დაკრძალეს.

მოკლედ, წმინდა სტეფანეს ნაწილების „მოგზაურობის“, ადგილსამყოფელის მრავალი ვერსია არსებობს.<sup>39</sup> ამის დეტალური გადმოცემა და ამ ვერსიებს შორის ისტორიული სინამდვილის ამსახველი ვერსიის დადგენა ამჯერად არ არის საინტერესო. მთავარი ისაა, რასაც ეს ისტორიები აჩვენებს: მეხუთე საუკუნეში არსებობდა წმინდანობისა და წმინდანთა ნაწილებისადმი დიდი ინტერესი, განსაკუთრებით ცხოველი ჩანს ეს ინტერესი წმინდა სტეფანეს ნაწილების მიმართ იმის გამო, რომ მათი აღმოჩენის ფაქტი ამ ადამიანების თანადროული იყო. ამგვარად, მართალია, წმინდა სტეფანე არის პირველ საუკუნეში მოღვაწე პიროვნება, მაგრამ მისი ღვაწლი მთელი საქრისტიანოს მასშტაბით რეზონანსული გახდა მხოლოდ მეხუთე საუკუნის ათიანი წლებიდან. ამ დროიდან კარგა ხნის გარდაცვლილი სტეფანე იწყებს სიცოცხლეს, როგორც წმინდანი. ეს კი სწორედ ის დროა, როცა „მოქცევად ქართლისაა“ გვამცნობს მცხეთაში ამ წმინდანის სახელობის ეკლესიის მშენებლობას.

რა თქმა უნდა, აღნიშნული დამთხვევა დროში, არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეს საქრისტიანოს ცენტრში მიმდინარე მოვლენების ექია ქართლის დედაქალაქში.

მაგრამ მიზეზი, რომელიც ამ საქმეს გადაუდებელს გახდიდა, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ამ დროს ქართველებმა შეძლეს აღნიშნული წმინდანის რომელიღაც მნიშვნელოვანი ნაწილის (ან კონტაქტური რელიკვიის, მაგალითად, ქვების, რომელიც ამ წმინდანის გამოსახვისას ხშირად გვხდება და ერთგვარად მისი სიმბოლოა) მოპოვება. როგორც ითქვა, ქრისტიანული თვალთახედვით ეკლესიის სტატუსს დიდად განსაზ-

<sup>39</sup> V. Shalev-Hurwitz. *Holy Sites Encircled. The Early Byzantine Concentric Churches of Jerusalem*, Oxford University Press, 2015, გვ. 84; J. Wortley. The Trier Ivory Reconsidered. *Greek, Roman, and Byzantine Studies*, vol 21, No 4, 1980, გვ. 381–394 (<http://grbs.library.duke.edu/article/view/6791/5057>); C. Mango. A Fake Inscription of the Empress Eudocia and Pulcheria's Relic of Saint Stephen. [http://nea-rhrome.uniroma2.it/wp-content/uploads/2016/01/nr01\\_mango.pdf](http://nea-rhome.uniroma2.it/wp-content/uploads/2016/01/nr01_mango.pdf); E. A. Clark. Claims on the Bones of Saint Stephen: The Partisans of Melania and Eudocia. *Church History*, 52, 2, 1982, გვ. 141–156; H. A. Klein. Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople. F. A. Bauer (Hrsg.), *Visualisierungen von Herrschaf t*, BYZAS 5, 2006, გვ. 79–99.

ღრავს სწორედ ის თუ რა მნიშვნელობის წმინდა ნაწილებს ან რელიგიებს ფლობს ის. ეს დღემდე ასეა. მითუმეტეს, მეხუთე საუკუნეში განსაკუთრებით ინტენსიური უნდა ყოფილიყო ეს განცდა: წმინდანთა ნაწილებს და რელიგიებს, როგორც ითქვა, განიხილავდნენ ეკლესიასა და მთელი ქვეყანის დამცველად. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ქართლის მესვეურებისათვის ძალიან აქტუალური უნდა ყოფილიყო ახლადგამოვლენილი ნაწილების ფლობა. და რახან ეკლესის მშენებლობა წამოიწყეს, ეს ნიშნავს, რომ კიდევაც შეძლეს წმინდა სტეფანეს რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილის ან კონტაქტური რელიგიის მოპოვება.

წყაროებით კარგად დასტურდება ქართველი მმართველი წრეების დაინტერესება წმინდა ნაწილებით. როგორც ირკვევა, პეტრე იბერის მამა ვარაზ-ბაკური ამისათვის საგანგებოდ ზრუნავდა. აი, რას ვკითხულობთ პეტრეს ქართულენოვან „ცხოვრებაში“:

ხოლო მათ ჟამთა ინამნეს მონამენი სპარსეთს. ხოლო ქრისტანეთა მათ, რომელი იყვნენ მუნ, წარმოგზავნეს ნაწილნი იგი წმიდათანი წინაშე მეფისა ვარაზ-ბაკურისა.<sup>40</sup>

ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვარაზ-ბაკურს შეპირებული ჰყავდა ხალხი და მათაც მოუხერხეს და ნაწილები გამოუგზავნეს. ზოგჯერ ამ ნაწილებს ქრისტიანები უბრალოდ ჩუქნიდნენ ერთმანეთს. ასევე იქცეოდნენ ეკლესიებიც. მაგრამ იყო მათი ყიდვის შემთხვევებიც. ჩვენ არ ვიცით რა საფასური გაიღო ვარაზ-ბაკურმა. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ ის ამაზე საგანგებოდ ზრუნავდა.

აღნიშნულმა ნაწილებმა პეტრეს ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს. ისინი მას მოუშორებლად თან ჰქონდა. კონსტატინოპოლში წასვლისას თან წაილო, მერე კი იერუსალიმშიც წარიტანა. ჰაგიოგრაფის მითითებით, პეტრეს აზრით, ბიზანტიის იმპერატორის სასახლიდან გაპარვის წარმატება სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ეს ნაწილები მიუძღვდნენ მას და მის თანამოღვანე იოანე ლაზა.

40 ქეგლები, II, გვ. 220.

წმინდანთა ნაწილების ასეთი „ჩართულობა“ პეტრეს მოქმედებებში, დეტალურად არის გაშუქებული მის როგორც ქართულენოვან, ისე ასურულენოვან „ცხოვრებებში“. ბიოგრაფის სიტყვით, პეტრეს იმ ჰიმნის მელოდიაც ხსომებია, რომელსაც ეს ნაწილები გაქცეულების გასამხნევებლად გამოსცემდნენ.<sup>41</sup>

ეს ფაქტები იმის დასტურია, რომ არჩილისა და ვარაზ-ბაკური/ასფაგურის თანამეფობის დროს ქართლის მმართველი წრეები წმინდანთა ნაწილებით საგანგებოდ ინტერესდებოდნენ. ისინი აშკარად ცდილობდნენ სწორედ ისეთი ატმოსფერო შეექმნათ სამეფო კარზე, როგორიც იყო კონსტანტინოპოლიში.

მაგრამ ეს ირიბად მიუთითებს, რომ ისინი წმინდა სტეფანეს ნაწილების მოპოვებით განსაკუთრებით იქნებოდნენ დაინტერესებულნი. როგორც ვთქვი, არჩილისა და ვარაზ-ბაკურის ზეობა სწორედ იმ დროს ემთხვევა, როცა მთელს საქრისტიანოში წმინდა სტეფანეს ნაწილების მოპოვება უაღრესად აქტუალური გახდა. კითხვა ისმის ასე: ჰქონდათ კი იმდროინდელი ქართლის მესვეურებს, კერძოდ, არჩილსა და ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს რაიმე შანსი მოეპოვებინათ წმინდა სტეფანეს ნაწილები? ეს არ იყო იოლი, ბიზანტიაში დიდი პოზიციის მქონე პიროვნებებიც ვერ ახერხებდნენ ამას, რადგან, როგორც ვთქვი, წმინდანის ნაწილის ფლობა გულისხმობდა ძალმოსილებას, თანაც ზებუნებრივს.

და მაინც ზემოთ დასმულ კითხვას მე დადებითად ვუპასუხებ. დიახ, ქართველებს ჰქონდათ ამგვარი შანსი და ეს უკავშირდებოდა მეფე არჩილის და მისი თანამმართველის ოჯახის წევრს – პეტრე იბერს.

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს რას ვგულისხმობ, წარმოვადგენ ერთ ეპიზოდს პეტრეს „ცხოვრების“ ასურულენოვანი ვერსიიდან. სიტყვა ეხება 438 წელს. ამ დროს პეტრე უკვე იერუსალიმშია. ეს წელი იმით არის გამორჩეული, რომ დედოფალი ევდოკია ესტუმრა იერუსალიმს. პეტრეც და ევდოკიაც, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, დიდგვაროვანმა მორწმუნე ქალმა მელანიამ (წმინდა მელანია, მელანია უმცროსი) აღძრა იერუსალიმში წასასვლელად. ევდოკია,

41 გეორგია. II. გვ. 261. შდრ. ძეგლები, II, გვ. 224–225.

მიჩნეულია, რომ მოღვაწეობდა როგორც მეორე ელენე დედოფალი, და დიდი ძალისხმევა მოანდომა ქრისტიანული იერუსალიმის განვითარებას. მან ღვაწლი დასდო ეკლესიების მოწყობის საქმეს, წმინდა სტეფანე ეკლესიის მშენებლობა სწორედ მის სახელს უკავშირდება. ამ ეკლესიის კურთხევის ცერემონიალის ჩასატარებლად ევდოკიამ სპეციალურად მიიწვია კირილე ალექსანდრიელი. კურთხევა ჩატარდა 438 წელს 15 მარტს. ამ დროს წმინდანის ნაწილები დაასვენეს ეკლესიაში. ცხადია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პეტრე არ დააკლდებოდა მისი გამზრდელი დედოფლის მიერ ინიცირებულ ამ ღონისძიებას. ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის ფაქტი, რომელიც შემდგომ მოხდა. კურთხევიდან მეორე დღეს, მელანიამ კირილე იერუსალიმელი მიიწვია მის მიერ აგებულ მარტირიუმში, სადაც დაასვენეს სხვადასხვა წმინდანის ნაწილები, მათ შორის, წმინდა სტეფანეს ნაწილები და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იმ სპარსელ წმინდანთა ნაწილებიც, რომლებიც პეტრემ ჩამოაბრძანა სამშობლოდან.<sup>42</sup> ანუ პეტრეს აქ ყოფნა და მისი უშუალო კონტაქტი როგორც წმინდა სტეფანეს ნაწილებთან, ისე იმ ქალბატონებთან (ვგულისხმობ მელანიასა და ევდოკიას), რომელთაც მსოფლიოში ყველაზე მეტად მიუწვდებოდათ წმინდა სტეფანეს ნაწილებზე ხელი, კიდევ უფრო აშკარა ხდება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ პეტრეს უნდა ეთხოვა რომელიმე ამ ქალბატონისათვის წმინდა სტეფანეს ნაწილი და მოეპოვებინა კიდეც ის მშობლიური ქვეყნის ეკლესიისათვის. ცნობილია ორივე ამ ქალბატონის დიდი კეთილგანწყობა პეტრესადმი და ისიც, თუ ამგვარ საქმეში პეტრე რაოდენ „პრაქტიკულობას“ იჩინდა. მაგალითად, პეტრეს ასურულენოვან „ცხოვრებაში“ აღნერილია მის მიერ ნამდვილი ჯვრის ანუ ძელი ცხორებისას ნაწილის მოპოვების ისტორია. მაშინ ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო, როცა ეს რელიკვია მოიპოვა იერუსალიმელი სასულიერი პირებისაგან.<sup>43</sup>

42 C. B. Horn. *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The Career of Peter the Iberian*, გვ. 75–76.

43 H. A. Klein. *Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople*. გვ. 85.

ასე რომ, პეტრე იბერი ნამდვილად შეიძლება იქნეს მიჩნეული იმ პიროვნებად, რომელმაც ქართლისათვის წმინდა სტეფანეს რომელიმე ნაწილი მოიპოვა. ამ შემთხვევაში მისი დამხმარე, ვფიქრობ, რომ მაინც უფრო დედოფალი ევდოკია უნდა ყოფილიყო, რადგან ნაწილის პეტრესათვის მცხეთა-ში წარმოსაგზავნად მიცემა არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პიროვნული კეთილგანწყობის გამოხატულება, თუმც ამ ფაქტორის, გამორიცხვა, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ ქართლისა და ბიზანტიის ურთიერთობებში ამგვარი ტრადიცია ჯერ კიდევ ქართლის მოქცევის დროიდან არსებობდა. სწორედ მაშინ ქართლმა ბიზანტიისაგან მიიღო უძვირფასესი რელიკვიები: ძელი ცხოვებისად<sup>44</sup> ფეხის ფიცარნი მაცხოვრისად, და სამსჭუალნი.<sup>45</sup> პირველი, პირადად წმინდა ნინოსათვის იყო წარმოგზავნილი, მაგრამ ბოლო ორი ეკლესიათა დაფუძნებისათვის.

აი, ამიტომ მგონია, რომ მცხეთის სტეფანენმინდა გარკვეულად უკავშირდება პეტრე იბერს და მის მიერ მოპოვებულ წმინდა სტეფანეს ნაწილს.<sup>46</sup> არჩილი, როგორც მკითხველს ახსოვს, იყო პეტრეს პაპა (პაპის ძმა). პეტრეს ასურულენოვან „ცხოვრებაში“ შემორჩენილია ნაწყვეტი არჩილის წერილიდან პეტრესადმი. ამ წერილიდან ჩანს, როგორ ეიმედება იერუსალიმში მყოფი პეტრე არჩილს.

44 ძეგლები. I, გვ. 86,

45 ძეგლები. I, 86-87.

46 ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ მოვიშველიებთ, თუმც თავისთავად საინტერესოა გადმოცემები საქართველოში წმინდა სტეფანეს რელიკვიებისა და ნახილების არსებობის შესახებ: მაგალითად, არსებობს ტრადიცია, რომ მცხეთის სტეფანენმინდას კედლებში მისი მოქვდინების ქედი იქნა ჩახერხებული. ურბნისის სტეფანენმინდში ადგილობრივი სასულიერო პირები დღემდე აჩვენებენ იმ ქვების გროვას, რომლითაც ჩაქოლეს სტეფანე. მინდა მაღლიერებით აღვნიშნო, რომ ეს უკანასკნელი ცნობა მომარიდა კოლეგამ, ისტორიის დოქტორმა დაით მერკვილაძემ; რაც შეეხება პირველს, ის მომარიდა ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა, როცა ლექციაზე ამ საკითხზე ვსაუბრობდი. სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი არ ჩამინიშნავს, მაგრამ მდლობა, ცხადია, მასაც. ურბნისში წმინდა სტეფანეს ნაწილის არსებობის შესახებ საუბრობენ იქაური სასულიერო პირები, მიუთითებენ, რომ ტაძარში ინახება სტეფანე ნაწილებიანი ხატი. <http://www.goga.tv/78745-urbanisis-stefane-pirvelmowamis-tazarshsi-saswaulibi-dremde-aresruleba.html> სამთავროს დედათა მონასტრის ხატში ჩაბრძანებულია ოცდაერთი წმინდანის წმინდა ნაწილი, მათ შორის, წმინდა სტეფანესიც.

ვითარცა წერილ არს: ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შვილები იერუსალიმში – როგორც ჩვენ გვყავხარ, ამიტომ გთხოვ, შვილო ჩემო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების წყალობით ვპოვო მოწყალეობა.<sup>47</sup>

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულიადაც არა ტყუილად: მშობლიური ქვეყნისათვის წმინდა პირველმოწამის ნაწილის მოპოვება არ იყო უბრალო საქმე.

ამგვარად, სტეფანწმინდა მცხეთაში, ჩანს, გახლდათ არა მარტო ერთ-ერთი ყევლაზე ადრინდელი ეკლესია საქართველოში, არამედ განსაკუთრებული სიწმინდის საფუძველზე აღმოცენებული საკულტო კერაც. მიუხედავად იმისა, რომ სტეფანწმინდა არ წარმოადგენდა არც საკათალიკოსო, არც სამთავარეპისკოპოსო რეზიდენციას, იგი განაგრძობდა არსებობას და მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებდა საუკუნეების მანძილზე.

წმინდა სტეფანე უაღრესად პოპულარული წმინდანი ჩანს საქართველოში.<sup>48</sup> საინტერესოა, რომ იგი ქართლის მეორე და მეოთხე ერისმთავრების – სტეფანოზ პირველისა და სტეფანოზ მეორის სახელის წმინდანია.<sup>49</sup> სტეფანოზ მეორეს სპეციალური კრებაც კი დაუწესებია წმინდა სტეფანე მოსახსენებელი. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ფაქტს „ქართლის ცხოვრება“:

ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, და აღაშენნა დარბაზი, და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრბიან ყოველი ეპისკოპოსნი და მღდელნი მის ადგილისა და არისანი კათალიკო-

47 გეორგიკა, II, გვ. 252.

48 იხ. ლ. ხაჩიძე. სტეფანე პირველმოწამე და ქართული ქრისტიანული კულტურა. ქართველოლოგი, 2016, №26, <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/lela-khachidze-Georgian.pdf>

49 ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართლის მმართველს ქრისტიანი წმინდანის სახელი ჰქვია, ამ ფაქტის შესახებ ყურადღება აქვს გამახვილებული ს. რაპ. S. Rapp. *The Sasanian World through Georgian Eyes. Caucasian and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*, Ashgate, 2014, 333, 335.

სის თანა, წინაშე პატიოსნისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა წორცითა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და წსენება პირველ-მოწა-მისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა, დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს, და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმან მოაქცივნა უმრავლესი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი. ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკო-პოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღე-სასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა.<sup>50</sup>

ჯვრის ტაძრის სამხრეთ ფასადზე არის წმინდა სტეფანე არქიდიაკონის რელიეფური გამოსახულება. სახე, სამწუხ-აროდ, მთლიანად წარხოცილია, თუმც ძალიან კარგად არის შემორჩენლი მისი ტანისამოსი. წარწერაც ახლავს: „წმინდ-აო სტეფანე ქობულ სტეფანოზი შეინყალე“.<sup>51</sup> ბოლო სიტყვა დაქარაგმებულია და ზოგი აქ საკარისკაცო ტიტულის (სტრა-ტილატი, სტრატეგოსი, სიკლიტოზი) ამოკითხებს მიიჩნევს შესაძლებლად, მაგრამ ალბათ მაინც უფრო მართებულია აქ საკუთარი სახელის – სტეფანოზის ამოკითხვა. რადგან ამ ქობ-ულის ვედრება მიმართულია წმინდა სტეფანესადმი. პირველ-მოწამე მისი სახელის წმინდანია.

აღნიშვნული ფაქტები წმინდა სტეფანე პირველმოწამის მნიშვნელოვანი ადგილის მაჩვენებელია ქართლის რელიგიურ ცხოვრებაში არჩილის მომდევნო ეპოქებში, რაც ამ განსა-კუთრებული ისტორიის მქონე ეკლესიითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული.

თავისთავად ასე ადრეულ ეპოქაში წმინდა სტეფანეს სახე-

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ 228–229.

51 ლაპიდარული წარწერები I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XIIIს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა. თბილისი, მეცნიერება, 1980, გვ. 160.

ლობის ტაძრის მცხეთაში აგება დიდი მოვლენაა, რადგან ის კარგად აჩვენებს ქართული ეკლესიის უმჭიდროეს კავშირს და-ნარჩენ საქრისტიანოსთან. ამასთან ისიც მნიშნელოვანია, რომ მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ეს ეკლესია დღემ-დე შემორჩენილია, მაშინ, როცა მისი თანადროული ეკლესია იერუსალიმში, აღარ არსებობს.

ამჟამად არქიტექტურული თვალსაზრისით მცხეთის სტე-ფანწმინდა ძალიან უცნაურ ნაგებობას წარმოადგენს. აშკარაა, რომ მისი ასეთი სახე დაფუძნების დროინდელი არაა. თავდა-პირველი ეკლესიის ნაშთი უნდა იყოს სამნავიანი ბაზილიკის ჩრდილოეთის ნავი, რომელსაც სამი კედელი აქვს. ეს კედლე-ბი, სწორი კვადრებით არის ნაშენი. ამავე ქვით არის ნაგე-ბი კარიბჭე მცირე გალერეით. ამ ერთადერთი ნავის მეოთხე კედელი (კედლის ადგილას თავის დროზე მეორე ნავში გამ-ავალი არე იყო), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კარიბჭე ორსართულიანია. პირველ სართულს ადგას გვიანი შუა საუკუ-ნეების ეპოქის თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც ქმნის მეორე სართულს. ეკლესიის გვიანდელი სამხრეთ კედელი და კოშკი ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით. განირჩევა, აგრეთვე, თავდაპირველი ბაზილიკის საფუძვლის ნაწილიც, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავიდან შენობას ჰქონდა შესა-ბამისი ეპოქისათვის საკმაოდ შთამბეჭდავი ზომები. კარიბჭის გალერეას თავდაპირველი ადგილი ეს არ უნდა ყოფილიყო, თუმც თავად გალერეა უძველესი შენობის ნაწილი ჩანს. ის მიაგვს ბოლნისის სიონის მცირე გალერეას. როგორც ითქვა, „მოქცევად ქართლისააში“ გვაქვს სრულიად ცალსახა ცნობას იმის თაობაზე, რომ ბოლნისის სიონი აიგო ბაკურ თრდატის ძის ზეობაში ანუ მეხუთე საუკუნის ათიან წლებში. ამ ბაკ-ურის ზეობა, როგორც ვნახეთ, მცირე ხნით უსწრებს არჩილის ზეობას. ამგვარად, ბოლნისის სიონი და მცხეთის სტეფანწმინ-და თითქმის ერთი დროის ძეგლებია და, შესაძლოა, ერთი და იმავე არქიტექტორის მიერ შექმნილნიც. ყოველ შემთხვევაში, ერთი და იმავე დიზაინით რომ იყვნენ ნაგებნი, მოულოდნელი სულაც არაა.

ტაძრის ზღურბლში აღმოჩენილია ქვა წარწერით, რომელ-შიც მოიხსენიება ავრელიოს აქოლისი. ქვა აღმოჩნდა ტაძარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს. ეს ავრე-ლიოს აქოლისი წარწერის მცხეთაში აღმოჩენის მეორე შემთხ-ვევაა. მისი ეპიტაფია 1938 წელს აღმოჩნდა სამთავროს ეზოში. მას მეოთხე საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევენ ამ წარწერის მიხედ-ვით. არასწორია ტაძრის მშენებლობის ავრელიოს აქოლისის მოღვაწეობის წლების მიხედვით დათარიღება, რამდენადაც ზღურბლში ჩატანებული ქვა აშკარად მეორადი გამოყენები-საა. ავრელიოს აქოლოსის წარწერიანი ქვაც და სხვა მრავალი ფაქტიც აჩვენებს, რომ ამჟამინდელი ნაგებობა შეკონინებუ-ლია სხვადასხვა დროის შენობების ფრაგმენტებისაგან.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აქ უკვე არჩილის დროს აიგო თავდაცვითი ნაგებობანი. ჩემი აზრით, აქ საუ-ბარია სწორედ იმ კარზე, რომელსაც ამ ადგილას ვარაუდობს გ. ყიფიანი. მისი მითითებით, მცხეთას სამი კარი ჰქონდა. ერთი აღმოსავლეთისა ანუ არაგვის კარი იყო სწორედ აქ.<sup>52</sup> იმ მიზეზით, რომ კართან ასე ახლოს იყო და მტრის სამიზნეს წარმოადგენდა, ეკლესია უწყალოდ დაზიანდა და ამიტომაც გვაქვს დღეს შემორჩენილი ასე ფრაგმენტულად.

საბჭოთა პერიოდში ეს ეკლესია სრულიად უყურადღე-ბოდ იყო მიტოვებული. დღეს იგი მოვლილია. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქველმოქმედებით, შეილესა და მოიხატა ტაძრის ინტერიერი (ზატმწერი ირაკლი ცინცაძე), შემოიზღუდა ეზო, აიგო საცხ-ოვრებელი სახლი. 2002 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სტეფანწმიდის ტაძარი გადაეცა სამთავ-როს წმინდა ნინოს დედათა მონასტერს. ამავე წელს, მონას-ტრის წინამდლვრის, ილუმენია ქეთევანის და მოძღვრის, არქი-მანდრიტ მიქაელის ძალისხმევით, დაფუძნდა წმინდა სტეფანე პირველმოწამის დედათა მონასტერი.<sup>53</sup>

52 გ. ყიფიანი. წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, 2004.

53 ვსარგებლობ ინტერნეტში გაფრცელებული ინფორმაციით: <http://saunje.ge/index.php?id=127&lang=ka>

მიუხედავად იმისა, რომ სვეტიცხოველთან ძალიან ახლოს არის, წმინდა სტეფანეს ეკლესია თვალთახედვიდან როგორ-ლაც მიმალულია და ბევრმა ტურისტმა თუ მომლოცველმა უბრალოდ არაფერი იცის მის შესახებ.<sup>54</sup> ამ ეკლესიას ანტიოქიასაც უწოდებენ. „ანტიოქიად“ სახელდების ტრადიცია ზეპირსიტყვიერია. დღემდე ცნობილ წერილობით წყაროებში ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

არაგვისა და მტკვრის შესაყართან შვერილ ადგილას, უფრო არაგვის მხარეს მდებარე მცხეთის სტეფანწმინდიდან შესანიშნავი ხედი იშლება: ერთი მხრივ, ეკლესია სვეტიცხოვ-ელს უყურებს, მეორე მხრივ – ჯვრის ეკლესიას. მეფე არჩილის დროსაც მტკვრისა და არაგვის შეყრის მიმდებარე ადგილი ასეთივე ლამაზი იქნებოდა, როგორც დღეს, ოლონდაც ხედი – სხვა: სვეტიცხოვლის წინამორბედი ქუემო ეკლესია მაშინ დაქცეული იყო, მთაზე ალმართული წმინდა ნინოს ჯვარს კი ჯერ მხოლოდ რევის მიერ შექმნილი „კუბა“ იფარავდა.

ადვილი წარმოსადგენია როგორ ჩანდა ამ ფონზე ახლად-აგებული სტეფანწმინდა.

#### 4.

მეფე არჩილის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ორი სომხურ წყაროც. ესენია კორიუნის „მესროპ მაშთოცის ცხოვრება“ და მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია.“<sup>55</sup> ორივე შემთხვევაში არჩილი დასახელებულია მესროპის ქართლში მეორე ვიზიტთან დაკავშირებით.

მითითებულია, რომ არჩილი ყველანაირად ხელს უწყობდა მაშთოცს. როგორც უკვე ითქვა, პირველი ვიზიტისას მესროპს ბაკურ მეფე ანუ ბაკურ თრდატის ძე დახვდა ქართლის ტახ-

54 ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივად მიმარისა, რომ მისა არსებობა გამორჩენია ს. რაპსაც კი, რომელიც, საქართველოს ისტორიის დაკვირვებული მცვლევარია: როცა ახსენებს არჩილის დროს მცხეთაში წმინდა სტეფანეს ტაძრის მშენებლობას, შენიშვნაში მიუთითებს, რომ ტაძარი არ შემორჩენილა. იხ. H. Rapp, Jr. *Imagining History at the Crossroads*, გვ. 401, შენ. 53.

55 მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესაბალ და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბილისა, 1984, გვ. 231; Koryun. The life of Mashtots. <http://armenianhouse.org/koryun/mashtots-en.html>, კორიუ. Житие Маштоца. <http://www.vehi.net/istoriya/armenia/korun/intro.html> თავი მეთვრამეტე.

ტზე, მეორე ვიზიტის დროს – კი არჩილი (არძილი). ბაკურსა და არჩილს შორის, როგორც ვნახეთ, „მოქცევად ქართლისას“ მიხედვით კიდევ ორი მეფეა: ფარსმანი და მირდატი. სომხურ წყაროში მათი სახელების არდაფიქსირება, ცხადია, ქართული წყაროს მონაცემს ეჭვქვეშ არ აყენებს. სომხური წყარო ხომ ქართლის მეფეთა რიგის სრულად წარმოდგენას არ ისახავდა მიზნად. ის აფიქსირებს იმ მეფეებს, რომელთანაც მესროპს ჰქონდა ურთიერთობა.

როგორც უკვე ვთქვი, ეს ცნობა არ ასახავს ქართული ასომთავრული დამწერლობის წარმოშობის ისტორიას. ქართული ასომთავრული დამწერლობა ამ დროისათვის კარგა ხნის შექმნილი იყო. მხედველობაში მაქვს, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცალსახა ინფორმაცია მეფე ფარნავაზის დროს ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ და კიდევ ის გარემოება, რომ დღემდე ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული აღბეჭდილია წარმართული მსოფლებელით. ანუ შეუძლებელია, ის ქრისტიანი მოღვაწის შემოქმედების ნაყოფი იყოს.

ამავე დროს მე არ ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცნობა კორიუნის ტექსტში გვიანდელი ჩანართია, ან მესროპ მაშთოცის მოღვაწეობა და მისი ვიზიტები ქართლში გამოგონილი. მაგრამ ეს ფაქტები ამსახველია არა ქართული ასომთავრულის შექმნის (როგორ ვთქვი, ანბანი ამ დროისათვის უკვე არსებობდა და გვიანდელ პერიოდში ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ თუნდაც რამდენამდე დასაბუთებული თვალსაზრისი სპეციალურ ლიტერატურაში მე ჯერ არ შემხვედრია), არამედ იმ პროექტის განხორციელების (ფდას, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულად და პოლიტიკურად ერთიანი სამხრეთ კავკასიის ჩამოყალიბებას ბიზანტიის ეგიდით. მაშთოცი, აშკარად ბიზანტიის მიერ იყო ინსპირირებული. წარმოუდგენელია, რომ თავად სომხებს ამ დროს მათი უაღრესად შეჭირვებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საერთო კავკასიური კულტურული სივრცის ჩამოყალიბების ამბიციები ჰქონიდათ. ქართლი, საკმაოდ მოქნილ, ხშირად სომხეთთან არათანხვდენილ, პოლიტიკას ანარმოებდა, თუნდაც ირანთან მიმართებაში.

ამ დროისათვის შვიდსაუკუნივანი ტრადიციის მქონე ქართული ანბანი, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმართობის „ცოცხალი ნაშთი“ იყო, ქართველებს იდეოლოგიური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით არ ჩაუნაცვლებიათ მესროპისეული ასოებით. მაგრამ მესროპის პროექტის არგანხორციელება არ ნიშნავს იმას, რომ ქართლში მესროპ მაშთოცი არ ყოფილა და რომ ის მისი რანგის მოღვაწის შესაბამისი პატივით არ იქნა მიღებული ქართლის მესვეურების, მათ შორის, არჩილის მიერაც.

ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირების ერთ-ერთი ფრონტის ხაზი სწორედ სამხრეთ კავკასია იყო. ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქაური სახელმწიფოების პოზიციას. სამხედრო ძალის გარდა ორივე იმპერია იყენებდა კულტურულ-იდეოლოგიურ რესურსს. კავკასიური ერთიანობის გამოსაჭედად ბიზანტიას გააჩნდა ქმედითი იარაღი ქრისტიანობის სახით. პრობლემას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ძლიერი წარმართული კულტების გავლენა. ეს საშიში იყო არა მარტო იმიტომ, რომ ქრისტიანობას უპირისპირდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის ხალხების ერთ პლატფორმაზე გაერთიანების საშუალებას არ იძლეოდა. კავკასიის ხალხების ბიზანტიური კულტურით გამსჭვალვას ესწრაფვოდა ბიზანტია. ქართული სინამდვილე ამის ბევრ მაგალითს იძლევა. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ქართლის ტახტის მემკვიდრეების გარკვეული დროით ბიზანტიაში გაწვევა, საიმპერატორი კარზე მათი აღზრდა, ბიზანტიურ კულტურასთან მათი ზიარება.

ირანიც არ აკლებდა ხელს კულტურულ ექსპანსიას. როგორც ამ თავის დასაწყისში მოყვანილი ამონარიდიც ცხადყოფს, მოგვები დაუბრკოლებლად საქმიანობდნენ მცხეთაში, ერთ-ერთი მთავარეპისკოპოსი, რომელსაც მობიდანს უწოდებს „ქართლის ცხოვრება“ (რადგან მემატიანე ხედავს რომ სინამდვილეში ის, მართლაც, მობიდანი ანუ მოგვების უფროსი იყო), წერდა თურმე საცდურების წიგნებს. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს:

ამის არჩილის ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არ-

ჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავით სპარსი და აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგვ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერა უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰერონებდეს მორწმუნედ. და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცდურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ, რომელი განიკურთა კადრებისათვის ვახტანგ მეფისა.<sup>56</sup>

ვერ შეუტყვესო მეფე არჩილმა და მირდატმა. სინამდვილე-ში, ვფიქრობ, რომ ამ დროს ქართლის ხელისუფლებას იმის ძალა არ შესწევდა, რომ ეს ფაქტი შეემჩნია და მის საწინააღმდეგოდ სათანადო ზომები მიეღო. ეს მხოლოდ მოგვიანებით შეძლო მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელმაც მობიდანის ნაწერები საჯაროდ დაწვა.

ქართლის პოლიტიკა ამ დროს შეგნებულად ორჭოფული ჩანს: ის გულისხმობდა რევერანსებს ორივე იმპერიის მიმართ, რათა ფიზიკურად თავი გადაერჩინა და კულტურული თვით-მყობადობაც შეენარჩუნებინა.

56 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 142.

## თავი V.

### ხოსროვის მუნიციპალიტეტი მოკლე რეპრეზენტაცია

საზოგადოდ ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აქვთ სამეფო ოჯახებს, რადგან მონარქი ხშირად გვევლინება ჯვეფის თვითიდენტიფიკაციისათვის მთავარ ორიენტირად. ქართული სინამდვილე ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. სამეფო სახლი ქართული ერთობის ცხოვრებაში ყოველთვის ასრულებდა განსაკუთრებულ როლს და მოხაზავდა მის კულტურულ პროფილს. ამ ფაქტიდან გამომდინარე საქართველოს წარსულის რეპრეზენტირება სამეფო დინასტიების ისტორიების მიხედვით ნამდვილად ინტერესის აღმძვრელია.

ქართული ერთობის არსებობის მანძილზე აშკარად იკვეთება ოთხი დინასტიის განსაკუთრებული როლი: ესენია აიეტიანთა, ფარნავაზიანთა, ხოსროვანთა და ბაგრატიონთა დინასტიები. ყველა ეს დინასტია იდენტიფიცირებული იყო ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიერ. ფარნავაზიანთა, ხოსროვანთა, ბაგრატიონთა შემთხვევაში ეს ფაქტი მკვლევართათვის ცხადია უკვე კარგა ხანია. აიეტიანთან დაკავშირებით კი ვითარება სულ ახლახან გაირკვა: კერძოდ, ჩემს ერთ-ერთ ნაშრომში ვაჩვენე, რომ აზო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ იქნა დასმული ქართლის ტახტზე, ლეგიტიმურად განიხილებოდა მისი აიეტიანებთან კავშირის მიზეზით. ეს აზრი იკითხება ქართულ წყაროებში. „აზო“ ამ პიროვნების საგვარელო (აზონიდი) სახელი იყო. მისი ლეგენდა გულისხმობდა კოლხეთის მეფის აიეტის ნაშიერობას ანუ აიეტის ასულ მედეასა და მისი ბერძენი მეუღლის იაზონის შთამომავალობას. და სწორედ ეს ანუ კოლხეთის დიდი მეფის ოჯახთან ასოცირება აზოს ყოფნას ქართლის ტახტზე ხდიდა კანონიერად.

„მოქცევად ქართლისაა“ არაფერს გვამცნობს იაზონი-

ანების ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ: აზოსა და ფარნავაზის სხვადასხვა დინასტიისადმი კუთვნილებას ეს წყარო არ მიუთითებს. საერთოდ არაფერს ამბობს თუ რა კავშირია მათ შორის. სამაგიეროდ დინასტიური ცვლილებები კარგად არის ასახული „ქართლის ცხოვრებაში“ არა მარტო ფარნავაზიანებთან დაკავშირებით, არამედ ფარნავაზიანთა გადაშენებისა და ხოსროვანთა დინასტიის დაფუძნების შემთხვევაშიც.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლში ქრისტიანობის დამნერგავი მეფე მირიანი არ ეკუთვნოდა ფარნავაზიანთა დინასტიას. უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფე ასფაგური ისე გარდაიცვალა, რომ ვაჟი არ დარჩა, არამედ მხოლოდ ასული აპეშურა. ასფაგურის მომდევნო მირიანი სპარსეთის სამეფო სახლს ეკუთვნოდა, უფრო ზუსტად, იყო ირანის შაჰის (სავარაუდოდ, პორმიზდ I ანუ პორმიზდ არდაშირის) შვილი ხარჭისაგან. მისი ჩამოყვანა ქართლში განაპირობა მოლაპარაკებამ ქართლისა და ირანის მესვეურებს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ ირანელი უფლისნულის გამეფების სანაცვლოდ ქართლს შეუნარჩუნებოდა რელიგიური იდენტობა, რაც იმ დროში ეთნო-კულტურულ იდენტობას ნიშნავდა.

ამგვარად, ქართლის გამაქრისტიანებელი მეფე ამავე დროს ახალი დინასტიის დამფუძნებელი გახლდათ. სასანიან შაჰებს ქართულ წყაროებში ეწოდებათ „ხოსრო“. შესაბამისად, ეს დინასტია, რომელიც თავს სასანიანთა ოჯახთან დაკავშირებულად მიიჩნევდა, შეიძლება წოდებულ იქნეს როგორც ხოსროვანთა დინასტია. ასეც მოიხსენიებენ კიდეც მას ქართული წყაროები.

როგორც ითქვა, „ქართლის ცხოვრებისაგან“ განსხვავებით დინასტიური ცვლილების ფაქტი პირდაპირ არ ასახულა „მოქცევად ქართლისამში“. აქ არაფერია ნათქვამი ირანის სამეფო ოჯახიდან მირიანის წარმომავლობის თაობაზე. თუმცი ინფორმაცია მისი მამის ლევის შესახებ ირიბად ამ ფაქტს ადასტურებს. აღნიშნული ინფორმაცია დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და მას, ჩვეულებრივ, განიხილავდ-

ნენ როგორც ფაქტს, რომელიც გამორიცხავს მირიანის ხოს-როვანობას. მაგრამ ირკვევა, რომ ეს ინფორმაცია არათუ ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ მონაცემს მირიანის ხოსროვანობის შესახებ, არამედ ირიბად ამტკიცებს კიდეც მას: მეფეთა სიაში მირიანამდე მოხსენიებული ერთადერთი პირი, რომელიც ქართლის მეფე არ ყოფილა, არის სწორედ მირიანის მამა ლევი, რომლის სტატუსი მხოლოდ მირიანის „მამობა“ გახლავთ. საერთოდ, რომ არაფერი ყოფილიყო აქ ლევის შესახებ ნათქვამი, ეჭვიც არ აღგვეძროდა, რომ ისიც არ მეფე იყო; მაგრამ არის გარკვეული მონაცემი და არ არის აღნიშნული მისი მეფობა, ეს უკვე იწვევს კითხვას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა მირიანის მშობელს კი არ ეხება, არამედ მის გამზრდელ რეგენტს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მირიანი მცირენლოვანი ჩამოიყვანეს ქართლში და მას ჩამოჰყვა მამობილი ანუ რეგენტი მირვანოზი. „მოქცევად ქართლისას“ ლევი სწორედ რეგენტი უნდა იყოს; შესაძლოა, ის იგივე მირვანოზია. საქმე ისაა, რომ უმეტესობა სახელებისა, რომელიც აქვთ გვიანანტიკური პერიოდის ქართლის მეფეებს, სპარსული საზოგადო სახელია, რელიგიური ეპითეტია პიროვნების მოღვაწეობის არსის გადმოსაცემად. ცხოვრების მანძილზე პიროვნების სტატუსის ცვლილების შესაბამისად ეს ეპითეტები მატულობდა და ამ მიზეზით ზოგჯერ ერთიდაიგივე პიროვნება არაერთი სახელის მატარებელი გამოიდიოდა. ამიტომ შესაძლოა, რომ მირიანის გამზრდელს რქმეოდა როგორც მირვანოზი, ასევე ლევი/რევი და ერთმა წყარომ ერთი სახელი დააფიქსირა და მეორემ კი – მეორე. თუმც გამოირიცხული, არაა, ცხადია, ისიც, რომ მირვანოზის გარდაცვალების ან უბრალოდ ქართლიდან გაწვევის შემდეგ მირიანს დაუნიშნეს ახალი რეგენტი. ნებისმიერ შემთხვევაში „მოქცევად ქართლისას“ ცნობა ლევის, როგორც მირიანის მამის, შესახებ არ ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ ცნობას მირიანის ხოსროვანობის თაობაზე. მეტიც: ირიბად ადასტურებს მას.

მე მაინც იქითკენ ვიხრები, რომ რევი და მირვანოზი ერთი და იგივე პირია. მირიანს აშკარად განსაკუთრებულლი მი-

ჯაჭვულობა ჰქონდა ლევ/რევისადმი, რახან შვილსაც იგივე სახელი ანუ რევი დაარქვა. ასეთი მიჯაჭვულობა კი, მგონია, შეიძლება ჩამოყალიბებულიყო იმ პირის მიმართ, რომელიც მას მეურვეობდა პატარა ასაკიდანვე.

მაგრამ ასეა თუ ისე, უმთავრესი ცხადია: მირიანის ხოს-როვანობა ეჭვს არ იწვევს.

ჯერ კიდევ მცირენლოვანი მირიანი გახდა არა მარტო ქართლის მეფე, არამედ არაერთი სხვა ქვეყნის გამგებელიც, რადგან ის იყო ფაქტობრივ შაჰის ნაცვალი გარკვეულ რეგიონში.

ირანელი უფლისწული მალე გაქართველდა: სპარსული დაივიწყა და ქართული ისწავლა, შეიყვარა ქართლის კერპები, თუმც ცეცხლთაყვანის მცემლობა არ მიუტოვებია. ფარნავაზიანთა საქმის გამგრძელებლად დაინწყო თავის წარმოჩენა, მაგრამ არც თავისი წარმომავლობა ანუ ხოსროვანობა ავინყდებოდა და ირანის ტახტზე პრეტენზიებიც განაცხადა გარკვეულ ვითარებაში.

ასე იწყება ქართლში ხოსროვანთა სამეფო ოჯახის ისტორია.

მირიანი, მართლაც, საოცარი მეფე გამოდგა, ის იყო ნამდვილი იდეოლოგიური გზაჯვარედინი; მრავალფეროვანმა რელიგიურმა გამოცდილებამ მისი თვალსაწიერი ფართო გახადა. მან ზუსტად ამოიცნო, რომ ქართულ ერთობას აღარ შეეძლო განვითარება ძველი კულტის ჩარჩოებში, მაგრამ ქართველობისათვის რელიგიად მამული რჯული ანუ მაზდეანობა კი არ შეარჩია (ეს ქართულ იდენტობას წაშლას უქადდა), არამედ ქრისტიანობა – ტრანსეთნიკური რელიგია, რომელიც ხელს უწყობდა არა მარტო შიდა ეთნიკური კავშირების სიმყარეს, არამედ ქართული ჩვენ-ჯგუფის ლიაობასაც და კულტურული სოლიდარობის განმტკიცებასაც პოლიტიკური და პოლიკონფესიური ქვეყნის მასშტაბით თუ მის გარეთ. მირიანი ინტელექტუალი პოლიტიკოსი გახლდათ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო არა მარტო ახალი რელიგიის მიღებაში, არამედ ახალ იდეოლოგიურ საწყისებზე ქართული იდენტობის გარდაქმნაშიც. საზოგადოდ ქრისტიანობის მიღება წარმოადგენდა პროცესს, რომელიც ქართული ერთობის რაობის გადააზრებას და

მსოფლიო ისტორიულ პროცესში მის ახლებურ კონცეპტუალიზებას გულისხმობდა. აი, სწორედ ამ პროცესს დასდო ღვაწლი მირიანმა.

მირიანის სიცოცხლეში აშენდა ქართლში პირველი ორი ეკლესია: ქვემო და ზემო. ორივე თავის წიაღში ინახავდა რელიგიას: ერთი სასწაულთმოქმედ სვეტს, მეორე მაყვლის ბუჩქს. პირველი ხის იყო, მეორე – ქვის. ამ დროს სამეფო ბაღში შეიქმნა ზეციური იერუსალიმის სივრცულ-ლანდშაფტური ხატი, რომელიც ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიას უკავშირდებოდა. ქართლი და, კონკრეტულად, მისი დედაქალაქი მცხეთა მოიაზრებოდა ადგილად, სადაც მეორედ მოსვლის შემდგომ ყოფიერების ფუნდამენტურად გარდაქმნის შედეგად უფლის სასუფეველი ანუ ზეციური იერუსალიმი უნდა დამყარებულიყო.

მირიანის პირველი მეუღლე აბეშურა ადრე გარდაიცვალა, მეორე იყო ბერძენი ნანა. მირიანი და ნანა ზემო ეკლესიაში არიან დაკრძალულნი.

მირიანის ძე და თანამოაზრე იყო რევი. ის ღრმად ღვთისმოსავი ადამიანი ჩანს: წყაროებში მას ვხედავთ აქტიურად ჩართულს ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც ინიცირებულ იქნა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების პროცესში. სწორედ ეს ასკეტური ღვთისმოსაობა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ რევი არ გამეფდა. საქმე ისაა, რომ „მოქცევად ქართლისას“ მიხედვით მირიანის შემდეგ ტახტზე ავიდა რევის ძე ბაკური. რევი კი ამის შემდგომაც ცოცხალი იყო. ანუ შვილის მხრიდან ტახტის უზურპაციას აშკარად არ ჰქონია ადგილი და რევის მიერ ტახტის არდაკავება ნებაყოფილობით აქტად უნდა განვიხილოთ. „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ბაკური (აქ სახელი „ბაკური“, „ბაქარის“ ფორმითაა წარმოდგენილი) იყო არა რევის ძე, არამედ მირიანის ძე. ანუ მირიანს თითქოს ორი ძე ჰყავდა: რევი და ბაკური. და რევს, ამ წყაროს განმარტებით, მამის სიცოცხლეშივე ჰქონდა მეფობა მინიჭებული. მაგრამ რევის მეფობის ფაქტი არ დასტურდება წყაროებით. მემატიანე თხზავს ამ განმარტებას, რათა ახსნა მოუძებნოს რევის არგა-

მეფების ფაქტს. მაგრამ აშკარად საქმე გვაქვს ლეონტი მროველის ანუ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორის, მიერ წყაროს (ამ შემთხვევაში „მოქცევად ქართლისაას“) მონაცემის კრიტიკული განხილვის (შვილიშვილის გამეფება არაბუნებრივად ეჩვენება) მიზეზით არასწორ რეპრეზენტაციასთან, რისი შედეგიცა ის, რომ მის თხზულებაში შვილიშვილი „გადაიქცა“ შვილად. რევი სულის საცხონებელი საქმეებით იყო დაკავებული სიკვდილის ბოლომდე. ასეთი განწყობის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ძალიან ბუნებრივი იყო გვიანანტიკურ ეპოქაში, მაგრამ ნაკლებად იმ დროს, როცა მოღვაწეობდა ლეონტი ანუ XI საუკუნეში. აქედან წარმოდგება ლეონტის მიერ წყაროს მონაცემის გაუზიარებლობა და აქედან გამომდინარეობს მისი შეცდომაც რეპრეზენტაციაში.

რევის მსგავსი სალევთო შურით იყო აღძრული მისი მეუღლე სალომე უჟარმელიც, რომელიც სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის ქალიშვილი გახლდათ. სალომეს უკავშირდება ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს შესახებ თვითმხილველთა მოგონებების კრებულის შედგენა, რომელიც წმინდა ნინოს „ცხოვრების“ არქეტიპული რედაქციაა. ცხადია, რეალურად ეს არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სალომეს ინიციატივა. ეს ქართლის მესვეურთა ოფიციალური პოლიტიკის პროექტის ამ-სახველი დოკუმენტი იყო, რომლის შექმნასაც ფორმალურად დედოფალი ხელმძღვანელობდა. რევი და სალომე დაკრძალული არიან ქვემო ეკლესიაში. აქ საფლავი თავის სიცოცხლეშივე გაიმზადა რევმა.

ბაკურ რევის ძის ზეობა „მოქცევად ქართლისაას“ ცნობით, აღინიშნა წილკნის ეკლესიის მშენებლობით. ის აგრეთვე დაუკრძალავთ ქვემო ეკლესიაში, იქ, სადაც მისი დედ-მამა განისვენებდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „უმრავლესნი კავაკასიანნი“ ამ ბაკურმა მოაქცია. იგი ცდილობდა ეთანამშრომლა როგორც ბიზანტიასთან, ასევე ირანთან.

ბაკურ რევის ძის შემდგომ ტახტი დაიკავა მისმა ძმამ თრდატმა. „მოქცევად ქართლისაას“ მიხედვით იგი გახლდათ ქართლის ქრისტიან მმართველთა შორის მესამე მეფე. თრდატი

იყო სომეხთა კათალიკოსის ნერსე დიდის თანამედროვე. ამგვარად, ის ზეობდა IV საუკუნის მეორე ნახევარში.

მაგრამ ამიანე მარცელინე ქართლის მეფედ ასახელებს მერიბანესს 361 წლის ამბებთან კონტექსტში. როგორ შევათანხმოთ ეს ცნობები? დასახელებულ მეფეთაგან რომელი, თრდატი თუ მერიბანესი, იკავებდა ქართლის ტახტს IV საუკუნის მეორე ნახევარში?

ირკვევა, არჩევანის გაკეთების პრობლემა არაა, რადგან თრდატი იგივე მერიბანესია. ამ ერთმანეთისაგან ფონეტიკურად განსხვავებული ორი სახელის დასაკავშირებლად შუალედურ ფორმას გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ქართლის მესამე ქრისტიან მეფედ ასახელებს მირდატს. სახელი „მირდატი“ (მიჰრ-თრდატი), რომ იგივე „თრდატია“, ამაში დაეჭვება შეუძლებელია. მაგრამ „მირდატი“ უკვე ახლოა „მერიბანესთან“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქრონოლოგია ემთხვევა, მაშინ ერთად აღებული ეს ორი გარემოება თრდატისა და მერიბანესის (თრდატი- მირთრდატი- მერიბანესი) გაიგვების საფუძველს გაძლევს.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემი ქართლის მესამე ქრისტიანი მეფის სახელის შესახებ ამ შემთხვევაში სარწმუნოა, თუმც არასწორია, ცნობა იმის თაობაზე, რომ მირდატი (თრდატი/მერიბანესი) ბაკურ რევის ძის შვილი იყო. „მოქცევად ქართლისად“ მიხედვით, როგორც ითქვა, თრდატი (მერიბანეს/ მირდატი) არის ბაკურ რევის ძის ძმა. როგორც ზემოთაც მივუთითე, ლეონტი სწორ წყაროებს ეფუძნება, მაგრამ მათ კრიტიკულად ეკიდება და არცთუ იშვიათად ამის გამო არასწორ რეპრეზენტაციებს გვთავაზობს. მის შესწორებებს ხშირად აქვს მიზანი გახადოს აღნერილი ვითარება „ჩვეულებრივი“ და არაორდინარულობის მიზეზით კითხვების აღმძვრელი ფაქტი მოაქციოს გარკვეულ, საზოგადოებრივი მოლოდინებით შემოსაზღვრულ, კალაპოტში. ამჯერადაც ასეა: ბაკურ რევის ძის შემდგომ ლოგიკურია მისი შვილის გამეფება, მაგრამ რეალობა სხვაგვარი იყო და ის, რომ ბაკურის მერე გამეფდა მისი ძმა თრდატი, დააფიქსირა ლეონტის წყარომ ანუ „მოქცევად ქართ-

ლისამ“, ლეონტი მროველმა კი შეცვალა, მისი აზრით, „არალ-ოგიკური“ რეალობა „ლოგიკური“ რეალობით. ამ შესწორების შედეგად წყაროსეული „ძმა“ გადაიქცევა „ძედ“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისტორიულ რეპრეზენტაციას.

როგორც გამოირკვა, ჩვენ საკმაოდ ზუსტად შეგვიძლია დავათარიღოთ თრდატ რევის ძის ზეობა და მირიანის ზეობაც. ცხადი გახდა, რომ მირიანი არ შეიძლება იყოს მერიბანესი (ამაში კი მკვლევართა უმრავლესობა დარწმუნებული იყო): მერიბანესი მირიანის შვილიშვილი თრდატ/მირდატია. შესაბამისად, მირიანის ზეობა ვერ გადმოსცილდება IV საუკუნის პირველ ნახევარს. ეს დასკვნა კი ხოსროვანთა ოჯახის ისტორიის აღდგენისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ორიენტირია.

იგივე ამიანე მარცელინეს მიხედვით შეგვიძლია დაახლოებით განვსაზღვროთ თრდატის ნასვლა (სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზით) ხელისუფლებიდან. ამიანე 368 წლისათვის საუბრობს რომაელების მიერ დასმული სავრომაკის შესახებ, რომელიც ამ წელს სპარსელების დახმარებით ვინმე ასფაგურს გადაუყენებია.

ამგვარად, 361-368 წლებს შუა პერიოდში თრდატი ხელისუფლებას ჩამოცილებულ ჩანს. ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო რომაელების დახმარებით სავრომაკის მოსვლა ქართლის სათავეში და, აგრეთვე, შემდგომში სპარსელებისაგან ძალამოცემულ ასფაგურის მიერ სავრომაკის გადაყენება.

ერთხანს თრდატის გარდაცვალების შემდეგ ქართლს მართავდა სავრომაკი. მაგრამ იგი არაა მოხსენიებული ქართველ მეფეთა სიაში, არც „მოქცევად ქართლისაძმი“, არც „ქართლის ცხოვრებაში“. მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი მას აღადგენს ამ სიაში. რამდენად მართებულია ეს?

სავრომაკის ქართლის მეფეთა სიაში აღდგენა არ არის სწორი, ამიანე მარცელინესთან ხომ გარკვევით ჩანს, რომ სავრომაკი გვირგვინოსანი ანუ მეფე არ ყოფილა.

რა გამოდის: სავრომაკი მართავდა ქვეყანას ისე, რომ მეფე არ ყოფილა. რატომ? ვინ იყო იგი?

მკვლევართა აზრით, სახელი „სავრომაკი“ იგივე „საურ-

მაგია“. და ეს გაიგივება სავსებით მართებული ჩანს. ვახტანგ გორგასლის ეპოქაში სახელ საურმაგს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ატარებდა სპასპეტი ანუ მეფის შემდგომ მეორე პირი. ის იყო ვახტანგის მამამძუძე. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ფეოდალურ საგვარეულოებში სახელები მეორ-დებოდა. ამიტომ „საურმაგი“ სპასპეტთა სახელი უნდა ყო-ფილიყო. შესაბამისად, რომაელების დახმარებით ქართლის მმართველად გამხდარი სავრომაკ/საურმაგი, ჩანს, რომ იყო ქართლის სპასპეტი. ამ ფაქტის გაცნობიერებით მისდამი რო-მაელების მხარდაჭერაც გასაგები ხდება: რომაელები სავსებით შემთხვევით ადამიანს არ ჩააბარებდნენ ქართლს. რომაელთა დახმარებით ქართლის მართვა დაუწყია ქართლის სიძლიერით მეორე საგვარეულოს ანუ სპასპეტის საგვარეულოს.

ეს გარემოება მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყო-ფილიყო სამეფო სახლისათვის.

ასფაგურს კი სპასპეტის საგვარეულო ქვეყნის მმართ-ველობისათვის ჩამოუშორებია და ქვეყნიდანაც განუდევნია ირანელთა დახმარებით. სახელ „ასფაგურს“ „ვარაზ-ბაკურ-თან“ აიგივებენ მკვლევრები. ეს გაიგივებაც სავსებით მარ-თებული ჩანს.

განსხვავებით სავრომაკ/საურმაგისაგან ვარაზ-ბაკურ/ ასფაგური დასახელებულია „მოქცევა ქართლისადში“, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილ მეფეთა ჩამონათვალ-ში. და ეს ლოგიკურია, რადგან, ამიანე მარცელინეს მიხედვით, ის გვირგვინოსანი ანუ მეფე იყო. თუმც საფიქრებელია, ის ხოს-როვანი არ ყოფილა, რადგან იგივე ამიანე მის მიმართ იყენებს ეპითეტს „ვინმე“. ამასთან „მოქცევა ქართლისაა“ მის მიერ ხე-ლისუფლებაში მოსვლას გამოხატავს ერთგვარად უჩვეულოდ. ამ წყაროს მიხედვით, ვარაზ-ბაკური „დადგა მეფედ“ წაცვლად გავრცელებული ფორმულისა „დაჯდა მეფედ“. ეს ნიუანსი არ უნდა იყოს შემთხვევითი; ის უნდა მიუთითებდეს ქართველი ისტორიკოსის მიერ ვარაზ-ბაკურის ზეობის დროებითობის აღნიშვნის სურვილს. და ეს სურვილი სრულიად გასაგებად მოგვეჩენება თუ ყურადღებას მივაქცევთ წყაროს ტექსტის

მომდევნო მონაკვეთს, რომელშიც შენიშნულია, რომ თრდატ-რევის ძის ძე ბაკური მხოლოდ ვარაზ-ბაკურის შემდეგ გამეფ-და. ამგვარად, „მოქცევად ქართლისამში“ წარმოდგენილი ვი-თარება აღვძრავს ფიქრისათვის, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ რატომღაც უმაღვე გამეფება არ შეეძლო ბაკურ თრ-დატის ძეს და ამიტომაც მეფედ დროებით დადგა ვარაზ-ბაკუ-რი, რომლის მიმართება თრდატთან და ბაკურთან ამ წყაროში დაფიქსირებული არ არის.

ამიტომ ისმის კითხვა: ვინ იყო ეს ვარაზ-ბაკურ/ასფაგუ-რი? ადამიანი, რომელიც ირანელებმა რომაელების ფავორიტ ქართლის სპასპეტ სავრომაკ/საურმაგს დაუპირისპირეს და მისი გამეფება ლეგიტიმურად შეძლეს? „ლეგიტიმურად“ იმი-ტომ, რომ ქართული საისტორიო წყაროები მას, როგორც ითქ-ვა, მეფედ ასახელებენ ანუ ის ასეთად აღიქმებოდა ქართლის მესვეურთა მიერ და ამას არეკლავს წყაროები. ამასთან არ ჩანს, რომ ვარაზ-ბაკური ხოსროვანი იყო.

მაგრამ უნდა ვივარაუდოთ: რახან გაამეფეს, რაღაცნაირად ის ხოსროვანთა ოჯახთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასფაგურ-ვარაზ-ბაკური იმდენად გავლენიანი პოლიტიკური გუნდის (ამ დროისათვის ეს გუნდი, ცხადია, კონკრეტდებოდა როგორც საგვარეულო) უნდა ყოფილიყო, რომ მისი დაპირისპირება ქართლის რიგით მეორე საგვარეულოსთან ანუ სპასპე-ტის სახლთან, წარმატებით ყოფილიყო შესაძლებელი.

როგორც ითქვა, „მოქცევად ქართლისამში“ არა მითითებუ-ლი თუ ვინ იყო თრდატისათვის ვარაზ-ბაკურ/ასფაგური. სა-მაგიეროდ, „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის მათ შორის კავ-შირის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობას – ვარაზ-ბაკური იყო თრდატის სიძე – ქალიშვილის ქმარი ანუ, ფაქტობრივად, ხოსროვანთა ოჯახის წევრი.

ახლა უკვე გასაგებია, რომ ირანელებს სრულიად შემთხ-ვევითი პირი არ აუყვანიათ ტახტზე. გვირგვინის დადგმაც იმ-იტომ მოხერხდა, რომ ვარაზ-ბაკური ხოსროვანთა სიძე გახლ-დათ.

ამგვარად, „ასფაგურისა“ და „ვარაზ-ბაკურის“ გაიგივება,

საშუალებას იძლევა სხვადასხვა წყაროს, კერძოდ, „მოქცევაზე ქართლისას“, „ქართლის ცხოვრების“, ამიანე მარცელინეს მონაცემები შევერიბოთ და მათგან გამომდინარე ძალიან საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ.

სხვა წყაროთა მონაცემებიც კარგად ავსებს წარმოდგენილ სურათს. ერთ-ერთი ასეთი წყაროა პალესტინაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ასკეტის პეტრე იბერის ქართულენოვანი „ცხოვრება“, რომლიდანაც ვიტყობთ, რომ ვარაზ-ბაკური პეტრეს მამა იყო. პეტრეს ასურულენოვან „ცხოვრებაში“ მამის სახელად, მართალია, ბოზმარიოსია მითითებული, მაგრამ ეს, ცხადია, ეჭვქვეშ არ აყენებს ცნობას ვარაზ-ბაკურის შესახებ. ამგვარი სხვაობა „ცხოვრების“ ამ ორ ვერსიას შორის სხვა შემთხვევაშიც გვაქვს. მაგალითად, პეტრეს საერო სახელად ქართულენოვანში მითითებულია „მურვანოსი“, ხოლო ასურულენოვანში „ნაბარუჯიოსი“. მკვლევართა შორის არავის არ მოსდის თავში აზრად, რომ ამის გამო უარყოს ცნობა „მურვანოსის“ შესახებ. მითუმეტეს, რომ სახელი „მურვანოსი“ იგივე „მირიანია“. შემთხვევით არ უნდა აერჩია ეს სახელი ვარაზ-ბაკურს პეტრესათვის, მისი გვიანი და ნანატრი მემკვიდრისათვის: დედის ხაზით პეტრე ხომ ხოსროვანთა დინასტიის დამფუძნებლის ანუ მირიანის, შვილის შვილის შვილი იყო: მირიანი- რევი – თრდატი – ბაკურდუხტია – მურვანოსი, აი ასეთია ეს ხაზი. პეტრეს დედის, იგივე თრდატ რევის ძის ასულის და იგივე ვარაზ-ბაკურის მეუღლის სახელს ვიტყობთ პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრებიდან.“

პეტრეს ქართულენოვან „ცხოვრებაში“ ვარაზ-ბაკურის დადებითი პორტრეტია წარმოდგენილი. ერთი შეხედვით, ეს პორტრეტი შეიძლება ჰაგიოგრაფიულ კლიშეს დავუკავშიროთ: წმინდანს აუცილებლად ღვთიმოსავი მშობელი უნდა ჰყოლოდა – მაგრამ ირკვევა, რომ ამგვარი რეპრეზენტირებისათვის უხვად იყო რეალური ფაქტებიც, თუმც „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს ვარაზ-ბაკურის უარყოფითი პორტრეტი. და ამგვარი ინტერპრეტაციისათვისაც, ჩანს, იყო საფუძველი: გააჩნია რას აიღებდა ისტორიკოსი შეფასების კრიტერიუმად.

ახლა დავუბრუნდეთ თავად იმ ფაქტს, რომ ვარაზ-ბაკური იყო პეტრეს მამა და იმ დასკვნებს, რომლის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ეს ფაქტი.

ამ მონაცემებით ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ პეტრეს პაპა დედის ხაზით იყო თრდატ რევის ძე. მაში, როგორლა გავიგოთ პეტრეს ასურულენოვანი „ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ პეტრეს პაპა დედის ხაზით იყო „დიდი ბაკური“, რომელიც ამ წყაროს მიხედვით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე გახლდა?

როგორც უკვე ვთქვი, თრდატ რევის ძის ძმა იყო ბაკურ რევის ძე. ანუ ამ ბაკურს უნდა გულისხმობდეს პეტრეს ბიოგრაფი, მაგრამ ბაკური გამოდის პეტრეს არა პაპა, არამედ პაპის ძმა. ჰაგიოგრაფთან საუბარში პეტრეს საკუთარი პაპის ძმისათვის პაპა რომ ეწოდებინა, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან დღემდე ეს ასეა საქართველოში: პაპის ძმა პაპად იწოდება.

ამგვარად, „მოქცევად ქართლისაას“ და პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ მონაცემები ერთმანეთს ამონ-მებს. „მოქცევად ქართლისაას“ ბაკურ რევის ძე ყოფილა პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ „დიდი ბაკური“. ეს იდენტიფიკაცია გასაგებს ხდის ცნობასაც იმის შესახებ, რომ „დიდი ბაკური“ იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე. ამ წყაროთა მონაცემების საფუძველზე დიდი კამათი იყო ქართული ისტორიოგრაფიაში იმასთან დაკავშირებით თუ რომელია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე. ი. ჯავახიშვილი სწორედ პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ ამ მონაცემის გამო ასკვნიდა, რომ ეს იყო ბაკური. კ. კეკელიძე კი მიიჩნევდა, რომ შეუძლებელია ქართველებს დავიწყებოდათ თავიანთი პირველი ქრისტიანი მეფის სახელი; ამიტომ ის მირიანს თვლიდა ასეთად. მართლაც, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართველებს დავიწყებოდათ პირველი ქრისტიანი მეფის სახელი, მითუმეტეს არ დაავიწყდებოდა ეს პეტრეს, რომელიც, როგორც ითქვა, მის სახელს ატარებდა ერისკაცობაში. ან ჰაგიოგრაფს რატომ უნდა დაეწერა შეცდომით ამ ფაქტის შესახებ?!

სინამდვილეში ყველაფერი მარტივადაა თუ ზემოთ მიღებულ შედეგს იმასთან დაკავშირებით, რომ ბაკურ რევის ძე იყო მირიანის უშუალო მემკვიდრე, გავითვალისწინებთ: ბაკურ რევი ძე/ „დიდი ბაკური“ გამოდის ქართლის პირველი მეფე, რომელიც ქრისტიანი ავიდა ტახტზე: მირიანის დროს ქართლი მოიქცა ქრისტიანობაზე, მაგრამ მირიანს ტახტი ქრისტიანობით არ დაუკავებია. ის მანამდე იყო სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი. ბაკურ რევის ძე კი პირველი გახლდათ ქართლის მეფეებს შორის, რომელმაც ქრისტიანმა დაიკავა სამეფო ტახტი. ამგვარად, სრულიად გასაგებია წყაროს ლოგიკა.

ბაკურ რევის ძე/„დიდი ბაკური“ მამამისივით ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. მან ააგო ღარიბთა თავშესაფარი და დავრდომილთ საკუთარი ხელით კვებავდა. ასეთივე იყო მისი ცოლი დუხტია. ერთმანეთთან შეთანხმებით ცოლ-ქმარს ინტიმური ურთიერთობა გარკვეული პერიოდის შემდეგ აღარც ჰქონდათ. ანუ ასკეტურად ცხოვრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არ გაყრილან.

ბაკურს, როგორც ითქვა, მემკვიდრე არ დარჩენია. საზოგადოდ, ხოსროვანთა ოჯახის წევრებს უჭირდათ რეპროდუქცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ინტიმურ ურთიერთობებში რელიგიური მოსაზრებებით დადებული შეზღუდვებიც შეიძლება იყოს.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას ვარაზ-ბაკური/ასფაგურის შესახებ. როგორც ითქვა, ის ქართლის ტახტს იყავებს 368 წელს. სწორედ ამ წლით უნდა დათარიღდეს „მოქცევაზ ქართლისას“ ის მონაკვეთი, როცა პირველად ვხდებით ვარაზ-ბაკურის სახელს. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ, როგორც ცნობილია, „მოქცევაზ ქართლისაში“ თარიღები მოცემული არაა და ტექსტზე ქრონოლოგიური ბადის დადება ცალკე პრობლემას წარმოადგენს. ამჯერად გაგვიმართალა: არა მარტო საკმაო სიზუსტით განვსაზღვრეთ თრდატ რევის ძის ზეობა, არამედ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის ზეობის დასაწყისიც.

373 წელს რომაელების დახმარებით სავრომაკ/საურმა-

გი ცდილობს რევანშს. ვარაზ-ბაკურს/ასფაგურს გამოუვალი მდგომარეობა შექმნია: ერთის მხრივ, მას ძალა არ შესწევდა და, ჩანს, არც სურდა, რომაელებთან ბრძოლა, მეორე მხრივ, ირანელების დასმული იყო ტახტზე და არც მათგან განდგომა შეეძლო. ის ვითარებას ამძიმებდა ის, რომ მისი ძე ულტრა, ამიანე მარცელინეს ცნობით, ირანელებს ჰყავდათ მძევლად.

როგორც ითქვა, ვარაზ-ბაკურს/ასფაგურს თრდატის ასული ჰყავდა ცოლად და სწორედ ამ ქორნინებამ გაუკაფა მას გზა ტახტისაკენ. მაგრამ ულტრა ამ წყვილის შვილი არ ყოფილა. ამ წყვილს შვილი ქორნინებიდან დაახლოებით 40 წლის შემდეგ შეეძინა. ქორნინება სავარაუდოდ, ტახტზე ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის ასვლას უკავშირდება და ამიტომ IV საუკუნის სამოციანი წლების მიწურულით უნდა დავათარილოთ. ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის და ბაკუდუხტიას შვილი ანუ მურვანოსი, იგივე პეტრე კი დაიბადა მხოლოდ მეზუთე საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში. ქორნინების დროისათვის თრდატის ასული ბაკუდუხტია უნდა ყოფილიყო სრულიად ჩვილი, სხვაგვარად V საუკუნის ათიანი წლებისათვის შვილის გაჩენას, ცხადია, ის ვერ შეძლებოდა. ამგვარად, IV საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს ვარაზ-ბაკურ/ასფაგური დაქორნინებულა, მაგრამ არა რეალურად, არამედ დაწინდულა(როგორც ეთნოგრაფიული მასალა აჩვენებს საქართველოში არსებობდა ქალის აკვანში, და მეტიც, დაბადებამდე დანიშვნის წესი) ხოსროვან პრინცესაზე. ამ პრინცესას ასაკის გამო, როგორც ითქვა, რეალური ქორნინება შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს ქორნინება გახლდათ პოლიტიკური შეთანხმება, სამეფო სახლის კონტრაქტი ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის საგვარეულოსთან. ამ კონტრაქტიმა ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს გზა გაუკაფა უზენაესი ხელისუფლებისაკენ.

მაგრამ, საიდან გაჩნდა ულტრა?

„ქართლის ცხოვრების“ მონაცემთა საფუძველზე აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია. ამ წყაროს მიხედვით ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს ორი ცოლი ჰყავდა, ეტყობა, ბაკურდუხტიას პარალელურად. ეს არაოდინარული მოვლენა ჩანს, იმდროინდელი ქართლისათვის და ამიტომაც სა-

განგებოდ არის აღნიშნული წყაროში. სწორედ ამ ქალისაგან უნდა ჰყოლოდა ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს ულტრა. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს (თუმც ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სანდოა ეს წყარო ამ შემთხვევაში) ამ ქალის ვინაობასაც: ის ყოფილა მირიანის ასულის ძის ასული. მირიანის ასული ცოლად ჰყავდა სპარსთა სამეფო ოჯახის ნათესავ ფეროზს. ანუ ამ ცოლის მეშვეობითაც ვარაზ-ბაკურ/ასფაგური მჭიდროდ უკავშირდებოდა სამეფო ოჯახს. ორივე ქალი იყო მირიანის შვილითაშვილი. ბაკურდუხტია რევ მირიანის ძის ვაჟიშვილის თრდატის ასული გახლდათ, მაშინ, როცა ვარაზ-ბაკურის სხვა ცოლი მირიანის ასულის ძის ასული იყო.

სავრომაკ/საურმაგის რევანშის დროისათვის ვარაზ-ბაკურ/ასფაგურს თავის სხვა ცოლისაგან უკვე ჰყოლია ქე ულტრა, რომელიც, როგორც ითქვა, ირანელთა მძევალი ყოფილა.

სწორედ შვილის მძევლობის და სხვა რიგ რაციონალურ მოსაზრებებზე დაფუძნებული მოტივაციების გამო ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა შესთავაზა სავრომაკ/საურმაგს კომრომისული გეგმა ერთად მეფობისა. ეს „პროექტი“ მოეწონათ რომაელებს და ამის შედეგად ქართლი ორად გაიყო. როგორც სამართლიანად ფიქრობენ მკვლევრები, ეს გაყოფა გარკვეულწილად ანტიკური ეპოქიდან მოყოლებულ ქართლის ტრადიციულ დანანილებას იმეორებდა.

თუმც ამჯერად ქართლის ერთ ნაწილში ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა შეინარჩუნა ტახტი, შემდგომში მაინც მოუწია მისი დატოვება. ეს მოხდა IV საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს ბარამ IV-ის შემოსევის შედეგად.

საინტერესო ინფორმაციაა ამის შესახებ „მოქცევაზ ქართლისაში“, რომელიც სპარსთა მეფის პირიახშის ბარზაბოდის დამანგრეველი ლაშქრობის შესახებ გვამცნობს სამხრეთ კავკასიაში.

ირანელების ამ შემოსევის მიზეზით ვარაზ-ბაკურ/ასფაგური ხიდარში გაიხიზნა. ხიდარი ციხე იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ეს ციხე თავად ვარაზ-ბაკურის აგებული გახლდათ ანუ ვარაზ-ბაკური ფეოდალური სახლის დამაარსებელი

ყოფილა. მაგრამ ამჯერად იმდენად იმას არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ ააგო ეს ციხე. მთავარია, რომ ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა თავი ამ ციხეს შეაფარა. ძნელი არაა იმის მიზეზი ამოვიცნოთ თუ რატომ მაინცდამაინც ამ ციხეს შეაფარა მან თავი: ცხადია, იმიტომ, რომ ეს მისი მამული და მისი საგვარელო ციხე იყო. ზემოთ, როცა ხოსროვანთა სახლთან ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის კონტრაქტზე ვსუბრობდით, სულ ჩანდა საჭიროება, გვეპასუხა კითხვაზე ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის საგვარელო სახელთან დაკავშირებით. და ახლა გამოირკვა, რომ ის იყო ხიდარელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი. რახან სამეფო ოჯახმა ამ საგვარეულოსთან დამოყვრება ისურვა (და ირანმაც მასთან საქმის დაჭერა გადაწყვიტა), ცხადია, რომ ეს იყო ძლიერი საგვარეულო, რომელიც სპასპეტის საგვარეულოს საპირნონედ გამოდგებოდა.

ხიდარელების საგვარეულოს შესახებ შემოგვრჩა ძალიან საინტერესო ცნობა. ესაა ერთ-ერთი სინური ხელნაწერის მინაწერი. აქ მოიხსენიება ვარაზ-ბაკურ ხიდარელი და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე, ვაჟიშვილები, ქალიშვილები. ეს არის მისი მეორე ოჯახი. ერთადერთი ვაჟი ვარაზ-ბაკურს ჰყავდა ბაკურდუხტიასაგან, თორემ საერთოდ უშვილობას, ის აშკარად არ უჩიოდა.

ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის გახიზნვის შემდეგ, სავარაუდოდ, ერთხანს ქართლში ირანელთა უშუალო მმართველობა დამყარდა. მთავარი აგრესორი სპარსთა მეფის პიტიახში ბარზაბოდი ქართული წყაროებით საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა: ის ვახტანგ გორგასლის პაპაა დედის ხაზით. ბარზაბოდის რეზიდენცია რანში იყო, მაგრამ იგი დროდადრო „სტუმრობდა“ ქართლ-საც „წესრიგის“ დასამყარებლად. თუ ამ კუთხით შევხედავთ საკითხს, ქართლის მმართველთა სიაში ბარზაბოდის აღდგენა მართებული ჩანს, თუმც, ცხადია, ის მეფე არ ყოფილა. ასე რომ, IV საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულიდან კვლავ უმეფობის პერიოდი იწყება ირანის მიერ კონტროლირებად ქართლში. ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ქართლში კი მეფე

არც არასოდეს მჯდარა. ეს, როგორც ითქვა, იყო სპასპეტთა საგამგებლო.

ქართლის სამეფოს ორად გაყოფა სრულდება ბაკურ თრდატის ძის ტახტზე ასვლით.

„ბაკურ“ – ამ სახელის მქონე ორ ქართლის მეფეს აფიქ-სირებენ უცხოური წყაროები. ერთია, ზემოთ უკვე ნახსენები „დიდი ბაკური“, მეორეა ქართველთა მოქცევის ისტორიის შესახებ რუფინუსის ინფორმატორი „ფრიად სარწმუნო კაცი“, ბაკური, რომელიც ბიზანტიაში ცხოვრობდა ერთხანს და მერე გამეფებულა. რუფინუსი 402 წლისათვის წერდა მის შესახებ. ანუ ამ დროს ის უკვე ქართლის მეფე ყოფილა.

როგორც გამოირკვა, „დიდი ბაკური“ იგივე „მოქცევაზ ქართლისაში“ დაფიქსირებული მეფე ბაკურ რევის ძეა. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ რუფინუსის ბაკური არის ბაკურ თრდატის ძე. ხშირად მკვლევრები ამ ორ ბაკურს ერთმანეთში ღრევენ ან არასწორად ახდენენ ქართული და უცხოური წყაროების პერსონაჟთა იდენტიფიცირებას. არადა, წყაროებით ყველაფერი ნათელია: „დიდი ბაკური“ ანუ ბაკურ რევის ძე იყო ბაკურ თრდატის ძის ბიძა – მამის ძმა. თავის მხრივ, ბაკურ თრდატის ძე იყო პეტრე იბერის ბიძა – დედის ძმა.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ბაკურ თრდატის ძე იგივე რუფინუსის ბაკურია, ცხადი ხდება მიზეზი იმისა თუ რატომ არ დაიკავა მან ტახტი უშუალოდ მამის გარდაცვალების შემდეგ: ის ამ დროს ქართლში არ იმყოფებოდა და ამიტომ დროებით მეფობა იყისრა მისმა სიძემ ანუ დის ქმარმა. და ეს სრულიად ლოგიკურია. ფაქტობრივად, ზეობდა მისი და: ხოსროვანი ბაკურდუხტია გარკვეულად უზრუნველყოფდა მეუღლის პოზიციის ლეგიტიმურობას.

რა მიზეზით უნდა აღმოჩენილიყო ბაკური ბიზანტიაში? როგორც ამ პერიოდის ვითარების ანალიზი აჩვენებს, ქართველი უფლისწულების ყოფნა რომელიმე იმპერიის კარზე აუცილებელი წინაპირობა იყო მეფობისათვის. ასე ჩანს წარგზავნილი თავის დროზე ბაკურ რევის ძე ანუ „დიდი ბაკური“ ანუ იგივე „ქართლის ცხოვრების“ ბაქარი. ამ წყაროში პირდა-

პირი მითითებაა ამის შესახებ. პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრებით“ კი ეს შეიძლება ვივარაუდოთ დიდი დაბეჯითებით. ულტრა ვარაზ-ბაკურის/ასფაგურის ძე კი ირანის კარზე ყოფილა წარგზავნილი მძევლად.

თუ ამ ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბაკურ თრდატის ძეც ადრევე იქნა გაგზავნილი ბიზანტიაში, როგორც საპატიო მძევალი და მამის გარდაცვალების შემდეგ ის ბიზანტიელებმა უკან არ დააპრუნეს. მის მაგიერ ხელისუფლება სავრომაკს ჩააბარეს. ამ სახელი-სუფლო კრიზისის ვითარებაში ირანელთა დახმარებით და, ცხადია, ხოსროვანთა მხრიდან თანხმობითაც, დაიკავა ტახტი მისმა სიძემ ანუ ვარაზ-ბაკურ/ასფაგურმა/ბუზმიჰრმა.

მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომ ბაკურ თრდატის ძე იყო ის პირი, რომელმაც ბიზანტიური წყაროების მიხედვით, უარი თქვა მეფობაზე და წავიდა თავისი ქვეყნიდან იმპერატორის სამსახურში ჩასადგომად. თუ გავითვალისწინებთ ხოსროვანთა დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი, ეს ფაქტი არ მოგვეჩვენება არადამაჯერებლად.

მაშინ გამოდის, ბაკური საგანგებოდ განრიდებია ქვეყნის მართვას, ოლონდ ეს იმ მოცემულ მომენტში, თორემ შემდეგ, ვიცით, რომ ის გამეფდა. ამ ფაქტით საკმაოდ საინტერესო ვითარება იკვეთება: ხოსროვანები მხარს პროსპარსულად განწყობილ ვარაზ-ბაკურს უჭერენ, რადგან ვითარება ისეთია სხვაგვარად ქცევა შეუძლებელია. ამავე დროს, უფლისწულს გზავნიან ბიზანტიაში, ოლონდ არა როგორც ქართლისგან მძევალს ანუ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივის მქონე პოლიტიკოსს, არამედ საკუთარი სურვილით გამეფებაზე უარის მთქმელს.

ვფიქრობ, ეს პოლიტიკური გათვლა იყო. ამ ვითარებაში არ ივარგებდა ბაკურის გამეფება, მისი „გაფუჭება.“ ვარაზ-ბაკური იოლად წავიდა ირანთან ალიანსზე. მისი პროსპარსელობა, მართალია, მოჩვენებითი იყო, მაგრამ საქვეყნოდ საგანგებოდ გაცხადებული. „ქართლის ცხოვრების“ უარყოფითი შეფასება ვარაზ-ბაკურ/ასფაგურისა სწორედ მისი გაცხადებული პროსპარსელობით უნდა აიხსნას. ბაკურ თრდატის ძე, როგორც

პოლიტიკური ფიგურა (ტახტის კანონიერი მემკვიდრე), ჩანს, რომაელებს არ ემეტებოდათ ამ როლისათვის.

ბაკურმა შესანიშნავი სამხედრო კარიერა გაიკეთა ბიზანტიაში და სახელიც მოიხვეჭა, როგორც ყოველმხრივ შემკულმა და წარმატებულმა პიროვნებამ. ის არაერთ წყაროშია დასახელებული. გარკვეული პერიოდის შემდეგ მის დაბრუნებას სამშობლოში აშკარად ბიზანტიილებმა შეუწყვეს ხელი. ბაკური მათ სჭირდებოდათ, რათა სამხრეთ კავკასიაში ირანელთა სრული განუკითხაობისათვის საზღვარი დაედოთ. ბიზანტიილებმა იზრუნეს არა მარტო ბაკურის საყოველთაო ავტორიტეტზე, არამედ გამეფების შემდეგ მის სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებაზეც. ბაკური, როგორც ყველა მისი წინამორბედი მეფე, ირანის მიერ კონტროლირებად ნაწილში გამეფდა. მაგრამ ბიზანტიილებმა მას დაუბრუნეს ქართლის ის ნაწილი, რომელსაც თავად აკონტროლებდნენ. ამაზე „მოქცევაზ ქართლისას“ ცნობა ბაკურის „იმიერ“ გასვლის შესახებ მეტყველებს, და, ამის დასტურია თუნდაც, ბოლნისის სიონის ბაკურის მიერ შენება, რომელიც სწორედ ბაკურის „იმიერში“ მოღვაწეობის ერთ-ერთი ფაქტია.

როგორც ცნობილია, ბოლნისის დათარილების საკითხი გარკვეულ პერიოდში ცხარე დებატების საგანი გახლდათ. მკვლევრების ინტერესი ძირითადად მიმართული იყო ტაძრის წარწერისაკენ. მაგრამ წარწერა იმდენად არის დაზიანებული, იგი ნაკლებად რეპრეზენტატული წყაროა ამ საკითხის გასარკვევად. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმრავლესობა საერთოდ იგნორირებს წარატიული წყაროების მონაცემებს. „წყაროს“ მრავლობითში იმიტომ ვსვამ, რომ ინფორმაცია ბოლნისის სიონის მშენებლობის შესახებ „ქართლის ცხოვრებაშიც“ არის, ოღონდაც აქ ეს აქტივობა ბაკურ თრდატის ძის მომდევნო მეფე ფარსმანს მიენერება. მაგრამ ეს ცნობები არ-სებითად არ ეწინააღმდეგება, პირიქით ამონმებს ერთმანეთს: ძირითადად ბაკურმა ააგო, თუმც რაღაცა სახის დამამთავრებელი სამუშაოები ფარსმანის დროსაც ჩატარებულა. მთლიანი ტაძრის მშენებლობა ფარსმანის დროს ვერ მოხდებოდა. რო-

გორც ვნახავთ, ის ძალიან ცოტა ხანს ზეობდა. ასე რომ, უნდა გავითვალისწინოთ ქართული ნარატიული წყაროების ცნობები ბოლნისის სიონის მშენებლობის დროის შესახებ და ვთქვათ: ტაძარი აგებულია V საუკუნის ათიან წლებში. მისი გადმოტანა V საუკუნის მიწურულს სრულიად დაუსაბუთებელია.

ეს დიდებული ტაძარი ნამდვილად ბევრს ამბობს კონკრეტულად ბაკურის, და საზოგადოდ, ხოსროვანთა სახლის კულტურის სფეროში მოღვაწეობის შესახებ. თუმც კულტურა ყოველთვის გადაჯაჭვულია პოლიტიკასთან და ეს კანონზომიერება ხოსროვანთა შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება.

ბაკური იხსენიება სომხურ წყაროებშიც. მესროპ მაშთოცის ქართლში პირველი ვიზიტის დროს (დაახლ. V საუკუნის ათიანი წლების შუა ხანები) ის ყოფილა ტახტზე, მეორე ვიზიტის დროს (V საუკუნის ოციანი წლების დასაწყისი) კი უკვე არჩილია. ანუ ბაკურ თრდატის ეკე გარდაცვლილა სადღაც ათიანი წლების შუა ხანებიდან ოციანი წლების დასაწყისამდე შორის პერიოდში. ამ პერიოდის დავიწროება კიდევ უფრო შეიძლება. როგორც ითქვა, სომხური წყაროები მესროპის მეორე ვიზიტისას ქართლის მეფედ ასახელებენ არჩილს. ეს არჩილი, ცხადია, „მოქცევად ქართლისას“ მეფე არჩილია, რომელიც ბაკურის შემდეგ არის დასახელებული, ოღონდაც მათ შორის კიდევ ორი მეფეა მითითებული. ანუ სანამ მესროპი მეორედ ჩამოვიდოდა ქართლში, მანამ გარდაცვლილა არა მარტო ბაკურ მეფე, არამედ კიდევ ორ მეფეს მოუსწრია მეფობა და არჩილს კი ტახტზე ასვლა. ანუ, სავარუდოდ, ბაკურ მეფე მესროპის პირველი ვიზიტის შემდგომ მალევე გარდაცვლილა.

ბაკური ნამდვილად განსაკუთრებული ხიბლის მქონე პიროვნებად წარმოგვიდგება. თუმც როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, მას თავის ქვეყანაში მცირე დროით მიეცა მოღვაწეობის საშუალება. ბაკურის ზეობა მაინც პოლიტიკურად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მის დროს ქართლი გაერთიანდა, თუმც სპარსელთა შემოსევის საფრთხე, ცხადია, არ მოსპობილა. ბაკურს ეს ესმოდა კარგად და ამიტომ არმაზის ციხე გაუმაგრებია.

ზოგი მკვლევარი ამ ბაკურს უკავშირებს ქართული ანბანის შექმნას იმის გამო, რომ მის ზეობაში ქართლში ჩამოვიდა მესროპ მაშთოცი, რომელსაც ზოგიერთი სომხური წყარო სომხურ და ალბანურ ანბანებთან ერთად მიაწერს ქართული ანბანის შექმნასაც. ეს არ არის სწორი. ქართული ანბანი ამ დროს არ შექმნილა. ის მეფე ფარნავაზის დროს შეიქმნა. მესროპი იყო ქრისტიანი მოღვაწე, რომელსაც სურდა წარმართობის ნაშთების აღმოფხვრა მთელს სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, ქართლშიც. როგორც ირკვევა, ეს პროექტი სომხეთში არ გაჩენილა, არამედ ახალი ანბანების შექმნა ბიზანტიის პოლიტიკის ნაწილი იყო ერთიანი ქრისტიანული კულტურული სივრცის შესაქმენლად. მესროპ მაშთოცი კი ამ შემთხვევაში გახლდათ რომის ემისარი. ფარნავაზის დროს შექმნილი ქართული ასომთავრული ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო მესროპის ცვლილებათა პროგრამაში, რომელიც, როგორც ვთქვი, წარმართობის ნაშთების მოსპობას ისახავდა მიზნად. ქართული ანბანი ხომ ნაშთი კი არა წარმართული კულტურის ცოცხალი ნაწილი იყო. მაგრამ ერთია, რა მიზანი (და მას აშკარად, ჰქონდა მიზანი წარმართული ქართული ანბანი ჩაენაცვლებინა ახლით) ჰქონდა მესროპ მაშთოცს. და მეორეა, რამდენად განხორციელდა მისი პროექტი ქართლში. სომხეთში განხორციელდა, ეს ფაქტია: აქ მანამდე არსებული ანბანი ჩაანაცვლა მესროპისეულმა. ქართლში იგივე არ მოხდა. ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული აღბეჭდილია წარმართული მსოფლედველობით. მას მხოლოდ ზერელე კვალი ეტყობა ქრისტიანობის ეპოქაში დამუშავების ანუ „მონათვლის“. მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოახერხა მესროპმა წარმართულ ეპოქაში შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანის ჩანაცვლება ახლით უნდა იყოს რამდენიმე: ქართული ასომთავრული დიდი ტრადიციის მქონე იყო და სრულყოფილად ასახავდა ქართულის ფონოლოგიურ სისტემას; თავად მესროპის შემოთავაზებული ასოები, ჩანს, არ ვარგოდა ამ მიზნისათვის. ეს ბუნებრივიცაა: მესროპმა სომხურისთვის ადეკვატური ანბანის შექმნა შეძლო, რადგან სომხური მისთვის მშობლიური იყო. ქართული კი არ

იცოდა და ამიტომაც არსებულ ქართულ ასომთავრულზე უმჯობესის შექმნა მან ვერ შეძლო. და მესამე, აქ გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ბაკურის დამოკიდებულებაც ფარნავაზისეული ქართული ასომთავრულისადმი, რომელსაც განაპირობებდა ამ მეფის ფართო თვალსაწირი: წარმართი ფილოსოფოსის ლიბანიოსის მეგობარი ბაკური მარტო იდეოლოგიური კუთხით არ აფასებდა ქართულ ანბანს და წარმართულ ეპოქაში შექმნის გამო არ ინუნებდა. სწორედ ამიტომ მესროპის სურვილის მიუხედავად, და იმის მიუხედავად, რომ ბაკურმა ის კარგად მიიღო (სხვაგვარად შეუძლებელიცაა მიეღო ქართლის მეფეს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და ფაქტობრივად ბიზანტიის ელჩი მესროპი), მისი პროექტის განხორციელება საკუთარ ქვეყანაში არ უფიქრია.

მოკლედ, ასეთი ვითარება გვაქვს: ბაკური არ არის ქართული ანბანის შექმნელი, მაგრამ ის უკავშირდება ქართული ანბანის ისტორიას, როგორც მისი გადამრჩენი. წარმართული ეპოქის კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ინტენსიური ქრისტიანიზაციის ეპოქაში რომ არ განადგურდა, ეს სწორედ მისი ანუ ბაკურის დამსახურებაა.

ბაკურის ზეობაში მოხდა ერთი ლირსშესანიშნავი ფაქტი: მეხუთე საუკუნის ათიანი წლების დასაწყისისათვის დაიბადა მურვანოსი. მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ ვარაზ-ბაკურსა და ბაკურდუხტიას შეეძინათ ვაჟიშვილი. ბაკურ თრდატის ძის ანუ ბიძის გარდაცვალების დროისათვის ის სულ რამდენიმე წლის უნდა ყოფილიყო.

მემკვიდრე ამ ბაკურსაც აშკარად არ დარჩენია, რადგან მის შემდეგ მისი მამიდაშვილი ფარსმანი იყავებს ტახტს. ეს ფაქტი მიუთითებს, მემკვიდრის პრობლემას ხოსროვანთა სახლში: ქალის ხაზით ხოსროვანი იყავებს ტახტს. სავარაუდოდ, ფარსმანს სულ რამდენიმე წელი უნდა ემეფა. მისი მომდევნო მირდატი ვინ იყო ფარსმანისათვის, ეს „მოქცევად ქართლისადში“ მითითებული არაა. ლეონტი მროველის მიხედვით კი ის ფარსმანის ძმა გახლდათ, რაც სწორი უნდა იყოს. მირდატი სპარსელებს წაუყვანიათ და უცხოეთში გარდაცვლილა, ეტყო-

ბა, არა ბუნებრივი სიკვდილით. მასაც სულ რამდენიმე წელი უნდა ემეფა. „ქართლის ცხოვრება“ მის შთამბეჭდავ პორტრეტს წარმოგვიდგენს.

მირდატის შემდგომ მცირე ხნით კვლავ უმეფობა უნდა დამყარებულიყო ქართლში. ბოლოს კი გამეფდა არჩილი. სწორედ არჩილის დროს პატარა მურვანოსი, იმდროინდელი გაგებით სრულასაკოვნებას მიღწეული, გააგზავნეს მძევლად ბიზანტიაში. ეს არის აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და ირანის ომის ხანა (421-422). ამ ფაქტს სწორედ შეიძლება, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქში პეტრეს გაგზავნა უკავშირდებოდეს. პეტრე, როგორც ითქვა, ხოსროვანი იყო დედის ხაზით, მისი დედის მამა მეფე იყო; მამის ხაზით კი, ხიდარელთა ძლიერ ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა.

მირდატის მომდევნო მეფე, როგორც ითქვა, არჩილი იყო. ამ ორ მეფეს შორის ნათესაური კავშირი განმარტებული არაა „მოქცევად ქართლისადში“. მაგრამ პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრების“ მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ „დიდ ბაკურს“ ანუ ბაკურ რევის ძეს ჰყავდა ძმა არჩილიოსი, რომელიც ლრმადმოხუცებული ასულა ტახტზე. ცხადია, ეს სწორედ იგივე „მოქცევად ქართლისადს“ და სომხური წყაროების მეფე არჩილ-ია.

რადგან უკვე ვიცით, რომ „დიდი ბაკური“ იგივე ბაკურ რევის ძეა, ჩვენთვის გასაგებია, რომ არჩილიც რევის ძეა. ანუ არჩილიც ხოსროვანია. „მოქცევად ქართლისადს“ მიხედვით მას ტახტი დაუკავებია თავისი ორი ძმის, ძმიშვილის ქმრის, ძმიშვილის, ორი დისშვილის შემდგომ. ამ მეფობთა შორის იყო სავრომაკ/საურმაგის, ბარზაბოდის მმართველობის პერიოდები. უმეფობის ხანა უნდა ყოფილიყო უშუალოდ არჩილის გამეფების წინაც. ჰაგიოგრაფს, რომელიც პეტრეს უსმენდა და მისი შემწეობით იცნობდა „მოქცევად ქართლისადში“ წარმოდგენილ ამ რიგს, ეს ეჩვენება მეფეთმონაცვლეობის წესით გამოწვეულ თანამიმდევრობად. და ასევე მიუთითებს კიდეც. მაგრამ ეს მეფეთმონაცვლეობა არ ყოფილა: ეს რომ მეფეთმონაცვლეობა ყოფილიყო, უნდა გამეფებულიყვნენ უფროს-უმცროსობის

მიხედვით. ანუ არჩილს უშუალოდ მისი ძმების შემდგომ უნდა დაეკავებინა ტახტი. „მოქცევად ქართლისამში“ წარმოდგენილ მეფეთა უცნაური რიგის მიზეზი იყო მემკვიდრის პრობლემა ხოსროვანთა სახლში: მირიანის შვილიშვილებს შორის მარტო თრდატს ჰყავდა საკუთარი ძე და ისიც უმემკვიდრეო. აშკარაა, რომ არჩილი თავიდან გამეფებას არ გეგმავდა. მისი გამეფება იმ საგანგებო ვითარებით იქნა გამოწვეული, რომელიც სპარ-სეთში გარდაცვლილი (მოკლული?) მირდატის შემდეგ შეიქმნა მემკვიდრის არარსებობის მიზეზით ხოსროვანთა ოჯახში.

არჩილი მოხუციც იყო და ასკეტიც. შვილი არც ჰყავდა და ვერც ეყოლებოდა მისი ასაკის თუ რეპროდუქციული გან-წყობის გამო. მაშ, მისი გამეფებით როგორ აპირებდნენ ხოს-როვანები ტახტის მემკვიდრესთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას გვაძლევს ერთი ცნობა დაფიქტირებული პეტრე იბერის ასურულენოვან „ცხ-ოვრებაში.“ აქ მითითებულია, რომ არჩილი ქვეყანას მართავ-და პეტრეს მამასთან ერთად. ზოგ მკვლევარს ეს ორმეფობის დამადასტურებელ ფაქტად მიაჩნია, რაც არაა სწორი. როგორც ითქვა, ე. წ. ორმეფობა „ეგრედ წოდებული“ იმიტომ, რომ ორად კი იყო ქართლი გაყოფილი და ორი მმართველი კი იჯდა, მაგრამ მეფე ამათგან ფაქტობრივად მხოლოდ ერთი იყო, ის, რომელიც იმყოფებოდა სპარსელების მიერ კონტროლირებად ტერიტორი-აზე) შეწყდა უკვე ბაკურ თრდატის ძის დროს. არჩილის დროს ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. პეტრეს მამისა და არჩილის თანამეფობა უნდა გავიგოთ როგორც არჩილისათვის დახმარე-ბა პეტრეს მამის მხრიდან. ვარაზ-ბაკურ/ასფაგური თავადაც არ უნდა ყოფილიყო ამ დროს ახალგაზრდა (სავარაუდოდ, ექვს ათეულ წელზე მეტის იქნებოდა: თუ IV საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს 15 წლის მაინც იყო, მეხუთე საუკუნის ათიანი წლების დასაწყისისათვის 55 წლის უნდა ყოფილიყო, ხოლო კიდევ 10 წლის მერე 65 წლის). არჩილი მაინც მასზე უფრო ასაკოვანი ჩანს, და, რაც მთავარია, მეფობისათვის სრულიად შეუფერებელი. „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილ მეფე საკმაოდ

აქტიურ მოღვაწედ არის გამოყვანილი. მაგრამ ეს აშკარად არის არა მისი მოღვაწეობის, არამედ ვარაზ-ბაკურის მოღვაწეობის ფაქტები, რომელსაც ის, როგორც თანამმართველი, ხოსროვანი არჩილის სახელით ახორციელებდა.

ამგვარად, ვარაზ-ბაკურ/ასფაგური დაუბრუნდა ტახტს. მრავალი წლის შემდგომ დიდ პოლიტიკაში მისი მოსვლა, ცხადია, უნდა გამოეწვია პეტრეს დაბადებას. ახლა ის ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრის მამა იყო. თავად მეფეს ანუ არჩილს, შვილი არც ჰყავდა და არც ამის პერსპექტივა ჰქონდა რომ ეყოლებოდა. ამიტომ ამ ორის თანამეფობა უნდა გავიგოთ როგორც მოღოდინი პეტრეს დაბრუნებისათვის. არჩილი ხომ პეტრეს პაპა (პაპის ძმა) იყო დედის ხაზით ისევე, როგორც „დიდი ბაკური“. ასე რომ, პეტრე, როგორც მისი შვილიშვილი, შეიძლებოდა განხილულიყო ტახტის მემკვიდრედ.

მაგრამ პეტრე არ დაბრუნდა და სრულიად სხვა კარიერა აირჩია, ვიდრე მეფობაა. მონაზონი გახდა. გვიანანტიკური პერიოდის საქრისტიანოს და, კონკრეტულად, ხოსროვანთა ოჯახის, სულისკვეთების გათვალისწინებით, ეს არ იყო მოულოდნელი გადაწყვეტილება.

როგორ უპასუხა ამ გამოწვევას სამეფო ოჯახმა?

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არც არსებულია ასე-თი გამოწვევა: არჩილის შვილი იყო მისი მომდევნო მირდატი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ავთენტური წყაროს ჩვენების მიხედვით (ვგულისხმობ პეტრე იბერის ასურულენოვან „ცხოვრებას“), ეს შეუძლებელია. მაშინ მირდატი ვინ შეიძლება რომ იყოს? „მოქცევად ქართლისაში“ არაა მითითებული თუ ვინ არის მირდატი არჩილისათვის, ჩანს, ამან მისცა საფუძველი „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორს მირდატი არჩილის შვილად წარმოესახა.

მირდატი შეიძლებოდა, არჩილისთვის ყოფილიყო მხოლოდ შვილობილი. ამასთან, ცხადია, ის ვერ იქნებოდა შემთხვევითი პირი. ის უნდა ყოფილიყო ხოსროვანთა პარტნიორი ძლიერი საგვარეულოს წარმომადგენელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წარსულში ხოსროვანებს

უკვე ჰქონდათ სოციალური კონტრაქტის გამოცდილება ხიდარელებთან და იმასაც, რომ არჩილის თანამეფე იყო ვარაზ-ბაკურ ხიდარელი, ადვილი მისახვედრია, რომ მირდატი, აგრეთვე, ხიდარელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ვარაზ-ბაკურს სხვა ცოლისაგან ჰყავდა ვაჟები, ცხადია, კვლავ არ არის ძნელი მისახვედრი, რომ მირდატი სწორედ მისი შვილი იყო. და თუ კიდევ იმას გავითვალისწინებთ, რომ ირანში მძევლად იყო ვარაზ-ბაკურ/ასფაგურის ქე ულტრა ნაყოფი, რაც ცალსახად მის სამეფოდ სამზადისზე მიუთითებს, გასაგებია, რომ მირდატი უნდა იყოს იგივე ულტრა, რადგან „ულტრა“ არის არა საკუთარი სახელი, არამედ სპარსული განმადიდებელი ეპითეტის ლათინური თარგმანი. ამ ეპითეტის მიღმა ნებისმიერი სახელის მოაზრება შეიძლება, მათ შორის, ცხადია, მირდატისაც.

ამგვარად, მირდატი იყო არჩილის შვილობილი და ვარაზ-ბაკურის შვილი. ანუ ხიდარელი მირდატი დანათესავების ანუ სოციალური კონტრაქტის გზით გახდა ხოსროვანი.

ულტრა/მირდატი გამოკვეილად პროირანულ ორიენტაციას იღებს. ის ქორწინდება ირანის შაჰის პიტიახშის ბარზაბოდის ასულ საგდუხტზე. ამან ქართლს მოუტანა დროებითი მშვიდობა. პროსპარსული კურსი იცვლება მხოლოდ ვახტანგ გორგასლის ზეობის მეორე პერიოდში.

აღნიშნული ვითარება გვიბიძგებს სხვა კუთხით შევხედოთ პეტრე იბერის სამშობლოში არდაბრუნების საკითხს. ზემოთ ამის მიზეზად მისი ასკეტური მსოფლხედვა დასახელდა. მაგრამ ახლა აშკარა ხდება, რომ ამავე დროს მიზეზი უნდა იყოს ქართლში პოლიტიკური ვექტორის მკვეთრი გადახრა ირანისაკენ. ცხადია, პეტრე ვერ იქნებოდა პროსპარსული მეფე, ვერც იმგვარი პროექტის ინიციატორი (და სწორედ მირდატი-საგან მომდინარეობდა ეს ინიციატივა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით), როგორიცაა ბარზაბოდთან დამოყვრება. ანუ ბიზანტიაში წვრთნამიღებულ პეტრეს ქართლში რომც ნდომოდა, აღარ ჩამოესვლებოდა. ტახტის დაკავება იმ ვითარებაში ირანში გაწვრთნილ მის ნახევარდმას ანუ მირდატს შეეფერებოდა.

ამგვარად, ვარაზ-ბაკურმა, მართალია, ვერ შეძლო ბიზანტი-ელებთან წარგზავნილი მისი ერთი ძის გამეფება, მაგრამ გაამეფა მეორე, რომელიც სპარსელებთან იმყოფებოდა მძევლად.

არჩილისა და ვარაზ-ბაკურის ზეობა (ეს ამ უკანასკნელი-სათვის ეს იყო ხელმეორედ მოსვლა ქართლის უზენაეს ხელი-სუფლებაში) პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყნისათვის მძიმე პერიოდია. არჩილის ტახტზე ასვლა, როგორც ითქვა, ემთხვევა ბიზანტია-ირანის მორიგ კონფლიქტს 421-422 წლებში. ამ ომის საბაბი იყო ირანის შაჰ ბარამ V-ის მიერ ქრისტიანების დევნა, რაც, თავის მხრივ, ზოროას-ტრიზმის წინააღმდეგ ქრისტიანების გალაშქრებამ გამოიწვია. ამიტომ ადვილად წარმოსადგენია მცხეთაში რა ინტესივობით „მოგვობდნენ მოგვნი“. ამ დროს ქართლის პირველი ეკლესია დაცემულა და ველარ აღუდგენიათ: ცხოველმყოფელი სვეტი გადაუბრძანებიათ გარეუბნის ეკლესიაში ანუ მერმინდელ სამთავროში. ეს ფაქტი, ცხადია, არსებული რთული ვითარების წარმომაჩენელია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სწორედ ამ დროს აუგიათ დიდებული ტაძარი მცხეთაში წმინდა სტეფანე პირველმოწამეს სახელზე. ეს ტაძარი, რომელიც სამნავიანი ბაზილიკა იყო, საფიქრებელია, მიაგვადა მასზე სულ ცოტათი ადრე აგებულ ბოლნისის სიონს; ის მის წიაღში, სავარაუდოდ, ინახავდა წმინდა სტეფანეს რომელილაც ნაწილს ან მის ღვაწლთან დაკავშირებულ კონტაქტურ რელიკვიას, რომელიც მამისა და პაპისათვის (პაპის ძმისათვის) ანუ ვარაზ-ბაკურისა და არჩილისათვის უნდა მოეპოვებინა იმხანად იერუსალმში მყოფ პეტრე იბერს. 415 წელს წმინდა სტეფანეს ნაწილების სასწაულებრივ აღმოჩენის შემდეგ, ამ ნაწილების მოპოვება ხომ ყველა ქრისტიანის საღვთო შურის საგანი გახდა. სახელმწიფოსათვის კი ეს იყო ქრისტიანულ სამყაროში პრესტიუსის საკითხი. სტეფანმინდას აგება უკვე V საუკუნის 20-იანი თუ 30-იანი წლების ბოლოს კარგად აჩვენებს იმას, რომ ქართლი გვიანანტიკური ბიზანტიური თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილი იყო და მსოფლიო ქრისტიანულ ცენტრებში, კონკრეტულად კი ბიზანტიაში, მიმდინარე მოვლენები უმაღ გამოძახილს ჰპოუ-

ლობდა ქართლის დედაქალაქში, რომელიც ქართველთა მიერ გაიაზრებოდა მსოფლიოს საკრალურ ცენტრად.

არჩილის შვილობილი მირდატი იყო ვახტანგ გორგასლის მამა.

ასე და ამგვარად ამ კვლევის შედეგად მივდივართ V საუკუნის ორ უდიდეს ქართველ მოღვაწემდე: პეტრე იბერამდე და ვახტანგ გორგასლამდე. მირდატი და პეტრე ნახევარმძები იყვნენ, ასე რომ, პეტრე ვახტანგის ბიძა გახლდათ. მაგრამ ამ წიგნში პეტრე იბერზე და ვახტანგ გორგასალზე არ ვისაუბრებ. ორივე მათგანი საქართველოს ისტორიის ვრცელი სიუჟეტს ქმნის და უმჯობესია მათზე ცალკე გამოკვლევაში ითქვას.

აი, ასეთია მოკლედ ჩემ მიერ დანახული ხოსროვანთა სახლის ისტორია.

ცნობილმა მეცნიერმა პიტერ ბრაუნმა შემოიტანა „გვიანი ანტიკურობის“ ცნება. მან აჩვენა, რომ ეს არის განსაკუთრებული ხანა, რომელიც კლასიკური ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ გარდამავალ პერიოდს ასახავს. „გვიანი ანტიკურობა,“ პ. ბრაუნის მიხედვით, გრძელდება მეორე საუკუნიდან მერვე საუკუნემდე. ამ დროს ის აფიქსირებს განსაკუთრებული მსოფლხატით გაერთიანებულ საქრისტიანოს.

ხოსროვანთა ოჯახის ისტორია მთლიანად ამ პერიოდში თავსდება. ქართლი მათი ზეობის ეპოქაში ესწრაფვის გახდეს ბიზანტიური კულტურული წრის შემადგენელი ნაწილი, და, მართლაც, აქ მყისიერი რეზონანსი აქვს ბიზანტიურ თანამეგობრობის ცენტრში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ამავე დროს ქართლი საკუთარი გამოკვეთილი პოლიტიკური და კულტურული პროფილის მქონე ქვეყნად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის ადგილად რჩება.

IV-V საუკუნეები საოცარი პერიოდია ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში: ეს არის ხანა, როცა ქართული ერთობა, რომელიც იყო „არმაზის საყმო“ და რომლის ცალკეული წევრები არაერთხელ მიდრეკილან ცეცხლთაყვანისმცემლობისკენ, თავიდან იბადება ქრისტეში; ამ დაბადების პროცესს წარმართავდა ხოსროვანთა სამეფო ოჯახი: გამორჩეული პიროვნული თვისებებისა და პოლიტიკური ხედვის ადამიანების გუნდი.

## პოლისიტყვა

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების უმეტესობა სამეცნიერო ლიტერატურაში ამა თუ იმ ფორმით აღძრული იყო ჩემამდეც. ყველა წყარო, რომელსაც ვეყრდნობი, ცნობილი და მრავალგზის გამოყენებულია. მიუხედავად ამისა, წიგნში წარმოდგენილი ისტორიული სურათი თვისებრივად ახალია.

თვისებრივი სიახლე განაპირობა წყაროებისადმი ჩემმა მიდგომამ; ეს მიდგომა კი წარმოდგა როგორც შედეგი ამ ძეგლების წყაროთმცოდნებითი და ისტორიოგრაფიული მახასიათებლების ზედმინებითი გათვალისწინებისაგან. განსაკუთრებით პრინციპული გახლდათ „მოქცევად ქართლისაას“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობების ურთიერთშეჯერების და უცხოურ წყაროებთან მათი ჰარმონიზების პრობლემის გადაწყვეტა. ჩემი პრინციპი იყო, რომ არცერთი ცნობა არ ამოვარდნილიყო შემაჯამებელი ნარატივიდან, აშკარად მცდარი ცნობების გაჩენის მიზეზები კი დეტალურად განმარტებულიყო.

ამგვარი მიდგომის შედეგად მე ვთვლი, რომ შევძებლი

აღმედგინა საქართველოს გამაქრისტიანებელი მეფის მირიანის ბიოგრაფია მანამდე სრულიად უცნობ დეტალებზე აქცენტირებით;

აღმედგინა სამეფო ტახტზე მირიანის უშუალო მემკვიდრის ბაკურის ბიოგრაფია;

აღმედგინა ქართლის მესამე ქრისტიანი მეფის თრდატის ბიოგრაფია;

აღმედგინა ქართლის მეოთხე ქრისტიანი მეფის ვარაზ-ბაკურის ბიოგრაფია;

აღმედგინა ქართლის მეხუთე ქრისტიანი მეფის ბაკურის ბიოგრაფია;

აღმედგინა უკანასკნელი ხოსროვანი მეფის არჩილის ბიოგრაფია;

დამედგინა რევ მირიანის ძის, პეტრე იბერისა და ვახტანგ გორგასლის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი დეტალები.

გარკვეულობა შემეტანა ქართული კულტურის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლების წარმოშობის ისტორიაში, როგორიცაა ქართული ანბანი, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ არქეტიპული რედაქცია, ბოლნისის სიონი, მცხეთის სტეფანწმინდა.

ამგვარად, ამ წიგნს საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემატიკის შესწავლის ამბიცია აქვს. თუ რამდენად მოვახერხე ეს, ამის გადაწყვეტა მკითხველის საქმეა.

# დამატება I

## „ნიგნი პირველი“

შენ, ჟე ფარნაოზ,  
ჰქონდეთ ერთმთავრობა,  
შენ მოეც ქართველს  
ნიგნი პირველი  
გრიგოლ ორბელიანი

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ან-ბანის წარმოშობის საკითხი ქართველოლოგის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. მისი კვლევა ყოველთვის იპყრობდა სპეციალისტთა საგანგებო ყურადღებას. ინტერესი არ ნელ-დება დღემდე. ამის დასტურია თუნდ აკად. თ. გამყრელიძის ბოლო ხანებში გამოქვეყნებული სტატია „მწიგნობრობა ქარ-თული“ („ლიტერატურული საქართველო“, 1987, 10 ნოემბერი), რომელშიც გაზიარებულია თვალსაზრისი ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის შესახებ. მოხმობილ არგუმენტთა უმრავლესობამ კრიტიკული შენიშვნები აღგვიძრა. პატივცემუ-ლი მკვლევრისათვის მათი გაზიარების სურვილს ემსახურება წინამდებარე წერილი.

განსახილველი ნაშრომი იხსნება ქართული ანბანის შესახ-ებ ლეონტი მროველის ცნობის – „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან გა-ნავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა თვი-ერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ – განხილვით. მკვლევარი მიუთითებს, რომ ლეონტის შრომის ციტირებული ადგილი ესმოდათ როგორც ფარნავაზის მიერ ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა და, ამგვარად, ქართული ანბანის წარმოშობის დროდ მიიჩნევდნენ ძვ. წ. III საუკუნეს. მაგრამ, მეცნიერის აზრით, აღნიშნული ცნობის ამგვარი ინტერპრეტაცია არ უნდა იყოს სწორი, რადგან არ-საიდან არ ჩანს, რომ ლეონტი მროველი „მწიგნობრობა ქარ-

თულში” მაინცდამაინც ქართულ ასომთავრულს გულისხმობდა. თ. გამყრელიძის მითითებით, ამ მხრივ მრავლისმეტყევლი ფაქტია არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერების არაღმოჩენა, მაშინ, როცა ბერძნული და არამეულით შესრულებული (იგულისხმება, ცხადია, ქრისტიანობამდელი ხანა) გვაქვს. მიუხედავად აღნიშნულისა, მკვლევარი არ უარყოფს ლეონტის ცნობას, არამედ გვთავაზობს მის სხვაგვარ ინტერპრეტაციას. კერძოდ, იშველიებს მახლობელ აღმოსავლეთში ალოგლოტოგრაფიის (სხვა ენაზე ჩაწერის) ფართო გავრცელების ფაქტს და თვლის, რომ ქართველი მემატიანე გულისხმობს მწიგნობრობის დაწყებას არა ქართული ანბანით, არამედ არამეულით. საკუთრივ ქართულ ანბანს აკად. თ. გამყრელიძე, როგორც ითქვა, ქრისტიანული ხანის პროდუქტად მიიჩნევს და მის წარმოშობას IV საუკუნის მიწურულში ან V საუკუნის დასაწყისში ფიქრობს. ამ შემთხვევაში მკვლევრისთვის ამოსავალია კვლავ ანალოგია, კერძოდ, ის, რომ მთელ რიგ ქვეყნებში დამწერლობის შექმნა ისტორიულად სწორედ ქრისტიანობის შემოღებას მოჰყვა. ქართული ასომთავრულის პირველ რეალიზაციად მეცნიერს ქართულად თარგმნილი საღმრთო წერილი მიაჩნია.

ამრიგად, განსახილველ სტატიაში ფაქტობრივად ორი მტკიცებაა წარმოდგენლი: 1. ქართული დამწერლობა არ შექმნილა წინაქრისტიანულ ხანაში; ცნობა ფარნავაზის დროს „მწიგნობრობა ქართულის“ შემოღების შესახებ ალოგლოტოგრაფიული ჩაწერის შემოღებას ნიშნავს. II. ქართული ანბანის შექმნა ქართლის ქრისტიანიზაციას უკავშირდება.

I. 1. ქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ აზრი ახალი არ არის ქართველოლოგიისათვის. სიახლე, რომელიც ამ შეხედულებასთან დაკავშირებით აკად. თ. გამყრელიძის წერილშია გამოთქმული, ლეონტი მროველის ცნობის ინტერპრეტაციას ეხება, კერძოდ, იმას, რომ გამოთქმაში „მწიგნობრობა ქართული“ ქართულანბანვანი მწიგნობრობა კი არა, ქართული ტექსტის ალოგლოტოგრაფიული (კერძოდ, არამეულით) ჩაწერა უნდა ვიგულისხმოთ.

პატივცემული მეცნიერის კონცეფციაში ამ სიახლის გა-ჩენის ლოგიკა ჩვენთვის გასაგებია. საქმე ის არის, რომ ქა-რთული ანბანის ქრისტიანულ ხანაში მომხრე სპეციალისტთა მტკიცებებისათვის ლეონტი მროველის აღნიშნული ცნობა აქი-ლევსის ქუსლს წარმოადგენს. ისინი მის უარსაყოფად, მარ-თალია, სხვადასხვა მოსაზრებას იშველიერენ, მაგრამ აშკარაა, რომ ისტორიული წყაროს ცნობის მარტოლოდენ უარყოფა არაა საკმარისი. წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა მოითხოვს, რომ ამ უარყოფასთან ერთად მითითებულ იქნეს არასწორი ინფორ-მაციის გაჩენის კონკრეტული მიზეზებიც. ამგვარ ძიებებს ლეონტი მროველის აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით არ იცნობს ქართველოლოგიური ლიტერატურა. ამის გარეშე კი ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის შესახებ თვალ-საზრისი, თუ მას მეცნიერული კრიტერიუმებით მივუდგებით, ვარაუდის სფეროს ვერ სცილდება.

აკად. თ. გამყრელიძე გრძნობს ამ სირთულეს და ცდი-ლობს მის დაძლევას იმით, რომ ლეონტი მროველის მიერ მი-თითებულ ფაქტს სხვა მკვლევრების მსგავსად კი არ უარყოფს, არამედ ახლებურად განმარტავს, რის შედეგადაც ეს ცნობა, ტრადიციულად ფარნავაზის დროს ქართული ანბანის დამა-დასტურებლად მიჩნეული, წარმოგვიდგება მოულოდნელ რაკ-ურსში: მითითებულ ხანაში აღნიშნული ფენომენის არარსებო-ბის მაჩვენებლად.

მაგრამ ლეონტი მროველი სხვაგან აღარსად აღნიშნავს ქა-რთული მნიგნობრობის შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ საკითხზე საუბარს ფარნავაზთან დაკავშირებით ნათქვამის შემდეგ სრულიად ამონურულად თვლის. ლეონტი მროველი ფარნავაზის დროს, მართლაც, არამეულით ჩაწერის შემოღე-ბას რომ გულისხმობდეს, მაშინ მემატიანეს IV-V სს მიჯნაზე აღწერილი სხვა ფაქტების გვერდით, უთუოდ ეროვნული დამწერლობის შექმნაც უნდა აღენიშნა: რა თქმა უნდა, წარ-მოუდგენელია, რომ ქრისტიან მწერალს წარმართულ ხანა-ში არქართულად ჩაწერის შემოღება საგანგებოდ აღენიშნა, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ეროვნული ანბანის შექმნა

კი სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინა. ის ფაქტი, რომ ლეონტი მროველი ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის შესახებ არაფერს გვეუბნება, მიუთითებს: ფარნავაზის დროს იგი, უეჭველად, ქართული ანბანის შემოღებას გულისხმობს. აღნიშნულ საკითხში ლეონტის პოზიციასთან დაკავშირებით არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი. ეს რაც შეეხება ცნობის წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ჰერმენევტიკულ ეტაპს.

I. 2. ახლა ქრისტიანობამდელი ქართულანბანოვანი წარნერების არალმოჩენის შესახებ. პატივცემული მკვლევარი თვლის, რომ ეს მეტყველი ფაქტია. მაგრამ რას მეტყველებს ეს ფაქტი? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. კერძოდ, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ იგი უსათუოდ არარსებობას მიუთითობს.

წარსული სინამდვილე ანმყოში სრულად არ გვეძლევა, მაგრამ ეს გარემობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ არსებობდა მხოლოდ ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია. ეს აზრი პრინციპულად მიუღებელი არც აკად. თ. გამყრელიძისათვის უნდა იყოს, რომელსაც, როგორც ეს განსახილველი წერილიდან ჩანს, ფარნავაზისდროინდელი ალოგლოტოგრაფიული ძეგლების არალმოჩენა სრულიადაც არ უშლის ხელს ამგვარი არტეფაქტების არსებობა დაუშვას, ისევე როგორც IV-V სს მიჯნაზე ქართული ანბანით შესრულებული საღმრთო წერილის მოუღწევლობა, აღნიშნულ ხანაში ასეთი ძეგლის არსებობის მტკიცებაზე ათქმევინებს უარს. მაშ, რატომ წინაქრისტიანული ხანიდან ქართული დამწერლობის ნიმუშების აღმოუჩენლობა მაინცდამაინც მათ არარსებობაზე მეტყველ ფაქტად უნდა განვმარტოთ, როცა ამ რიგის სხვა მოვლენებს არ ვხსნით ამგვარად?!

ძვ. ნ. III – ახ. ნ. V სს – ამ უზარმაზარი ქრონოლოგიური მონაკვეთიდან (ე. ი. პერიოდიდან, როცა პატივცემული მეცნიერი ქართული ანბანის არსებობას გამორიცხავს), ჩვენამდე მოღწეული ადგილობრივი წარმოშობის უცხოურ წარწერათა რიცხვი ძალიან მცირეა. ეს ფაქტი არაორაზროვნად მიუთითებს: ჩვენს ხელთ წარსული სინამდვილის არარეპრეზენ-

ტატული ნაწილია, რომლის საშუალებით მთელზე მსჯელობას ადვილად შეუძლია შეცდომაში შეყვანა. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ეს მთელი მარტო უცხოურ წარწერებს გულისხმობდა და არ წარმოადგენდა ქართული (იგულისხმება ქართულანბანოვანი და ქართულენოვანი) და უცხოური მწიგნობრობის ნიმუშების თანაარსებობას.

აღნიშნულ გარემობათა გამო ვთვლით, რომ დღეისათვის ლეონტი მროველის ცნობის სანდობაში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს.

წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ისტორიული კრიტიკის ეტაპზე უმთავრესო სწორედ ამის გარკვევაა, ე. ი. იმის დადასტურება, რომ არ არსებობს საფუძველი ცნობის უარსაყოფად. ამის დადგენის შემდეგ ცნობაში დაცული ინფორმაციის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა უკვე დასაშვებია.

1. 3. როდესაც აკად. თ. გამყრელიდე მიუთითებს, რომ ალოგლოტოგრაფიული წარწერების ქართლში არსებობას ასეთი ჩანაცვლილი იმდროინდელ კულტურულ სამყაროში ფართო გავრცელება ადასტურებს, იგი ანალოგიას იყენებს, როგორც არგუმენტს. მაგრამ დასკვნების ალბათურობის გამო ანალოგია მეცნიერებაში არგუმენტი არ არის. იგი მხოლოდ ერთგვარ გზამკვლევად შეიძლება იქნეს გამოყენებული ჰიპოთეზების შემუშავებისას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მამტკიცებელ საბუთად. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ისტორიულ მეცნიერებაში, მაშინ როცა საქმე უზოგადეს კანონზემიერებებს კი არა, არამედ კონკრეტული ისტორიული ფაქტების დადგენას ეხება. არავითარი მტკიცებითი ძალა არ შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ქართლის რომელიმე მეზობელ ქვეყანაში, ვთქვათ, ირანში, გავრცელებული იყო ალოგლოტოგრაფია. ეს კონკრეტული ფაქტი აუცილებლობით არ გულისხმობს იგივეს ქართლისათვისაც.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ წარწერათა ალოგლოტოგრაფიულობა სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებული როდია. განსახილველი წერილი, მისი მიზნებიდან გამომდინარე, ამ წარწერების ალოგლოტოგრაფი-

ულობის მტკიცებას უნდა მიძღვნოდა და არა ანალოგიათა ძიებას, რადგან ანალოგია კონკრეტული კვლევას სრულიადაც ვერ ცვლის.

II. 1. ქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის წარმოშობის მტკიცებისათვის საფუძველს პატივცემული მკვლევარი კვლავ ანალოგიაში პოულობს. მას მიაჩინა, რომ რადგან მთელ რიგ ქვეყნებში ეროვნული დამწერლობის გაჩენა ქრისტიანობის შემოღებას დაუკავშირდა, ასევე უნდა მომხდარიყო ქართლ-შიც. უკვე ითქვა, რომ ანალოგია კონკრეტული ისტორიული ფაქტების დადგენისას მამტკიცებელი საბუთის როლს ვერ ითამაშებს: სხვადასხვა ისტორიულ სინამდვილეში ერთი და იგ-ივე რიგის მოვლენები ერთმანეთის ასლს არასოდეს წარმოადგენენ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაშიც კი ანბანის შექმნა ქრისტიანობას რომ დაკავშირებოდა, კონკრეტული კვლევის გარეშე ვერ ვიტყოდით, რომ ქართლშიც ასე მოხდა. ესაა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი თავისებურება, მისი ერთ-ერთი სირთულე და, გნებავთ, მომხიბლაობაც.

განსახილველ სტატიაში აღნიშნულ კონტექსტში (ე. ი. ქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის წარმოშობასთან და-კავშირებით) მკითხველის ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ „ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია და ხალხი, რომელიც ამ სარწმუნოებას ეზიარებოდა, საკუთარ მწიგნობრობას ქმნიდა და ივითარებდა“.

მაგრამ ქრისტიანობის ხანაში ანბანის შექმნის დასამტკიცებლად ეს არგუმენტია? განა წარმართობა კი არ იყო მწიგნობრული რელიგია და განა ქრისტიანობამდელ ხანაში კი არ ივითარებდნენ მთელი რიგი ხალხები საკუთარ ლიტერატურას?!

განსახილველ წერილში ქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის წარმოშობის მტკიცებისათვის მოხმობილი არგუმენტები სულ ეს არის. ჩვენთვის გაუგებარია, რას ემყარება პატივცემული მკვლევრის რწმენა ამ შემთხვევაში, ქართლისათვის ქრისტიანობის როლის თავისებურ შეფასებას ხომ არა?

აკად. თ. გამყრელიძის სტატიიდან ჩანს, რომ მკვლევარი

ქრისტიანობას, მართლაც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართველი ხალხის ისტორიაში. მაგალითად, თვლის, რომ ქართველთა ეროვნული ერთიანობის შეგნების ჩამოყალიბება ქრისტიანული რწმენის შემოღებას უკავშირდება.

ქართლის ქრისტეს სჯულზე მოქცევის მნიშვნელობას, როგორც ისტორიული ნიშანსვეტს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, არავინ უარყოფს. მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით ქართული თვითშეგნების ფესვები გაცილებით ადრეულ ხანაშია საძიებელი. ქრისტიანიზაცია ქართველთა თვითობის ფორმირების ხანა კი არაა, არამედ უკვე ჩამოყალიბებული ერთიანობის განზავება ზოგადსაკაცობრიოში და ეს სრულიად ლოგიკურია თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტიანობის სახით კოსმოპოლიტურ რელიგიასთან გვაქვს საქმე. ქართლის მოქცევის ახლო ხანებთან დაკავშირებით ლაპარაკი იმაზე, რომ ქრისტიანობა და ქართველობა ქართველთა წარმოდგენაში ერთმანეთს სრულად ერწყმის, გვიანი მოვლენის ადრეულ ხანაში პროექციაა და მეტი არაფერი.

ამგვარად, არ არსებობს არავითარი საფუძველი არც ძვ. წ. III საუკუნეში ქართული „წიგნი პირველის“ არსებობის უარყოფისათვის, არც აღნიშნული კულტურული ფაქტის მხოლოდ IV-V სს მიჯნაზე გაჩენის მტკიცებისათვის. მარტონდენ ვარაუდების საფუძველზე ქართული ანბანის წარმოშობის დროის პრობლემის (პრობლემისა, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის ისტორიის სწორად გასაგებად ძალიან დიდია) გადაწყვეტა არ მიგვაჩნია მართებულად. და ეს არა მარტო ზემოთ მითითებულ მეცნიერულ მოსაზრებათა გამო. ჩვეულებრივ სპეციალისტთა მიერ ამ რიგის ფაქტების საკმაო დასაბუთების გარეშე ფართო მკითხველის წინაშე გამოტანა, როგორც საპასუხო რეაქციას, იწვევს არა-ჯანსაღ რადიკალიზმს – საზიანოს ერის კულტურული ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობისათვის.

P. S. აკად. თ. გამყრელიძის წერილი იწყება ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისის მოხმობით: „XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ეს ცნობა დიდ კამათს იწვევს თანა-

მედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას მაინცდამაინც დიდი რწმენით არ ეკიდებოდა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი და ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფაქტიური შემქნელი ივ. ჯავახიშვილი და ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნას ლეგენდად მიიჩნევდა“.

ქვემოთ ამას, როგორც ითქვა, მოსდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართული ანბანი ქრისტიანულ ხანაშია შექმნილი. ამის გამო, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ქართულ დამწერლობათმცოდნეობის შემქნელი მეცნიერი ლეონტი მროველის ცნობას კრიტიკულად ეკიდებოდა სწორედ ამ პოზიციებიდან და მასაც ქრისტიანულ ხანაში შექმნილად მიაჩნდა ქართულ ანბანი. სინამდვილეში ეს ასე არ არის. კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად ი. ჯავახიშვილი ამ ცნობის მნიშვნელობას ქართული დამწერლობის „ქრისტეს წინადროინდელ აღმოჩენად“ წარმოდგენაში ხედავდა, ქართულ დამწერლობას წინაქრისტიანულ ხანაში წარმოშობილად თვლიდა. რაც შეეხება ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში წარმოშობის საკითხს, აქ ის სრულიად კატეგორიული იყო: „ეხლა უკვე საკმაოდ გამორკვეულია, მაგრამ შემდგომში ეს გარემოება კიდევ მეტი სიცხადით გამოაშკარავდება, რომ ქართული ანბანის V საუკუნის დამდეგს შედგენაზე ლაპარაკი გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს“.

მნათობი, 1988, № 5, გვ. 147-150

\*\*\*

მოგვიანებით ჩემს სადოქტორო დისერტაციაში მე გავი-მორე „მნათობში“ გამოქვეყნებული ამ წერილის ძირითადი დებულებები. თუმც დავუმატე გარკვეული მსჯელობაც, რომელიც აქვე მინდა წარმოვადგინო. განსხვავებით წინა ტექსტისაგან, ის აქამდე არ დამიბეჭდავს.

აი, ეს მსჯელობა მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით:

მოგვიანებით გამოსულ მონოგრაფიაში თ. გამყრელიძემთავის კონცეფციაში შეიტანა ერთი მნიშვნელოვანი კორექ-

ტივი: IV-V სს მიჯნის მაგიერ ქართული ანბანის შექმნის დროდ IV ს. შუა ხანები – ქართლის გაქრისტიანებისა და ნათლისლების ეპოქა მიუთითა (იხ. თ. გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, მეორე, შესწორებული გამოცემა, თბილისი, 1990, გვ. 196). გაქრისტიანების მიზეზით ქართული ანბანის შექმნის თვალსაზრისზე მდგომი მკვლევრისათვის, ცხადია, ეს თარიღი უფრო ლოგიკურია. მაშინ ისმის კითხვა: რატომ თავიდანვე ის არ დაასახელა თ. გამყრელიძემ?

საქმე ისაა, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადების ისტორიის დაწვრილებით აღმნერი წყაროები შემოგვრჩა, მათში კი ანბანის შექმნის თაობაზე არაფერია ნათქვამი. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ დამწერლობის შექმნის ფაქტი არ დაფიქსირდა წმინდა ნინოს „ცხოვრებაში“, თუკი ის, მართლაც, წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგი იყო. ამ სირთულის შესახებ თ. გამყრელიძეს მიუთითა კიდეც მის მონოგრაფიაზე ერთ-ერთი დადებითი რეცენზიის ავტორმა ზ. სარჯველაძემ (იხ. ზ. სარჯველაძე. „ძველი ქართული დამწერლობა“, ლიტერატურული საქართველო, 1990, 1 ივნისი, გვ. 10). უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ სირთულეს ითვალისწინებდა თ. გამყრელიძე, როცა თავიდანვე ასომთავრულის შექმნის თარიღად IV ს. შუა ხანები არ დაასახელა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, მისი კონცეფციისათვის უფრო ლოგიკური იყო. მაგრამ შემდგომში მაინც რატომლა შეცვალა (რაიმე არგუმენტის გარეშე) IV-V სს მიჯნა IV ს. -ის შუა ხანებით?

საქმე ისაა, რომ ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია ანბანის შექმნას მიაწერს მესროპ მაშთოცს, პიროვნებას, რომელიც სწორედ IV-V სს-თა მიჯნაზე მოღვაწეობდა. მართალია, თ. გამყრელიძე კატეგორიულად უარყოფს აზრს ქართული ანბანის სომები მწიგნობრის მიერ შექმნის თაობაზე (ამ შემთხვევაში ის სავსებით სამართლიანად ხაზს უსვამს, რომ ანბანის შექმნა გულისხმობს ენის სერიოზულ ლინგვისტურ ანალიზს, რასაც ქართული ენის არმცოდნე მესროპი ვერ შეძლებდა), მაგრამ აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევაში მაინც

ძალიან რთულდება მესროპ მაშთოცის სახელის ქართული ანბანის შექმნისაგან დაშორება, რაც, ისე ჩანს, რომ ამ მკვლევრის თვითმიზანია, ცხადია, რატომაც: მისი თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში ხომ ქართული ანბანი არა მარტო შვიდი საუკუნით „ახალგაზრდა“ ხდება, მისი შექმნა ავტომატურად ისმება იმ კონტექტში, რომელიც მესროპ მაშთოცს უკავშირდება. ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული ვითარებით გამოწვეული პრობლემისაგან თავის დასაღწევად იქნა შეტანილი აღნიშნული კორექტივი თ. გამყრელიძის კონცეფციაში. თუმც ამ ცვლილებამ, როგორც ვნახეთ, კიდევ უფრო რთული პრობლემის წინ დააყენა მკვლევარი.

ქართული ანბანის წარმართულ ეპოქაში შექმნის თაობაზე კონცეფციის გაზიარების შემთხვევაში (როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენ ამ პოზიციაზე ვდგავართ) ამგვარი სირთულეები არ წარმოიშობა: აშკარაა, რომ მესროპი ვერ იქნებოდა ქართული ანბანის შემქნელი და ისიც გასაგებია, რატომ არაფერს გვეუბნებიან ანბანის შექმნის თაობაზე ქართველთა მოქცევის ისტორიის აღმნერი წყაროები.<sup>1</sup>

1 მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VIII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოკტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1996, 53-54.

## დამატება II

### ქართული ანბანის ისტორიიდან

ერის სილამაზეს  
მე ვამტკიცებ  
ეროვნული ანბანით  
ანატოლ ფრანსი

ქართული ანბანის უძველესი სახეობა – ასომთავრული ანუ მრგვლოვანი – წარმართულ ეპოქის ძეგლია. ამაზე მისი წარმართული სიმბოლიკა, მასში გამუღავნებული წარმართული მსოფლხედველობა მეტყველებს. აღნიშნულ დასკვნას, რომელიც უკანასკნელი დროის გამოკვლევების (რ. პატარიძე) შედეგს წარმოადგენს, ეთანხმება ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ უკვე ძვ. წ. III საუკუნეში ქართული სახელმწიფოს (ცენტრით მცხეთა-ში) დამაარსებლის მეფე ფარნავაზის მმართველობის ხანაში სათავე დაედო ქართულ მწერლობას, შეიქმნა „მწიგნობრობა ქართული.“

ზემოაღნიშნული კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვს. ქართული ანბანის ისტორიის კვლევა ხომ ქართული საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევს. ამასთან უთუოდ ცნობილია ისიც, რომ ქველმა სომხურმა საისტორიო მწერლობამ ქართული ანბანის წარმოშობის განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა. ამ ვერსიით ქართული ანბანი ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის დასაწყისში, ე. ი. ქრისტიანულ ხანაში ქართლში ბაკურის მეფობის დროს შეიქმნა ცნობილი სომები მწიგნობრის და ქრისტიანული მისიონერის მესროპ მაშთოცის მიერ.

ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც ითქვა, ქართული ანბანი აღბეჭდილია წარმართული მსოფლხედველობით. ქრისტიანი

საეკლესიო მოღვაწის ქმნილებას კი, ცხადია, ასეთი რამ არ შეიძლება ახასიათებდეს. ამასთან, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში (ა. ფერიხანიანი, თ. გამყრელიძე), ანბანის შექმნა არ დაიყვანება ასოთა გრაფიკული გამოსახვის აქტზე. ანბანის შექმნა, როგორც ენის არსების გამოვლენის ცდა, გულისხმობს საფუძვლიან ლინგვისტურ ანალიზს, რისთვისაც, ბუნებრივია, აუცილებელია ენის ღრმა ცოდნა. ისტორიული წყაროების მიხედვით, მესროპ მაშთოცმა ქართული არ იცოდა. ამიტომ ქართულ ასომთავრულს – ქართული ენის რაობის სრულყოფილად წარმომაჩენელ ამ რაციონალურ სისტემას, იგი ნამდვილად ვერ შექმნიდა.

დაბოლოს, ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრელებული ქართული ანბანის წარმოშობის აღნიშნული ვერსიისათვის სერიოზული მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლება უბრალოდ იმიტომაც, რომ ჩვენს ხელთაა მესროპამდელი ქართული მწერლობის ნიმუშები. ასეთია თუნდაც IV საუკუნის შუა ხანებში ზემოთ ნახსენებ ბაკურ მეფის დიდედის სალომე უჟარმელის მიერ შედგენილი ქართველთა განმანათლებელ ნინოსადმი მიძღვნილი მის თანამედროვეთა მოგონებების კრებული, ე. წ. ვრცელი „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (სალომე-სა და წმინდა ნინოს „ცხოვრების“ ამ უძველესი რედაქციის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენს მონოგრაფიაში „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები“, თბილისი, მეცნიერება 1987; აგრეთვე წერილში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის აზრიბუცია, მნათობი, 1987, № 5).

მიუხედავად იმისა, რომ, ამრიგად, უდავოა ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსიის მცდარობა, აუცილებელია ამ მცდარი ინფორმაციის გაჩენის მიზეზი დადგენა.

აღნიშნულ საკითხზე ქართველ სპეციალისტ მიერ დღეს გაზიარებულია ი. ჯავახიშვილის შეხედულება, რომლის მიხედვით კორიუნის „მაშთოცის ცხოვრებაში“ (V ს. I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი კორიუნი პირველია სომხურ მწერლობაში, რომლის

თხზულებაში გვხდება განსახილველი ცნობა) თხრობა ქართული ანბანის შესახებ გვიანდელი ტენდენციური ჩანართია.

ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ კორიუნის ნაშრომს საერთოდ ემჩნევა გადაკეთების კვალი. კონკრეტულად ქართული ანბანის შესახებ ცნობის თავდაპირველ რედაქციაში არარსებობას კი მეცნიერს აფიქრებინებდა V საუკუნის || ნახევრის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის თხზულება, რომელშიც კორიუნზე დაყრდნობით ვრცლადა ლაპარაკი მესროპის მოღვაწეობის, მის მიერ სომხური ანბანის შექმნის შესახებ, მაგრამ ერთი სიტყვითაც არა ნათქვამი ქართულ ანბანზე. სწორედ აღნიშნული ფაქტი აძლევდა ი. ჯავახიშვილს საფუძველს, ეფიქრა, რომ „მაშთოცის ცხოვრების“ არქეტიპში, მის უძველეს ვარიანტში ცნობა ქართული ანბანის შესახებ არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ლაზარე ფარპელზე მითითება არ შეიძლება ამ შემთხვევაში არგუმენტად მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ლაზარე კარგად იცნობდა ქართულ სინმადვილეს (ერთხანს ის ქართლში ცხოვრობდა). ამიტომ ქართული ანბანის შექმნაში მესროპის ლვანლზე მისი დუმილი, ბუნებრივია, ავხსნათ არა წყაროში შესაბამისი მონაცემის არარსებობით, არამედ იმით, რომ ლაზარე, რომელმაც ქართული ანბანის მაშთოცამდე არსებობის ფაქტი იცოდა, არ იზიარებდა კორიუნის ცნობას.

გარდა ამისა, თხრობა ქართული ანბანის მესროპ მაშთოცის მიერ შექმნის თაობაზე ორგანულია „მაშთოცის ცხოვრებისათვის“. მას იმეორებს V ს. სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელიც. ასე რომ, კორიუნის ნაშრომში ქართული ანბანის შესახებ არასწორი ინფორმაციის გაჩენის მიზეზების ი. ჯავახიშვილისეულ ახსნას აკლია დამაჯერებლობა. ეს კი ეჭვის ჩრდილს აყენებს თავისთავად უტყუარ არგუმენტზე დამყარებულ ქართული ანბანის წარმართულ ხანაში წარმოშობის კონცეფციას. ნაწილობრივ ამის მიზეზითაცაა, რომ არაქართულ სინამდვილეში შექმნილ სპეციალურ თუ პოპულარულ ლიტერატურაში ამ კონცეფციას ხშირად არ უწევენ ანგარიშს და ქართული ანბანის შექმნელად ასახელებენ მესროპ მაშთოცს.

ქართული ანბანის შექმნის სომხური ვერსიის გაჩენის მიზეზთა ახსნისას ქართული ისტორიოგრაფიის სერიოზული ხარვეზია ამოსავალ წერტილად ძველი სომხური მწერლობის ტენდენციურობის მიჩნევა. ეს ძალიან წამგებიანი პოზიციაა ქართველი მკვლევრებისათვის. იგი ეჭვქვეშ აყენებს მათ ობიექტურობას, თავიდანვე უნდოდ განაწყობს მათ მიმართ არაქართველ მკითხველს. ამასთან ამგვარი პოზიცია პრინციპულად არაა სწორი. რამდენადაც ისტორული კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, ძველ ისტორიკოსებს ახასიათებდათ მეტ-ნაკლები სუბიექტურობა ისტორიული პროცესების გააზრებაში, მაგრამ უმეტესწილად ეს ხდებოდა უნებლიერ, იმის შედეგად, რომ ისტორიული პრაქტიკის განვითარების შედარებით დაბალი დონის გამო, მემატიანებს უჭირდათ სინამდვილის მთლიანობაში დანახვა.

კორიუნი არის მაშთოცის ბიოგრაფი. უეჭველია, ეს თვალნათლივ ჩანს კიდეც მის თხზულებაში, მას ამოძრავებს სურვილი განადიდოს თავისი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კორიუნი მაშთოცის თანამედროვეა. აქედან გამომდინარე კი აშკარაა: მისი სუბიექტური მისწრაფებანი არ შეიძლება იყოს ზღვარდაუდებელი. ამიტომაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც, უნდა ვილაპარაკოთ ძველი სომები ისტორიკოსის შეცდომის და არა ტენდენციურობის შესახებ. და ეს უმნიშვნელო ნიუანსი როდია: დასმული პრობლემა სულ სხვაგვარად წარმოჩნდება მკვლევრის ნინაშე, როცა იგი კორიუნის შეგნებული ტენდენციურობის მიზეზებს ეძიებს და სულ სხვაგვარად – როცა უნებლიერ შეცდომისას.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას. კორიუნი არ ამბობს, რომ ქართველებს მაშთოცამდე არ ჰქონიათ ანბანი, იგი გვამცნობს, რომ მესროპმა ქართველებს შეუქმნა ანბანი, მაგრამ როგორი იყო ვითარება ადრე, ეს საკითხი მის თხზულებაში ღიადაა დატოვენული.

კორიუნის მიუთითებს, მესროპ მაშთოცმა სომხური ანბანი შექმნა მიუხედავად იმისა, რომ მის დრომდე სომხებს ჰქონი-

ათ სხვა ანბანი. ეს ძველი ანბანი მესროპმა დაიწუნა, რადგან მისი დანერგვის პროცესში მთელი ორი წლის მანძილზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩინა, რომ იგი სომხური ენის ფონეტიკას სათანადოდ ვერ ასახავდა. აღნიშნულის ანალოგით საფიქრებელია, რომ ქართული ანბანის მესროპ მაშთოცის მიერ შექმნის შესახებ ცნობაც არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც კორიუნისაგან მესროპამდე ქართული ანბანის არსებობის გამორიცხვა. კორიუნის ცნობა მესროპ მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც წარმართულ ეპოქაში ქართული ანბანის არსებობის საწინააღმდეგო მტკიცება, არამედ როგორც მითითება იმის შესახებ, რომ სომებს მისიონერს გარკვეული მიზეზების გამო არსებული ქართული ანბანი არ აკმაყოფილებდა და განიზრახა მისი შეცვლა.

მაშთოცმა, როგორც ითქვა, ქართული არ იცოდა, ამიტომ, ბუნებრივია, ქართულ ასომთავრულს იგი ქართული ენისათვის შეუსაბამობის მიზეზით ვერ დაიწუნებდა. გვრჩება ვიფიქროთ, რომ ქრისტიან საეკლესიო მოღვაწეს ქართული ანბანი ხელს არ აძლევდა იდეოლოგიური მოსაზრებებით – ქართული ასომთავრული ხომ წარმართული კულტურის ცოცხალი ნაწილი იყო.

ამგვარი თვალსაზრისის სისწორეს ადასტურებს მესროპ მაშთოცის მოღვაწეობის ხასიათი.

ვ. ს. დასაწყისი, როცა მესროპ მაშთოცი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის აღინიშნება ორი მოვლენით: ა. უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური სიტუაციით, მაზდენანური ირანის ექსპანსიის მუდმივი საფრთხით; ბ. ქრისტიანიზაციის პროცესის გაღრმავებასთან დაკავშირებული იდეოლოგიური ბრძოლით. ეს მოვლენები ურთიერთდაკავშირებულია; ერთი საუკუნის წინ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ ოფიციალურ რელიგიად აღიარებული ქრისტიანობის რეალურად დამკვიდრება რეგიონში ანტიირანული, ანტიმაზდეანური კოალიციის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა.

მესროპ მაშთოცის მასპინძელი მეფე ბაკური („ბაკურ ძვი  
თოდატისი“) ძველი ქართული საისტორიო თხზულების „მოქცე-  
ვად ქართლისას“ მიხედვით საგანგებო თავდაცვით ღონისძიე-  
ბებს ატარებს „სპარსთა შიშისათვეს“.

ეს სპარსთა შიში იყო იმდროინდელ სომებ მოღვაწეთა,  
კერძოდ, მესროპ მაშთოცისა და მისი თანამოაზრის – სომებ-  
თა კათალიკოსის–საპატის აქტიური რელიგიური მოღვაწეობის  
ერთ-ერთი მიზეზიც. ისინი მთელს სამხრეთ კავკასიაში ქრის-  
ტიანობის მტკიცედ დანერგვას და წარმართობის ნაშთების აღ-  
მოფხვრას ისახავდნენ მიზნად. სომხებისაგან ამგვარი მისია,  
მათი განსაკუთრებული თავგამოდება გასაგებია, თუ გავით-  
ვალისწინებთ, რომ სომხეთი უფრო მეტად აღმოჩნდა დაუცვე-  
ლი ირანის წინაშე, ვიდრე, ვთქვათ, ქართლი. ამიტომ ჰქონდა  
სომებ მოღვაწეთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა საკუთარ  
ქვეყანაში დაწყებული რელიგიური მოძრაობისათვის მიენიჭე-  
ბინათ რეგიონალური მასშტაბი.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მრავალსაუკუნოვანი  
წარმართული ტრადიციის მქონე ქართული ანბანის შეცვლა  
წარმართობის ნაშთების აღმოფხვრისაკენ მიმართულ პრო-  
გრამაში შევიდა როგორც ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი,  
რომლის განხორციელებას შეეცედა კიდეც მესროპ მაშთო-  
ცი. სწორედ მისი ეს ნაბიჯია ასახული კორიუნის განსახ-  
ილველ ცნობაში.

მაგრამ კორიუნი მაშთოცის თანამედროვე იყო. მას არ  
შეეძლო აღწერილი ფაქტის პერსპექტივაში აღქმა. ამიტომაა,  
რომ კორიუნმა იცის ამ პროგრამის შესახებ, მაგრამ არ იცის,  
რომ სომები მნიგნობრის ცდას შეეცვალა წარმართული ხანის  
ქართული ანბანი ახლით, წარმატება არ მოჰყოლია, მესროპ  
მაშთოცის პროექტი არ განხორციელებულა.

ამგვარად, ირკვევა, რომ კორიუნის ცნობა მესროპ მაშთო-  
ცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ არის ნახევარ-  
სიმართლე, რომელიც ერთი შეხედვით, ჰგავს სრულ სიმარ-  
თლეს. მასში ხომ რიგი ფაქტებისა სწორადაა გადმოცემული,  
და მხოლოდ არსებითი მომენტია არასწორად წარმოდგენი-

ლი. სწორედ ამიტომ იყო ამ ცნობის ისტორიულ კონტექსტში ჩართვა ესოდენ ძნელი, სწორედ ამიტომ შეჰყავდა მკვლევრები შეცდომაში, როგორც მის გაზიარებას, ისე ხელალებით უარყოფას.

როგორც ითქვა, კორიუნმა ფაქტობრივად არ იცის რა ბედი ენია მაშთოცის ნაღვანს ქართლში. მაგრამ ის, რასაც ვერ ხედავს V ს. I ნახევრის ისტორიკოსი, ცხადი გამხდარა ლაზარე ფარპელისათვის, რომელიც კორიუნის ცნობას მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ არ იზიარებს, ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ V ს. II ნახევარში, ე. ი. გარკვეული ქრონლოგიური დისტანციიდან ამ ცნობის დამზერა მას საშუალებას აძლევს, შენიშნოს: მესრობის მიერ ქართველთათვის გამოგონებული ასოები ქართულ მწერლობაში რეალიზებული არ ყოფილა, ქართული კულტურისათვის ისინი უფუნქციონი აღმოჩნდნენ.

ნიშანდობლივია, ლეონტი მროველის პოზიციაც. ლეონტი საზოგადოდ კარგად იცნობს სომხურ ლიტერატურას, მისთვის, როგორც ქრისტიანი მწერლისათვის, მისაღები ქართული ანბანის წარმოშობის სომხური ვერსია უნდა ყოფილიყო. და თუ მაინც ლეონტი ამ ვერსიას არ იზიარებს და ქართული მწერლობის არსებობას ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში, მეფე ფარნავაზის დროს აღნიშნავს, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასაც სერიოზული არგუმენტები აქვს მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ცნობის უარსაყოფად. და ამ შემთხვევაში გამორიცხულია ქართველი ისტორიკოსის ტენდენციურობა მაშთოცის ეთნიკური კუთვნილების გამო. როგორც ლეონტი მროველის სამუშაო ლაბორატორიაში ჩახედვა გვარნმუნებს, იგი ობიექტური ისტორიკოსია. ამავე დროს სომხებისადმი სიმპათიითაა გამსჭვალული. იგი ყოველთვის ცდილობს არათუ დაამცროს სომებს მოღვაწეთა როლი საქართველოს ისტორიაში, არამედ საგანგებოდ წარმოაჩინოს.

ასე რომ, კორიუნის განსახილველი ცნობა, როგორც არასანდო ინფორმაციის შემცველი, უარყოფილ იქნა საკმაოდ

ადრე საქმეში ჩახედულ ძველ ისტორიასთა მიერ. სამწუხაროდ, თანამედროვე კავკასიოლოგიაში ამ გარემოებას ყოველთვის როდი ექცევა სათანადო ყურადღება.

როგორც ითქვა, მესროპ მაშთოცს სრულიად გარკვეული მიზეზის გამო, ქართული ანბანი არ აკმაყოფილებდა და იგი შეეცადა მის შეცვლას. ემთხვეოდა თუ არა სომები მისიონერის ამგვარ სურვილს იმდროინდელი ქართლის მესვეურთა განწყობა?

ის გარემოება, რომ მესროპ მაშთოცს ქართლში პატივით დახვდნენ, მოუსმინეს, ზემოთ წამოჭრილ კითხვაზე დადგებითი პასუხის გასაცემად საკმარისი სრულებითაც არ არის. მაშთოცის მასპინძელი მეფე ბაკური, რუფინუსის „ფრიად სარწმუნო კაცი“, გონიერი და წინდახედული მმართველი იყო, რომელიც „ერთნაირად ბრწყინავდა სხეულითა და სულით“, რომელსაც საერო მოღვაწეობასთან ერთად ყოველთვის იყო ხაზგასმულად სანიმუშო ქრისტიანი და კულტურის თაყვანისმცემელი (მის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენს წერილში „ფრიად სარწმუნო ბაკური“, მნათობი, 1986, №5).

ასე რომ, ბაკურის მიერ ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობრის პატივით მიღება სრულიად ბუნებრივია ქართული წარმართული ხანის ანბანის შემდგომი ბედის შესახებ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაშიც. სწორედ ამის გამო კორიუნის მითითება იმის თაობაზე, რომ ქართლის მეფე „მორჩილებით უსმენდა“ მაშთოცს, არ უნდა იქნეს გაგებული როგორც უსათუოდ მაჩვენებელი ბაკურის მზადყოფნისა სომები მისიონერის რეკომენდაციების მიხედვით შეეცვალა რამე.

V ს. დასაწყისისათვის ქართული ასომთავრულის ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, სულ მცირე შვიდ საუკუნეს ითვლიდა, ამიტომ ბუნებრივად ჩანს, რომ მასთან დაპირისპირებისას მესროპისეული სახელდახელო პროექტი დამარცხდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ არ დაინერგა. მაგრამ ქართული წარმართული ანბანის შენარჩუნების მიზეზი მარტოოდენ მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და სრულყოფილება არ უნდა

ყოფილიყო. ამ ობიექტურ გარემოებათა გვერდით უთუოდ გა-  
სათვალისწინებელია სუბიექტური ფაქტორიც, კერძოდ, ბაკურ  
მეფის პიროვნება. სანიმუშმ ქრისტიანი, თავისი ღვთისმოსაო-  
ბით გამორჩეული ბაკური ცნობილი წარმართი ფილოსოფო-  
სის ლობანიოსის მეგობარი იყო, რომელსაც იგი უფლისწუ-  
ლობის დროს ბიზანტიაში ყოფნისას გაეცნო და რომელთანაც  
სარწმუნებრივი სხვაობის მიუხედავად, დიდი სულიერი სიახ-  
ლოვე აკავშირებდა. ეს ფაქტი ბაკურის ფართო თვალსაწირის  
მაჩვენებელია. ის ცხადყოფს, რომ ბაკური იყო მოღვაწე, რო-  
მელსაც შეეძლო ობიექტური არჩევანი გაეკეთებინა სრულყო-  
ფილ წარმართულ ქართულ ანბანსა და იდეოლოგიურად მის-  
აღებ, თუმც არასრულყოფილ, მესროპისეულ ასოებს შორის.  
ამიტომ გვგონია, რომ მწვავე რელიგიური დაპირისპირების მი-  
უხედავად, ქართველი ერის ისტორიის წარმართული და ქრის-  
ტიანული ეპოქების შემაკავშირებელი ხიდი რომ არ დაირღ-  
ვა, ქართული ასომთავრული ერთიანი ქართული კულტურის  
ხერხემლად რომ გვევლინება, გარკვეულწილად ეს მისი ანუ  
ბაკურ მეფის დამსახურებაა.

ამ წერილის დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას შემ-  
დეგი: როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობა გვარწმუნებს,  
ცნობა ქართული ანბანის მესროპ მაშთოცის მიერ შექმნის  
შესახებ უნდა ინტერპრეტირებულ იქნეს ახლებურად და ამ  
სახით შეტანილ უნდა იქნეს ქართული ანბანის ისტორიის  
კონცეფციაში, რადგან იგი ამ ისტორიის ერთ-ერთ საინტ-  
ერესო დეტალს გვიჩვენებს, კერძოდ, გვამცნობს, რომ ახ.  
წ. V ს. დასაწყისში იდეოლოგიური მოსაზრებებით იყო ცდა  
ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში წარმოშობილი ქართული  
ანბანის შეცვლისა, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყ-  
ოლია, ქართული ასომთავრული არ შეუცვლიათ ...საბედ-  
ნიეროდ!

P. S. ახლახან „ლიტერატურულ საქართველოში“ (1989, 17  
მარტი) დაიბეჭდა თ. ჩხერიმელის წერილი „მოტივაცია და ვა-  
რიაციები“, რომელიც ამერიკელი პროფესორის ჯონ გრეპინის  
ნაშრომის „რამდენიმე შენიშვნა ქართული ანბანის წარმოშობის

შესახებ“ კრიტიკულ განხილვას ისახავს მიზნად. თ. ჩხენკელი აღმოჩენას არ მაღავს ამერიკელი მეცნიერის ცდის გამო, დაუკავშიროს ქართული ანბანის წარმოშობა მესროპ მაშთოცს. მეცნიერულად გაუმართლებლად და მეთოდოლოგიურად მიუღებლად თვლის, რომ ჯ. გრეპინი ითვალისწინებს მხოლოდ ქართული ანბანის წარმოშობის სომხურ ვერსიას. ქართულ ტრადიციას კი ამ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშს არ უწევს, რის მიზეზადაც თ. ჩხენკელი უცხოელი კოლეგის არაობიერტურობას თვლის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია თავი გამოვიდოთ და საერთოდ ჯ. გრეპინის, როგორც მეცნიერის, ობიექტურობა ვამტკივოთ, მაგრამ არ გვესმის ამ შემთხვევაში თ. ჩხენკელს რად შეაქვს ამერიკელის კეთილსინდისიერებაში ეჭვი, ქართული ანბანის მესროპ მაშთოცთან დაკავშირების საფუძველს ხომ სწორედ აღნიშნული კულტურული ფენომენის ქრისტიანულ ხანაში წარმოშობის თვალსაზრისი ქმნის, რომელსაც ასე გულმოდგინედ უწევს პოპულარიზაციას ზოგი „თბილისელი მეცნიერი“ და რომელსაც იზიარებს თავადაც?! თ. ჩხენკელისათვის, ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ჯ. გრეპინს „სერიოზულად არ მიაჩნია“ აზრი წინაქრისტიანულ ხანაში ქართული ანბანის შექმნის შესახებ, მეორე მხრივ, იგი უკმაყოფილოა ამერიკელი პროფესორის მიერ ამ საკითხში ქართული ეროვნული ტრადიციის გაუთვალისწინებლობით. მაგრამ განა თვითონაც ზუსტად ასევე არ ექცევა ამ ტრადიციას, როცა ქართულ ანბანს ქრისტიანული ეპოქის პროდუქტად თვლის!?


მართალია, ჯ. გრეპინი ცდება, როცა ქართულ ანბანის წარმოშობას მესროპ მაშთოცის სახელს უკავშირებს, მაგრამ მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი თანმიმდევრულია თავის თვალსაზრისში. ქართული ანბანის შექმნის მესროპ მაშთოცის სახელისაგან დაცილება (სიმართლეს თვალი გავუსწოროთ!) გადაუჭრელი ამოცანაა იმ მკვლევართათვის, რომლებიც მის წარმოშობას ქრისტიანულ ხანაში ვარაუდობენ, ზუსტად იმავე ქრონოლოგიურ მონაკვეთში, როცა მოღვაწეობდა მაშ-

თოცი. ამ მკვლევრებს არ შეუძლიათ კორიუნის მცდარი ინფორმაციის გაჩენის მიზეზების ახსნა ისე თუ ძველ სომხურ ისტორიოგრაფიის ტენდენციურობა არ ამტკიცეს. ამიტომაც ჩანან ქართული ანბანის ქრისტიანულ ხანაში შექმნის თვალსაზრისზე მყოფი ქართველი მეცნიერები ეროვნული თავმოყვარეობის გამო გაჯიუტებულ პიროვნებებად უცხოელ კოლეგათა უმრავლესობის თვალში.

მესროპ მაშთოცის სახელი ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიას ეთიშება მხოლოდ ქართული ანბანის წარმართულ ეპოქაში შექმნის კონცეფციით. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ აღნიშნული კონცეფცია ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო თავისთავად გამორიცხავს მაშთოცის მიერ ქართული ანბანის შექმნას, არამედ იმიტომაც, რომ ამ კონცეფციის ფარგლებში, როგორც ზემოთაც გვქონდა ნაჩვენები, ხერხდება კორიუნის მცდარი ინფორმაციის გაჩენის მიზეზის ახსნა.

მნათობი, 1989, №6, გვ. 169-173

ხოსროვიანთა სამეფო ოჯახი III – V საუკუნეებში  
 ROYAL FAMILY OF CHOSROIDS IN 3<sup>RD</sup> – 5<sup>TH</sup> CENTURIES



**ქართლის მმართველები III – V საუკუნეებში**  
**GEORGIAN RULERS IN 3<sup>RD</sup> – 5<sup>TH</sup> CENTURIES**

 მირიანი Mirian	III საუკუნის II ნახევარი – IV საუკუნის I ნახევარი 2 <sup>nd</sup> half of 3 <sup>rd</sup> century – 1 <sup>st</sup> half of 4 <sup>th</sup> century	
 ბაკური (რევის ძე) = ბაქარი = „დიდი ბაკური“ Bakur (son of Rev) = Bak'ar = “Great Bakur”	IV საუკუნის I ნახევარი 1 <sup>st</sup> half of 4 <sup>th</sup> century	
 თრდატი (რევის ძე) = მირდატი = მერიბანესი Trdat (son of Rev) = Mirdat = Meribanes		
 საურმაგი = სავრომაკი Saurmag = Sauromaces		IV საუკუნის II ნახევარი 2 <sup>nd</sup> half of 4 <sup>th</sup> century
 ვარაზ-ბაკური (ხიდარელი) = ასფაგური = ბოზმარიოსი / ბუზმიერი Varaz-Bakur (Khidareli) = Aspacures = Bozmarios / Buzmihr		
 ბარზაბოდი Barzabod		
 ბაკური (თრდატის ძე) = „ფრიად სარწმუნო კაცი“ ბაკური Bakur (son of Trdat) = “very truthful man” Bakur	IV საუკუნის II ნახევარი – V საუკუნის I ნახევარი 2 <sup>nd</sup> half of 4 <sup>th</sup> century – 1 <sup>st</sup> half of 5 <sup>th</sup> century	
 ფარსმანი (რევის ასულის ძე) Pharsman (son of daughter of Rev)		
 მირდატი (რევის ასულის ძე) Mirdat (son of daughter of Rev)		
 არჩილი (რევის ძე) = არსილიოსი = არძილი Archil (son of Rev) = Arsilios = Ardzil		
 მირდატი (ვარაზ-ბაკურის ძე – არჩილის შვილობილი) = ულტრა Mirdat (son of Varaz-Bakur – adopted son of Archil) = Ultra		V საუკუნის II ნახევარი 1 <sup>st</sup> half of 5 <sup>th</sup> century
 ვახტანგ გორგასალი Vakhtang Gorgasali	V საუკუნის II ნახევარი 2 <sup>nd</sup> half of 5 <sup>th</sup> century	

## SUMMARY

For shaping of ethnic communities and ethnic based polities royal families are very important: monarch serves as a marker for the group self-identification.

Georgian case is not exception from this common rule. Georgian royal houses did play special role in the political life of Georgian community and chart its cultural profile. Hence, the representation of Georgian past through the histories of royal dynasties is reasonable.

Four main dynasties could be distinguished: of Aietids, Pharnavazids,<sup>1</sup> Chosroids,<sup>2</sup> Bagratids.<sup>3</sup> All these dynasties were identified already by ancient Georgian historians except Aetids. Until very recently it was thought that the evidences on this dynasty were kept exclusively in the works of classic authors. However elsewhere the author of the present book has shown that the compiler of the monument of medieval Georgian historiography *The Conversion of Kartli* also considered ancient Colchis as cradle of Georgian statehood and Azo (/Azon) who according to him was appointee of Alexander the Great on the throne of Kartli was recognized by Georgians as lawful ruler only because of his association with royal family of ancient Colchis, decedents of king of Colchis Aeti. Azo is not the first name of this person (as it was generally believed by modern researchers), but the family name Azonid (*Jazonid*). It was associated with Jason – a companion of Argonauts: according to this legend (reflecting historical realities) he was husband of king Aeti's daughter Medea. For a while Jason and Medea jointly ruled ancient Georgian polity. The anonymous author of *The Conversion of Kartli* tried his readers to believe that the appointee of Alexander the Great was descendant of this couple and consequently was Aietid/Jasonid. The association

---

1 In Georgian: Parnavazianni

2 In Georgian: Chosroviani, Chosrovani

3 In Georgian: Bagrationi

with the royal family of Aietids/Jazonids legitimated Azo on the position of king of Kartli.<sup>4</sup>

Evidently, the anonymous author of *The Conversion of Kartli* saw kingdom of Kartli as continuation of statehood being started in ancient Colchis. *The Conversion of Kartli* does not clarify that the first king of Kartli Azo and second king Pharnavaz belonged to the different dynasties whereas in the another monument of medieval Georgian historiography *The Life of Kartli* is represented in detail the origin of Pharnavazid dynasty and its extinction by the end of 3<sup>rd</sup> century. According to *The Life of Kartli* the king of Karli Mirian who initiated the conversion of Georgians to Christianity and made this religion official faith of his subjects, did not belong to the Pharnavazid dynasty. He was Persian shah's (probably Hormizd I – Hormizd-Ardashir's -272-273) illegitimate child.

The last Pharnavazid king Aspagur died without male heir. He left the daughter Abeshura. Mirian became husband of Abeshura and king of Kartli. This was result of negotiations between Georgian and Persian authorities: Georgian aristocracy agreed to support the Persian prince to occupy the throne and marry him princess Abeshura in return of retaining Georgian pagan deities, i. e. Georgian ethno-cultural identity. By the time of his arrival in Kartli Mirian was seven years old. Hence, Mirian was born ca. 265/266.

Thus, the king who established Christianity in Kartli as an official religion was the founder of new dynasty as well. In Georgian sources kings of the Sassanid dynasty are referred as Chosro. Accordingly, the Georgian royal family associated with Sassanid dynasty, were called as Chosrovans. In academic literature in English the name of this dynasty is already established as Chosroid. I also use this form for the present summary.

This research is devoted to the history of Chosroids. Some part of this research was already published as separate articles and chapters of the monographs; another part is published for the first time.

---

<sup>4</sup> *Kartli* (K'art'li) is a term (self-name) designating pre-modern Georgian community as well as the state this community owned.

The book consists of introductory part, main text, epilogue and appendix. The main text falls into five chapters.

In the first chapter the principal sources of the investigation are considered. These are *The Conversion of Kartli* (*Mok'c'evay K'art'lisay*) and *The Life of Kartli* (*K'art'lis C'xovreba*).

Both are writings with complicated compositions. *The Conversion of Kartli* is consisted of three parts: two redactions of *The Life of Saint Nino* - the Illuminatrix of Georgians, and the historical chronicle which presents Georgian past from times of Alexander the Great until 9<sup>th</sup> century. The first redaction of *The Life of Saint Nino* is a brief continuous narrative included in the chronicle in the chronologically relevant place, while the second one is a voluminous writing full of details; it has form of memories of Saint Nino and her disciples and followers; it is attached to the chronicle to the end. This is an archetypal writing of the hagiographical cycle devoted to Saint Nino. It was composed shortly after the conversion of Kartli. Now it is preserved only as part of *The Conversion of Kartli*.

*The Conversion of Kartli* as whole monument was composed in late 5<sup>th</sup> century and was initiative of the great Georgian king Vakhtang Gorgasali (second half of 5<sup>th</sup> c - beginning of 6<sup>th</sup> c). The church reform promoted by the king was impossible without relevant conceptualization of the history of Georgian church. *The Conversion of Kartli* met just these needs. Afterwards the writing was continued and edited. Traces of at least two revisions are well evident in the text of the chronicle: one of them took place in 640s, other – in 9<sup>th</sup> century.

*The Conversion of Kartli* is a very important monument of Georgian medieval historiography. At the same time it is a reliable source. Its author's working principle was fixing evidences and avoiding critical considerations of available data. *The Conversion of Kartli* can serve even as a guide for adequate understanding of other sources. The only drawback of this source is the extreme brevity of some its evidences.

As for *The Life of Kartli*: it is a collection of historical writings. For the present investigation is important only the part belonged to

Leonti Mroveli – the Georgian historian of the eleventh century. This collection begins with three works by Leonti Mroveli. In this book is used only one of them, particularly, *The Life of Georgian Kings and their Progeny*. For it Leonti Mroveli used many authentic and correct sources, among them *The Conversion of Kartli*. For this very reason Leonti Mroveli's above-mentioned work also is very helpful for representation history of Chosroids, however, it should be used with greater caution: unlike the anonymous compiler of *The Conversion of Kartli*, Leonti Mroveli critically investigates his sources and tries to make representations on his own. For this reason sometimes his information is completely misleading; meanwhile it is reasonable to use his evidences as their incorrectness concerns of Leonti's interpretations and not his sources.

The second chapter is devoted to the founder of the dynasty Mirian. Here are critically considered data of the sources concerning the many details of Mirian's reign and his extraordinary personality.

In the third chapter the history of descendants of Mirian—the second and third generations of Chosroid kings as well as ordinary members of the royal family are represented. Here as it was made in the second chapter source-critical research and historical representation are given side by side and the general picture is depicted in result of parallel inquiries.

The fourth chapter is devoted to the last Chosroid king—the grandson of Mirian—Archil I, son of Rev. Here as in previous chapters are represented political and cultural facts, as well as characterizations of the personalities.

In all these chapters discourse has analytical form, only in the last one it is given as descriptive narrative. Actually, the main body of the present summary represents shortened version of the last chapter.

In the epilogue novelties of the investigation are presented. Only part of findings is underlined; the cases of re-conceptualization of facts actually are far more numerous.

In the appendix are reprinted two articles of the author which

were published earlier. They are devoted to the history of invention of Georgian alphabet. Their main message is following: Georgian alphabet was created in times of king Pharnavaz (4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> cc BC). These publications are helpful for understanding the polemical discourse developed in the second chapter. Some authors ascribe the invention of Georgian alphabet to Chosroid king Bakur (end of the 4<sup>th</sup> c – first two decades of the 5<sup>th</sup> c). However, Bakur did not invent Georgian alphabet which by his reign had very long tradition of use. Meanwhile Bakur did contribute to its preservation: in the first decades of fifth century there emerged the danger of its elimination because of ideological reasons.

\*\*\*

The fact of replacement of one dynasty by another one is not reflected in *The Conversion of Kartli*. This source does not mention Persian origin of Mirian, though the information about his father Lev indirectly confirms this. For a long time researchers were sure that the evidence on Lev contradicts to the evidences of *The Life of Kartli* about Mirian's Iranian origin. However, this fact does not contradict to the evidence of *The Life of Kartli* about Mirian's belonging to the Persian royal family; even more: it confirms it, though indirectly. Lev is only person mentioned in the royal list of *The Conversion of Kartli* who was not king. He is introduced as "father of the king Mirian". Thus, on the one hand, Lev was not king, on another, he was referred as the king's father, i. e. enjoyed authority. This fact makes one to suppose that Lev was foster father/regent of the young king. Indeed, according to *The Life of Kartli* Mirian was accompanied with foster father as he was only seven years old by the time of his arrival.

According to *The Life of Kartli* the name of the foster father of Mirian was Mirvanoz and not Lev, however this fact does not create the obstacle for the above supposition: according to Persian traditions persons wore names, which in their majority, were not proper nouns, but attributes with religious meaning reflecting the different stages in development of a person's religious experience. For this

very reason the individual might have not one, but several names, actually, attributes. Thus, we can assume that Mirian's regent wore both above-mentioned names: Mirvanoz as well as Lev. *The Life of Kartli* retained one of them, while *The Conversion of Kartli* – another. Of course, we cannot exclude another possibility as well: Mirian might have two regents: Mirvanoz who after some time was replaced by Lev because of different (including his death) reasons. In any case the evidence of *The Conversion of Kartli* on Mirian's father Lev can be used as testimony confirming information of *The Life of Kartli* concerning Marian's Iranian origin.

*The Life of Kartli* presents Mirian as Iranian vice-Roy (and not solely king of Kartli) controlling vast territories in and beyond the south Caucasus.

According to Leonti Mroveli the Iranian prince was naturalized shortly; he forgot his native language, learned Georgian and began venerating Georgian pagan deities. He identified himself with Pharnavazid dynasty though well remembered his ties with Persian royal family and in certain circumstances even expressed ambitions regarding the Sassanid throne. In parallel to venerating idols of Kartli Mirian continued to be a fire worshipper. Thus, Mirian was extraordinary ruler personifying an ideological crossroad.

Mirian's first wife died when Mirian was fifteen years old, i. e. this happened in 280/281. As the Leonti Mroveli remarks, Georgians' love to Mirian was so great that they continued to be loyal to him even after the death of his Pharnavazid wife.

The multiple religious experiences resulted in Mirian's broad mindedness. At the certain moment he guessed that Georgian ethnic community was not able to be developed within the limits of the native paganism and because of this the religion must be changed. Mirian began keenly looked for the new faith for his country. This was not easy task as change of religion (i. e. replacement of main pillar of culture) could crash already established Georgian identity. It is why Mirian was very cautious with this change and firstly elaborated projects not of change, but of re-conceptualization and renovation of

Georgian paganism. However, the preach of missionary woman Saint Nino and miraculous demolition of ideols of main deities of Kartli in result of her prayers and some other facts helped him to conceive a crucial change of religion. It is worthy to mention that Mirian gave his preference not to his native religion of fire worshipping, but to Christianity which he saw as religious system enabling inner consolidation of Georgian ethnic community as well as ensuring its harmonious conformity with outer world.

Mirian was intellectual ruler. He contributed to the establishment of new religion and the society's smooth transition to the new ideological platform. Christianization was process which implied the full-scale re-conceptualization of the essence of Georgian ethnic community and its place within the Christian oikumene.

Mirian initiated construction of two churches. Both of them contained sacral relicts. Especially important was one which was called the church of Svetitskhoveli – i. e. of Vivifying Pillar. This pillar was made from the tree which grew up on the place where according to *The life of Saint Nino* the Lord's Tunic was buried. This church was built in the royal garden in capital city of Mtskheta and was considered as image of Heavenly Jerusalem. The idea – royal garden as an image of Heavenly Jerusalem – was a core idea of the ideology of Georgian ethnic electivity elaborated in parallel with the conversion of the country: this garden was perceived as place of establishment God's Kingdom after the Son's Second coming and essential transformation of being. The main designer of this ideology and hierotopical project connected with it was Mirian himself who, according to available sources, was real master of socially potent public performances.

Mirian's second wife was Greek Nana. According to *The Conversion of Kartli* this royal couple had son Rev. Rev was deeply pious person; his ascetic mood was reason of his abdication from the throne: one can suppose this because next to Mirian king was not his son but his grandson Bakur, son of Rev.

According to the *The Life of Kartli* Bakur/Bak'ar was Mirian's son. Unfortunately, we have not the third source to verify the testimonies

of these sources, but the logical argument can be used in situations like this: one should give preference to the information which is more unusual as just it should be original one. The logic is that one could expect changes of less convincing formulations to more convincing ones. In our case enthronement of grandson is less convincing than of son. Thus, the information on king Bakur as grandson of Mirian was transformed by Leonti Mroveli into information on Bakur/Bak'ar as son of Mirian. Leonti Mroveli based his narrative on correct source, however, he made mistake in representation because the evidence was critically considered by him.

Rev's abdication was not a result of usurpation of power. He lived after his father and participated actively the religious life of the country: he built the dome for the Cross of Mtskheta being erected in time of the conversion of Kartli and prepared grave for him and his family in the church of Svetitskhoveli.

According to Leonti Mroveli Rev's wife Salome was daughter of first Christian king of Armenians Trdat (250–330). She was as pious as her husband. She was compiler of the collection of memories devoted to the Illuminatrix Saint Nino. As was already stated this compilation is now preserved only as a part of *The Conversion of Kartli*. It is archetypal text of the hagiographical cycle devoted to Saint Nino. Composing collection of memories by Saint Nino and her disciples and followers should be considered not Salome's personal initiative, rather constituent part of a large political project which was launched and promoted by the whole ruling elite of Kartli and the queen co-ordinated it. Generally, in this source the noble women are presented as main promoters of the new faith.

According to *The Conversion of Kartli* Bakur, son of Rev constructed church in Tsilkani. He converted the major part of population of Caucasian highlands. He collaborated with Romans as well as Persians.

After him the throne was occupied by his brother Trdat. According to *The Conversion of Kartli* Trdat was third Christian king of Kartli and was contemporary of Armenian Catholicos Nerses the Great,

who was in power in the second half of the fourth century.

But for the second half of the fourth century Roman historian Ammianus Marcellinus in the context of events of 361, mentions Iberian king Meribanes. Who, Trdat or Meribanes, did occupy the throne of Kartli in the second half of the fourth century?

The research shows that there is no necessity to choose between them, because Trdat is same Meribanes. As linking unite between these two names serves a name “Mirdat” provided by *The Life of Kartli*: according to this source Mirdat was the third Christian king of Kartli. Thus, again one comes upon the puzzling data: according to *The Conversion of Kartli* the third Christian king was Trdat, while according to *The Life of Kartli* – Mirdat. But “Trdat” and “Mirdat” are two forms of one and same name: Mirdat is nothing but Mihr-Trdat. Thus, the information of *The Life of Kartli* concerning the name of the third Christian king of Kartli is correct, however, it is wrong when presents Mirdat as son of Bakur. Mirdat/Trdat was not son of king Bakur but brother. Here again we face an example of Leonti Mroveli’s incorrect representation because his critical consideration of the source. The evidence about occupying the throne after Bakur by his brother Leonti Mroveli found not convincing and changed it to more expectable one: he wrote that the third Christian king of Kartli was son of his predecessor.

If the name “Trdat” seemed completely dissimilar to the name “Meribanes”, name “Mirdat” is closer to the name “Meribanes”. If one would add to this the coincidence of the chronology (second half of fourth century) and position (king of Kartli), it would be easier to conclude that the name Trdat/Mirdat on the one hand, and Meribanes – on the another are referred to one and same person, namely, to the third Christian king of Kartli.

These findings give ground for dating events with due accuracy: it is clear Mirian could not be identified with Meribanes (as many researchers are tended to do) and that his reign was terminated already in the first half of the fourth century. The reign of Bakur, son of Rev also should be placed in the first half of the fourth century.

By the 368 Ammianus Marcellinus speaks on Sauromaces, who was Romans' appointee in Kartli. In this year he was attacked by "certain" Aspacures and was forced to leave the throne. Aspacures was supported by Persians. As Ammianus Marcellinus remarks, Persians even crowned him so that to insult Romans.

Thus, in the period between 361-368 years Trdat/Mirdat/Meribanes lost the throne (died?) and Sauromaces came to power and then he too was forced to leave throne because of Aspacures. The researchers identify (and it is convincing) this person with king of Kartli Varaz-Bakur.

Ammianus Marcellinus does not mention Sauromaces was king. He ruled Kartli, however, was without crown. Some researchers misinterpret Ammianus Marcellinus and place Sauromaces in the list of Georgian kings. But Sauromaces was not king but second person after the king: this name is attested in Georgian sources in form of "Saurmag" which was first name of the members of the family of spaspets. Spaspet was second next to the king person in ancient Kartli. The Georgian spaspets usually were supported by Romans (acting according to the principle *dīvide et īmpera*) against the kings of Kartli. It is not accident that Georgian medieval sources do not mention Sauromaces/ Saurmag in the lists of the kings of Kartli.

As for Aspacures: though he was crowned by Persians, he definitely was not Chosroid: Ammianus Marcellinus refers to him as to "a certain" person.

*The Conversion of Kartli* uses unusual formulation for describing the enthronement of Varaz-Bakur/ Aspacures indicating temporality of his presence on the throne. Supposedly, the author of the writing reflects the opinion of Georgian ruling elite about the nature of power Varaz-Bakur / Aspacures enjoyed.

In the next passage of the source the readers are informed that Trdat's son Bakur did not become king directly after his father, but after Varaz-Bakur/Aspacures. This fact provokes questions: who was Varaz-Bakur for Trdat, why did he follow Trdat and became king before Trdat's son Bakur? Why was Varaz-Bakur/ Aspacures chosen by Persians for opposing Roman favorite Sauromaces/Saurmag?

In *The Conversion of Kartli* there is no evidence enabling to answer these questions, there is no information who was Varaz-Bakur/ Aspacures for Trdat. However, *The Life of Kartli* helps us to fill up this gap: according to it, Varaz-Bakur/ Aspacures was Trdat's son-in-law – husband of his daughter. Now it became clear why Persians were able to crown Varaz-Bakur/ Aspacures: he was not Chosroid, but as son-in-law of the king he was considered as a member of the royal family.

Identification of Aspacures with Varaz-Bakur allows the student of the history of Chosroids to make conclusions based on summing up the evidences of *The Conversion of Kartli* and *The Life of Kartli* and Ammianus Marcellinus. And the data of other sources could be used as well, for example, the Georgian version of *The Vita of Peter the Iberian*. According to this source Varaz-Bakur/ Aspacures was Peter's father. According to the Syrian version of *The Vita* Peter's father was called Bozmarios. However, it is not reason for ignoring the information of the Georgian version of *The Vita of Peter the Iberian* as in these two versions of *The Vita* names of other personages also do not coincide. As an example might be taken the name of Peter before he became monk: in Georgian version it is "Murvanos", while in Syrian – "Nabarnugios". Despite this, some researchers erroneously present Bozmarios in Georgian royal list as different from Varaz-Bakur/ Aspacures king.

Thus, one can use evidences of all these sources and depict the detailed portrait of Varaz-Bakur/ Aspacures. In Georgian version of *The Vita* of Peter the Iberian is presented the positive portrait of Varaz-Bakur, while in *The Life of Kartli* - completely negative. Evidently, for the both views were supportive facts. And the provided portrait was depended on the main principles the authors had chosen for evaluation.

The daughter of Trdat (wife of Varaz-Bakur/ Aspacures) was called Bakurdukhtia. This we learn from the Syrian *Vita* of Peter the Iberian.

But now let us return the Peter's father Varaz-Bakur/ Aspacures and conclusions that might be drawn from the evidences of Georgian sources. It is clear that Peter's grandfather in the maternal line was

king Trdat, son of Rev. But how this might be compatible with the evidence by Syrian *Vita* informing us that great Bakur – the first king of Iberians, was Peter's maternal grandfather ?

Which king of the royal list presented in *The Conversion of Kartli* could be identified with great Bakur?

Of course, he is a king Bakur, son of Rev, grandson of Mirian who occupied the throne directly after his grandfather. Though Bakur was not the king who established Christianity in Kartli, but he was first one who was Christian by the time of the enthronement and, evidently, this very fact was implied by the hagiographer when he wrote that great Bakur was the first Christian king of Iberians. Thus, great Bakur of the Syrian *Vita* of Peter the Iberian should be identified with Bakur, son of Rev of *The Conversion of Kartli*.

Great Bakur was not grandfather of Peter the Iberian in maternal line as the Syrian *Vita* informs us; he was a brother of Peter's grandfather Trdat. According to Georgian traditions brother of grandfather also was (and is) referred as grandfather. So it is not astonishing at all if Peter told his biographer i. e. author of the Syrian *Vita* that great Bakur was his grandfather.

Thus, the evidences of *The Conversion of Kartli* and Syrian *Vita* of Peter the Iberian confirm each other's data. We can sum up these evidences for representation of Bakur's personality and main facts of his career. Bakur, son of Rev was as pious as his parents were. He built the shelter for the beggars and personally feed the sick and infirm people. His wife Dukhtia behaved in the same manner. By mutual agreement they chose ascetic life and did not live as a husband and wife though were not divorced.

Bakur, son of Rev (great Bakur) was followed by his brother above mentioned Trdat/Mirdat/Meribanes; from his very fact one can conclude that Bakur, son of Rev /Great Bakur died without male heir.

Now again let us return to Varaz-Bakur/ Aspacures. As it was already said he occupied the throne in 368. Just by this year should be dated the relevant passage in the *The Conversion of Kartli*. It should be underlined because in this monument the direct dates are absent.

In 373 with support of Romans Sauromaces /Saurmag tried to take revenge. According to Ammianus Marcellinus Varaz-Bakur/ Aspacures faced a hopeless situation. On the one hand, he could not resist the Romans, and on the other he was not able to fight against the Persians, after all he was their protégé and, in addition, Persians had his son Ultra as a hostage.

Here again we should interrupt our narrative and provide some explanations concerning the family of Varaz-Bakur/ Aspacures. As it was already mentioned, Varaz-Bakur/ Aspacures' wife Bakurdukhtia was king Trdat's daughter. Just this marriage paved way to Varaz-Bakur/ Aspacures to the throne. However, above mentioned Ultra was not son of this couple. They had child (and this was Murvanos - Peter the Iberian) only ca. 40 years later after marriage, at early 410s. By the time of marriage Varaz-Bakur/Aspacures should be teenager, while his wife child.

However, the question is: who was Ultra's mother?

According to *The Life of Kartli* Varaz-Bakur/ Aspacures had two wives in parallel. According the same source the second wife (or maybe the first one) was Mirian's daughter's son's daughter. Ultra should be son of Varaz-Bakur/ Aspacures from this woman.

Mirian's daughter was wife of Pheroz, relative of Mirian i. e. he also was associated with Persian royal family. Thus, via this wife also Varaz-Bakur/ Aspacures was closely linked with the Chosroids. Both these women were descendant of Mirian, however, Bakurdukhtia represented his son's family, while the second (first?) wife originated from Mirian's daughter's family. As it was already mentioned above, by the time of Sauromaces' revenge Varaz-Bakur/ Aspacures already had son Ultra, who was hostage of Persians. To be hostage at one or another imperial court evidently was necessary precondition for Georgian princes for becoming kings. Thus, one can suppose that Georgian authorities were preparing Ultra for the throne. Information on familial burial place Varaz-Bakur/ Aspacures allows us to conclude that he had other sons as well as daughters. The only son Murvanos Varaz-Bakur/ Aspacures had from Bakurdukhtia.

Because Ultra was hostage of Persians and also other considerations Varaz-Bakur/Aspacures proposed to Sauromaces /Saurmag compromise plan: to rule Kartli jointly. This “project” was approved by Romans and Kartli was divided into two parts: in one part controlling by Romans the ruler was Sauromaces /Saurmag, while in another controlling by Persians the king was Varaz-Bakur/ Aspacures.

Though for this time Varaz-Bakur/ Aspacures was able to retain the authority in one part of Kartli, later on he was forced to leave the power and retire to his estates and in the castle of Khidari.

Varaz-Bakur/Aspacures' retirement should be dated by late 380s: it was result of devastating Persian invasion in countries of South Caucasus by the time shah Baram IV. The valuable information on this fact is preserved in *The Conversion of Kartli*. This source informs us about this campaign which was headed by Barzabod – shah's appointee in South Caucasus. After Varaz-Bakur/ Aspacures's retirement again commenced an interregnum – a direct rule of Persians. The ruler evidently was shah's official above-mentioned Barzabod whose residence was in Rani, however, supposedly, he visited Kartli time after time to keep here Persian order. Barzabod is well known person in Georgian sources: he was maternal grandfather of the great Georgian king Vakhtang Gorgasali. Thus, Barzabod also should be mentioned in the list of the rulers of Kartli, though he was not king. He ruled the part of Kartli which from time of Kartli division was under the control of Persians. As for another part of Kartli, it was beyond Barzabod's control. The division of Kartli was ended only in reign of Bakur, son of Trdat.

For the fourth and fifth centuries Georgian sources mention two kings with name Bakur: Bakur, son of Rev and Bakur, son of Trdat. They were uncle and nephew. The first one is grandson of Mirian, another is son of Mirian's grandson Trdat (/Mirdat/Meribanes). Non-Georgian sources also mention Bakurs, kings of Iberia. As we already have learned Bakur, son of Rev is same great Bakur mentioned in the Syrian *Vita of Peter*. He was on the throne in the first half of 4<sup>th</sup> c .

Reign of Bakur, son of Trdat might be began from the end of the

fourth century, but we can say for sure that he was on the throne from the beginning of 5<sup>th</sup> century: his father was in power in the second half of 4<sup>th</sup> century and he was not followed directly by his son, but by Sauromaces/Saurmag, Varaz-Bakur/Aspacures and Barzabod. It is clear that he is same Iberian king Bakur who is mentioned by Rufinus of Aquileia whose informative in matters of Iberian conversion was “very truthful man” *gentis ipsius rex Bakur* who was *comes domesticorum* and *dux* of the *limes* in Palestine and who later became king by the time Rufinus of Aquileia wrote his work, i. e. beginning years of the fifth century. This chronology makes obvious that “the very truthful man” by Rufinus should be identified with Bakur, son of Trdat mentioned in *The Conversion of Kartli*.

The king Bakur, son of Trdat for a long time (at least since his fathers’ death in 360s), was in Byzantium in military service of the emperor. Actually, he too was respected hostage of Byzantines awaiting his time for occupying the throne of Kartli. Byzantines supported him. Without any doubt he was pro-Byzantine ruler. In his reign the division of Kartli ended: this became possible because Byzantines returned to him the part of Kartli which was controlled by them since time of Kartli’s division. Thus, Bakur’s reign is marked with unification of Kartli. Bakur was very active in that part of the country which traditionally was characterized with tendency to succession. As an example of this policy could be mentioned the construction by Bakur of the magnificent church in Bolnisi. He began the building of this church and actually ended it, only some works for its completion was continued in reign of his successor - the king Pharsman.

Perhaps Bakur, son of Trdat was the most attractive member of Chosroid family: full of every kind of virtues he made very successful military career in Byzantium and enjoyed wide popularity in intellectual circles. The evidences about him provide not only Rufinus, but some other Byzantine historians and very influential pagan philosopher Libanius as well. Libanius was representative of sophist school and he considered Bakur as his friend. Though Libanius was not a

Christian, his friends included such Christians as John Chrysostom and Theodore of Mopsuestia. Thus, Bakur's relations with Libanius cannot be used as evidence confirming that he was not Christian by 390s and was converted only later.

Bakur, son of Trdat (according to *The Conversion of Kartli*) and "very truthful man" (according to Rufinus of Aquileia) is mentioned in Armenian sources as well. He was king by the time of Maštoc's first visit in Kartli in middle 410s, however by the Maštoc's second visit (beginning of 420s) king of Kartli was Archil. Thus, Bakur son of Trdat died in period between 410s-420s. One can narrow this period further: according to *The Conversion of Kartli* Bakur was followed by kings Pharsman and Mirdat. And only after them the throne of Kartli was occupied by above mentioned Archil. Thus, in period between 410s-420s should be placed the following facts: the death of Bakur, reign of Pharsman, Mirdat and, finally, enthronement of Archil. Too many facts in too short interval of time: it is clear that Bakur died shortly after he met Maštoc in Kartli.

Some researchers erroneously associate invention of Georgian script to this Bakur because some Armenian sources present his contemporary Maštoc as a creator of Georgian alphabet. However, it is incorrect conception: Georgian alphabet was invented long before this epoch in times of king Pharnavaz (4th-3<sup>rd</sup> cc BC) as informs about this Leonti Mroveli. Maštoc was promoter of Byzantine political-cultural project aimed at creating homogeneous cultural spaces for newly converted nations and for this purpose invent for them new alphabets or replace exited ones. It is obvious that Maštoc as emissary of Byzantines wanted to change Georgian alphabet which from his point of view was bad as remnant of pagan culture. Maštoc endeavor was successful in Armenia; however, it failed in Georgia as ancient Georgian alphabet did survive: the available one is marked by pagan worldview. There were many reasons of Maštoc's project's failure in Kartli: available (invented in time of king Pharnavaz) Georgian alphabet had long tradition and was perfectly adapted to the necessities of Georgian language; Maštoc who did not know Georgian, was not able

to propose script compatible in quality with this alphabet. And, finally, there should not be overlooked the role of king Bakur, son of Trdat who as broadly minded man did not give his preference to Maštoc's proposal only because of ideological reasons and did not replace perfect, but pagan cultural monument with imperfect one proposed by Christian ecclesiastic. Thus, though Bakur did not invent Georgian alphabet, he did contribute to its survival.

During the reign of Bakur, son of Trdat in early 410s was born Murvanos – Peter the Iberian. As it was already mentioned Murvanos, was Bakur's nephew. By the time of his uncle's death he was a child, probably five or six years old.

Evidently Bakur, son of Trdat also died without male heir as he was followed by Pharsman who was son of his aunt – Trdat's sister (daughter of Rev). Pharsman's enthronement can be considered as indication to the authority's crisis: Chosroids had to choose candidate for the throne among descendants of woman members of the family. Pharsman's reign was very short. However, he contributed to the completion of church in Bolnisi.

*The Conversion of Kartli* does not explain who next to Pharsman king Mirdat was for him. However from *The Life of Kartli* we learn that Mirdat was Pharsman's brother. Mirdat also was king for a very short time. He died in Persia, as was taken by shah's official. Evidently, he was killed by Persians. In *The Conversion of Kartli* the information about Mirdat is very brief, so it is impossible even to suppose why Persians were so cruel towards him. In *The Life of Kartli* is presented his very eloquent portrait: he did not bow nor before Byzantines neither Persians and fought simultaneously with both. Thus, his tragic end was unavoidable.

Evidently, Mirdat's reign was again followed by short interregnum period. It was terminated by the accession of Archil in the early 420s.

Just by this time twelve years old Murvanos was sent to Byzantium as a respected hostage. This was unambiguous indication that Murvanos also was intended to occupy the throne. Murvanos was

Chosroid in maternal line. His father Varaz-Bakur/Aspacures belonged to the powerful aristocratic family of Khidareli.

In *The Conversion of Kartli* there is no indication who was king Archil for his predecessor Mirdat, however from the Syrian *Vita* of Peter the Iberian we know that great Bakur i. e. king Bakur, son of Rev, had brother by name Arsilios who in very advanced age became king. As there is no other Georgian king by name Archil before the eighth century, it is clear that Arsilios of the *Vita* and king Archil of *The Conversion of Kartli* are one and same person. Thus, king Archil too was grandson of king Mirian, brother of Bakur, son of Rev and Trdat, son of Rev, Mirdat's uncle. This fact allows us to conclude that Mirdat too died without heir and because of this after him the throne was occupied by his uncle in maternal line.

Archil is mentioned by Armenian authors of the fifth century Ko-riwn and Movses Khorenatsi in the context of Maštoc's second visit in Kartli.

Archil was of extremely ascetic mood and evidently did not planned to be a king and only crisis of authority (absence of mail heirs) forced him to become king.

Despite his advanced age by the time of enthronement Archil was unmarried. He did not wanted to be married and when was forcibly married, continue to keep his virginity and soon divorced. According to the *Vita* of Peter the Iberian Archil made the royal palace like church. As it was already mentioned his father Rev also was of ascetic mood and refused to occupy the throne. The ascetic spirit was common among Christian aristocracy in Late Antiquity. Georgian royal family was closely linked with the centers of Christendom and the ideal of ascetic ruler deeply persuaded worldview of Georgian political elite.

Archil had not heir and it was impossible for him to have any in future as well. Thus, his enthronement was not solution of authority's crisis which faced Chosroid family since Bakur's death. Archil's reign should be considered as temporary measure. But how Chosroids saw the solution of the problem?

One evidence preserved in the Syrian *Vita* of Peter the Iberian helps us to answer this question. According to this source Archil ruled the country jointly with the Peter's father i. e. with Varaz-Bakur/Aspacures.

Archil was not only very old, but undoubtedly inexperienced ruler. Archil needed Peter's father Varaz-Bakur/Aspacures as co-ruler.

The only heir was Murvanos who was grandson of Archil (as Peter's grandfather Trdat was Archil's brother). Actually both Archil and Varaz-Bakur/Aspacures were waiting to returning of Murvanos. However, Murvanos who also was ascetic by nature from the very early age, escaped imperial apartments and fled to Palestine where he became monk and by this decision put end to the hopes of his father and grandfather. In the new circumstances Georgian ruling circles found alternative solution to the problem: Archil adopted Varaz-Bakur's son Mirdat (same Ultra) from his first marriage. Mirdat/Ultra was father of Vakhtang Gorgasali. Thus, Vachtang Gorgasali actually was not Chosroid, however, he as well as all next Georgian kings until the eighth century ruled in name of Chosroids.

The epoch when Archil was in power represents one of the most unfavorable periods in whole Georgian history: the pressure of Iran was too hard and political situation was characterized by instability. Four archbishops were changed because they were not able to please Iran. Iranians tried to transform archbishops into shah's officials. Eventually they achieved this goal. Though this happened after Archil's death, however, it is clear that during Archi's reign Iranians permanently attempted to do this and the fact of changing of four archbishops reflects this sad reality.

The economical situation also was very far from perfection: the first wooden church in the capital city of Mtskheta had been fallen down. As it was already mentioned according to Georgian tradition this was special church marking the sacral center of the World: as was believed church was built on the place where the most sacral thing – The Robe of Lord was entombed and kept Vivifying Pillar. It was impossible to restore this church and archbishop who was resid-

ing here, had to be moved to another church and took with him the Vivifying Pillar.

However, at least one positive fact definitely happened during the Archil's reign. This was construction of the church of Proto-martyr Saint Stephen. In 415 the remains of Stephen miraculously were obtained in Palestine. This fact echoed throughout the whole Christendom. From now on saints began to be treated as special agents contributing to the spread of Christianity; their relicts too had been endowed with great importance. Georgian Christian rulers even before these facts showed great interest in obtaining relicts. Especially, vigorous in this was Varaz-Bakur/Aspacures whose efforts affected his son Peter; Peter admired the relicts of Persian Saints which were sent to his father from Persia by his men. These relicts indeed had played great role in life of Peter the Iberian.

The construction of Saint Stephen church in Mtskheta was almost synchronous with building of church in Jerusalem where the greatest portion of relicts was kept. By this time Peter the Iberian was in Jerusalem and even attended the consecration of the church in 438. He was very close to the persons who had direct access to these relicts: Melania the Younger and Empress Eudocia. It is why one can suppose that Peter was able to get some relicts of Saint Stephen for the church in his native city. Thus, there is high probability that the church in Mtskheta possessed the relicts of Saint Stephen. Only by this fact might be explained the initiative of Georgian nobility to build Saint Stephen church in Mtskheta in extremely unfavorable times when even restoration of the church of Vivifying Pillar was impossible. Stephen's church in Mtskheta should be considered as an important fact in history of Christianity. It was evidently one of the most ancient churches of Saint Stephen. This church is preserved fragmentally until today.

The History of Chosroids described here is quite different from all available representations. The author of this book uses same sources as other students of this period, however, interpretations are not similar.

\*\*\*

Peter Brown introduced the concept of *Late Antiquity*. He showed with due depth that this was very specific period of the world history: the period of transition from classic antiquity to middle ages which was ignored by previous scholarship. According to Brown this period begins from the second century and lasts till eighth century. For this period Christendom was marked with very special perceptions and worldview.

The history of the royal family of Chosroids is in these chronological limits. Kartli in period of their being in power was determined to become part of Byzantine cultural circle and as a result of this desire the happenings in the centers of Christianity echoed in Kartli right away; at the same time Kartli retained its well-defined cultural profile as well as political preferences.

Fourth-fifth centuries are a period when Georgians, “the people of pagan God Armaz”, were born anew in Christ. The process of adoption of Christianity and its establishment was leaded by Georgian royal family of Chosroids - the galaxy of deeply religious and intellectual politicians.

## **ABOUT AUTHOR**

Doctor in History Mariam Chkhartishvili is a Professor of Institute of Georgian History of Faculty of Humanities of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Head of Department of Medieval History of Georgia & Source-Study / Main Researcher of the Institute of History and Ethnology. She has authored more than two hundred scientific works. Among them are eleven books and Georgian translations of English-language theoretical literature in the field of history. She has contributed in source-studies, historiography, and representations of Georgian past, as well identity studies.

In the present monograph, Georgia in 3<sup>rd</sup> – 5<sup>th</sup> centuries is seen through the prism of the history of Chosroids' royal family. The resultant general picture is completely different from all available representations of Georgia's political and cultural developments in Late Antiquity.





ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
მარიამ ჩხარტიშვილი არის ივანე ჯავა-  
ხიშვილის სახელობის თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართვე-  
ლოს ისტორიის ინსტიტუტის პროფე-  
სორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქარ-  
თველოს ისტორიისა და წყაროთმცოდ-  
ნეობის განყოფილების გამგე / მთავარი

მეცნიერი თანამშრომელი. მას ეკუთვნის ორ ასეულზე  
მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ოერთმეტი წიგნი  
და ინგლისური ენიდან შესრულებული ისტორიის დარგის  
თეორიული ლიტერატურის ქართული თარგმანები.  
მარიამ ჩხარტიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო  
მოიცავს როგორც წყაროთმცოდნეობით და ისტორიო-  
გრაფიულ ძებებს, ისე საკუთრივ ისტორიულ და, აგრეთ-  
ვე, იდენტობრივ კვლევებს.

წინამდებარე მონოგრაფიაში III – V საუკუნეების ქართ-  
ლი დანახულია სამეფო დინასტიის – ხოსროვანების –  
ისტორიის პრიზმაში. აღდგენილი სურათი სრულიად გან-  
სხვავებულია გვიანანტიკური პერიოდის საქართველოს  
პოლიტიკური და კულტურული განვითარების ყველა არ-  
სებული რეპრეზენტაციისაგან.

ISBN 978-9941-457-96-8

A standard EAN-13 barcode for the ISBN 978-9941-457-96-8. Below the barcode, the numbers 9 789941 457968 are printed.